

1971



644/
1971/4



საქართველო

9



კომკავშირული ფიცი

ვფიცავ სისხლივით წითელ დროშას უკვდავს და დიადს,
ზეცას, რომელსაც შოთას ლურჯი ოცნება ჰქვია,
მიწას, ბაღებად გაშლილს, მთებში ჩაფენილ ნისლეებს,
აკვანს, რომელშიც ბაგში ქართულ ნანინას ისმენს.
ვფიცავ ხოხობისფერ თბილისს — მზის ბადაგოვან მტკვანს,
მთაში ირმების ყვირილს, ბარში ბულბულთა სტვენას,
შინმოუსვლელთა ღიმილს, შინმოსულეების სევდას,
ჯერ მოურჩენელ ტკივილს — ძაძაგაუნდელ დედას, —
ვფიცავ ხალიბურ ფოლადს, მზის ენერგიით საგსეს,
ერისკაცების ბრძოლას, მამულიშვილთა აზრებს,
ძმათა ერთობის ედემს — ცისარტყელების ბუდეს,
ცაში აფრენილ მტრედებს, ცაში აფრენილ ქუდეებს,
ვფიცავ ენგურთან ჩვენი მზეჭაბუკების ჭიდილს,
ტყვიით დაცხრილულ ბილეთს, კომკავშირელის სინდისს,
ლენინის უკვდავ საქმეს — მიზანს გულივით მზიანს,
პირველ კოსმონავტს, ვისაც მზისკენ ჩვენი ხმა მიაქვს, —
ვფიცავ სისხლით და ხორციით, სიტყვივით, საქმით და ნებით,
შენი ერთგული ვიყო კომკავშირული გზნებით,
ვიარო, საქართველოვ, შენი ნათელი გზებით!

მორის ფოცხიშვილი

სსსს

548 //

172


გამოცემის მეთუთმეტი წელი

9

სექტემბერი

1971


თბილისი



საქ. აკ. ცი-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი

საპარტეზლოს ალკა ცინტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო



შინაარსი



- 3. შოთა შანუშვაძე. მარალი სიზაბუკის ფაული
- 11. ჯუშუბარ კატიუშვილი. სიზაბუკის ზიში მილოცვები
- 22. ირაკლი აბაშიძე. „ცინკარს“ ვულოცავ
- 22. ნინო შვანიძე. გვირუკი რომანტიკა
- 24. ნიკო კაცხოველი. ბრძოლ გზაზე ანთია უფვანო სასთელი
- 25. რევაზ ლალიძე. კომპაგვირის ხნისა ვარ
- 26. რომან რურუა. ნიშნად გამარჯვებისა
- 26. დიმიტრი ერისთავი. ახალგაზრდობას ეკუთვნის ჩემი კომპაგვირი
- 27. ალიო შირცხუაშვა. ლენინური კომპაგვირი. ლექსი
- 28. შორის ფოცხიშვილი. მღერის ახალგაზრდობა. ლექსები
- 32. ვახტანგ ნარსავიძე. ლენინის დროსა ასწი მალ-ლა. ლექსი
- 33. ვახტანგ გორგაძელი. ლექსები
ისინი კომპაგვირმა აღზარდა
- 36. გიორგი ბერიძე. ფიქრები, ფიქრები, ფიქრები
- 41. მზია კობერიძე. „მათი სიკვდილი სიცოცხლეა!“
კროზა, კოეზი
- 43. თეიმურაზ მალაფერიძე. წყურვილი. რომანი. გაგრძელება
- 70. ნიკოლოზ ჩაჩავა. ლექსები
- 71. ტარიელ შანტრიძე. ძმები. დოკუმენტური პოემა
- 82. გივი ბერაძე. მშობლები. მოთხრობა
- 84. გიორგი ქავთარაძე. პური. ლექსი
- 86. როდარ ადუიშვილი. ლექსები
- 89. ირაკლი ციგორუშვილი. ლექსები
- 90. ავთანდილ ივანიძე. მისხმთი. ლექსი
დოსტოვესკი — 150
- 91. ფეოფან დოსტოვესკი. თეთრი ღამეები. თარგმნა აკაკი ბრეგვაძემ
- 116. ჰომეროსი. ოდისეა. გაგრძელება. ძველებერძნულიდან თარგმნეს ზურაბ კიქნაძემ, თამაზ ჩხენკელმა
— 90 —
- 122. გურამ ასათიანი. ბერონტი შიქოძე
წერილები
- 125. გიორგი ნადირაძე. ნ. ურგანელი ღვათით აღმაშენებლის ეპოქის ზოგადი საკითხის შესახებ
- 134. ლეონა ერაძე. ძარბული თემა აზერბაიჯანულ საბჭოთა კოეზიანო
- 142. აბაკი ბაქრაძე. „ცაში ასროლილი ქუდები“
- 148. კარლო კობერიძე. მოთხრობა ინფორმაციულად ხელოვნება
- 151. შირონ ხერბიანი. ფერებში ასახული ისტორია ჩვენი კალენდარი
- 157. ილია ტაბაღუა. კალისტრატე სალია 70 წლისა
- 159. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
აბაკი ბაქრაძე,
გივი ბეგუაშვილი,
გურამ გვარდუნიანი,
მერაბ ელიაშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოტია პაპორია
(ბასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ ფოცხაძე,
როდარ ფულიძე,
ტარიელ შანტრიძე,
სერგი შოლაძე,
თამაზ შილაძე,
ლავა ჯანაშვილი.

მოთა ჭანუყვაძე
საქართველოს კომპარტიის
ცენტრალური კომიტეტის მდივანი

პარკლი სიჭაბუკის დღესასწაული

ქართველმა ხალხმა, მასთან ერთად კი საბჭოების ქვეყნის ყველა მშრომელმა, ამ რამდენიმე ხნის წინათ დიდი ზეიმით იღღესასწაულა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავი. ეს იყო ჭეშმარიტად დაუფიწყარი ისტორიული დღეები, რომელიც ხალხთა ლენინური ძმობისა და მეგობრობის ბრწყინვალე დემონსტრაციად გადაიქცა.

ამ დიდებულ ნახევარსაუკუნოვანი მატინის შესანიშნავი გაგრძელება საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის საიუბილეო დღესასწაული, რომელსაც ახლა ჩვენი ხალხი უმაგალითო პატრიოტულა აღმავლობის ვითარებაში ზეიმობს.

ჩვენ ყველას დიდად გვახარებს, რომ საქართველოს კომკავშირს, რომელიც სრულიად საკავშირო ლენინური კომკავშირის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია, ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. ნახევარი საუკუნე მცირე დრო როდია ადამიანის, მით უფრო, მთელი თაობის ცხოვრებაში. მაგრამ წელთა სვლა ვერას აკლებს ჩვენს კომკავშირს, ვინაიდან იგი თვით არის მუდმივი ახალგაზრდობა, ამ ახალგაზრდობის წინამძღოლი, მისი მებრძოლი ავანგარდი.

კომკავშირი მარადი სიჭაბუკეა. ცვლა ცვლას მოსდევს, თაობა თაობას მოჰყვება, კომკავშირი კი მუდამ ახალგაზრდაა, მუდამ სიჭაბუკისა და აყვავების ხანაშია.

ამიტომ შეგვიძლია ხატოვნად ვთქვათ, რომ საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის საიუბილეო ზეიმიც მარადი სიჭაბუკის, მუდმივი ახალგაზრდობის დღესასწაულია. მაგრამ იგი არა მარტო კომკავშირის, არა მარტო ჩვენი ახალგაზრდობის, არამედ რესპუბლიკის ყველა მშრომელის დიდი და სასიხარულო დღესასწაულიცაა.

და ეს გასაგებია. გასაგებია იმიტომ, რომ ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის გამორტული გზა, მთელი მისი ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობა განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის ისტორიასთან, ქართველი ხალხის თავდადებულ შრომასა და ბრძოლასთან, რომელსაც იგი ეწეოდა და ეწევა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნისმის გამარჯვებისათვის.

კომკავშირი საქართველოს კომუნისტური პარტიის ღვიძლი შვილია. მის აკვანთან იღვწენ გამოჩენილი ბოლშევიკები, ერთგული ლენინელები: სერგო

ორჯონიძე, სერგეი კიროვი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, ვანო სტურუა და სხვები, რომელთაც ბევრი რამ გააკეთეს საქართველოს კომკავშირის დასახლებისა და ორგანიზაციული ზრდისათვის, მისი რევოლუციური წრთობისა და იდეურად განმტკიცებისათვის.

საქართველოს კომკავშირმა ახალგაზრდა კომუნისტთა მრავალი თაობა აღზარდა და მომავალშიც კიდევ უფრო ბევრს აღზრდის. მაგრამ იგი ყოველთვის წმიდად ინახავს კომკავშირელთა იმ პირველი თაობის ნათელ ხსოვნას, რომელსაც სათავეში ედგა საქართველოში კომკავშირული ორგანიზაციის დამაარსებელი, მგზნებარე ლენინელი ბორის ძნელაძე.

ბორის ძნელაძესთან ერთად საქართველოს კომკავშირის დაარსებასა და ორგანიზაციულ-იდეურ განმტკიცებაში ღირსეული წვლილი მიუძღვით გაიოზ დედარიანს, დავით კაჭარავას, იაშა ოქოევს, ამასი ამირბეგოვს, გრიგოლ ჯაფახიძეს და სხვებს. მათ დიდი მუშაობა გასწიეს „სპარტაკის“ ყველა ორგანიზაციის ახალგაზრდობის ერთ კომუნისტურ ორგანიზაციად გაერთიანებისათვის, იმისათვის, რათა კომკავშირი ნამდვილად გადაეჭყიათ ლენინური პარტიის საიმედო დასაყრდენად.

1920 წლის 2 მაისი, თბილისის მშრომელები ზეიმობენ მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაულს. „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ „ძირს მენშევიკები!“ დემონსტრანტთა მოწინავე რიგებში იდგნენ ჩვენი სახელოვანი კომკავშირელები: ვასილ დარახველიძე, მოსე ცინცაძე, სოკრატ ბაბლიძე, დავით მიცაძე, ალექსანდრე ამირბეგოვი, ვლადიმერ კბილაძე, იაშა ოქოევი, სერგო ჯაფარიძე, ილია აბაძე და სხვები.

კომკავშირის ყოველთვის შექტურასავით გზას უნათებდა და საგმირო საქმეებისათვის შთააგონებდა დიდი ლენინის უკედავი ანდერძი: „კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირა უნდა იყოს დამკვირველი ჯგუფი, რომელიც ყოველ მუშაობაში გვიწევს დახმარებას, ყველაფერში იჩენს თავის ინიციატივას, თაოსნობას“.

საქართველოს კომკავშირის მთელი ნახევარსაუკუნოვანი ისტორია ამ ლენინური ანდერძის განუსრეოდად შესრულებისათვის დაუცხრომელი, თავდადებული ბრძოლის, მისი პრაქტიკულად განხორციელების ბრწყინვალე დადასტურებაა.

თავისა ჩასახვის პირველი დღიდანვე საქართველოს კომკავშირი გამოვიდა როგორც აქტიური რევოლუციური ძალა, რომელიც აღიარებდა ლენინური პარტიის იდეებს და მუშაობდა მისი ხელმძღვანელობით.

ლენინურმა კომკავშირმა პირველი საბრძოლო წრთობა სამოქალაქო ომის ფრონტებზე მიიღო. მან გმირობისა და მამაცობის უკენობი მაგალითები უჩვენა 14 სახელმწიფოს ინტერვენტთა წინააღმდეგ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. სწორედ ამ ბრძოლაში თავდადებისათვის მიიღო მან პირველი ჯილდო — საბრძოლო წითელი დროშის ორდენი.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ შეუპოვარ შერკინებაში დიდად ისახელეს თავი საქართველოს მუშურ-გლეხურმა ახალგაზრდობამ, ლენინური კომკავშირის შვილებმა, რომელთაც ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად წარმოებულ საერთო ბრძოლაში დაღვრილი სისხლით კიდევ უფრო განამტკიცეს და შეაღწეულაბეს ხალხთა ძმური მეგობრობა.

სამარადისო ხსოვნა საქართველოს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის სახელოვან გმირებს, ჩვენს პირველ კომკავშირელებს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე სამოქალაქო ომის ფრონტებზე ოქტომბრის მონაპოვართა დაცვას შესწირეს!

საგულისხმოა, რომ ჩვენში კომკავშირი იქმნებოდა და ყალიბდებოდა, როგორც მუშურ-გლეხურა ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაცია იმ ბრძოლაში, რომელიც მიმდინარეობდა ბოლშევიკების მიერ მოწოდებული ბრძოლის გზაზე, როცა ქართველი ბოლშევიკები შეუბოვარ ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკთა ბატონობის წინააღმდეგ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. ამ ბრძოლაში კომკავშირი მხარში ედგა პარტიას, მისი ხელმძღვანელობით დაუცხრომელ მუშაობას ეწეოდა მენშევიკთა კონტრ-რევოლუციურა რეჟიმის დამხობისათვის.

კომკავშირი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გმირულ ბრძოლას ეწეოდა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. თუ რაოდენ დიდი გაქანება ჰქონდა ამ ბრძოლას, ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა საქართველოს კომკავშირის დღეგატის, მისი ერთ-ერთი შემქმნელისა და ორგანიზატორის ბორის ძნელაძის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის მესამე ყრილობაზე. თავის სიტყვაში ბორის ძნელაძემ განაცხადა:

„მე მოგესალმებით თქვენ, საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სახელით. თქვენ, რუსეთის პროლეტარული ახალგაზრდობა, ბედნიერი ხართ იმით, რომ საშუალება გაქვთ თავისუფლად მოიწვიოთ ყრილობა და გადაწყვიტოთ ყველა საქმეები. საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობა მოკლებულია ამ შესაძლებლობას. ჩვენ ვვაბატირებენ და ციხეებში გვსვამენ იმისათვის, რომ ჩვენ ვაპბობთ: საქართველოს მუშათა კლასი უნდა აღსდგეს საბოლოოდ...“

მე მყოფნის გამბედაობა საქართველოს ახალგაზრდობის სახელით განაცხადო, რომ უახლოეს მომავალში დღევანდელი საწყალი, კონტრრევოლუციური საქართველო აღარ იქნება და მალე შეიქმნება წითელი, მუშურ-გლეხური საბჭოთა საქართველო“.

მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ გმირულ ბრძოლაში აღიზარდა და დაეჯეკადა საქართველოს კომკავშირი. ეს ბრძოლა ქართველი ხალხის ისტორიული გამარჯვებით დაგვირგვინდა — საქართველოში კომუნისმის დიდი დროშა აფრიალდა.

სახელი და დიდება ლენინური კომკავშირის მამაც თაობას, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის თავდადებულ ბრძოლაში მხარში ედგა პარტიას და საკუთარი სიცოცხლის ფასად გმირის უკვდავი სახელი დაიმსახურა!

თებერვლის იერიშის გწირული დღეებით საქართველოში დაიწყო ახალი ხანა — სოციალიზმის მშენებლობის ხანა. კომკავშირის საბრძოლო ასპარეზი ახლა შრომის ფრონტი გახდა.

საქართველოს კომკავშირელები იდგნენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციისათვის, კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

ახალგაზრდობა მისთვის ჩვეული რევოლუციური ენთუზიაზმითა და ჭაბუკური შემართებით უტევდა პირველი ხუთწლეულების ზღუდეებს. ფაბრიკებსა და ქარხნებში მამაცურად შრომობდნენ ახალგაზრდა დამკვრელთა და სტახანოველთა ბრიგადები. პარტიის მოწოდებით კომკავშირელები როგორც ბრძოლაში, ისე მიდიოდნენ სამუშაოდ ზაპესისა და რიონქესის, სხვა ჰიდროელექტროსადგურებისა და ახალი სამრეწველო გიგანტების მშენებლობებზე.

დიდი სოციალისტური გარდაქმნები ხდებოდა სოფლად. ისობოდა ძველი, საუკუნეობრივი წყობა, იქმნებოდა მსხვილი კოლექტიური მეურნეობები და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის გაჩაღებულ ამ დიდ ბრძოლაშიც



კომკავშირი მოწინავეთა რიგებში იყო. იგი წინ მიუძღოდა ახალგაზრდობას კულტურულ-მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის პლანტაციების, ციტრუსებისა და ბალ-ვენახების გაშენებისათვის საბრძოლველად.

ჩვენ ვახსოვს და მუდამ გვეხსოვება პირველი ხუთწლეულების მამაცი კომკავშირელების ვ. სამხარაძის, ა. გურგენიძის, მ. ბენდელიანის, ა. ლუღუშაურის, ო. გელენიძის, მ. ფუნდუკიძის, მ. აკოპოვის, გ. ჭყონიას, ნ. კანდელაკის და სხვათა სახელები, რომელთა შრომისა და ბრძოლის ნათელი მაგალითები ახალი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებდნენ ჩვენი რესპუბლიკის ქალიშვილებსა და ქაბუტებს.

სახელი და დიდება პირველი ხუთწლეულების ლეგენდარულ კომკავშირულ თაობას, რომელიც უმაგალითო შრომითი გმირობით, უფროსი აშხანაგების მხარდამხარ, ჰქმნიდა და ადულაბებდა სოციალიზმის საძირკველს!

გმირობისა და მამაცობის სასწაულები უჩვენა საქართველოს კომკავშირმა დიდ სამამულო ომში. პარტიის მოწოდებისთანავე იგი მკერდით დადგა საბჭოთა სამშობლოს დასაცავად. 150 ათასზე მეტი კომკავშირელი იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა, რომელიც ლენინური კომკავშირის რიგებში აღიზარდა და გამოიწრთო, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად. უმაგალითო გმირობას იჩენდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში.

საქართველოს კომკავშირის აღზრდილებმა დიდების უტყუნობი შარავანდედით შემოსეს საბჭოთა არმიის საბრძოლო დროშები. სწორედ ამ მამაცთა თაობას ეკუთვნოდა გორელი ვასილ ბრეგაძე. ომამდე იგი გორის რაიონის სოფელ საქაშეთის კოლმეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციას ედგა სათავეში. ლენინური კომკავშირის რიგებში აღზრდილი ლეიტენანტი ვასილ ბრეგაძე ღირსეულად ატარებდა კომუნისტის სახელს, საბჭოთა არტილერიის ცეცხლით საბოდა ჰიტლერელთა ურდოებს. ესტონეთის განთავისუფლების შემდეგ ტალინის ცენტრალური ციხის ერთ-ერთ საკანში კედელზე აღმოაჩინეს წარწერა: „ბრეგაძეს ვასილ გრიგოლის ძეს, ქართველს, მიუსაჯეს დახვრეტა 1943 წლის 23 ივლისს“.

ასე დასდო თავი საბჭოთა სამშობლოს ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის საქართველოს კომკავშირის მამაცმა შვილმა ვასილ ბრეგაძემ.

ვის არ გაუგონია პარტიზანი კომკავშირელი ქალიშვილის ზოია რუხაძის უკვდავი გმირობის ამბავი. იგი სიმფეროპოლის იაკაკევეშა კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბიუროს წევრი იყო და თავის მამაც მეგობრებთან ერთად უშიშრად ებრძოდა ფაშისტ ოკუპანტებს. ზოია ხელთ იგდეს ჰიტლერელებმა და სასტიკად აწამეს, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ ათქმევინეს, პარტიზანული რაზმის საიდუმლო თან ჩაიტანა სამარეში.

ჩვენ მოწიწებითა და უღრმესი პატივისცემით წარმოვთქვამთ უშიშარი კომკავშირელი მებრძოლებისა და პარტიზანების შოთა გამცემლიძის, გრიგოლ ვაბრიაძის, ვიორგი ინსარიძის, ვლადიმერ ხარაზიას, ჭიჭიკო ბენდელიანის, სერგო ჭილაძის, ისრაფილ ჯინჭარაძის, ნოე ადამიას, ალექსანდრე წურწურმიას, პეტრე გვალიას, თინა იოსებიძისა და სხვათა უკვდავ სახელებს, რომელთა საგმირო საქმეები ოქროს ასოებით არის ჩაწერილი დიდი სამამულო ომის მატრიანეში.

საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში 135 ქართველმა მეომარმა, ოფიცერმა და გენერალმა დაიშახურა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება. საგულისხმოა, რომ მათ შორის დიდი უმრავლესობა კომკავშირელი და ლენინური კომკავშირის რიგებში აღზრდილია.



უმავალითო გმირობასა და მამაცობას იჩენდა კომკავშირი, მთელი ახალგაზრდობა ზურგშიც — ქარხნებსა და ფაბრიკებში, საკოლმეურნეო მინდვრებში, ქალიშვილები და ვაბუკები იკავებდნენ მამებისა და ძმების ადგილს ჩარხებთან. კომკავშირელები, სოფლის ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში, თავდადებით შრომობდნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტულობის გადიდებისათვის. აჭარის მაღალმთიანი რაიონის — ხულოს რაიონის კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით გაჩაღდა ზოია კოსმოდეშინასკაის სახელობის ლაშქრობა თამბაქოს, კარტოფილისა და სამინდის უხვი მოსავლისათვის, რომელსაც ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა საქართველოს სხვა რაიონებშიც.

სამამულო ომმა უფრო მეტი ძალით გამოავლინა კომკავშირელთა, მთელი ჩვენი ახალგაზრდობის მაღალი მორალური თვისებები, მგზნებარე პატრიოტიზმი. მათ ნილონობით მანეთი შეიტანეს თავდაცვის ფონდში, შეაგროვეს თანხები ავიაესკადრილის „საქართველოს კომკავშირის“ ასაგებად, რისთვისაც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მადლობა დაიმსახურეს. ი. ბ. სტალინი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისადმი მოგზავნილ დეპეშაში წერდა:

„თხოვთ გადასცეთ ჩემი მხურვალე სალამი და წითელი არმიის მადლობა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას, რომლებმაც შეაგროვეს 11.058.290 მანეთი საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილია „საქართველოს კომკავშირის“ ასაგებად“.

ომის ქარცეცხლან დღეებში საქართველოს კომკავშირმა ფრონტზე და ზურგში თავდადებულ ბრძოლითა და შრომით დაამტკიცა, რომ იგი თავისი დედის — საქართველოს კომპარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უძველესი და მოწინავე მებრძოლი რაზმის ღირსეული შვილია.

სამარადისო დიდება ჩვენს გმირ კომკავშირელებს, რომელთაც თავიანთი ძალ-ღონე და უნარი, ხოლო როცა საჭირო იყო, საკუთარი სიცოცხლეც არ დაიშურეს დედასამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

ომის დამთავრებისთანავე საქართველოს კომკავშირი ენერგიულად ჩაება სახალხო მეღრნეობის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო სახალხო ლაშქრობაში. რუსთავის მეტალურგიული გიგანტი, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, გორის ბამბეულის კომბინატი, გუმბათ-ჰესი და ლაჯანურჰესი, სხვა დიდი და პატარა მშენებლობანი კომკავშირის, რესპუბლიკის ახალგაზრდობის ახალი საბრძოლო ფრონტი გახდა.

ომის შემდგომ ხუთწლებებში დიდი მუშაობა გაჩაღდა საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ათასობით ჰექტარზე გაშენდა ჩაის ახალი პლანტაციები და ციტრუსები, ვენახები და ხეხილის ბაღები. მწყობრში ჩადგა სამგორის სარწყავი სისტემა, აგრეთვე მთელი რიგი სხვა სარწყავი არხები.

ყველა ამ დიდ საქმეში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა საქართველოს კომკავშირმა. მან თავი ისახელა ომის შემდგომ პერიოდში სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის გაჩაღებულ საყოველთაო სახალხო ბრძოლაში.

სამოცდათიანი წლების კომკავშირულმა თაობამ, რომელიც წარმატებით განაგრძობს კომკავშირის წინა თაობათა სახელოვან ტრადიციას, კვლავ ახალი შრომითი საგმირო საქმეებით გაახარა დედასამშობლო. ვინ არ იცნობს ახლა ჩვენში მერვე ხუთწლედის დამკვრელ კომკავშირელებს — რუსთავის მეტალურ-



გიული ქარხნის მეფოლადეს იური მარგალიტაძეს, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მღარავს თამაზ გიორგაძეს, ჭიათურელ მღარაოელს დ. პაპიძეს, ბულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიეს ქეთევან გოგითიძეს, ვალის რაიონის აწიგვარის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადის ხელმძღვანელს ნაზიბროლა ხასაიას, გარდაბნელ მეფრინველეს ნ. ქარსელაძეს, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის მეჩაიეს სვეტლანა ნაკოლაიშვილს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამორჩენილ ნოვატორებს ვინარი სხულუნისას, ნაირა გოგაძეს, დალი წიგწივაქეს და მრავალ სხვას, რომლებმაც შრომითი გმირობისა და რევოლუციური ენთუზიაზმის ბრწყინვალე მაგალითები უჩვენეს.

ლენინურმა კომკავშირმა თავი ისახელა როგორც მერვე ხუთწლედის გმირმა. საამაყო აღინიშნოს, რომ წარმოებაში მომუშავე რესპუბლიკის 80 ათასმა კომკავშირელმა ვადაძე შეასრულა ხუთწლიანი გეგმის დავალებანი.

დიდება ჩვენს ლენინურ კომკავშირს, რომელმაც თავისი თავდადებული შრომით სახელოვანი ფურცლები ჩაწერა მერვე ხუთწლედის გმირულ მატიაწეში!

კომკავშირი, ჩვენი ახალგაზრდობა იყო მერვე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის ყველაზე მოწინავე ხაზზე. როგორც იტყვიან, ისინი ხელდამშვენებული შეხედნენ ქართველი ხალხის დიდ ეროვნულ დღესასწაულს -- საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის ნახევარსაუკუნეოვან იუბილეს.

საბჭოთა საქართველოს უდიდესი წარმატებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში მკაფიოდ აისახა 1971 წლის მათის დაუეწიყარ დღეებში გამართულ საიუბილეო საზეიმო სხდომაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ შთამაგონებელ სიტყვაში, ამხანაგ ვ. პ. მეთვანაძის მოხსენებაში, მოკავშირე რესპუბლიკათა დელეგაციების ხელმძღვანელთა გამოსვლებში.

საქართველოს ლენინურ კომკავშირს, ჩვენს სახელოვან ახალგაზრდობას შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე როგორც მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ისე მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში მოპოვებულ წარმატებებში მათი თავდადებული შრომისა და ბრძოლის დირსეული ნაყოფიც არის.

ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელთა საქმიანობა მერვე ხუთწლედში -- ეს არის კომუნისმის დიადი იდეალებისათვის გმირული შრომის ამაღლევებელი ნიმუში.

ეს კა იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ლენინური კომკავშირი კომუნისტურა პარტიის ნებრძოლი თანაშემწე, მისი საიმედო დასაყრდენი და ერთგული ცვლაა.

კომკავშირის რიგებში აღზრდილი მრავალი მუშაკი დაწინაურებულთა ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე. ბევრი მათგანი მუშაობს პარტიის რაიკომის მდივნად, საწარმოსა თუ საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

კომკავშირმა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის მძლავრ აღმავლობაში. როგორ შეიძლება არ ვიამაყოთ იმით, რომ ბევრი მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი, ჩვენი გამორჩენილი პოეტები და მწერლები, კომპოზიტორები და მხატვრები ლენინური კომკავშირის წევრები, მისი აღზრდილები არიან.



„კომკავშირი — რა შესანიშნავი პოლიტიკური სკოლაა! — აღნიშნა ახსენა ვამ ლ. ი. ბრეჟნევიმ თავის სიტყვაში ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სრულიად საქავშირო ალკც ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმზე. — ბევრი რამ მოგვცა მან ყოველ ჩვენგანს! კომუნისმის საქმისათვის რამდენი აქტიური მებრძოლი, რამდენი, მთელ ჩვენს ქვეყანაში სახელგანთქმული ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო შრომის ოსტატი, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს რამდენი თვალსაჩინო მოღვაწე, გამოჩენილი მეცნიერი, კონსტრუქტორი, მხედართმთავარი, ლიტერატურისა და ხელოვნების კორიფე გამოვიდა კომკავშირის სკოლიდან“.

ეს სიტყვები სავსებით შეეხება საქართველოს კომკავშირსაც, რომელმაც ჩვენს ქვეყანას მრავალი შესანიშნავი მოღვაწე აღუზარდა.

ორმოცდაათი წლის მანძილზე საქართველოს კომკავშირი „სპარტაკის“ მცირერიცხოვანი ჯგუფებიდან გაიზარდა ახალგაზრდობის მძლავრ, მასობრივ ორგანიზაციად, რომელიც ამჟამად თავის რიგებში ნახევარ მილიონ მოწინავე ქალიშვილსა და ქაბუტკს აერთიანებს.

კომკავშირი არა მარტო თავდადებით იბრძოდა და შრომობდა, არამედ პარტიის ხელმძღვანელობით დაუცხრომლად ზრდიდა და აწრთობდა ახალგაზრდა თაობას იდეურად, განუმტკიცებდა მის რევოლუციურ რწმენას. იდეური რწმენა კი ადამიანის ფრთებია.

სახელოვანი ლენინური კომკავშირის გმირულ გზაზე ბევრი ღირსშესახისმანი თარიღია, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით დიდი და ნათელი თარიღია საქარ აველოს კომკავშირის 50 წლისთავი. ნახევარსაუკუნოვან იუბილეს საქართველოს კომკავშირელები, რესპუბლიკის მშრომელები დღესასწაულებზე პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით გამოწვეული უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღძვლობის ვითარებაში.

XXIV ყრილობის წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის უფროსი ამხანაგების, თავიანთი დედებისა და მამების მხარდახმარდღე შემოქმედებით მუშაობას ეწევიან კომკავშირელები, მთელი ჩვენი ახალგაზრდობა. საწარმოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახლა ისინი შრომობენ დევიზით: მეცხრე ხუთწლედ — ახალგაზრდობის დამკვრელური შრომა, ოსტატობა და ძიება!

კიდევ უფრო მძლავრად განვითარდება ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, მეცნიერება და კულტურა მეცხრე ხუთწლედში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა ვალდებულებაა ხუთწლედის ბოლოს სამშობლოს მისცენ: 300 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 460 ათასი ტონა ყურძენი, 51 ათასი ტონა ციტრუსები, 275 ათასი ტონა ხილი და სხვა პროდუქტები.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით მოეკიდნენ კომკავშირის იუბილესადმი მზადებას. შეიქმნა რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. ასეთივე კომისიები შექმნილია პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, რომლებმაც ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს კომკავშირის იუბილესთან დაკავშირებით დასახული გეგმების განხორციელებისათვის.

საიუბილეო ზეიმი აღნიშნება სექტემბრის ბოლოს. მოეწყობა მეგობრობის საღამოები, გაიმართება საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმი. ამოცანა ის არის, რომ საიუბილეო დღესასწაული წარმართოს საქმიან ვითარებაში, რათა მან ხელი შეუწყოს კომკავშირელების, მთელი ჩვენი ახალგაზრდობის კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვას კომუნისტუ-



რი პარტიის გარშემო, ახალ დიდ წარმატებათა მოპოვებას შრომაში, სწავლაში და აღმზრდელობითს მუშაობაში.

ამ საყოველთაო სახალხო საქმეში დიდი წვლილი შეაქვს კომკავშირს, რესპუბლიკის ახალგაზრდობას. წითელწყაროში გამართულ თათბირზე კომკავშირმა იკისრა დიდი ვალდებულებანი საკვების წარმოების გადიდებისათვის, მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესებისათვის.

შესანიშნავი თაოსნობის ინიციატორები გახდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მასწავლებლები და სტუდენტები. მათი ვალდებულებაა ხუთა წლის მანძილზე დღეშეთის რაიონის მეურნეობებს დაეხმარონ სარეველებისაგან 10 ათასი ჰექტარი სათიბისა და საძოვრის გაწმენდაში, მონაწილეობა მიიღონ უბეში და წვნიან საკვების დამზადებაში, მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციაში.

რესპუბლიკის ბევრი რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია, ახალგაზრდობა წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს და ხელდამშვენებული ზედება თავის სახელოვან იუბილეს — საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის დღესასწაულს.

კომკავშირი, როგორც ყოველთვის, მეცხრე ხუთწლედის პირველ წელსაც, ღირსეულად ისახელებს თავს, წარმატებით გადაწყვეტს პარტიის მიერ მის წინაშე დასახულ დიდ და საპატიო ამოცანებს.

კომკავშირელთა ახლანდელ მრავალსივლელათაიან არმიასთან ერთად, ნახევარსაუკუნოვან იუბილეს აღნიშნავს საქართველოს კომკავშირის ყველა თაობა. ამიტომ ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის ეს დღესასწაული თაობათა რევოლუციური და შრომითი ტრადიციების დიდებული ესტაფეტაა. იგი კვლავ და კვლავ მოგვაგონებს, რომ დღევანდელი ზედნიერი დღე ჩვენი დედებისა და მამების შეუღრეკელი ბრძოლით, მათ მიერ დაღვრილი სისხლით არის მოპოვებული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ლენინური კომკავშირი, რესპუბლიკის ახალგაზრდობა, მთელ ჩვენს ხალხთან ერთად, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მეტი ენერჯითა და შემართებით გააჩაღებენ შემოქმედებით შრომას პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად და ამით თავიანთ ღირსეულ წვლალს შეიტანენ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.



ჯუმბაკ პაჩიაშვილი

საქართველოს ალკა ცენტრალური
კომიტეტის პირველი მდივანი

სიჭაბუკის ზეიმი

საქართველოს კომკავშირი თავის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს — პარტიისა და ხალხის საქმისათვის თავდადებისა და შრომითი მამაცობის 50-ე წლისათვის ზეიმობს.

ეს ზეიმი ღირსსახსოვარია თვითეული ჩვენთავანისათვის, იმისთვის, ვინც ძალ-ღონეს არ იშურებს რევოლუციის მონაბოვართა, ჩვენი დიადი სამშობლოს დაცვისათვის, ჩვენი ნათელი მომავლის — კომუნიზმის მშენებლობისათვის.

ეს მისი ზეიმი, ვინც იარაღით იცავდა ჩვენს დღევანდელ უღრუბლო დღეს, მკლავმოუღლეად შრომობდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, იდგა სოციალიზმის მშენებლობის პირველ რიგებში, ვინც ომის ქარსა და ცეცხლში გააოცა მთელი მსოფლიო თავისი შეუპოვრობითა და მამაცობით, ვინც ომის შემდეგ იავარქმინილ, სისხლით მორწყულ მიწაზე კვლავ ააღორძინა სიცოცხლე, გაკვალა ყამირი, ააშენა, შექმნა დღევანდელი ბედნიერი დღე.

საქართველოს კომკავშირის იუბილე აღინიშნება განსაკუთრებულ ვითარებაში, ჩვენი რესპუბლიკისა და მთელი საბჭოთა ქვეყნის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის უდიდესი აქტივობისა და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რასაც მძლავრი ბიძგი მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 24-ე ყრილობამ.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა წელს ზეიმით აღნიშნეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ძვირფასი დღესასწაული — საქართველოში და საქართველოს კომუნისტური პარტიის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე, რომელშიც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ჩვენი მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებმა.

თავიანთი კომკავშირის იუბილე აღნიშნეს ჩვენმა ბელორუსმა, ყაზახმა, აზერბაიჯანელმა და სომეხმა თანატოლებმა. ამჟამად ზეიმი მზიურ საქართველოში. და თუ ერთი წუთით მაინც გადავაგვლებთ თვალს განვლილ გზას, ნათლად წარმოგვიდგება ის გმირული ისტორია, რომელიც ჩვენმა წინა თაობებმა, ჩვენმა მამებმა, ძმებმა, მეგობრებმა დაიწყეს, რომელსაც ჩვენ სასახელოდ ვაგრძელებთ.

მართლაც და ერთი შეხედვით წარმოუდგენელი ამდენი რამის გაკეთება დროის ამ მცირე მონაკვეთში, მაგრამ ყოველივე რაც გაკეთდა, ყოველივე რასაც მივაღწიეთ, ყოველივე რაც დავძლიეთ არის ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის უშუალო დახმარებითა და მხარდაჭერით მიღწეული. სწორედ



პარტია იდგა ჩვენი მოძრაობის სათავესთან. ის წარმოართავდა ახალგაზრდობის ენერჯისა და მიზანსწრაფვას. და ჩვენ გვეამყება, როცა პარტია საქვეყნოდ აცხადებს, რომ „კომუნისმის იდეებისადმი, პარტიის საქმის ერთგულებით, ინიციატივითა და დაუშრეტელი ენერჯით სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობაში კომკავშირმა მთელი ხალხის პატივისცემა დაიმსახურა“.

საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია მდიდარია ქალიშვილებისა და ქაბულების გმირობისა და მამაცობის მაგალითებით. ამ ისტორიის პირველი ფურცლები შეივსო სოციალისტური რევოლუციის გარეგანაშენ, როცა ახალგაზრდობამ ხმა აიმაღლა არსებული წყობილების წინააღმდეგ და რევოლუციურ ბრძოლებში გამოწრთობილ მუშათა კლასს მხარში ამოუდგა.

ჯერ კიდევ 90-იან წლებში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეიქმნა ახალგაზრდული ორგანიზაციები, მოსწავლე ახალგაზრდობის კომიტეტები და მარქსისტული წრეები, რომლებიც ხელუწყობდნენ ახალგაზრდობის კლასობრივი თვითშეგნების ამაღლებას, მათ მიერ სოციალ-დემოკრატიული იდეებისა და მარქსისტული თეორიის შესწავლას.

1917 წლის აგვისტოში, პარტიის თბილისის კომიტეტის უშუალო მითითებითა და ხელმძღვანელობით, შეიქმნა ე. წ. „საინიციატივო ჯგუფი“, რომელსაც დაეველა თბილისის რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის საერთო კრების მოწვევა და ორგანიზაციულად გაფორმება.

საქართველოს ახალგაზრდობის რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1917 წლის 3 სექტემბერი, როდესაც თბილისში, დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, შეიქმნა ახალგაზრდა სოციალ-ინტერნაციონალისტო ორგანიზაცია „სპარტაკი“. ეს იყო საქართველოს რევოლუციური ახალგაზრდობის გაერთიანების ერთ-ერთი სერიოზული ცდა და წინგადადგმული ნაბიჯი.

დამფუძნებელი კრების მუშაობაში მიხა ცხაკაიას, ფილიპე მახარაძის, ანასტას მიქოიანის მონაწილეობა ნათლად მიუთითებს იმაზე, თუ რა დიდ ძალად მიაჩნდა პარტიას ახალგაზრდობა.

სულ ძალე „სპარტაკის“ ორგანიზაციები შეიქმნა ქუთაისში, სამტრედიამში, აბაშაში, ხონში, ლანჩხუთში, ზუგდიდში, შორაპანსა და საქართველოს სხვა რაიონებში.

„სპარტაკის“ ორგანიზაციები დიდ, ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ — აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკების წინააღმდეგ მიმართული მიტინგებისა და კრებების მოწყობაში, მოსწავლე და მუშა-ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა აქტიუალურ და პოლიტიკურ თემებზე ატარებდნენ ლექციებსა და დისპუტებს, ბეჭდადენენ მოწოდებებს, ჰქონდათ თავიანთი ბეჭდვითი ორგანო.

1919 წელს შესაძლებელი გახდა ჩატარებულიყო „სპარტაკის“ თბილისის ორგანიზაციის პირველი საერთო-საქალაქო კონფერენცია, რომელზეც არჩეული იქნა ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის თბილისის კომიტეტი ბორის ძნელაძის ხელმძღვანელობით. ამ კონფერენციის დიდი დამსახურება ისაა, რომ მან პირველმა ჩამოაყალიბა თბილისისა და საერთოდ საქართველოს ახალგაზრდული კომუნისტური ორგანიზაციები.

საქართველოს ახალგაზრდობისათვის ფრიალ საგულსხმომ იყო რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის მესამე ყრილობა, რომელზეც მოზარდი თაობის ბრძოლისა და შრომის საპროგრამო სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინი.

დიდმა ბელადმა გენიალური სიღრმითა და სიზუსტით განსაზღვრა კომკავშირის როლი სოციალისტურ მშენებლობაში, დასახა მეცნიერებათა საფუძველზე

ლებს დაუფლებს, ახალგაზრდობის პრაქტიკული საქმიანობის, ცოდნის შექმნის საკვანძო საკითხები.

ვ. ი. ლენინმა მოუწოდა ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს ისე წარმართოს თავისი პრაქტიკული საქმიანობა, რათა აღზარდოს სამშობლოსათვის გამოსადეგი, ჭეშმარიტი მამულიშვილები.

ჩვენ სახელოვანი კომკავშირის იუბილეს დღეებში შეუძლებელია არ დავასახელოთ ის დამაინები, რომლებიც საფუძველს უყრიდნენ საქართველოს კომკავშირის ისტორიას, რომლებმაც დიდების პირველი ფურცელი ჩაუწერეს მასში და რომელთა ესტაფეტას, ახალ-ახალი მიღწევებითა და გამარჯვებებით დამშვენებულს საშვილიშვილოდ გადაეცემთ მომავალ თაობებს.

ესენია: ბორის ძნელაძე, ვაიოხ დევდარიანი, დავით კაჭარავა, იაშა ოქოევა, ამასი ამირბეგოვი და საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობის მრავალი სხვა სასახელო წარმომადგენელი.

კომკავშირის პირველი გამოცდა იყო სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდი. ახალგაზრდობა აოცებდა ქვეყანას თავისი გამარჯვებით, დაუღალავი შრომით, უღიდესი მიღწევებით. დიდი იყო ამაში საქართველოს კომკავშირის წვლილიც. საქართველოს კომკავშირი — მისი ძალა გამოსცადა ზაპესმა, მძიმე ინდუსტრიის ობიექტებმა, კოლხეთის ჭაობიანმა ველ-მინდვრებმა.

ლენინური კომკავშირი გახდა სტახანოვური მოძრაობის, სოციალისტური შეკიბრების წამომწყები. მისთვის არ არსებობდა სიძნელები და დაბრკოლებები.

საკმარისია გავიხსენოთ ის დიდი გარდაქმნები, რომლებიც სოფლად მოადა. საქართველო აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა და აი, ასპარეზზე გამოდიან სოფლის კომკავშირელები.

ისინი ილაშქრებენ ჩამორჩენილობის წინააღმდეგ, ებრძვიან კულაკებს, მათ პირველთა ვაჟავთ ტრაქტორით ხნული ბარაქიან მიწაზე, აგდებენ ამ ხნულში მოპავლის მარცვალს.

ღიახ, მათ ახალი ცხოვრება ეძახდა. ისინი გრძნობდნენ ხვალინდელი დღის მომხიბვლელობასა და მშვენიერებას. სჯეროდათ და კიდევ იმარჯვებდნენ.

კომკავშირმა დაიწყო ლაშქრობა, წერა-კითხვის უცოდინარობას ბოლო რომ მოეღობოდა. მისი ინიციატივით იქმნება საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, მუშათა ფაკულტეტები, ხდება არნახული რამ — საუკუნეების მანძილზე გალტაკებული და დაბეჩავებული უზარალო ადამიანის შვილები უტევენ მეცნიერების მწვერვალებს.

და აღბათ არ არსებობდა მსოფლიოში ისეთი ძალა, ისეთი დაბრკოლება, რომელიც შეძლებდა ამ წინსვლის შეჩერებას, ამ ენთუზიაზმის, აღტყინების ჩახშობას.

საქართველოს კომკავშირელთა თავდადებული საქმიანობა, მისი დაუღალავი ბრძოლა სათანადოდ იქნა შეფასებული.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში აქტიური მონაწილეობისათვის მენშვეიკებთან, ნაციონალ-უკლონისტების, ყველა ჯურის გადახრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ამიერკავკასიის ფედერაციის პოლიტიკური განმტკიცებისათვის, პარტიის გენერალური ხაზის ურყევად გატარებისათვის, სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის, სოციალისტური შეკიბრებისა და დამკვირვებელი შრომის მაღალ დონეზე აყვანისათვის მეთხუთმეტე წლისთავზე საქართველოს ახალგაზრდობის ლენინურ კომკავშირის საზეიმოდ გადაეცა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენი.



დაჯილდოების გამო მიღებულ მიმართვაში ნათქვამია: „შრომის წითელი დროშის ორდენი არის არა მხოლოდ ჯილდო, არამედ უდიდესი შინაარსის ვალდებულება, რომელიც დღეიდან ეკისრება საქართველოს ლენინურ კომკავშირს“ და თუ როგორ შესრულდა ეს ვალდებულებები, ამაზე ნათლად მეტყველებენ რესპუბლიკის ქალიშვილთა და ქაბუკთა საქმეები.

კომუნისმის ახალგაზრდა მშენებელთა საუკეთესო თვისებები გამოამჟღავნა სამამულო ომის წლებში, როცა კომკავშირის აღზრდილებმა მთელი მსოფლიო გააოცეს საარაკო მამაცობით, სამშობლოსადმი ერთგულებითა და თავდადებით.

თქვენი ყველას მოგვხსენებთ, თუ რა დიდი საზღაური გაიღო ჩვენმა რესპუბლიკამ. საქართველომ ფრონტს ექვსას ათასზე მეტი მეომარი მისცა. აქედან უმეტესობა კომკავშირელი და ახალგაზრდა იყო. ყოველი მესამე ბრძოლის ველზე დაეცა.

შოთა გამცემლიძე და ლავრენტი ავალიანი: ზოია რუხაძე და თინა იოსებოძოძე, გრიგოლ სხულუხია და ჰიჭოკ ბენდელიანი, ნოე ადამია და სერგო ჭილაძე, შაქრო ბედუკიძე და გიორგი ინასარიძე, ვლადიმერ ხარაზია და თენგიზ ჯაფარიძე, ისრაფილ ჯინჭარაძე და ვლადიმერ ლურსმანაშვილი, ოთარ ჩეჩელაშვილი, არკადი გეგეშიძე, დავით ჯაბიძე და მრავალი სხვა, რომელთა სახელებით ამაყობს ჩვენი თაობა.

კომკავშირის აღზრდილები თავდადებით იბრძოდნენ მოსკოვსა და სტალინგრადთან, უკრაინასა და ბელორუსიაში, ბრესტის ციხე-სიმაგრესთან, ყირიმსა და ჩრდილო კავკასიაში. მათთვის ყველგან სამშობლო იყო. ყველა აცრემლებულ ქალში საკუთარ დედას ხედავდნენ, ყოველი წვეთი დაღვრილი სისხლისა მათივე საკუთარი იყო და ამიტომ სიკვდილმაც კი ვერ წაშალა მათი სახელები, ვერ წაშალა „ღმილის ბიჭების“ შარავანდედით მოსილი გმირობის ამბავი, ნათელი სიკოცხლის გარიჟრაჟზე რომ შემოაღამდათ.

გავიხსენოთ თუნდაც საქართველოს კომკავშირის აღზრდილის ფორე მოსულიშვილის სახელი. ფორე იტალიის მიწაზე შეუდრეკელად ებრძოდა მტერს და იტალიის მიწამვე მიიბარა იგი. ვინ იცის, კიდევ რამდენი ქართველი მეომრის გმირობის საიდუმლოება გამოამჟღავნდება.

„ახლაც კი საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ჯერ კიდევ შეხვდებით ძაბით მოსილ ქალებს, რომლებიც გლოვობენ დაღუპულ ქმრებს, შვილებსა და ძმებს. ეს გლოვა ჩვენთვის წმიდათა წმიდაა“ — აღნიშნავდა საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის იუბილეზე აშხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

მარდიული ხსოვნა და დიდება მათი ხვედრი, ვინც ვერ დაბრუნდა ომიდან. ჩვენ გვჯერა, რომ უამთა სვლა ვერ ამოშლის მათ ჩვენი გულებიდან, ისინი ჩვენს ხსოვნაში, ლექსებსა და სიმღერებში მარადყვამს იცოცხლებენ.

რესპუბლიკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის შემართება, შრომითი გმირობა კიდევ უფრო სრულყოფილად გამოამჟღავნა ომის შემდგომ წლებში.

ახალგაზრდობის მონოლითურობამ და ერთსულოვნებამ შესაძლებელი გახდა ომისაგან განადგურებული ქალაქებისა და სოფლების აღდგენა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მძლავრი საფუძვლების განმტკიცება.

კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა — აი, ის ძირითადი ამოცანა, რომელიც პარტიამ ომის შემდეგ წლებში საბჭოთა ხალხს დაუსახა. კომკავშირი აქტიურად გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას. ამაზე მეტყველებს

დამკვირვებელთა მხრიდან, სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან ობიექტებზე ახალგაზრდობის შეფობის შესანიშნავი ტრადიციების გაგრძელება.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტული შემართება ყამირი მიწების ათვისების საქმეში. უწინდელი ყამირი, დღეს — ნაყამირალი, ჩვენი სამშობლოს დიდი ბედელი, ახალგაზრდობის შრომითი გვირობის ასპარეზად გადაიქცა.

თავდადებული შრომისა და შემოქმედებითი აქტივობის შესანიშნავ მაგალითებს გვჩვენებენ ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მეჩაიეები და მეცხენახეები, მებაღეები და მეცხოველეები, მეფოლადეები და მანქანათმშენებლები, მალაროელები და გვირაბამაყვანები.

60-იანი წლების ახალგაზრდობის საქმიანობა ხასიათდება ორი მნიშვნელოვანი თარიღით. ესაა მზადება საკავშირო კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. სწორედ ამ ღირსშესანიშნავმა თარიღებმა, არსებითად, განსაზღვრეს რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის ძირითადი მიმართულებები.

ლენინური კომკავშირის 50 წლისთავის ზეიმმა კიდევ ერთხელ ნათელყო, რომ რესპუბლიკის ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი დიდმნიშვნელოვანი საქმე, რომელსაც ქართველი კომკავშირელების გარჯისა და ენერჯის, ნიჭისა და უნარის, შემოქმედების მაღალი არ ეცხოს.

ლენინური კომკავშირის იუბილემ კიდევ ერთხელ ნათელყო ქართველი ახალგაზრდობის, ჩვენი ქალიშვილებისა და ჭაბუკების უდიდესი ერთგულება ლენინის, ჩვენი პარტიის საქმისადმი, მამა-პაპათა შეუთბალავი ტრადიციებისადმი, მამაცობისა და გამბედაობისადმი, ყოველივე ახლისა და პროგრესულის განუწყვეტელი, დაუღალავი დაუფლებისადმი.

სწორედ ეს ახალგაზრდები და მათი თანატოლი ასეულობით ქართველი ქალიშვილი და ჭაბუკი იყო თაოსანი იმ დიდი მოძრაობისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის საუკუნოვანი იუბილესათვის მზადებას, რომლის სახელს წლების მანძილზე ამაყად ატარებს კომკავშირი.

ლენინური იუბილეს წელი რესპუბლიკის კომკავშირელებისა და მთელი ახალგაზრდობისათვის იქცა დიდი თაოსნობის, დიდმნიშვნელოვანი საქმეების, წამოწყების, ლენინური ჩათვლის პერიოდად.

„ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ მიღებულ დიდმნიშვნელოვან დადგენილებაში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ახალგაზრდობის საქმიანობას, მის ნიღწევებს. პარტია ამაყობს, რომ „ახალგაზრდობა პარტიის ხელმძღვანელობით მიჰყვება მამათა გზას, განაგრძობს რევოლუციურ ტრადიციებს, ამრავლებს ჩვენი სამშობლოს მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს“.

კომკავშირის სწორი აღმზრდელობითი და ორგანიზაციული მუშაობის შედეგია ის, რომ რესპუბლიკის ყოველ კუთხეში, ყოველ საწარმოში კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ წარმატებით შეასრულა საიუბილეო ნაყისრი გაზრდილი ვალდებულებები.

ბევრი ღირსეული ახალგაზრდა ამშვენებს საქართველოს კომკავშირს. აი, ზოგერთი მათგანის სახელი: რუსთაველი მეფოლადე დიმიტრი ბარათაშვილი, გორელი ფეიქარი ნანული ჩერქეზიშვილი, თბილისელი მეტრომშენებელი გურამ კილაძე, ზესტაფონელი ფეროდნობი ომარ ფერაძე, ტყიბულელი მეშახტე

ოთარ კოკლამაზაშვილი, ენგურპესელი გვირაბგამყვანი ზაურ ზარნაძე და მრავალი, მრავალი სხვა.

მათმა გამრჩე ხელემა ამრავლეს სამშობლოს ხვალი და ბარაქა. მათი აქტიური მონაწილეობით ფეხს იდგამს ქართული ინდუსტრიის საიამაყე, ისინი და უღალაუდ ებრძვიან აქაფებულ ენგურს, ეამთა სელისაგან ხავსმოკიდებულ კლდეებს, გაკყავთ გვირაბები...

საიუბილეო შრომაში არც სოფლის ახალგაზრდობას შეუტრცხენია თავი. თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს ჩვენმა მეჩაიეებმა, მეციტრუსეებმა, მეცხოველეებმა, მექანიზატორებმა.

განსაკუთრებით გვონდა აღენიშნოთ მახარაძის, ლანჩუთის, აკარის, აფხაზეთის მეჩაიეების წარმატება. „კვირფოთ ყოველგვარ ამინდში, არ დაუქუშვით დანაკარგები, გაეზარდოთ საშუალო საპექტარო მოსავლიანობა, ავამაღლოთ ყველა მკრფავის ოსტატობა მოწინავეთა დონემდე, ვიბრძოლოთ ქართული ჩაის მაღალი ხარისხისათვის“ — ამ დევიზით ჩაის პლანტაციებში შრომობდა რესპუბლიკის 70 ათასზე მეტი ქალიშვილი და ქაბუჯი. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდებმა სიტყვა საქმედ აქციეს. დიდი მიღწევები იმედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ 300 ათასი ტონა ჩაის ფოთლისთვის ბრძოლა, რომელსაც რესპუბლიკის ახალგაზრდობა გამოეხმურა, წარმატებით დაგვირგვინდება.

ლენინის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის საქართველოს კომკავშირის 27-ე ყრილობამ გამოაცხადა „ლენინური ორწლელი“ — ქართველი ახალგაზრდობის შრომისა და ბრძოლის ორი წლის პროგრამა, რომელმაც სრულყოფილად გააერთიანა სხვადასხვა კატეგორიის ახალგაზრდობის ინტერესთა სფერო, მასში უფრო მკაფიოდ, ზუსტად გამოიკვეთა სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებული ქალიშვილებისა და ქაბუჯების წინაშე მდგომი ამოცანები.

კერძოდ, ლენინიზმის ღრმად და საფუძვლიანად დაუფლების, შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების, სოფლად კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის, სოფლისადაში ქალაქის შეფობის გაძლიერებისა და სხვა საკვანძო საკითხები.

„ორწლელი“ ეს იყო ახალგაზრდობის მონდომებული შრომა, ფართული რეზერვების გამოვლენა, ლენინიზმის იდეების ცხოვრებაში პროპაგანდა და ჩვენ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ყოველივე ეს ვადაიქცა რესპუბლიკის ახალგაზრდობის სულიერი მოთხოვნილებების თვალსაჩინო გამოხატულებად, მათი მისწრაფებების, გულისთქმის დადასტურებად.

ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში მეცნიერებისა და ტექნიკის არნახულმა პროგრესმა, ცხოვრების ცოდნის ამღლებამ ერთგვარად გაართულა ახალგაზრდობაში პოლიტიკური, პროპაგანდისტული მუშაობა. დღეს იგი წარმოუდგენელია ღრმა. შეგნებული ცოდნის, მეცნიერული სიღრმის, საფუძვლიანი ანალიზის გარეშე.

და სწორედ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები თავის იდეოლოგიურ მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ იმას, რომ გადაექციათ ახალგაზრდობის ცოდნა მტკიცე რწმენად, მსოფლობედველობად. ეს უკანასკნელი კი, როგორც მოგხსენებთ, წარმოუდგენელია მარქსისტულ-ლენინურა მოძღვრების საფუძვლიანი, ღრმა შესწავლის გარეშე.

ამ ამოცანის განხორციელებაში ჩვენ დიდი დახმარება გავიწვია ჩვენს ქვეყანაში და, კერძოდ, საქართველოში ფართოდ გავრცელებულმა და აღიარებულმა ისეთმა მუშაობის ფორმამ, როგორიცაა ლენინური ჩათვლა.

ჩვენი კომკავშირის, ყოველი კომკავშირული ორგანიზაციის აღმზრდელი-

ბითი სისტემის მუშაობის ძირითადი არსი იყო და არის ახალგაზრდობის შრო-
მითი აღზრდა. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდობის კომუ-
ნისტური კავშირის ვალია, ხელს უწყობდეს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ისწავ-
ლონ კომუნინზში, ეხმარებოდეს პარტიას აშენოს კომუნინზში, საჭიროა, რომ
ახალგაზრდობა პრაქტიკულად წყვეტდეს საერთო შრომის ამა თუ იმ სულ
მცარე, თუნდაც სულ უბრალო ამოცანას.

ამიტომ გასაგებიცაა, რომ საიუბილეო პერიოდში კომკავშირის მთელი ორ-
განიზაციული და პოლიტიკური მუშაობის სიმძიმე გადატანილი იყო კომუნის-
ტურ მშენებლობაში ახალგაზრდობის რაც შეიძლება ფართო მასების კონკრე-
ტულ მონაწილეობაზე, მათ შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშ-
ლაზე. რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეძლეს დროულად გა-
ნესაზღვრათ თითოეული ახალგაზრდული კოლექტივის, თითოეული კომკავში-
რელის კონკრეტული როლი ამ შეჯიბრებაში.

ფართო გაქანება პოვა სპეციალობებში კონკურსების ჩატარებამ, ასო-
ბით, ათასობით ახალგაზრდამ აიმაღლა კვალიფიკაცია და დაეუფლა მოსაზღვრე
სპეციალობებს, ქალიშვილები და ჭაბუკები მათთვის ჩვეული ენთუზიაზმით
ჩაებნენ მოძრაობაში სასოფლო-სამეურნეო პროფესიების დაუფლებისათვის;
კომკავშირული საგზურით მრავალი ახალგაზრდა მიუჯდა ავტომობილის, ტრაქ-
ტორის, კომბაინის საჭეს, გახდა შელიორატორი, ელექტრიკოსი, მექანიზატორი.

ლენინური კომკავშირისა და დიდი ბელადის დაბადების საიუბილეო წელს
მიღწეულ დიდ წარმატებებში განსაზღვრული წვლილი მიუძღვის სოფლის
ახალგაზრდა ინტელიგენციას, მის ყოველ წევრს, რომლებიც სათავეში უდგანან
სოფლად კულტურულ-მატერიალური დონის მკვეთრი ამაღლებისათვის დაწყე-
ბულ დიდგნიშვნელოვან საქმეს და ასრულებენ პარტიისა და მთავრობისადმი
მიცემულ სიტყვას.

52811

წლევანდელი წელი განსაკუთრებულია ჩვენი რესპუბლიკის მშრომლები-
სათვის, ჩვენი კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისათვის, რადგან წელს გა-
იმართა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიების 24-ე
ყრილობები.

საქართველოს კომკავშირელები, მთელი ახალგაზრდობა დიდი ინტერესით
აღევნებდა თვალს ოცდამეოთხე ყრილობის მუშაობას და საჭიროდ მიგვაჩნია
კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკის ქალიშვილები, ჭაბუ-
კები მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ ყრილობის გადაწყვეტილებებს.
ახალგაზრდობა დიდი მოწონებით შეხვდა კომუნისტთა თავყრილობის გადაწყ-
ვეტილებებს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიმართულია საბჭოთა ხალ-
ხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ.

წელს, გაზაფხულზე, ბედნიერმა ქართველმა ხალხმა, მოძმე რესპუბლიკებ-
თან ერთად, ზემოთ აღნიშნა თავისი უდიდესი ეროვნული დღესასწაული —
საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლის იუბი-
ლე, რომლით გამოწვეული აღტყინება, აღმავლობა ყოველ ქართველ ადამიანში
დღესაც გრძელდება.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღებისადმი მზადებამ მოიცვა რესპუბლიკის ყო-
ველი კომკავშირელი და ახალგაზრდა, ყოველი ქალიშვილი და ჭაბუკი.

საკვ 24-ე ყრილობის, საქართველოს საიუბილეო თარიღების ღირსეულად
შეხვედრის საქმეში დიდი როლი ითამაშა საკავშირო კომკავშირის XVI ყრილო-
ბის, რესპუბლიკის დელეგატების, სოციალისტური შრომის გმირების, ლენინის
ორდენოსნების, წარმოების ნოვატორების, ლიტერატურისა და ზელოვნების
წარმომადგენლების, გამოჩენილი სპორტსმენების მიმართვამ რესპუბლიკის

ყველა ახალგაზრდისადმი — „ყოველი წინასაყრილობო დღე გადავატკბოთ კერძო კერძული შრომისა და წარჩინებული სწავლის დღედ“.

ეს პატრიოტული მოწოდება ფართოდ გავრცელდა საწარმოებზე და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში. გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრი.

რესპუბლიკის ქალიშვილები და ჭაბუკები აქტიურად ჩაებნენ საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში ეკონომიურობისა და ყაირათიანობისათვის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, პროფესიული ოსტატობისა და სრულყოფისათვის, პოლიტიკური, სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნის ღრმად დაუფლებისათვის, კომკავშირული რიგების დისციპლინისა და ორგანიზაციულობის განმტკიცებისათვის.

დღეისათვის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 240 ათასზე მეტი ახალგაზრდა მუშა და კოლმეურნე, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიღწიეს მერვე ხუთწლიანი გეგმის შესრულებას საქმეში. საკმარისია აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის 16 ათასზე მეტმა კომკავშირელმა და ახალგაზრდამ ვადაზე ადრე გაანაღდა ხუთწლედი.

წინასაყრილობო და წინასაიუბილეო პერიოდში შესანიშნავი მაჩვენებლები მოიპოვეს თბილისის მეტრომშენებლებმა, რუსთაველმა მეტალურგებმა, ენგურ-ჰესელმა მშენებლებმა, თამაშად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს პერიოდი გახდა ახალგაზრდობის სწავლისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიღწეული წარმატებების დათვალეობად.

სკკპ 24-ე ყრილობისა და საქართველოს იუბილესადმი მზადების პერიოდი ხასიათდებოდა კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობით.

აღნიშნული თარიღებისათვის მზადებისას მათ საქმიანობას განსაკუთრებული აზრი მისცა მეორე საკავშირო ჩათვლამ, რომელიც ტარდებოდა დევიზით „ჩვენი ლენინისა და პარტიის საქმის ერთგულნი ვართ“.

ჩვენი პროპაგანდისტების, ლექტორების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მშრომელების, სოფლისა და ქალაქის ახალგაზრდა ინტელიგენციის აქტიური დახმარებითა და ხელმძღვანელობით ამ ცოტა ხნის წინ რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში საკავშირო კომკავშირულ კრებაზე წარმატებით დამთავრდა საკავშირო ლენინური ჩათვლა.

არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ჩათვლამ წარმოქმნა ის დამატებითი ენერგია, კოლექტივის, მთელი ხალხის წინაშე ის პირადი მონაწილეობა და პასუხისმგებლობა, ის პოლიტიკური და შემოქმედებითი აქტივობა, რომელმაც დადებითი გავლენა მოახდინა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაზე.

კრებებზე კომკავშირელები თავიანთი კოლექტივების წინაშე წარსდგნენ სკკპ 24-ე ყრილობის შესახებ დრად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ანგარიშით.

კრებები გადაიქცა ჩვენი ძალების სიმტკიცის დათვალეობად, ჩვენი მიღწევების დათვალეობად. და კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ჩვენი ყოველი ქალიშვილი და ჭაბუკი დიდი ბელადის ანდერძის, პარტიის საქმის ერთგულია.

ყრილობისა და საქართველოს საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილ მრავალ ღონისძიებათა შორის ჩვენი ახალგაზრდობის საქმიანობაში უნდა აღინიშნოს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით წამოწყებული დამკერძულ-კომკავშირული მშენებლობა, ახალგაზრდობის შრომითი ესტაფეტა, რომელიც დაიწყო ზაქესში 30-იანი წლების ახალგაზრდობის

შრომითი გმირობის ადგილზე და გადაეცა ყველა მოწინავე საწარმოსა და დაწესებულებას.

შრომში, სწავლასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მიღწევები აისახა მათ მიერ შექმნილ ალბომებში, მოწყობილ გამოფენაში, გადაღებულ კინოფილმებსა და მატაიანებში. ეს ესტაფეტა გადაიქცა რესპუბლიკის ქალიშვილებისა და ჭაბუკების შრომითი ტრადიციების დათვალიერებად.

ამ ცოტა ხნის წინ ჩვენი ახალგაზრდობის საქმიანობაში დამკვიდრდა შესანიშნავი ტრადიცია — საკავშირო ლაშქრობები, საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში.

ამ ლაშქრობებმა ბევრი მისცეს ჩვენი რესპუბლიკის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რადგან ეს იყო ზიარება ჩვენი სამშობლოს გმირულ ტრადიციებთან, მის შვილთა უკვდავ საქმეებთან, ეს ღონისძიებები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირებდნენ დროსა და ადამიანებს, წინაპართა ბედ-იბაღს, მათ ბრძოლას, მათ ოდებებს. სწორედ ყოველივე ამან განაპირობა მისი ესოდენ დიდი პოპულარობა. სწორედ ყოველივე ეს დაგვეხმარა ახალგაზრდა თაობაში აღგვეზარდა კონიუნქტის მშენებელთათვის, ნაღვლილ პატრიოტთათვის საქირო ყოველი ნიშან-თვისება.

კომკავშირული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდობას შორის სპორტული და ფიზკულტურული მუშაობის სრულყოფას — ფიზკულტურა და სპორტი ესაა ათასობით ახალგაზრდის ჯანმრთელობა, ესაა ათასობით ქალიშვილისა და ჭაბუკის მომზადება შრომისადმი, რადგან ფიზკულტურა და სპორტი ესაა მამაცობის, ძიების, გამბედაობის აღზრდის შესანიშნავი საშუალება.

დიდი ხანი არაა, რაც დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადი, ჩვენ ვამაყობთ კომკავშირის აღზრდილი სპორტსმენებით, რომლებმაც ღირსეულად დაიციეს რესპუბლიკის სახელი და კიდევ არა ერთ გამარჯვებას მოუტანენ ჩვენს სამშობლოს საერთაშორისო სარბიელზე.

კომკავშირის მესამე ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა მოუწოდა ახალგაზრდობას: „ოქვენს წინაშე დგას მთელი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო აღდგენის ამოცანა. რეორგანიზაცია, აღდგენა, მიწათმოქმედებისა და მრეწველობისა. თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე, რომელიც თანამედროვე მეცნიერებას, ტექნიკას ელექტრობას ეყრდნობა“.

ეს იყო მოწოდება სწავლისაკენ, ყველა იმ ცოდნისთვის, ათვისებისაკენ, რაც გამოიმუშავა კაცობრიობამ.

თავისი არსებობის პირველი წლებიდან დღემდე კომკავშირი სწორედ ამ ამოცანის განხორციელებისაკენ მიმართავდა თავის ძალასა და ენერჯიას.

ჩვენი რესპუბლიკის დიდ რაზმს წარმოადგენს სტუდენტობა. ესაა ჩვენი ხვალისდელი დღე, ესაა ადამიანი, რომელიც წინ წასწევს მეცნიერებას, ტექნიკას, კულტურას. ამიტომაც, რომ უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიურ საქმიანობაში წინა პლანზე გადმოვიდა სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დონის ამაღლებისათვის, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკული მეცადინეობის სრულყოფისათვის ბრძოლა.

საამისოდ მრავალი საინტერესო ფორმა დაინერგა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელში. კერძოდ, ესაა სასწავლო პროცესში შევიბრების ელემენტების შეტანა, ფრადოსანთა შეკრების ჩატარება, ჯგუფებში სასწავლო მუშაობის დაყენების საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობა და ა. შ.



საქართველოს კომკავშირი კვლავ წარმატებით განაგრძობს შეფობას ჯანსაღი გურპრესის მშენებლობაზე. ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ზრუნვის საგანი გახდა ყველა ის ობიექტი, რომელთა მისამართები მოცემულია 24-ე ყრილობის დირექტივებში.

გასულ წელს რესპუბლიკის ოთხი ათასამდე სტუდენტი შრომობდა ჩრდილო ყაზახეთის, ვოლგის საავტომობილო ქარხნის, დაღესტნისა და რესპუბლიკის სხვადასხვა მშენებლობებზე. წელს, საქართველოს კომკავშირის საიუბილეო წელს მათ შესანიშნავი საჩუქარი უძღვნეს კომკავშირს — შესრულდა მილიონი მანეთის სამუშაო. ამენდა ათობით სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულება, სასოფლო-სამეურნეო ობიექტები.

მტკიცეა საქართველოს კომკავშირისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის კავშირი. სწორედ ესაა მთავარი მიზეზი იმისა, რომ მათი შემოქმედება კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა კომუნისტურ მშენებლობას, იგი უფრო სრულად, ღრმად და უშუალოდ გადმოსცემს ჩვენი თანამედროვეს სულს და ამით კიდევ უფრო ძლიერდება მისი გავლენა ახალგაზრდობაზე.

განვილი 50 წლის მანძილზე საქართველოს კომკავშირი დიდ მუშაობას ეწეოდა ახალგაზრდა თაობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

ეს გასაგებიც არის. ინტერნაციონალიზმი ხომ ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღებიდანვე ჩვენი ახალგაზრდობის განუყოფელ ნაწილად იქცა და საქართველოს კომკავშირელები, ახალგაზრდობა ყოველთვის იყვნენ და არიან იმ ძალებთან, რომლებიც დაუღალავად ილაშქრებენ იმპერიალიზმის, კოლონალიზმის, ფაშიზმის წინააღმდეგ.

ოცდამეოთხე ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევიმ აღნიშნა: „პარტია დიდ ყურადღებას უთმობდა და დაუთმობს ახალგაზრდობის პრობლემებს, საზრუნავს, ინტერესებს: 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდები შეადგენენ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტს. ეს ჩვენი მომავალია, ჩვენი ცვლა“.

თავისი არსებობის მანძილზე კომკავშირმა პარტიას მილიონობით სასიკეთო მამულოშვილი აღუზარდა. და არა გვგონია იყოს იმაზე უფრო საპატიო მოვალეობა, ვიდრე ატარებდე პარტიის საიმედო თანამემშენისა და რეზერვის სახელა.

დიდი სიამაყის გრძნობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კომკავშირის სიმტკიცე, მისი ბრძოლისუნარიანობა, იდეური მწრამსი, ყველაფერი ის, რაც მას საუკეთესო გააჩნია — არის კომუნისტური პარტიის ზრუნვის შედეგი, კომკავშირში მომუშავე კომუნისტების დაუღალავი შრომის შედეგი.

საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავი ეს არის იუბილეო ყოველი ჩვენთაგანისა, ეს არის იუბილეო იმ ადამიანებისა, რომლებსაც ყოველ დღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს გულთან ახლოს მიჰქონდა ქვეყნისა და ხალხის სატკივარი, მისი ფიქრი, ოცნება, სიხარული.

ჩვენ დღეს ვიხსენებთ იმ დროს, როცა ჩვენი თანატოლებისათვის დღე კვირას უდრიდა, კვირა — თვეს, თვე-წელიწადს...

ჩვენ დღეს ვიხსენებთ 20-იანი წლების ახალგაზრდებს, რომელთა სიცოცხლე, ოცნება და მისწარფება სამშობლოს თავისუფლებასა და ბედნიერებას შეეწირა.

ჩვენ დღესაც გვესმის ველ-მინდვრებში აგუფუნებული პირველი ტრაქტორის ხმა, სამამულო ომში მიმავალი ყმაწვილების ომანიანი სიმღერები.

ჩვენ დღეს თვალწინ გვიდგება ფერფლიდან ამდგარი ქალაქები და სოფლები, ნაყამირალი, მზისგან გადარუჯული მინდვრები.

და გვჯერა, რომ ისტორია უსათუოდ შემოინახავს ყოველი მათგანის სახელს, იმიტომ, რომ ეს მათი ძლიერი მკერდია მთავრობის ექვს საამაყო ორდენს რომ ატარებს, ეს მათი ნათელი გონებაა, არნახულ გამარჯვებებს რომ აღწევენ, ეს მათი სისხლია საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის ძარღვებში რომ ჩქეფს...

აღვნიშნავთ რა საქართველოს კომკავშირის სახელოვან იუბილეს, პირობას ვღებთ ჩვენი კომუნისტური პარტიის წინაშე, ჩვენი ხალხის წინაშე, რომ მუდამ ვიქნებით მათი საქმის ერთგულნი.

ვიშრომებით ისე, როგორც ამას გვასწავლიდა ლენინი, ვიბრძოლებთ ისე, როგორც მოგვიწოდებდა ლენინი.

ჩვენ აღვუთქვამთ მშობელ ერს, რომ ყოველი ჩვენთაგანი იქნება ღირსეული მამების ღირსეული მემკვიდრე, მათი შესანიშნავი ტრადიციების დამცველი და გამგრძელებელი. ამას გვავალებს ის დიდი ნდობა, რომელსაც ლენინური პარტია თითოეულ კომკავშირელსა და ახალგაზრდას გვიცხადებს.



მეზოცხები

ირაკლი აბაშიძე

«ციცქარს» პელოცაე

პირველ რიგში „ციცქარს“ მიველოცავ!

პირველ რიგში მოგილოცავთ თქვენ, ჟურნალ „ციცქარის“ მკითხველებო და თანამშრომლებო!

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ნახევარსაუკუნოვან დღესასწაულზე, ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობის პირველი იუბილართაგანი, პირველი მასპინძელთაგანი სწორედ „ციცქარია“, — ქართველი ახალგაზრდობის სახელოვანი მედროშე, „ლიტერატურულ-მხატვრული და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ჟურნალი“.

სწორედ ჟურნალ „ციცქარის“ საშუალებით მსურს მიველოცო, აგრეთვე, მთელს ჩვენს ახალგაზრდობას, ეს სახელოვანი დღესასწაული, ყველას, რა საქმის კაცებიც არ უნდა იყვნენ ისინი: მოსწავლეებს, ახალგაზრდა მუშებსა და კოლმეურნეებს, ახალგაზრდა მეცნიერებს და ხელოვნების მუშაკებს, მშენებლებს და ჯარისკაცებს, ყველას, ყველას, ჩვენი ქვეყნის ვაჟკაცებს და ქალიშვილებს, ჩვენი ქვეყნის აწმყოსა და უფრო დიად მომავალს.

გაუმარჯოს საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს!

ნიკო ქვანი

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს
აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

ბერილი რეპანტიკი

გულოცავ საქართველოს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს დიდ დღესასწაულს, ბრძოლების, გამარჯვებებისა და წარმატებების 50 წლისთავს. გულოცავ და უნებურად მასხენდება განვლილი წლები, თვალწინ მიცოცხლდება წარსულის სურათები, მაგონდება შრომის ის ენთუზიაზმი, ის მგზნებარება და შემართება, რაც ახლდა ჩემი თაობის კომკავშირელებს, ის უსახდრო რწმენა სამართლიანობისა და სიკეთისადმი, რითაც სუნთქავდა თვითეული ახალგაზრდა, რისთვისაც იბრძოდა, შრომობდა, სწავლობდა, თავს სწირავდა... ამკვიდრებდა მშრომელი ადამიანების უფლებებს. ამ მშრომელი ადამიანის შვილები ვიყავით ჩვენ,

დიდმა ოქტიომბერმა გააღვივა ჩვენს სულში თავისუფლების სიყვარული, მოგვცა სილღე და სითამამე, დაგვაწაფა ცოდნის წყაროს...

თვითეული ჩვენგანი მზად იყო შეჭიდებოდა ერთი შეხედვით თითქოსდა გადაულახავ სიძნელეებს, დაეპყრო აქამდე აუღლებელი სიმაღლეები. თვითეული ჩვენგანი ახალი საქართველოს „ჯერ არნახულს, არ გაგონილს“ მშენებლად თვლიდა თავის თავს, ეამაყებოდა, აქტიური მონაწილე რომ იყო ძველის, დრო-მოკმულის ნგრევისა და რომ აშენებდა ახალ, ნათელ, ჰუმანურ თავისუფალ ქვეყანას.

მაგონდება ოცდაათიანი წლები, თავდადებული შრომისა და ბრძოლის ენ-თუზიანებით აღსავსე წლები, თვალანთებული გოგონებისა და ბიჭების დაუშრე-ტელი ენერჯია...

14 წლის ვიყავი, კომკავშირში რომ მიმიღეს 1930 წელს, მიმიღეს საზეი-მო ვითარებაში, მიმიღეს როგორც მებრძოლი — ჯარისკაცების რიგებში, ვინა-იდან კომკავშირი მუდამ იყო პარტიის ერთგული თანამემწე, მხარდამხარ იბრ-ძოდა პარტიასთან ერთად გარეშე თუ შინაური მტრების წინააღმდეგ.

თავუღებლად ვსწავლობდით, რომ უფრო გამოვდგომოდით ქვეყანას, ვი-ნაიდან ქვეყნის, ხალხის ინტერესები ყველაზე მაღლა იდგა ჩვენთვის, რწმენა ჩვენი დიდი საქმისა გვასულდგმულებდა, გვაკავებდა ძნელბედობის ქამს, რწმენ-ა იყო ის დიდი შუქურა, გზას რომ გვინათებდა, წინ მიგვიძღოდა. ამ დიდი რწმენით აღსავსე ქალიშვილებმა და ჰაბუკებმა მკერდით გადაუღობეს გზა ფა-შისტურ ურჩხულს. ეს რწმენა სიკვდილზე ძლიერი იყო, იგი უკვდავების ძეგ-ლად აღიმართა ათასობით დაღუპულთა საფლავებზე.

შინ დარჩენილნი კი თავდადებული შრომით ჭედდნენ მტერზე გამარჯვებას. ჩემი მახსოვრობიდან არასოდეს ამოიშლება იმ გმირულ დღეთა შემართება, ძა-ძიან მოსილი ქართველი დედები, დები და ცოლები ვაჟკაცურად რომ უძღვე-ბოდნენ სამამაკაცო საქმეებს და მტერზე გამარჯვების იმედით სულდგმულობ-დნენ.

მაგონდება 1945 წელი, ომის დამთავრების წელი, როცა ემონაწილეობდი ლონდონში გამართული მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის კონფერენ-ციაში, როგორც საბჭოთა დელეგაციის წევრი. ჩვენ უსაზღვრო სიამაყით გვაე-სებდა იმის შეგნება, რომ წარმომადგენლები ვიყავით საბჭოთა ქვეყნის ახალ-გაზრდობისა, რომელმაც ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების საქმეში არნა-ხული სიმამაცე, თავგანწირულობა და ვაჟკაცობა გამოიჩინა. მე ერთადერთი ქართველი გახლდით იმ დელეგაციაში და ასე მეგონა, თითქოს ინგლისის დედა-ქალაქში თან ჩამოვიტანე იმ ათასობით დაღუპული ქართველი ახალგაზრდის უკანასკნელი ღიმილი, იმათი ღიმილი, ვინც ვერ მოესწრო ამ დიდ გამარჯვებას. დიას, სიხარულს თან ახლდა დიდი ტკივილი ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული ღიმილის ბიჭებისა და ქალიშვილების გამო. ეს გრძნობა გამყვა ინდოეთშიც, როცა 1948 წელს საბჭოთა დელეგაციასთან ერთად აზიის სამხრეთ აღმოსავლე-თის ქვეყნების ახალგაზრდობის კონფერენციას ვესწრებოდი...

ომისშემდგომი წლების გმირული რომანტიკა, შრომისა და თავდადების წლები... აქაც, როგორც ყოველთვის, პირველ რიგში იდგნენ ახალგაზრდები, ჩვენი სახელოვანი კომკავშირელები. შრომის რომანტიკა იქნდა ახალ შინაარს, ახალ მნიშვნელობას...

სამოცდაათიანი წლების ახალგაზრდობა მემკვიდრეა ამ დიდი ტრადიციე-ბისა, იგი ღირსეულად აგრძელებს საქართველოს კომკავშირის სახელოვან გზას, ახალ-ახალი წარმატებებით ეგებება თავის ოუბილუს.

ქართველი ახალგაზრდობა, კომკავშირელები მუდამ იყვნენ ჩვენი ქვეყნის



მშენებელთა ავანგარდში. მათ საამისოდ ნიჭიც აქვთ, უნარიც და პატრიოტული შემართებაც. მათ წინ გადაშლილია უფრო დიდი ჰორიზონტი. უფრო დიდი შუალება აქვთ სრულყოფილად გამოაჩინონ თავიანთი ტალანტი.

მე ვუსურვებდი მათ, კვლავაც ესახელებინოთ ჩვენი ქვეყანა, შორს გაეჭკათ მისთვის სახელი ისე, ვით ეკადრება ეს ჩვენს ნიჭიერ, შრომისმოყვარე და გამრჯე ერს.

ნიკო კახიანი

ბრკელ გზაზე ანთიკ უწვავი სანთელი

კომკავშირელი არ ვყოფილვარ, მაგრამ ბედმა, როგორც პედაგოგი, თავიდანვე კომკავშირთან დამაკავშირა.

ოცდაერთ წელს სოფელს შევრჩი და-ძმებით. მამა ხელიდან გამოგვეცალა და საჭირო იყო შემდგომ ცხოვრებისათვის თავი მოგვება.

ადრე გაზაფხულიდანვე ტყვიავში გაჩნდა ლურჯთვალეობა, ცოცხალი და ხალისიანი ჭაბუკი, თუმც ისეთი ახალგაზრდა იყო, რომ ჯერ ჭაბუკობაც კი არ ეთქმოდ. გაჩნდა და სოფელში ცეცხლი დაანთო, აიყოლია სოფლის გოგობიჭებრ და ხან წარმოდგენას მართავდნენ, ხან გამოფენას; ხან ქვირივ-ობლებს სიმინდს თოხნიდნენ, ხან მკიდნენ. უფროსებმაც აგვიყოლიეს, მეც და ჩემი ძმებიც მათთან ვიყავით, ვშველოდით წერით, ხატვით, ცოდნით.

გავიდა ხანი. ჩემი დიდი გზაც დაიწყო, გავუდექი ამ გზას — იმ ლურჯთვალეობა ჭაბუკს შეგხვდი მაშინ, როდესაც მეც შევჭალარდი და მასაც საფეთქელზე ოდნავი ფიჭვი შეპაროდა. ისევე ძველი კეთილი დიდილი ეფინებოდა ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს ვლადიმერ ცხოვრებაშვილს.

1923 წლის ერთ მშვენიერ დღეს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში დამიბარეს. გამიკვირდა, ჩემთან რა ესაქმებათ-მეთქი, გავიფიქრე. მოვნახე ოთახი და შევედი. მაგიდასთან ერთი უწვერულვაშო ახალგაზრდა ზის. ვკითხე, ჩემს დამბარებელ კაცს სად ვნახავ-მეთქი. მე ვარო — მიბასუხა.

„ამოდენა კაცი ამ პატარა ბაღში ნეტავ რისთვის შემაწუხა“, — ვიფიქრე. „ამ პატარა ბაღში“ დიდი დავალება მომცა.

„ჩვენი სოფლის ახალგაზრდობას სოფლის მეურნეობის დარგში წიგნი არა აქვს. საჭიროა პოპულარულად დაწერილი წიგნი. ჩვენ გადავწყვიტეთ თქვენ დაგვალიათ. შეგიძლიათ სხვებში მოიწვიოთ. წიგნი საჭიროა და საჩქარო.“

იმ წელს გამოვეცი ჩემი პირველი წიგნი სარეველა ბალახების შესახებ. ალბათ ის ენახათ და მისი ბრალი იყო ჩემი აქ დაბარება.

ჯერ უარი მინდოდა მეთქვა, მაგრამ იქვე ვფიქრობდი, ვინ ჩამერია ამ დიდ დავალებაში. მეორე დღესვე ჩემთან იყვნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის უკანასკნელი კურსელები თუ უკვე აგრონომები ნ. კრენგი (შემდგომში პროფესორი) ნ. მისურიანი (პროფესორი, ს. მ. აკადემიის აკადემიკოსი) შ. გიგბერია (მეცენტრუსე, დიდი სპეციალისტი) ნ. კანდაუროვი (სოფ. მეურ. ეკონომისტი). უნივერსიტეტიდან მ. აბესაძე (შემდგომში პროფესორი). 1924 წელს წიგნი გამოვიდა (საქართველოს კომკავშირის გამოცემა № 22).



დავალების მომცემ ახალგაზრდას 10 თუ 15 წლის შემდეგ შეგხვდით. ეს იყო უკვე პროფესორი ვიქტორ კუბრაძე, შემდეგში აკადემიკოსი და საზოგადო მოღვაწე.

კიდევ შემძლო ასეთი ამბების მოტანა, მაგრამ რამდენიმე მაგალითით დავკმაყოფილდეთ.

როგორც უმაღლეს სასწავლებლის მუშაკს, ცხადია, კომკავშირთან ურთიერთობა არ მაკლდა. ჯერ სრულიად უწვერულვაშონი კომიტეტებს ხელმძღვანელობდნენ, არც არასდროს დამინანია, ბევრჯერ შეიძლება ჩქარობდნენ, მაგრამ ეს საქმის სიყვარულით მოსდიოდათ. დღეს უკვე ყოფილი მდივნები მეცნიერნი არიან (პროფ. დოქტორი გ. ჭანუყვაძე, პროფ. დოქტორი ვ. დათუკიშვილი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი თ. ბადურაშვილი). ბევრი მაშინდელი აქტიური კომკავშირელი სახელმწივეკილი მწერალა (ნ. დუმბაძე, ჯ. ჩარკვიანი, თ. ჭილაძე, ა. ვეწაძე, შ. ნიშნიანიძე, ა. სულაკაური და ბევრი და ბევრი სხვა). მრავალი ისეთი, ვისაც რომ თანამდებობა არ ჰქონდა, სახელმწივეკილი მეცნიერებია (მ. თოდუა, ზ. ჭუმბურიძე, ტ. კვანჭილაშვილი, გ. სანაძე, თ. ონიანი, რ. მიმინოშვილი და ბევრი სხვა).

მახსოვს მთიელები და სოფლიდან ჩამოსულები დაწყებული თვალებით იმზირებოდნენ ირგვლავ, თითქოს ეშინოდათო. დღეს კი სახელმწიფო მოღვაწენი არიან (ვ. ფრანგიშვილი, ი. ელოშვილი, ა. ბექაური, თოიძე, ზაუტაშვილი). დიდხანს ვერ დავამთავრებ იმ მოუხვენარ კომკავშირელთა გვარების ჩამოწერას, რომელნიც სიცოცხლეს „გვიმწარებდნენ“ თავისი დიდი სურვილებით, მაგრამ რომელნიც დღევანდელი ჩვენი დიდი ქვეყნის აქტიური მშენებელნი და წინამძღოლნი არიან.

ესენა ჩვენი დიდი იმედი. სწორედ მათ უნდა ამრავლონ ჩვენი ქვეყნის დიდება. სულით და გულით ვულოცავ ბედნიერ დღეს, ორმოცდაათი წლის თავს. მე ხომ ვიცი, რა ძნელი იყო ეს გზა, რამდენი შრომა და სიცოცხლეც შეეღია ამ წლებს. ბევრს, დღეს უკვე ჭადრაშერეულს ეძნელება, ძველებურად აღარ მოსდევს მუხლი. რას იზამ, წელთა სიმრავლე ისეთი აქლემია, რომელიც ყველას წინ უეჭველად დაიჩოქებს, სამაგიეროდ უკან როდესაც მიიხედავთ, ამ განვლულ გზაზე თქვენი საქმენი ჩაუქრობელ სანთლებივით ენთებთან. ეს კი ძალას ჰმატებს ამ გზის გაძგრძელებელთა, არასდროს ეღალატოს მისთვის არც მუხლს, არც მარჯვენას და არც გულს!

ჩვენს დღიძე

საქართველოს კომკავშირის
პრემიის ლაურეატი.

საქართველოს სსრ-ის პარტი

სიჭაბუკე და ლექსი ერთიაო, ბრძანებდა გიორგი ლეონიძე. სიჭაბუკე და სიმღერაც ერთია. მე მეამაყება საქართველოს კომკავშირის ჯილდო, რადგან იგი იმ სიმღერებისთვის მომანიჭეს, ჩვენს ჭაბუკებს რომ მივუძღვენი — მათს შრომას, ბრძოლას, სიყვარულს. მეც საქართველოს კომკავშირის კბილა ვარ — ორმოცდაათი წელი ამ დღეებში შემისრულდა. მაგრამ ჩემთვის ესოდენ სიმბოლური დამთხვევაც რომ არ მომხდარიყო, ქართველ კომკავშირელთა ეს დიდებული ზეიმი მაინც ჩემი ზეიმი იქნებოდა — ისევე, როგორც ათასობით ჩემი თანატო-



ლი, მეც კომკავშირის აღზრდილი ვარ. სიჭაბუკე და სიმღერა ერთია და მეც მინდა, ქართველი გოგონებისა და ჭაბუკების ეს სახელოვანი ზეიმი ჩემი მხარე კარგი სიმღერით დავამშვენო! მინდა, ეს სიმღერები გაიგონ და შეიყვარონ მათ, ვისი ხელითაც აიგო და კვლავ შენდება ჩემი ქვეყანა! ხელოვანისათვის არ არსებობს უფრო დიდი ჯილდო.

სულითა და გულით ვულოცავ ქართველ ხალხს ამ დიდებულ დღესასწაულს — ჩვენი ვალმოხდილი მამების, ჩვენი უფროსი ძმებისა და ჩვენი სასიქაღულო შვილების ზეიმს — საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს!

რომან ჩიჩუა

ნიშნად გამარჯვებისა

ნახევარი საუკუნე გასულა მას მერე, რაც ჩვენი დედებისა და მამების გმირულმა ბრძოლამ თავისუფლება მოუტანა ჩვენს ქვეყანას. ქართველი გოგონების წინაშე დიდებული ასპარეზი გადაიშალა. პირადად მე ნახევარი მსოფლიო მაინცა მაქვს შემოვლილი, სად არ მიბრძოლია ჩვენი ქვეყნის ღირსების დასაცავად. საქართველოს წარსულში არაერთი მაგარი ბიჭი ჰყოლია. მათი მკლავის სიმაგრე მთელ საქართველოში იყო განთქმული. მაგრამ მათ, ამ ბიჭებს, ჩვენნაირი ასპარეზი არა ჰქონდათ, ისინი ვერ მოესწრნენ ამ დღეს. და როცა ჩვენს წარმატებებზე, ჩვენს მედლებსა და დიპლომებზე ვფიქრობ, იგი გულწრფელად მიმაჩნია ჩვენი წინაპრების წილადაც. ჩვენ მათ მაგივრადაც უნდა ვიბრძოლოთ, მათ ნაცვლადაც ვიჭიდაოთ, მოვიგოთ, გავიმარჯვოთ. დღეს სწორედ იმათი იუბილეა, ვინც ეს უფლებები მოგვანიჭა, ვინც ეს ასპარეზი გადავიწვია. კომკავშირი — ეს ახალგაზრდობაა! სპორტიც — იგივე სიჭაბუკეა! ვულოცავ ყოველ კომკავშირელს, ყოველ სპორტსმენს ამ დღეს და ვუსურვებ, მუდამ ზეადმართული მენახოს მათი მარჯვენა — ნიშნად გამარჯვებისა!

რიმიზგი ერისთავი

საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

ახალგაზრდობას ეკუთვნის

მე მიხარია, რომ სწორედ ჩვენი ახალგაზრდული ჟურნალის ფურცლებზე ვულოცავ ჩვენს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს კომკავშირის სახელოვან იუბილეს. მთელი ჩემი ცხოვრებითა და შემოქმედებით დაკავშირებული ვარ ჟურნალ „ცისკრის“ შემოქმედებით ცხოვრებასთან. ვადის დრო, გვემატება წლები, მაგრამ ჩვენი ყველაზე მშვენიერი და ხალასი სიმღერა ახალგაზრდობას ეკუთვნის. ახალგაზრდობა არის სილამაზე, სიჯანსაღე, სწრაფვა სიახლისა და ჭეშმარიტებისაკენ. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ ხელოვნებაზე, რომელიც გამოიხატება ხაზით, პლასტიკით, ფერით...
 ნუ დაეკარგავთ ჩვენი ახალგაზრდობის ნურც ერთ წუთს. ნუ დავიშურებთ ქალ-ღონეს და თავდადებული შრომით ვემსახუროთ სამშობლოს, პატიოსნებას, სიყვარულს...



ჩვენი კომკავშირი

აღიო მიჩსხუდავა

ლენინური კომკავშირი

კომკავშირი! შევარდენთა სანავარდო,
განთიადი, მოლაქლაქე ვარდისფერად,
მზის ბაღნარი სამაისო და სავარდო,
სიხარული, სიყვარული და სიმღერა!

კომკავშირი! მარად მხნე და ახალგაზრდა,
ბრძოლით განველეთ გზა მიზნისკენ დასახული,
კიდევ უფრო გასხივოსნდა, გალამაზდა,
გაიფურჩქნა ჩვენი ქვეყნის გაზაფხული!

აგებს ქარხნებს, ღუმელებში აწრობს ფოლადს,
დასტრიალებს ახალ სახლებს თუ ხარაჩოს,
ცაში დაჰქრის, უხარია მზისკენ სრბოლაც,
საზღვარზე დგას, რომ მშვიდობას უდარაჯოს!

ებრძვის გვალვას და უდაბნოც მისგან იხსნა,
გასტეხს ყამირს, — ოქროს ბაღნარს დაადარებს,
და ორდენებს, ბრძოლისა და შრომის ნიშნად,
ამაყ მკერდზე ვარსკვლავებად დაატარებს!

საყვარლო! ლექსს მოგიძღვნი გრძნობით ნაქსოვს,
ყველა შენი გამარჯვება გამახარდეს,
მოდგმიდანვე შენი ტკბილი ზრუნვა მახსოვს,
სიყრმის კერა — არ იქნება — არ მიყვარდეს!

იცოცხლე და იხალისე! ხარ დღეგრძელი,
მხნედ იარე! კომუნისმის გზა ეს არი,
იზეიმე დაბადების დღე და წელი,
მრავალ ასეთს დღესასწაულს დაესწარი!

მორის ახალგაზრდობა

რევაზ ლალიძეს

მზისეული ფრესკიდან —
მაღალ ენგურაქსიდან
დირიჟორის ჯოხივით
მოქნეული სხივი
სასიმღეროდ განმაწყობს
ისე, როგორც აროდეს. —
როგორ არ ვილილინო,
რატომ არ მიხაროდეს?!

წკრიალებენ საქართველოს
სიმებივით დაჭიმული გზები,
სიტაბუკის ბილიკებზე
მზის სიმღერად ჩნდები, —
მზის აკვნებად ირწყვიან
ყანები და ზვრები...

დედა მღერის, მღერის ბავშვი,
მღერის ტყე და ნაკადული,
სიტყვა მღერის
სიმღერაში
ვაზის ლერწად ჩაქარგული.

შაქარგულა მთვარე ტკბება,
სიმღერებით დაბანგული,
სიმღერებით გვითენდება
სიმღერების გაზაფხული.

როგორც პირველ ვიოლინოს,
მკერდზე იკრავს საქართველო
ამღერებულ თბილისს.
სიმღერა და სიყვარული
ფრუანტელად გვივლის.

შრიალებენ დედულეთის
სიმებივით დაჭიმული ხნულები, —
ლაბა ხარის ერთგულებით
მამულს ვემსახურებით!

●
იცის მთელმა ქვეყანამ,
იცის, როგორც ხდება, —
სულს სიმღერა სჭირდება,
როგორც მაშვრალს შვება.

გულს სიმღერა სჭირდება,
როგორც ფრინველს ფრთები,
სიმღერებით იჭრება
მომავლისკენ გზები.

იცის მთელმა ქვეყანამ,
იცის, როგორც არის, —
სიტყვას პანგი სჭირდება,
როგორც აფრას ქარი.

გზა — სიმღერით მოკლდება,
ზღვა სიმღერით მშვიდდება,
სკა სიმღერით გროვდება,
ცა სიმღერით ვლინდება.

გულო, უნდა იმღერო,
სულო, ნუ გეფიქრება, —
სიმღერები იყო და
სიმღერები იქნება!

●
სიმღერების ღმერთი ვარ.
უმღელვარეს-უმშვიდეს
სიმღერებით შევდივარ
ჩემი ხალხის გულში მე.

სიმღერებით ვთენდები,
სიმღერებით ვიზრდები,
სიმღერებით ვშენდები,
სიმღერებით ვმკვიდრდები.

დაფანტულან ნისლები,
მზემ სიმღერით იღარა,
მოკავებოდე სიმღერით,
სხვა მე არა მინდა რა.

სიმღერის დღე დაიწყო,
გულია თუ ჭრილობა?! —
სიმღერა რომ არ იყოს,
წამლექს მოწყენილობა!

ვით ცა შვიდფეროვანი,
ვით ზღვა შვიდფეროვანი,
ვით გზა შვიდფეროვანი,
ერი — მზეჩანგოვანი,
ჭაბუკი და მსცოვანი,
სასიმღერო ღიღილოს
მიზრდის, როგორც აროდეს,
რატომ არ ვიღიღინო,
როგორ არ მიხაროდეს?!

გაბმული მაქვს მამულზე
ვით სიმები გუნებისა:
სიმაღ სიყვარულისა —
სხივი აღმაფრენისა,
სიმაღ სიხარულისა —
სიმაღ ერთგულებისა —
სხივი აღმატებისა,
სიმი ენგურჭებისა,
სიმაღ ერთა ძმობისა —
სხივი მეგობრობისა,
სიყრმისა,
სიკეთისა,
სულის უკვდავებისა!

დარდს კბილებით გატკვირავს,
მაინც გასძლებს ერი, —
გასძლებს, რადგან ნამდვილად
თავის ჩანგზე მღერის.

ემველებს სატკივარს,
ყველას ასე სჯერა, —
მღერის ახალგაზრდობა,
ჩვენი ბედისწერა!

გულო, უნდა იმღერო,
სულო, ნუ გეფიქრება, —
სიმღერები იყო და
სიმღერები იქნება!

მამა, სიზმარში გიხილე,
მწერდი სევდიან წერილებს, —
ვაიმე, მწყურვალ ჯარისკაცს
წყალიც ვერ დაგაღვივინე...

მაინც შუქსა მფენს შორიდან
შენი ოცნების სამეფო, —

რად გვესიზმრებით, ომიდან
შინმოუსვლელი მამებო?!

პახვანგ ნახსაჰიძე

ლენინის დროშა ასწიე მაღლა

თაობავ ჩემო — უტკბესო სულზე,
შენ — ქვაკუთხედო ზვალინდელ დღეთა...
მიზანს ნათელი თვალებით უმზერ
და გული შენი ძალუმად ფეთქავს.

შენ უნდა შენი შექმნა მერმისი,
შენი ეპოქის შესაფერისი!
კომკავშირულად აშენო, თესო!..
ყველგან, ყოველთვის საუკეთესოდ!..

გიცდის მადანი — ბნელში მძინარი...
ძახილი გესმის რამდენ მდინარის;

რამდენი ოფლი სწყურია მიწას,
რომ უქმად გდებით არ გადაიწვას...

რამდენი ჩარხი მიგელის უხმოდ,
რომ აამღერო, აუდგა ენა...
წაუკითხავი წიგნები გიხმობს
და დროშასავით მაღალი რწმენა.

შენ უნდა შენი სჭედო მერმისი,
შენი სახელის შესაფერისი!
რომ უპასუხო ეპოქას ახალს,
ლენინის დროშა ასწიე მაღლა.

ლენინური კომკავშირის აღზრდილი იყო ქვემომაჩხაანელი ფორე მოსულიშვილი, რომელმაც ფაშიზმის ტყვეობას თავი დააღწია და იტალიელ პარტიზანებს შეუერთდა. სიკვდილის შემდეგ ფორეს იტალიის ეროვნული გმირის სახელი მიენიჭა. ამ სახელოვან ქართველ მამულიშვილზე პოეტმა ვახტანგ გორგანელმა დაწერა ლექსების წიგნი „ფორე“. ვბეჭდავთ ორ ლექსს ამ წიგნიდან.

ფორეს დაჭირება

მაინც რა იყავ, ვაჟაკო,
 მკლავს როგორ შლიდი აფრებად.
 შენი ნახტომით ზომავდნენ
 ალაზნის ტალღის გაფრენას.
 მაინც რა იყავ, ვაჟაკო,
 როგორ თაფლივით დამტკბარი.
 მინდორში ხნულებს ზომავდნენ
 მაგ შენი კვალის გატანით.
 მაინც რა იყავ, ვაჟაკო,
 გულის რა უცებ შემძვრელი.
 შენი სიმღერით ზომავდნენ
 ბაღში გალობას მერცხლები.

ვაჰ, სამართალი სად არის,
 სად თქმულა, ან ვის უნახავს,
 რომ ჰგავდა მუზის დაცემას,
 ის ხელი მიწამ უნდა ხრას.
 ვაჰ, სამართალი სად არის,
 ვინ თქვას, ვინ უნდა ამოხსნას.
 ის გული აღარ იძვერებს,
 რომ ჰგავდა მთვარის ამოსვლას.
 ვაჰ, სამართალი სად არის,
 მის სახელს რაღა მადლი აქვს.
 ის მკლავი ლოდად იქცევა,
 ზედ რომ იწვენდა განთიადს.

მოკვდი და მაინც აქა ხარ,
 შენს სახელს ვერვინ შელახავს.
 მზე რომ მოდგება გომბორზე,
 ნიტყვით, რომ ეს მზე შენა ხარ.
 მოკვდი და მაინც აქა ხარ,
 ია და ვარდი გეფრქვევა.
 აპრილის პირველ შარიშურს

ვგ შენი სუნთქვა ერქმევა.
მოკვდი და მაინც აქა ხარ,
შენს მტერს ცეცხლი და ნაცარი.
ვიტყვი, ეს ფორეს სისხლია,
რომ აღუდღება მაჭარი.

ზერებში ნიავე გვეძახის,
შენს ნატერულზე ნაგეში.
ფორე, ვაი, რა ძნელია,
უშენოდ გავლა კახეთში.
მტრედები ვაზის კოკორში
შენზე სიმღერებს ნასკვავენ.
მიწას კი არა, მხრებს უნდა
ზედ ატოლებდე ვარსკვლავებს.
ქადილის კაცი არ იყავ,
ვაი, რა ადრე წახველი,
დე, იმან დაიტრაბახოს,
ვინც კპოვოს მეტი სახელი.

მ ტ რ ე დ ი

იწვის ზღვა, იწვის ხმელეთი,
იწვის რიჟრაჟის ეტლი.
ამ ცეცხლის კორიანტელში
მხარზე დამაჯდა მტრედი.
ნეტავ, საიდან მოფრინდა,
ნეტავ, რა ამბავს მეტყვის.
ნეტავ, რა შემომითვალა
ვარსკვლავმა ჩემი ბედის?
— უკანასკნელი წამია,
შენს თავს მიხედე, ფორე,
თორემ მერე ვერ გააღწევ
სისხლის და ტყვიის მორევს.
— ძმადნაფიცები დაუტოვო?
გულში ვგ როგორ გედო!
აქედან წასვლას ლარულად
სიკვდილი მიჯობს, მტრედო!
— ვედარ იხილავ ალაზანს,
ვედარც გომბორის ღრუბელს.
ვერც ჭიათურის ნიავე,
ვერც გაგიგრილებს უბეს.
— როგორ შევხედო ალაზანს
და მის ატეხილ ჭალებს,
თუ მტერს ვუჩვენე ზურგი და
სირცხვილნაჭამი წავვლ.
— ვერ დაგიტირებს მშობელი,

ძმა ვერ მოგაყრის მიწას.
ფორე. იჩქარე, ვერ ხედავ,
სიკვდილი ბადეს გიწნავს.
— კახეთის განთიადებმა
ნულარ მიხილონ ქვეყნად,
თუ ფორე მოსულიშვილი
მტერს ლაჩარივით შეხვდა.
მტრედო, წაიღე ნათქვამი,
იქნებ სიტყვაა ბოლო:
თუ სიკვდილია, მოგკვდები
სახელიანი მხოლოდ.*

ამბობენ, ფორეს ამბავი,
ფორეს სიტყვა და ფიცი,
დილის ნიაგმა წაიღო
სამშობლოსაკენ სიმწრით.
მტრედი რა იქნა? იქ დარჩა,
ალარ წასულა მტრედი,
რომ ფორეს წყალი უზიდოს
და გაუგრელოს მკერდი.



გიორგი ბერიძე

ფიქრები, ფიქრები, ფიქრები

ამ ბოლო დროს, რა თქმა უნდა, სამართლიანდაც, ბევრს ლაპარაკობენ და წერენ უსაქმურებსა და, საერთოდ, უსაქმურობაზე. მართლაც ძნელია შენ მუშაობდე, სხვა კი არსებინა, თვითკმაყოფილი მიაბოტებდეს იქით — ბატისა არ იყოს — სითაც თავი აქვს. მით უმეტეს, ამგვარი რამ განსაკუთრებით მაშინ გეცემა თვალში, როცა ხედავ და იცი: იმ სხვას, რატომღაც შენზე მეტი ეთქმის მაინც რაღაც მიზეზისა თუ ვიღაცის წყალობით. მაგრამ მაღლობა ღმერთს, ასეთი უსაქმური ბეგრი არ ბოგინობს ჩვენს ირგვლივ, თუმცა, მოურიდებლად რომ ითქვას, არც ისე ცოტანი არიან, ანგარიში ჩასაგდებლად არ ღირდეს.

ეს ერთი ხანია თითქოს მიეჩვეით: საიუბილეო დღეებში, მაინცდამაინც, სიკეთესა და სასიკეთოზე უნდა ვილაპარაკოთ, მაღალგარდოვანი სიტყვებით მოვიშველიოთ, არაფერა დავიშუროთ ჩრდილიდან გამოსასვლელად, ნაკლებ კი თვალი დაგზუტოთ, თითქოს ეს ნაკლები ჩვენ სულაც არ გვეჩებოდეს, ანდა უხერხული იყოს მისი გამოჩნეულება. რატომ? იქნებ იმიტომ, რომ საზეიმო განწყობილება არ შეგვეცვალოს? იქნებ ეს რაღაც ტრადიციაა? საეჭვოა, მაგრამ თუ ტრადიციაა, მაშინ ნამდვილად უხეირო ტრადიცია ყოფილა!

სწორედ ამ საზეიმო დღეს არის გასახსენებელი ყველა ის გაჭირვება, რაც კომპაგშირის გადაუტანია. ბევრი არ არის საჭირო, საქმარიონია მხოლოდ შორეული ციმიბრის მშენებლობანი მოვიგონოთ: ყინვასა და თოშში ნახევრად მშვივრებასა და შიშველებს გასაყვდათ რკინიგზა, აშენებდნენ უზარმაზარ ჰესებს, მაგრამ არასოდეს წამოსცდენიათ ბედის სამდურავი! მათ კარგად იცოდნენ, რასაც ემსახურებოდა მათ მიერ მოქმედი წერაქვი, ამიტომაც მუხლის ჩაბრაზე არასოდეს უფიქრობათ; ყველაფერი აკლდათ, გარდა შემართებისა, გულწრფელი ერთუ-

ზიანებისა — ეს კი ყოველგვარი სიკეთის საწინააღმდეგადაა.

ახლა კი, ჩვენს ზოგიერთ ახალგაზრდას, როცა ყოველგვარი, სიკეთისაკენ მიმავალი გზა მართლაც ოთხთავკუთხეი ხანილი აქვს, თითქოს დაფიქრებინ უნარი დაუცარგავს: იოლი გზათ სიარულს აპყროლია და იმას კი აღარ დაეძებს, ბოლო როგორი ექნება. მოვისმენთ ან წაიკითხავთ ვინ, სად, რა დანაშაული ჩაიდინა და გულს შემოგვეყრება ხოლმე; რა სჭირდა საპროსო, მხოლოდ სიზარმავე? ვინ აღარ შეეძიღებოდათ ისეთ საქმეს, რომელიც მართლაც არ გვეხალისებოდა. მაგრამ აუცილებელი იყო და იმიტომ ვაქეთებდით. დავალბოთ ვინ დაგვაველებს, რაც შენს საკუთარ შესაძლებლობასა და ძალ-ღონეს აღგმატება, ვინდა თუ არა, ის გააკეთო!

ალბათ სიბნელეში სიარულს ვინც ამჯობინებს დაფიქრებლობისა და მომავლის გაუთვალისწინებლობის წყალობით, ავიწყდება, ასეთ სიარულს როგორი დასასრული შეიძლება მოჰყვეს — ბოლოს და ბოლოს კოცა ყოველთვის ხომ არ მოიტანს წყალს და ასეთი კაცი, თუ შეიძლება კაცი ვეწოლოთ, მართო საკუთარ ოქახს, შინაურებს კი არა, ხალხს, ერს აკლდება. ერთი წუთით ჩაუკვირდეთ: რამდენი სიკეთის მოტანა შეეძლო, გზას რომ არ ასცდნოდა, კტუა და ენერჯია საერთო საქმეზე რომ დაეხარჯა..

ავტობუსიდან ჩამოვედი და ქარხანა „მაგნიტოფონისკენ“ ჩაუხვებე.

ზაფხულის ცხელი დღილა, საცაა სამუშაოდ დღე დაიწყება. მიგდვიარ და არ მეშვება ხვალინდელ დღეზე ფიქრი — ამ ხალხზე ფიქრი, ჩემს თვალწინ რომ მიხმურობენ — ისინიც ქარხნისაკენ მიიჩქარაინ. ვაკვირდები, მინდა შორეული ნაცნობი მაინც აღმოვაჩინო მათში, მაგრამ ასეთ ვინმეს ვერ ვხედავ, და მაინც მახ-



ლობელი არიან ჩემთვის. რამდენ კეთილ ადამიანს შეგხედდრია ცხოვრებაში, განსაკუთრებით მგზავრობისას, მიზეზი მოუტია და გუნი გაგვიხსნია მამინე. სულ მალე ახეთი გარბნობა დაგაბედნენ: ნამდვილად შენია, რამდენი წელი ეძებ და, როგორც იქნა, შეხვდი. მერე დროსა და მანძილს თავისი გაუტანია — დამშვიდობებისას და გულის ჩხვლეტა გიგრძენია — რა იცი, ცხოვრება ვის საით წაიყვანს, ვის როგორ საზრუნავს გაუჩენს, და ალბათ, აღარც შეხვდებით ერთმანეთს. შეიძლება სწორედ ამ კაცს შეხვდე, შეხვდე ხვალე, მაგრამ ყველას ხომ ვერ შეხვდები? და უფრო დანადგონდები, რაღაც მოთმთავი ფიქრი შემოგაწევა, ნაბიჯიც აგარევა. მერე ცდილობ და ვერ გაგიჩვევია, რამ დაგხებრა გული. ისე გამოდის, თითქოს დაგვიწყდა, რას აწყდებოდა ჯონების თვალს. ასეთ მოწყენას, რატომღაც, უმიზეზო მოწყენას ეძახიან.

ქარხნის ეზოში შევედი და მივიხედ-მოვიხედე, აღარ ვიცი, საით ავიდე — ყველას, ვინც გვერდით ჩამიარა, სამუშაოზე მიქაჩრება და, მართალი ვიფიქრებ, ცოტა მუხებრტყლება თუნდაც ერთი წუთით გააჩერო. მეც მაქვს სამსახური და არც ხემი დაგვიანებაა მაინცადამაინც სასიხარულო, მაგრამ რა დასამალა და, ამ ქარხანაში დილაუთენია ჩემი მისვლა, არ დამაწყრებთ, ვიფიქრებ ყელში წაჭირების მიზეზი იყო-მეთქი. ეს რომ გავიფიქრე, გამეღიმა: უსაქმურბა სტუმარმა იცის, იმ დროს მოგიაყუენებს კარზე, ჭერ პირიც რომ არ დაგვიანია, ერთს არ იტყვის, კაცო, მე რომ შეიღ საათზე გამეღიმა, იქნებ ის მთელი დამე მუშაობდა და სწორედ შეიღ საათზე დაიძინა. შენ რომ გგონია, ე, მოსდევინ და ხელის წაშეგვებასა მოხოსოს, დაჯდება და მარადიულ, სათქმელის შემოღვევის უტყუარ მიზეზზე, ამინდის ავკარგინობაზე კი გაგიბამს საუბარს...

ბარემ ცოტა მოდღვედეს-მეთქი, და ქარხნის ეზოში გვიარე. უპირველეს ყოვლისა, შესანიშნავად მოვლილმა ხეებმა მიიპყრო ჩემი ყურადღება — იქაურობა მშვენიერ ხასხასეს. ჩვენი წინაბრები ქალის გასასიხად რომ მიპყებოდნენ მაჰანაკალს, ჭერ სავარაუდო მოყვარის ევოს გადახლებდნენ თვალს, — ხელი თუ არ აკლდა. ეს იმას ნიშნავდა, გამარჯე ოჯახთან ჰქონდათ საქმე. მხოლოდ ამის შემდეგ გადაიღონდენ საქმიან მოლაპარაკებაზე. ყურადღება აზრია!

ქარხნის კორპუსებშიც რომ არ შეიხედო, საკმარისია ეზო მოათვალიერო და სულ უბრალოდაც მიხვდე: ქარხანა მოწინავეთა შორის მოწინავეა. ეს ტრადიციული, მამა-პაპული წინდახედულობა, რაც საუკუნეების გამოცდილებით მოდის, რამდენიმე საათის შემდეგ ჰემ-მართებად იქცა, როცა პროფესიული აუცი-

ლებლობის გამო რამდენიმე საამქროში შევედრებხარ ხედე.

ქარხანას საკმაოდ მოზრდილი ეზო აქვს. ეს ეზო ბევრ რამეს იტევს: საცურაო აუზს, კალათბურთის და ფრენბურთის მოედნებს... მერე: მშვენიერი სპორტკლუბი, ცალკე — საჭადრაკო კლუბი, და მშვენიერ ამრიალბული ხეები.

ამ ქარხნის სპორტკლუბი „უშმა“ მთელს რესპუბლიკაში ცნობილი და რესპუბლიკის გარეთაც მშვენიერად იცნობენ. „უშმას“ მოყვარული სპორტსმენები საქართველოს ნაერების წევრებიც არიან. პირველ თანრიგისნებს თავის თავად და ამ კლუბში გაერთიანებულ სპორტის ცნობილ ოსტატებსაც შეხვდებით. ბერბა მათგანმა, როგორც სპორტსმენმა, სწორედ ამ ქარხანაში აიღვა ფეხი. მეტი საამყო რაღა გინდა — მუშაობზე, ხელს არ ასვენებენ და არც სპორტულ გართობას იკლებენ. ეს გართობა კ მერე და მერე, სეროზულ სახეს იღებს და მშობლიური რესპუბლიკის სპორტული დირსების დაცვით გვირგვინდება. მოკლედ, ჩვეულებრივი, უწყინარი გართობა, ხშირად პატრიოტულ სიკეთეში გადაიზრდება ხოლმე, როცა სიჭაბუკე უკან რჩება და სიცოცხლისა და ცხოვრების საიდუმლოებათა გარკვევაზე ფიქრს უწყევ დროს რაღაც მონაკვეთი ეთმობა ყოველდღიურად.

ქარხნის სპორტსმენებს რაც პრიზები მოუპოვებიათ. ყველასათვის თვალმისაწვდომად გაუხლბდა: ქარხნის ეზოში სპეციალური სტენდია და ამ სტენდიაზე გამოფენილი. საქმეში ჩახედულსაც რომ არ ჰკითხო, თუ დაუყვირდები, ისედაც ადვილად გაარკვევ კლუბის ზრდას — ამის საშუალებას იძლევა ათასნობრი პრიზი. სხვათა შორის, ამგვარი სპორტკლუბის მთელს რესპუბლიკაში მხოლოდ ხუთი გვაქვს. „უშმა“ ერთ-ერთი მოწინავეა ხუთეულში. როგორც ეტყობა, ამგვარი ტიტულის მოპოვება არც ისე გათლებული ყოფილა — რამდენი დიდი ქარხანა საქართველოში და სპორტული კლუბი კი მხოლოდ ხუთია!

საკმაო დრომ ვაიარა — მშემ ჩრდილი დაუმოკლა ხეებს და მეც ქარხნის კომპაგვირის კომიტეტი ვიკითხე, ასე ვაიარე და იქით გაუხვიეო. ისე ვავიარე, იქით გავუხვიე, მივაგინი და, ყველაფერი რიგზე რომ მეგონა, მამინ დატრიალდა ჩარხი უკუღმა: კომპაგვირის კომიტეტის მდივანი ზაურ ხომერტი სამსახურში არ დამხვდა — პოლიტექნიკური ინსტიტუტში სწავლობს, მეხუთე კურსზეა და გამოცდებს აბარებსო. ხომერტი არ დამხვდა, მაგრამ სხვები დამხვდნენ და იმ სხვებმა გამოიყიეს დახმარება.

გიორგი ბერიძე
ფიქრბანი, ფიქრბანი, ფიქრბანი



აქეთ, ქარხანაში რომ მოვდიოდი, უკვე ვიცოდი, ვისზედაც უნდა დამეწერა ნარკვევი — იგი ცნობილი მუშა, გოდერძი გოდერძიშვილი გახლათ. მასზე ბევრჯერ წამიკითხავს და ბევრჯერაც მსმენია. რა თქმა უნდა, ყველაფრის წინასწარ გარკვევა სჯობია, მაგრამ ეს წინასწარგარკვეულობა ხელიდან რომ გამოგეცლება, არა მგონია, სასიამოვნო იყოს — გოდერძი გოდერძიშვილი დღეს არ იქნებოდა. ჩემი გვგამც მყარ დროშია ჩაშვდილი, დღეს თუ არ ავიღე ნარკვევის მასალა, ხვალ უკვე გვიანი იქნება; მოგესტევათ, ნაჩქარეობას ხშირად ზერედა ხელი ატყევა. ერთი სიტყვით, აქედან ხელცარიელი წასვლა არამც და არამც არ იქნება. ხვალ რომ მოვიღე და ხვალ ვნახო გოდერძიშვილი, დღევანდელი დღე მერე მეტყევა იმ დაუბრუნებელ საათებზე, რომელიც მეც დამაყლდება და კარგად ჩაფიქრებულ, ათჯერ მოხაზულ ნარკვევსაც.

ამხელა ქარხანაში ძნელია, ერთი კაცის შემუშურანი იყვნენ, მხოლოდ ეს ერთი კაცი ჰყავდათ ისეთი მოწინავე, ქვეყნის გასაცნობად რომ დღირდეს. ქარხანაში ხუთას ოცდაათერთი კომკავშირელია. როგორ დავიჯერო, სხვები არ არიან მოწინავენი.

ფიქრი ხმამაღლა რომ ვთქვი, მართალია, დამეთანხმნენ. მერე ისიც ვიკითხე, ხომარბის ვინ სცვლის-მეთქი. ახლახან გავიდა რომელიღაც სააქროშიო.

და ისევ ატყდა ტელეფონების რეკვა, გაქცევ-გამოქცევა, გომერ კორძაძე მანდ ხომ არ არისო. ვიდრე მოსძებნიდნენ, ვიკითხე და მითხრეს, მოწინავე მუშაა, მღარავი, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე, ახლაც აუარებელი საქმე აქვს, ერთ ადგილზე რა გააჩერებსო.

გუშინ დაზვასთან იდგა, დღეს კი ქარხნის კომკავშირელების ხელმძღვანელია — თავისთავად ბევრის მეტყველია მარტო ეს ფაქტიც! დრო შეუშინველად გადის. მაინტერესებს, როგორი ბიჭი იქნება. მერე და მერე ეს ინტერესი მოუსვენარ მოლოდინში გადაიზარდა, თვალი კარისკენ მიჰიარავს. ამ მოლოდინს სხვებიც უმატებენ გარკვეულ ნაწილს, ან ახლა გამოჩნდება, ან — ახლაო.

და ბოლოს ისიც გამოჩნდა, მაღალი, კალათბურთელივით ასხეულიანი გომერ კორძაძე.

- ერთმანეთს გავეცანიო.
- დიდხანს მელიოდი? — შეკითხება.
- არც ისე, მაინცდამაინც.
- ყელამდე ვართ ჩაფულვნი, ერთს მოვათავებთ და მეორე წამოჰყვას თავს...
- მართალია, შენ რომ გგონია მოვრიხო, თურმე ახლა იწყება.
- სხვაინარად ვერც ვიტყვოდი, — გაიღმა.

ბევრი რამე მაქვს საკითხავი და ვასარკვევი — ეს უკვე ჩემი სამსახურებრივი მოვალეობაა და

ამიტომაც არ ვჩქარობ. ვცდილობ, არაფერი მომჩინოს და მეორედაც ქვეყანა არ შეეაწუროს საშვებ; კიდევ ერთხელ არ ვინანო მოსაყდელში მთელი საათით დგამო. გომერი კი მოუხსენარდა ტრიალებს სკამზე და მაღმალ დასცქერის საათს. არაფერს ვუბნებდი, რა ვიცი, იქნებ ჩვეულებად აქვს და, მეშინია, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავვადო.

ესხედვართ და ესაუბრობთ. საყმაოდ ენაწყლიანია, თანაც სულ ადვილად მიხვდება სათქმელს, ორ სიტყვას რომ ვიტყვი, თითქოს რეზუსიაო, დანარჩენს თვითონ ამოიკნობს ხოლმე. სწორედ ანა უკვე მშვენიერ გუნებაზე დამაყენა — დღევანდელი გაწამაწის ჩრდილი ორიოდე წუთშიმ გადამვიდა გულადო.

— ერთი მუშა გავიხება შეუძლოდ, მისი ამბის გასაგებად შევიარე სააქროში.

- როგორ არისო?
- ჩარხთან დამხვდა, — ხელები მოიფშენია, — გუშინ არ გამოსულა სამუშაოზე და, დღესაც თუ არ იქნებოდა, რალაც უნდა გვეღონა.
- იქნებ მოვალეობამ აიძულა შინიდან გამოსვლა?

- ასე მგონია. ხალისიანად მუშაობდა.
- მაინც არ უნდა ენდოთ, რა იცი, იქნებ საქმე არ დააყენა შინ?

— კარგად ვიცნობ, ტუთილს არ იტყვის, და ისევ საათს დახვდა გომერმა.

- ახლა კი ვეღარ მოვითმინე:
- მიეჩქარება სადმე?
- თორმეტ საათზე კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი იწყება და დაგვიანება, ხომ იცი, არ შეიძლება.

ახლა კი ავჩქარობ: თორმეტამდე ორმოცი წუთიდა რჩება და თუ საქმე მაქვს მოსასწრები, უნდა ვეცადო და მოვასწრო.

გომერ კორძაძე თბილისში დაიბადა და გაიზარდა. მისთვის უცხოა მინდვრის ყვავილების სურნელი, ატეხილი ტყეების ზღაპრული ჩრდილი, მოდიდებული დღეების ჩუხჩუხი... ბევრი, ბევრი მოსაგონარი მშვენიერება, რაც ასე ტკბილად ახსენდება სოფლად ჩამოსულ კაცს, რაც მისი მამისთავის, ვანელი კაცისათვის ასე იწყვეს ნაღველსა და სითბოს. მაგრამ გომერმა იცის, ის, რაშიც ვერასოდეს გაერკვევა სოფლიდან ჩამოსული კაცი — დიდი ქალაქის სპეციფიურობა.

თბილისის ოცდამეცხრე საშუალო სკოლა დამთავრა თუ არა, გომერი მამინვე შეუღდა მუშაობას — ქარხანას მიაშურა. სხვა, ზოგიერთი სკოლადამთავრებულებით შინაურები და ქვეყანა არ შეუწუხებია, არიქა, სტუდენტობას ვაპირებ და მიშველებო.

ქარხანაში მოსვლისთანავე ყველას მოეწონა ეს მოუხსენარი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა. ახედ-დახედეს: რა სპეციალობას ირჩევო და

მღარავობა რომ ასხენა, უყოყმანოდ მიაბარეს ცნობილ ოსტატს სულთან ბაგიროვს.

მთელ ქარხანაში სულთან ბაგიროვს იცნობენ, როგორც საქმის მკოდნე, დაუზარელ კაცს. სულთანს მთელი მონღოებით შეუღდა შეგირდის სწავლებას. მოწინდებულ ბიჭს, რაც აინტერესებდა, ყველაფერს დაწვრილებით უხსნიდა. შეგირდი ვერ გაუგებდა და ისიც თავიდან იწყებდა ისევ.

ამასობაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის დრომაც მოაღწია. გომერი დამშვიდობა მასწავლებელს, შინაურებს, ყველას და ამ საპატო, საამაყო მოვალეობას შეუღდა.

სამშუხაროდ, ვერ მოვახერხე მენახა და წამეკითხა ის წერილები ჯარიდან რომ მოდიოდა გომერის მშობლების სახელზე, თქვენი შვილი ყოველგვარ დეალებას სამავალითოდ ასრულებსო... დიდ მადლობას სწირავდნენ საბჭოთა არმიის სერჟანტ გომერ კორძაძის მშობლებსა და მასწავლებლებს.

ამას კი ისეთი შედეგი მოჰყვა, რაც ამ გულწრფელი შექების ნამდვილი გვირგვინი იყო: გომერი კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს. სწორედ იმ ხანებში სამსახურის ვადაც გაუვიდა და ისევ ქარხანას დაუბრუნდა. ეს იყო 1967 წელი.

ქარხანას დაუბრუნდა და ისევ გამოცდილ ოსტატს, სულთან ბაგიროვს მიაკითხა.

შეგირობის დრომაც მალე გაიარა და უკვე დამოუკიდებლად შეუღდა მუშაობას. ამჟამად მესამე თანრიგი აქვს და მალეკვალიფიციურ ოსტატად მუშაობს.

გუშინდელი შეგირდი ახლა უკვე თვითონ იქცა ოსტატად და შეგირდიც აიყვანა — რომან ხუჭუა. როგორც სულთანს არ დაუშურებია საკუთარი ცოდნა და გამოცდილება ვადაც შეგირდისათვის, ასევე გომერმაც არ დაიშურა ძალ-ღონე, რათა ერთ მშვენიერ დღეს რომანსაც მადლობა ეთქვა მასწავლებლისათვის.

გომერ კორძაძე კომუნისტური პარტიის რიგებში აქ, ქარხანაში მიიღეს და ამავე ქარხნის პარტიული კომიტეტის წევრადაც აირჩიეს.

თუ თავს გამოიჩენ, თუ კი ხედავენ საჭირო საქმისათვის არაფერზე იხევ უკან, ვინ არ დაგიფასებს ამას, ვინ დატოვებს უხურადღებოდ. ასე რომ გომერ კორძაძე საკუთარმა საქმემ გამოაჩინა.

ქარხანაში დიდი ყურადღება ექცევა ახლაგაზრდების კომუნისტურად აღზრდას. ქარხნის მოწინავე მუშა-მოსამსახურეები ამცადინებენ ასეთ წრეებს. ამის უშუალო ხელმძღვანელი სწორედ გომერ კორძაძეა.

ახალგაზრდა კაცმა, რომელიც წინ იყურება და ხედავს მომავალ დღეებს, არ შეიძლება არ იფიქროს ცოდნის გაღრმავებაზე. ყოველდღიურად ისე შორს მიდის ტექნიკა, ისე ვითარდება,

საქმარისია რაღაც თვეებით ჩამორჩე და უკვე საგრძობლად ბევრი რამ გავლდება.

გომერ კორძაძეს კარგად ესმოდა ეს ყველაფერი და ამიტომაც მოიწადინა სწავლის გაგრძელება — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით ჩააბარა გამოცდები და ეკონომიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ახლა იგი მესამე კურსის სტუდენტია.

როგორც იტყვიან, სწავლის საღერლევი აქვს: ამ დღეებში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის მსმენელი გახდა. მშვენივრად ათავსებს სწავლას, შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობას. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ: გომერი თავისი ქარხნის, თუ შეიძლება ასე ითქვას, აქტიური სპორტსმენია: სპორტის ბევრ სახეობაში იცავს ხოლმე ქარხნის ღირსებას. აქ გასაკვირი არაფერია, რაკი ასეთი შემთხვევები არც თუ ცოტა გვახსოვს: კაცი სპორტის რამდენიმე სახეობაში გამოდის, ემარჯვება და ვის რა აქვს საწინააღმდეგო. საერთოდ კი პირველთანიგოსანი კალათბურთელია — კარგა ხანს იყო სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ნაკრებში და წარმატებითაც იცავდა მის ღირსებას.

რაკი დრო აღარ იცლიდა, ავქარაღით და იმ საამქროში შევედი, გომერი რომ მუშაობს.

გომერმა საათს დახედა და მითხრა:

— დრო არ ითმენს, თორემ დაწვრილებით ავიხსნიდა ყველაფერს.

— სხვა ვერ ამიხსნის?

— რატომაც არა.

და ორი კაცი ვამაცნო: ერთი თავისი მასწავლებელი სულთან ბაგიროვი, მეორე — ნამეგირი-დალი რომან ხუჭუა.

სამაქროში ცოტა ხანს კიდევ დარჩა გომერი, მერე დამეშვიდობა და წავიდა.

შემდეგ ბაგიროვი მიხსნიდა, რაც მინიტერეგებდა ამ სამაქროში, რა თქმა უნდა, გომერის საქმიანობასთან დაკავშირებით.

ამ სამაქროში მხოლოდ ხუთი კაცი მუშაობს პერსონალურად. ეს კი, აი რას ნიშნავს: არც ერთი არ არის ბრიგადაში გაერთიანებული, რასაც თვითონველი აკეთებს, მხოლოდ მას ეწერება. ბრიგადული სისტემა კი სულ სხვანაირია: ნამეგირი თანაბრად იყოფა ყველაზე. მე რატომვალეც პერსონალური მუშაობა უფრო სასარგებლო მგონია. ამას რა სჯობია, ყველა საკუთარი საქმეზე რომ არის პასუხისმგებელი. ამ შემთხვევაში შენს შეცდომასა და სიზანტეს სხვას ვერ დააბრალებ. მაგრამ ისეთი სამუშაოებიც გვხვდება, პერსონალური მეთოდი რომ არ გამოდგება. თუმცა, ამგვარ საქმეში ჩახედულებმა უკეთ იციან, სად როგორ არის საჭირო.

ბიორგი ბერიძე

ფიქრები, ფიქრები, ფიქრები

სულთანმა სასაქორდინაციო მდარავი ჩარხის მუშაობა გამაყენა. იმდენი რამ მოხერხდა, სიმაართე თუ გინდათ, ორიოდ საათი კი არა, ალბათ წლები არ ეყოფა მის შესწავლას. შეიძლება ტექნიკაში გაუთვითონობიერებელი რამ ვარ, ასე განვიადება მისი ბრალია.

ეს ჩარხი სატელეგრაფო აპარატურის უზუსტეს ნაწილებს ამზადებს. ამ ნაწილების სიზუსტე მიკრონებში იზომება. ჩარხი თვითონ გვიჩვენებს, შენს მიერ დაყენებული სიზუსტე უდრის თუ არა იმას, რაც ქაღალდიდან დეტალზე უნდა გადაიტანო, ესე იგი, კონსტრუქტორის ჩანაფიქრი დალოთანად რომ აქციო.

თუ კაცმა საფუძვლიანად არ იცის მათემატიკა, ძნელია ამ დარგზე იმუშაოს. მართალია, ქაღალდზე ყველაფერია ნაჩვენები, ყველაფერი გაითვალისწინა კონსტრუქტორმა, მაგრამ სიზუსტე ოსტატმა უნდა გამოითვალოს. მე ვნახე რომან ხუტუას მიერ ნაანგარიშები, რაღაც ციფრების გროვა, რამაც ასჯერ უფრო დიდი შთაბეჭდილება შემიქმნა გომერსა და მის ამხანაგებზე, რომლებიც ასეთ ჩარხებზე მუშაობენ.

ხუმრობა საქმე ხომ არ არის: თვალთუხილავი შეცდომა და ყველაფერი წყალშია გადაყრილი.

ამ ახსნა-ვანმარტებას რომ მოვრჩით და ჩასაწერი ჩავიწერე, ორივეს — გომერის მასწავლებელსაც და ნაშეგირდალსაც ვთხოვე, ორიოდ სიტყვა ეთქვათ გომერ კორმაზე. სიამოვნებით დამთანხმდნენ, მით უმეტეს გომერი უკვე წასული იყო და მის მიმართ საქებარი სიტყვების თქმა უხერხულობას აღარ გამოიწვევდა.

სულთან ბაგიროვი, გომერის მასწავლებელი: — გომერი რომ არის, ამისთანა მოსწავლეს ყველა მასწავლებელი ინატრებს — საქმის ერთგული, დამკვირვებელი, მოუსვენარი, მაგრამ ეს მოუსვენრობა არასოდეს იწვევს ვინმეს გაწყობას. გულწრფელად რომ მოგახსენოთ, იმდენი ხანი

მისი შეგირდობა ზედმეტეც იყო — ძალიან მალე ითვისებდა ყველაფერს, რთულსაც და ურთულესსაც. მე მთელი გულით მიხარია, ჩემს ნამოწავარი ასე მალე რომ დაოსტატდა. სიამოვნებით მოგვხსენებთ: მასწავლებელს სხვაზე ნაკლებ არ უხარია ბეჭითი მოსწავლის დაწინაურება. სიამოვნო კიდევ ის არის, რომ გომერი ძალიან, ძალიან ბევრ რამეს აკეთებს, საზოგადოებრივ საქმიანობაშია ჩამბული და მაინც არასოდეს მოუწუწუნებია ან დავიდალეო, ან მომბეჭდაო. სამავალითა კაცია! მე მოხარული ვიქნები, თუკი ამ სიტყვებს ასევე დასწერთ და გამოაქვეყნებთ, როგორც მოგიყვებით.

რომან ხუტუა — გომერის ნაშეგირდალი:

— მაღლობის მეტი არაფერი იეთქმის ჩემს მასწავლებელზე, რაც თვითონ იყო და, ყველაფერი მასწავლა. ახლა მეც ოსტატად რომ მთელიან, გომერის ვუმადლი. თვითონ მონათესავე პროფესიებიც ათვისია, მბურღაეისა და ზეინცლის პროფესიები, მირჩია, არც შენ გაუყენსო. ერთი სიტყვით, სხვასაც ვუსურვებდი ასეთი მასწავლებელი ჰყოლოდა...

ქარხნიდან გამოვდივარ და სამსახურისკენ მივიქაჩი. გომერი კი ამ დროს თბილისის კომკავშირის კომიტეტის პლენუმზეა და ხარბად ისმენს უფროსი, გამოცდილი ამხანაგების სიტყვებს.

გუშინდელი მუშა დღეს ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანია: ჩარხი მიატოვა და საზოგადო საქმიანობას ეწევა. ეს, რა თქმა უნდა, დროებითია: შვებულებიდან დაბრუნდება ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი — ზაურ ხომერიკი და გომერი ისევე მოადგილედ იქცევა და ჩარხს დაუბრუნდება.

მეტის თქმა უკვე ზედმეტი მგონია, ვფიქრობ ესეც ყველაფერს ნიშნავს და ნარკვევსაც აქ ვამთავრებ.



მზია კობახიძე

„მთი სიკვდილი სიძოცხლავ!“

ცხოვრობდა ლამაზი ქაბუკი. დიდი, ჭკვიანი თვალები და მაღალი შუბლი ჰქონდა. მუდამ უამრავი მეგობარი ეხვია გარს, მაგრამ ფიქრი, ოცნება და თავის თავთან სიმარტოვეც იმ მეგობრებზე თან იზიდავდა. ბავშვივით შეხაროდა ყოველ გათენებას, სოფლელი გოგოსავით აღაწიქვდა ცისკარს, რძემომდგარი ყანას, ცვარდაყრილ მდელოს. უმნიშვნელო რამე ვახარებდა, ალტაცებაში მოიყვანდა, დაცხრომითა უმალ დაცხრებოდა. ამ დროს სიმარტოვეს არაფერი ერჩია. მაგიდაზე წიგნებს მიღმა მიმაღულ სქელ რვეულს გამოაპრობდა და ფრთხილად, ბავშვური ასობით გამოჰყავდა სტრიქონები:

ვერ იხილოს მისი ლურჯი ცა და ყანა,
ვინც არ იცის მშობელ მიწის ერთგულება,
ჩემი ქვეყნის მიწა-წყალზე სათაყვანო
ქვეყანაზე არაფერი მეგულება.

დაწერდა და ისევ ბავშვივით დიმიორცხვებდა, რვეულს საგულდაგულოდ მიმაღავდა და დასვენებული, უსაზღვროდ კმაყოფილი საქმეს ეწეოდა.

ცხოვრობდა ქაბუკი, ცხოვრობდა ისევე, როგორც მილონობით მისი თანატოლი. არაფერი იყო მის ცხოვრებაში განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი. თუნდაც არც ის, თვალთაც რომ არ უნახავს მამა. მამის ომი იყო, ქვეყანა ცეცხლში იწვოდა და ვისაც პირში სული ედგა, ვისაც მერღვე ვეჯაკის გული უძგერდა, შინ რა გააჩერებდა. პოდა წვიდა მამა — უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, სხვებთან ერთად ომის ცეცხლოვანი გზებით იარა და სათაყვანო სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, საოცნებო პირმშოსათვის თვალმოუკრაფი დაეცა. ბევრი დაეცა ასე — ვალმოხდილი, წყურვილმოუკლავი.

და დარჩა რეზო ჩიჭოვანი დედის, ბებუის,

ბაბუსისა და ცაგერის რაიონის პატარა სოფელ ცხუტუშერის ამარა. მაგრამ სრულებითაც არ ეპატარაებოდა სამყარო, რომელიც მისი სოფლის თავში იწყებოდა და სადღაც იქვე მდელოს პირზე წამოქორჩილი ბუჩქნარით თავდებოდა. არ ეპატარაებოდა იმიტომ, რომ სიყვარულით სავსე დიდი გული და უზარმაზარი, უკიდვანო ოცნება ჰქონდა.

სკოლის თვალი და სოფლის სიხარული იყო, არც თავად აკლდა სიხარული. მერე ვერ დაიტია გულში ქაბუკმა ეს სიხარული, ვერც ზემამალა თქვა მოკრძალებულმა. ადგა და საკუთარ თავს გაანდო მხოლოდ. ასე გაჩნდა პირველი სტრიქონები, ასევე აიკინდა პირველი ლექსები.

თვალს არ შორდება შენი ღიმილი
და სვედიანი შენი თვალები.
ან:

ვერ დავივიწყებ შენს ტბილ საუბარს...

ჩემი მიზანი არ არის ლექსების ღირსებისათვის ნაკლის განხილვა, ამას ალბათ ლექსის მცოდნეები უკეთ გააკრევენ. ერთი კი უყოყმანოდ შეიძლება ითქვას: ამ სტრიქონებით ნათლად ჩანს მათი ავტორის მაღალი სული და დიდბუნებოვნება, მისი ინტერესების ლამაზი სამყარო და დაუმცხრალი ვეჯაკური შემართება. ეს სტრიქონები ძირითადად „ადრე წასული კაცის“ — ლადო ასათიანის პოეზიით არის შთაგონებული, რაც ალბათ ბევრმა რამემ განაპირობა. საქართველოს ბრწყინვალე წარსულსა და აწმყოზე უზომოდ შეყვარებული ქაბუკი სხვანაირად განიცდიდა უსაყვარლესი ლადოს სიტყვის ძალას, ბარდნალიდან მონაბერ სიოს სხვაგვარი შთაგონება მოჰქონდა მისთვის.

თავის თავი და სიცოცხლე არ იღარდოს,
თუ სამშობლომ დაუძახა — ვაისარჯოს...

ხშირად იმეორებდა ხოლმე რეზო ამ სტრიქონებს, იმეორებდა მარტო იმიტომ კი არა, თავისი ნაფიქრ-ნასათუთარი რომ იყო, იმიტომაც, რომ ეს მოკრძალებული სტრიქონები სათაყვანო პოეტს ასხენებდა, მის დიდ პოეზიას ეხმარებოდა.

ბევრი წავა, ბევრი მოვა სხვა ახალი, — წერდა ჰაბუკი და, როგორც მრავალი ლექსიდან ჩანს, ბევრს ფიქრობდა ადამიანის დანიშნულებაზე, ბედნიერებაზე, გმირობასა და სიცოცხლეზე. მშვენიერად იცოდა, რომ სიცოცხლე ყველაზე დიდი საბოძარია ადამიანისა, მაგრამ არსებობს დიდი საქმეები, მაღალი იდეები რომელთათვისაც ღირს დათმო ეს დიდებული რამ, რაც ერთხელ, ერთადერთჯერ ეძლევა ადამიანს. და ამ დამოძახს თავგანწირვა ჰქვია, რომელიც ყველას არ შეუძლია, ამ უნარით მხოლოდ რჩეული ჩოღდღელებია. ასეთ რჩეულებზე აქვს სწორედ რეზოს ნათქვამი:

სულ ვადიდებთ, ვახსენებთ და
ვადღეგრძელებთ,
ეს ხსენება — გმირობა და სიცოცხლეა!...
მათი სიკვილი სიცოცხლეა!

ლექსები ხომ უყვარდა და უყვარდა რეზოს. სხვა მრავალი გატაცებაც ჰქონდა: წიგნები, თხილამურები, ფეხბურთი. ყველაზე მეტად კი საკუთარ ფეხზე მაგარად დგომა უყვარდა, დამოუკიდებლად ცხოვრებას ესწრაფოდა. ასეთი ცხოვრების დასაწყისად რუსთავის მეტალურგიული ქარხანა აირჩია. მუშაობდა მონღოლებით და გატაცებით. მალე ისევ მშობლიურ რაიონს მიაშურა, ტვიშის ღვინის ქარხნის მუშა გახდა, თან მისაღები გამოცდები ჩააბარა სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში. ვენარგიული ბიჭი იყო, საქმის დალაბი არ უყვარდა და სწავლასაც ისეთივე გატაცებით მოეკიდა, როგორც მუშაობას. ყველაფერს ასწრებდა, ყველგან მოწინავე იყო, მეგობრებს არაფერში ჩამორჩენია. დიდხანს კომკავშირელთა წინამძღოლი იყო ტვიშის ღვინის ქარხანაში. მერე, უმაღლესი რომ დაამთავრა, „სამტრესტის“ კუბიშევის ღვინის ქარხანაში გაგზავნის სამუშაოდ. აქ ჯერ ოსტატად იყო, მერე სამჭროს უფროსად დაწინაურეს. კომუნისტებმა დიდი ნდობა გამოუცხადეს — ქარხნის პარტიურის მდივნის მოადგილედ აირჩიეს.

რეზო ჩიქოვანის უმარად ჩანაწერებში ნახეთ მისი საყვარელი ლიტერატურიდან განსაკუთრებით გამორჩეულ აზრებსა და ციტატებს. აი ერთ-ერთი მათგანი: „ყოველ ადამიანს თავისი ისტორია აქვს, ისტორიას კი თავისი კრიტიკული მომენტები. ადამიანზე შეიძლება იმსჯელო მხოლოდ იმის მიხედვით, როგორ მოქმედებდა და როგორია იგი იმ მომენტებში, როდესაც ბედის სასწორზე იდო მისი სიცოცხლე, ღირსებაცა და ბედნიერებაც“.

ოცდარვა წლის თავზე დაუღვა რეზოს ანტი-თეორიული მომენტი. თუ როგორ მოქმედებდა იგი ამ მომენტში, ეს ახლა მთელმა წესდამდგომულმა კამ კი არა, თითქმის მთელმა საბჭოთა ახალგაზრდობამ იცის.

იმ საბედისწერო დღეს ცისტერნებს რცხავდნენ. მუშა რამან ახმეტხანოვი ლუკით ჩასულა ცისტერნაში, ცოლი კი ნავთის ლამპას უმარჯვებდა, უნათებდა. პორტვეინის ოთხი ცისტერნა წესრიგში მოიყვანა ახმეტხანოვმა. მეხუთე შესაკეთებელი იყო და მის გარეცხვას არც აპირებდნენ. არ იცოდა ეს ახმეტხანოვმა? იქნებ კიდევ იცოდა, მაგრამ უბრალოდ, მეტი წესრიგისათვის უნდოდა შესაკეთებელი ცისტერნა სუფთა ყოფილიყო. და მეხუთედაც ჩავიდა ლუკით. აქ მოხდა უბედურება. დაგროვილმა გოგირდწყალბაზმა გონება დააჯარჯინა მუშის. გაოგნებული ცოლის ყვირილზე პირველად მძლარი კოსტინი მივარდნილა, გონდაპარკელის შველა გადაუწყვეტია, მაგრამ მალე თავადაც საშველი გამხდარა.

რეზო მოშორებით, მეორე სამჭროში ყოფილა ამ დროს. ყვირილზე უმაღლესი მოუბრენია და წამითაც არ დაფიქრებულა — რალა ფიქრის დრო იყო, შველას თიხოვდა ადამიანი! მაშინვე გადაეშვა ცისტერნაში, შორეული კუთხიდან კოსტინი გამოიყვანა, გადააჩინა, ახმეტხანოვის გადარჩენაც უცდია, მაგრამ...

რეზოს ველარაფერი უშველეს სასწრაფო დახმარების ექიმებმა, კოსტინისა და ახმეტხანოვის გადარჩენა კი მოახერხეს.

— ბრგე, ჯანმავარი ვეჟაკი იყო, — ყვებოდა რეზოს კოლეგა, მისი განუყრელი მეგობარი თამაზ გილაური. — ბოლო ხანებში ხშირად აგონდებოდა „ბავშვობა და სიკაბუცის მწველი ხანა“. სულ მშობლიურ სოფელსა და ქუთაისზე მესაუბრებოდა, ენატრებოდა იქ ყოფნა. ქუთაისში ისე როგორ ჩავალ, ბაგრატის ტაძარი არ მოვიინახულოო, იტყოდა ხოლმე და ნატვრით წარმოსთქვამდა:

რომ შეგადარო, რას შეგადარო,
მწვანით მოსილო ოქროს ტაძარო...

ცხოვრობდა ჰაბუკი. სიცოცხლეში თითქოს უჩინარი ბიჭი იყო, ახლა კი მისი სახელი ამაყობს საბჭოთა ახალგაზრდობა, ვანაკლუტრებით კი ქართველთა, საქართველოს კომკავშირის, რომელმაც იგი აღზარდა და დაავაჟაკა.

სწორედ ამიტომ ქართველი ახალგაზრდობის ზეიმზე — კომკავშირის ორმოცდაათი წლისთავზე უნდა გახშიანდეს რეზო ჩიქოვანის შთაგონებული სიტყვაც. მისი ვეჟაკური მავალითის ამ განხილვამ კი დაე ერთხელ კიდევ გაგვახსენოს, რომ „ცხოვრება იგავ-აღაკივით შინაარსით იზომება და არ სიგრძობა“.



რომანი

წიგნი მეოთხე

ხე ცნობადისა

თავი I

მარტის მიწურულში შავნაბადს, მახათასა და მთაწმინდას ფერდობები მწვანედ აუხასხასდა: ხეებმა ზამთრის ქანგი ჩამოიბანეს, სიცოცხლის წვენით აივსნენ და ბენზინისა და ქვარტლის სუნიით გაქლენთილ დიდ ქალაქში ერთბაშად დაჰბერა გაზაფხულის თბილმა სიომ. ასფალტის ნაბზარებში ბალახმა ამოჰყო თავი. გამვლელები უნებურად უღიმოდნენ ბალახს და გულზე სიამე ეფინებოდათ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 7, 8.

იმ დღეს ქალაქის ყველა რადიო-რეპროდუქტორი იყო ჩართული. მოულოდნელად გაისმა კრემლის კურანტების ნაცნობი ხმა. წლების მანძილზე აღამიანები მიეჩვივნენ, რომ კურანტების რეკვა რაიმე მნიშვნელოვანისათვის დაეკავშირებინათ:

კურანტების რეკვის შემდეგ გამოცხადდა ომი.

კურანტების რეკვის შემდეგ, მთელი ოთხი წელი მრისხანე, გაუბზარავი ხმა აცხადებდა: „ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა...“ და ამას მოჰყვებოდა

სისხლის წვიმების მოკლე საქმიანი აღწერა. ომის დამთავრებაც კურანტების რეკვის შემდეგ გაიგო ხალხმა.

ადამიანებს უყვარდათ კრემლის კურანტებს ნაცნობი ხმები, თან ეშინოდათ მისი. ასეთი ორმაგი გრძნობით უსმენდა რადიოს ყველა, 1961 წლის 12 აპრილს — სახლში, სამსახურში, ქუჩაში და სხვაგან.

მზიანი, ცოცხალი დილა იყო.

„ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური“...

ქუჩის მოძრაობა ნელ-ნელა მიწყნარდა. მანქანები ტროტუარს მიადგნენ, გამვლელები დიდი ჭადრის ქვეშ შეჩერდნენ და მძაფრი ინტერესით მიატყერდნენ რეპროდუქტორს, რომელიც ახლადგამოფეთქლ სიმწვანეში ჩანდა.

...ცენტრალური კომიტეტი მთელს საბჭოთა ხალხს აუწყებდა, რომ კაცობრიობის ისტორიაში პირველად, ჩვენი ქვეყნის მოქალაქემ, მაიორმა იური გაგარინმა მოახდინა უმაგალითო გაფრენა კოსმოსში.

დაძაბული სახეები ღიმილმა გაანათა. სიხარულისა და სიამაყის ტალღამ ერთბაშად გადაირბინა და ადამიანებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. ავტობუსის შოფერმა, როცა გაიგო რა ამბავი იყო, სხვა ველარაფერი მოახერხა, — გაბმულად მისცა სიგნალი. მას პროსპექტის მთელი ტრანსპორტი აპყვა. ქალი, კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა ერთმანეთში აირია. ყველას უნდოდა საკუთარი აზრი გამოეთქვა, სიტყვები რომ არ ჰყოფნიდათ, — ხელებს იშველიებდნენ. საერთო ღრიანცელში ვედარაფერს გაარჩევდა კაცი. გაზეთები გვიან გამოვიდა. კიოსკებთან უგრძესი რიგები იყო გაბაწრული. ადამიანებს თბილი, მშობლიური გრძნობა დაეუფლათ, როცა გაგარინის ალალი ღიმილით განათებულ სახეს დაჰხედეს, — გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილს.

ხალხის ნიაღვრით აქოთქოთებულ რუსთაველის პროსპექტს აბრილის მზე

აცხუნებდა. ნამდვილი იყო.

● ალბური კლუბის შენობა მწვანედ მოხასხასე ბაღს გადასცქერის. ესაა ქართველ მთამსვლელთა თავშესაყარი ადგილი. აქ ყოველდღე შეხვდებით მგლისმუხლიან, გარუჯულ ბიჭებს, რომელთა წინაშეც არაერთხელ მოუღრეკიათ ქედი კავკასიონისა თუ პამირის მწვერვალებს. მთამსვლელები, ჩვეულებრივ, დინჯი, სიტყვაძვირები არიან, მაგრამ ალესილი ნაჯახივით მკრელი გამოხედვა და მოგლეჯილი ლოდის სისწრაფე აქვთ. მათ კარგად ესმით: ქვეყნად ვერაფერი გაუტოლდება იმ დიდ სიხარულს, ვასაქირში მოყვანის გვერდით ღგომას რომ მოაქვს და ამიტომ, ალბათ სხვებზე უკეთ იციან მეგობრობის ნამდვილი ფასი. ალბინისტის სულში ადგილი აღარ რჩება ქვენა ვნებებისათვის, რადგან მთები, პატიოსანი, ძლიერი, სუეტაკი მთები არიან მათი მასწავლებლები.

იმ დღეს, როცა მაიორი გაგარინი კოსმოსში აიჭრა, ალბურ კლუბში უჩვენებდნენ მოკლემეტრაჟიან ფილმს: „უშმის დაპყრობა“. პატარა დარბაზში ნემსი არ ჩაყარდებოდა. ყველას უნდოდა დაენახა უშმის გამსკდარი გუმბათი, მისი დღაღრული და ღოჯებიანი ტანი, ის მუხლმაგარი ბიჭები, რომლებმაც უშმას შუბლზე ამბორო შეჰხედეს. მესამე რიგში მათა, რიშარდი, ლადო, ბიძინა და ნუცა ისხდნენ. რიშარდი წამდაუწყუმ ესალმებოდა ნაცნობებს. ლადო ზედავდა როგორი პატივისცემით უბრუნებდნენ მას სალამს და სიამოვნებდა, რომ რიშარდი ალბინისტების წრეში მიღებული, დაფასებული კაცი იყო. თან მოუთმენლობა სტანჯავდა: უნდოდა ჩქარა დაწყებულიყო ფილმი. უცებ, ბიძინამ ჰკითხა:

- რა გაგახარებდა ყველაზე მეტად?
- ახლა?
- ჰო, ახლა.
- „სვანეთში ყოფნა...“
- რატომ მეკითხები?

—ჭერ მიპასუხე!

—არ ვიცი... — ლადომ მხრები აიჩეჩა.

—ძალიან მიყვარხარ, ბიჭო! — უთხრა ბიძინამ და გაიცინა. აგზნებულ იყო, თვალბუთში კვიმატი სხივი უთამაშებდა, ლადო გააკვირვა უეცარმა აღსარებამ, მით უმეტეს, რომ ნათქვამში ბიძინასათვის ჩვეული ირონიული კილო ვერ დაიჭირა.

რიშარდს ზმამაღლა მიესალმა ვიღაც მაღალი, ძარღვიანი ახალგაზრდა. კედელთან იდგა და ყველას გასაგონად ლაპარაკობდა — ბოხი ბარიტონით.

—ამ ზაფხულს საით აპირებ?

რიშარდმა არ უპასუხა. აშკარად დაეტყო: არ სიამოვნებდა ლაპარაკი.

—გაივგე, უშმაზე ფიქრობსო?

—ენახოთ...

—შენ მგონი ფეხი იტკინე, არა?

—ვიტკინე...

—ოო, მაშინ მშვიდობით უშმა! გათავებულა შენი ალბინისტური კარიერა, ძმაო!

—მე არც მ... მიფიქრია კ... კარიერაზე! — რიშარდი გაწითლდა და ენაბრივიკილობა უარესად დაემჩნა.

ახალგაზრდა როყიოდ განაგრძობდა:

—აბა ტყუილად იბოდილდე მთაში?

აი, მე ერთი ასვლა მიცლია და სპორტის ოსტატის ნორმას შევასრულებ. მერე ინსტრუქტორობას დაიწყო და ვიქნები წვიროთ.

„მთაშველელბშიც ყოფილან იდიოტები“, — გაიფიქრა ლადომ. ბედად, შუქი ჩაქრა და უსიავმონო ლაპარაკსაც ბოლო მოეღო. გამოჩნდა ვეტმფრენიდან გადაღებული კავკასიონი. დიქტორი რიხიანად ჰყვებოდა რადიკას, მაგრამ ლადოს არაფერი გაუგონია. ერთმანეთს ცვლიდნენ: შხარა, თეთნულდი, წურუნგალა, აილმა, დიხთაუ, დონლუზ-ორუნი, შხელდა და ბოლოს უშმა! გამოჩნდა მთებში სოლივით შეჭრილი ხეობა. აქა-იქ მიმოფანტულიყვნენ პატარ-პატარა სოფლები. სოფლის განაპირას ალბინისტების ბინა იყო. მთაშველელები ქოგრიტით ზვერავენ უშმას.

ლადო ცახცახმა აიტანა. ცოტა ქვევით — თუმრაზის სახლია, მერმე ბრიგადირ ათმურზასი, მერმე ძმების — ბაჯუ და სეროპს კვიციანების, ცოტა მოშორებით კი, ჩამოქცეული კოშკის გვერდზე. — ქეთუსი...

...ზურგჩანთამოკიდებული ალბინისტები სათიბში მიაბიჯებდნენ. სოფელი გოგო-ბიჭები და სვანურქუდიანი კაცები ხელის ქნევით აცილებენ წასულებს. უეცრად, მათ შორის თემრაზის სახემაც გაიფლვა. ლადო შექანდა, თითქო სკამი გამოაცალს და ჰაერში დაეკიდაო. იგი ახლა იქ იყო, სვანეთში. მიარღვევდა წელამდე ბალახს და ისუნთქავდა ათასფერად ყვავილების მძაფრ სურნელს. ქეთუ ყვავილებს კალთაში იგროვებდა, თან კისკისებდა, კისკისებდა... ლადო გულაღმა დაწვა. ცა უსასრულოდ ლურჯი იყო. ქეთუ ზემოდან დასქცეოდა და ნელნელა აყრიდა ყვავილებს. ჩალისფერი, მძიმე ნაწნავი ზღაპრული დალის დალალებით გადმოემალა. მერმე დაიჩოქა და თავი მყერდზე მიახტა.

ალბინისტები ყინულის ლავგარდანზე გავიდნენ. მეწინავე წერაყინით სჭრიდა საფეხურებს, რკინის ლანჩიანი ფეხსაცმელით აფართოებდა და ტაბით მიიწევდა წინ. ნაპრაღთან შედგნენ. ცოტა ხანს ბუობდნენ, მერმე პირველი აიწია და გადახტა. გადახტნენ სხვებიც. ისევ შეეული კადელი. პიტალოები. ჩაქუჩი. თოკი. როგორც იქნა, დასძლიეს! მინამქრული კარავი. გაუპარსავი, დაღლილი, მაგრამ მხნე სახეები. ღიმილის დროს თეთრი კბილები უელავთ. ერთ-ერთი ისე გატაცებით უკრავს პირის გარმონს, გეგონება ჩაჩუმქრულ კარავში კი არა, მზედაცხუნებულ პლიაქზე მჭდარიყოს.

და მწვერვალი!

ოთხივე ალბინისტს წერაყინები აღმევრიათ. სიხარულით ღრიალებენ... ლადოს ასე ცხადად არასოდეს უგრძენია, რომ მისი გზა ისევ მთებისაკენ

თეიმურაზ მაღალაფერიძე

ვაჟიგვილი

მიდიოდა. იქ ქეთუ იყო, იქ თემრაზ იყო. იქ სკოლა იყო, მოწაფეები იყვნენ. იქ იყო უშბა!

— გახსოვს პირობა? — ხმადაბლა ჩაეკითხა რიშარდი.

— ძალიან კარგად!

— ხომ არ ვადაფიქრე? წამოხვალ?

— თუ გინდა, ხვალე!

— მაგარი მომზადება გეჭირდება, ლადო.

— მოვემზადო!

...მთამსვლელებს ქვემოთ დარჩენილები მიეგებნენ. კოცნითა და ზურგზე ხელის ბარტყუნით ულოცავდნენ გამარჯვებას. ბედნიერი სახეები ჰქონდათ. მერმე კიდევ გამოჩნდა უშბის ორად გამსკლარი გუმბათი და სინათლეც აინთო.

●
ბიძინას დაყინებული თხოვნით, მეგობრები საზაფხულო პავილიონისაკენ გაემართნენ. ბალი მოსეირნეებით იყო სავსე. ახლადგამოტანილ, ჩვილ ფოთლებში ლამპიონები ციმციმებდნენ და ხეები ჰგავდნენ ზღაპრულ თაიგულებს. პავილიონის ირგვლივ, ტილოს ქილგებქვეშ ალუმინის მაგიდები იდგა. აქედან კარგად ჩანდა მკრთალ განათებული „ლურჯი მონასტერი“. თბილი, გაზაფხულის სურნელით გაყენილი სალამო იყო. სახლისკენ გული არავის მიუწევდა. ბიძინა ჩვეული სიმკვირცხლით მივიდა დახლიდართან, რაღაცა ვადაულაპარაკა და მალე სუფრა შამპანურებითა და შოკოლადების ფილებით აივსო. მერმე ძეხვი და ჰოლანდიური ყველიც მოატანნა, თავისი ადგილი დაიკავა და შამპანურები ბათქით გახსნა. ვერც ლადო, ვერც მიაა, მით უმეტეს, ვერც რიშარდი ვერ მიმხვდარიყვნენ მისი გულუხვობის მიზეზს. მხოლოდ ნუცა ილიმებოდა მრავალმნიშვნელოვანად და თვალს არ აცილებდა ლადოს...

კარგა ხანი იყო, მეგობრები ასე ახლოს აღარ შეხვედროდნენ ერთმანეთს. რიშარდი მთლად ნირწამხდარი იჯდა. ლადოს გარდა არავინ იცნობდა რიგი-

ანად და არ იცოდა, რა ეთქვა, ანდა გორ მოქცეულიყო.

— მილორნერი გახლი? — ლადომ შამპანურზე ანიშნა ბიძინას.

ეს სუფრა საკმაოდ ძვირი დაჯდებოდა, თითონ კი მანეთიანის მეტი არ ჰქონდა.

— ნუ გედარდება! თუ ფული არ გვეყოფა, მძევლად მე დავრჩები, — სიცილით უპასუხა ბიძინამ.

რიშარდმა ეს ნათქვამი გადაკრულ სიტყვად ჩათვალა, გაუბედავად ამოიწოთელი თუმნიანი. მაიაშაც გახსნა ბატარა ხელჩანთა. ბიძინას ეწყინა: — არ გრცხვენიათ? მაგის კაცი ვარ?

ისედაც აბნეული რიშარდი კიდევ უფრო აირია; ფული უკანვე ჩაიტენა. ბიძინამ ჭიქები შეაგვსო, ადგა და ლადოს გაჩეხილ შუბლზე აკოცა.

— შენ სიხარულს გაუმარჯოს!

ალაღად ილიმებოდა, ეტყობოდა, რომ გულწრფელი იყო და სიამოვნებდა ამის აშკარად გამოჩენა.

— რა მოგელანდა? — გაკვირვებით ჰკითხა ლადომ.

— ჰმ? მომელანდა?

უბის ჯიბიდან შუაზე გაეცილი, სქელი ქურნალი დააძრო, გადაფურცლა და ლადოს ცხვირწინ აუფრიალა. მარტის ნომრის თითქმის ნახევარი მის მოთხრობას ეჭირა.

— ა, ბატონო! რას იტყვი?

ლადო წამოიწია:

— მაჩვენე!

კარგა ხანს ათვალეირებდა დაბეჭდილ გვერდებს, ალაგ-ალაგ კითხულობდა კიდევ. „მისია! ნამდვილად მისი მოთხრობაა“ და პირველი, რაც იმ წუთში მოუნდა, სახლში წასვლა იყო...

— ამ დილით სტამბაში ვიყავი, — ჰყვებოდა ბიძინა, — მომდევნო ნომერში ჩემი წერილი მიდის. ვხედავ — უკვე დაბეჭდილ ნომერში ლადოს მოთხრობაა! მუშას შეევხევეწუ და ერთი ცალი ჩემად გამომიტანა. არ მეკუთვნის სამახარებლო?

— რამდენ ხანში გამოვა? — იკითხა ნუცამ.

— სულ მალე.

— ცოტა და გაგივარდება სახელი, — ნუცა პირდაპირ უყურებდა ლადოს, რალცაზე მიმნიშნებელი, დაბინდული მზერით, — ბატონო მწერალო!

„ბატონო მწერალო“ — ალერსით უთხრა.

მერმე ყველანი ფეხზე იდგნენ, ჭიქებს აქანუხებდნენ და უჩვეულოდ ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ბიძინამ დახლიდარი იხმო:

— მოიტანე, რაც შამპანური გაქვს!

— ბიძინაჯან.., — დახლიდარს სახე ჩამოუგრძელდა.

— კრინტი! იცი, ვის ელაპარაკები? დახლიდარმა შამპანური მოიტანა და ბიძინამ წითელი თუმნიანების დასტა გადაუგდო. იმ სტატიის ავანსი იყო, რომელიც მომდევნო ჟურნალში იბეჭდებოდა. რამდენი ელრიჯა ბულალტერს, სანამ ავანსზე დაითანხმებდა! იცოდა, ლადოს ფული არა ჰქონდა და უნდოდა გაეხარებინა... მთელი ეს ხანი, რიშარდი ჩუმად იჯდა.

— თქვენ რატომ არაფერს ამბობთ?

— ჰკითხა მაიამ.

რიშარდმა დანაშაულზე წასწრებულებით გაიღიმა.

— მე...

მაია ავზნებული იყო. ღვინოს სითამამე შეემატებინა.

— უგუნებოდ ხართ?

— სულაც არა!

— მატყუებთ!

— არა, მაია, არა...

— ვიცო, რატომაცა ხართ უგუნებოდ! გითხრათ?

რიშარდი შეკრთა:

— საიდან იცით?

— ყველაფერს ვხვდები, თვისება მაქვს ასეთი. თქვენ ადგილას, იმ ტიპს ხმასაც არ გაცემდით.

— ვინ ტიპს?

— აი, მთამსვლელი იყო თუ ვიღაც ვეშაპი.

რიშარდმა გაკვირვებით შეხედა.

— აჰ გითხარით ყველაფერს ვხვდები-ბი-მეთქი...

— ნეტა სადმე ქალაქგარეთ ვიყოთ, — ინატრა ლადომ.

— ხალხნო, მოდი შაბათს წავიდეთ, სადმე, ა? — მაია რიშარდს მიუბრუნდა, — თქვენ ხომ გცალიათ?

— როგორ არა! როგორ არა!

— სად წავიდეთ? — იკითხა ბიძინამ.

— რიშარდმა გადაწყვიტოს. რიშარდი მაგ საქმის ოსტატი! — უპასუხა ლადომ.

მთაწმინდის მხრიდან ქვემეხების ძლიერი ზალბი გაისმა. წითელ-ყვითელმა შუშხუნებმა ჩაბნელებულ ცაზე რკალი მოხაზა, წამიერი თეთრი კვალი დასტოვა და გაჰქრა. ვინც კი პავილიონის ირგვლივ მავიდებს უსხდნენ, შეთანხმებულეზივით წამოდგნენ და გაგარინის სადღეგრძელო თქვეს.

— მ... მართლაც ბედნიერი დღეა, — თქვა რიშარდმა, — ძალიან ბ... ბედნიერი! გ... გაუმარჯოს ყოვლის შემძლე ადამიანს! გაგარინს გ... გაუმარჯოს! და უშუას! — ჭიქა მოიყუდა, თან ლადოს გაახედა. უთქმელად მიუხვდნენ ერთმანეთს.

ისევ ამოიფრქვა ფერადი შუშხუნების თაიგული. ბათქიც გაისმა. მთაწმინდას მახათა, შევნაბადა, თაბორი და არსენალის გორაც შეუერთდა. ყოველ ზალბზე ღამე თვალისმოკრულად კაშკაშდებოდა და საიდანაც ისმოდა ბავშვების მხიარული ყვილ-ზივილი.

ბებერი თბილისი ადამიანის კოსმოსში ავარდნას ზემოზდა.

თავი II

ტაძრის რკინით შეჭედილ კარს მძიმე ბოქლომი ედო. რიშარდი, მაია და ლადო ასწლოვან კაკლის ქვეშ იყვნენ წამოწოლილნი. ნუცა და ბიძინა დაუბრებულეზივით დასხდნენ მათ გვერდით. ტაძარს მზე მისდგომოდა. ძლიერ შუქზე მეტი სიცხადით ჩანდა ხაზთა ფაქიზი დახვეწილობა. თითქო მისი შემოქ-

თეიმურაზ ბაღვაშვილი
წყურვილი



მედი განგებ ცდილა, რომ თვითულ ხეულში თუ ორნამენტში მარადიული ქალურობა გაეცხადებინა. მამაკაცურია ჯვარი! მამაკაცურია სვეტიცხოველი და გელათი! ყინწვისი კი, ქალწულებრივი სისპეტაკისათვის ნათქვამი სიმღერა იყო. მაის ნიკაპი მკლავებით შემორკალულ მუხლზე ჰქონდა დაყრდნობილი, ტამარს შესცქეროდა.

— პირველად ხართ აქ! — ჰკითხა რიშარდმა.

მაიამ თავი დაუქნია.

— დიდი ს... სიხარული მ... მოგვლით. მთელი ტაძარი ს... საოცარი ფრესკებით არის მ... მოხატული.

— კარი რომ დაკეტილია? — აწრიალდა მაია, — ვინ გაგვიღებს?

— მოვა მცველი.

ნუცამ ბიძინას ზურგჩანთის ჯიბიდან პატარა სარკე ამოიღო. გულმოდგინედ შეითვალიერა სახე, თმებზეც გადაიკრა ხელი. სარკეში ბიძინას ნაპერწკლიან მზერას წააწყდა და ოდნავ, სულ ოდნავ გაიღიმა...

ლადოს თავი ბალახებში ჰქონდა ჩარგული. თვალეები მუქი სიმწვანით ავსებოდა. მთელს არსებაში მშვიდი, გამჭირვალე სინათლე დაუდიოდა, თითქო სადღაც ახლოს მოცარტის უნაზეს მუსიკას უკრავდნო.

— თქვენ ალბათ ბევრს დადისართ, არა? ნეტა თუ დაგრჩათ უნახავი რომელიმე ისტორიული ძეგლი?

— ს... საქართველოში — მგონი არა. ეს ხომ ჩემი ს... სპეციალობაა.

— ბედნიერი კაცი ხართ.

რიშარდმა გაუღიმა და თეთრი, მაგარი კბილები გააღვია.

— განა ეს კმარა ბედნიერებისათვის?

მაიამ უგანა პასუხს.

— სულ იმას ვოცნებობ, საქართველო ფეხით შემომატარა-მეთქი. განსაკუთრებით, მთიანი საქართველო.

— მალე შელამდება, — თქვა ნუცამ, — შემას არ მოიტანთ?

ბიძინა გრძნობდა: დღითიდღე, შეუ-

მჩნევლად, უფრო და უფრო იცქერებოდა ეს ქალი...

— არ ვიცოდი, თუ ასე გ... გიყვარდათ მოგზაურობა. — უთხრა რიშარდმა მაიას.

— ოღონდ სადმე წასვლა უხსენე და მაშინვე აიკრავს გულა-ნაბადს, — ღიმილით თქვა ლადომ.

— თუ ასეა, ჩვენ გ... განუყრელი თანამგზავრები ვიქნებით.

— წავიდეთ შეუზზე, — თქვა ბიძინამ, — წავიდეთ!

ნუცა და მაია კიდევ დიდხანს იწვნენ ერთმანეთის გვერდით და ჩუმად უცქეროდნენ მიღრეკილი მზით განათებულ ტაძარს, რომლის გუმბათსაც ჭღურტულით უფერენდა აუარებელი მესკია-ჩიტი.

— წვიმა იქნება, — თქვა მაიამ, — როცა მესკიები ასე გამოიშლებიან, უძველად მოწვიმს.

— ნეტა მართლა კარგია ყინწვისის ანგელოზი? — ნუცა თავისთავს ელაპარაკებოდა, — ჰა?

— ალბათ...

— რაღაც ისეთის ნახვა მინდა, რაც მთლიანად შემცვლის, გამაუყეთესებს, — ჩურჩულით თქვა ნუცამ, — ო, როგორ მინდა!..

— ამას წინად ლექსი წავიკითხე ყინწვისის ანგელოსზე, — თქვა მაიამ.

— თქვი რა! — შეეხვეწა ნუცა, — თქვი!

შენი დაღლილი ღიმილი მაკრობს, გაბმული სევდა ამქვეყნიური. ო, ასე ჩუმად და ასე მარტო მთებში სხივებზე დნება ყინული. მე ვერ მოგატან რტოს იასამნის და ვერც გაზაფხულს ვერ დაგპირდები, ჩუმიო ზეცა და წვიმასავით შუბლს უგრძობენ შენი თითები...

— ღმერთო ჩემო! — დაიკვნესა ნუცამ. — „და ვერც გაზაფხულს ვერ დაგპირდები!“ ღმერთო ჩემო! — ლოყით მიეხუტა მაიას.

— ნეტა იცოდე, როგორ მიჰირს! მაია წამოიწია.

— რა მოგივიდა ნუციკო? — მისი



ხმა იმდენ სიტბოსა და ალერსს იტევდა, რომ ნუცას კიდევ უფრო ამოუჭადა გული.

— მეც მინდა შენსავით წმინდა ვიყო, მაია... შენსავით შემეძლოს ლექსების თქმა... საერთოდ, შენნაირი მინდა ვიყო...

მაიამ სევდიანად გაიღიმა.

— სულელო, სხვა ვერავინ ნახე სამაგალითო?

— მე მინდა, ბოლოს და ბოლოს, ვინმე დამპირდეს გაზაფხულს... მე მინდა, რომ კაცები მეგობარებით მიყურებდნენ. მითხარი, გამომწვევად ვიქცევი?

— არ ვიცი, ნუციკო...

ნუცამ, სქელი თმის ტევრი სახეზე ჩამოიფინა და როგორც მაიას მოეჩვენა, ბორბტად, ორაზროვნად გაიღიმა.

— თუმცა, რა საჭიროა ლიტონი სიტყვები? მე ახლა ველარაფერი გამაჩერებს... ველარაფერი...

„ნამდვილი ალქაჯია“, — შიშით გაფიქრა მაიამ.

ეზო-ყურეს უჩუმრად მოედო ბინდბუნდი. ტაძრის ნაკვეთები მუქლურჯი ფერების ლივლივს შეერწყა. მიწელდა მესკიათა ხმიანობა. ყინცურის მშვიდი დურღული უფრო გარკვევით ამოისმო ხევიდან. მცირე ეკუღმურთან ცეცხლი ენთო. მის შუქზე სახეები მოყვითალოდ ჩანდა. გაზაფხული ვერ იყო საბოლოოდ დაქალბული და მზის ჩასვლის შემდეგ სუსხმა გაჰკრა. ნუცამ და მაიამ თბილები გადაიცივეს, ბიძინაც ნიკაბამდე ჩაძვრა ტყავის კურტაკში.

— რა სჯობია ახლა მშობლიურ ლოგინს? — თქვა ნატვრით, — აშენდსენი ვარ, ამ ყინვაში ლამე ვათიო?

— ნუ დაიწყე შენებური! — უთხრა ლადომ.

— გინდაც მომკლათ, ვერაფერი გამოვივა ამ ალბინისტებისა.

— რის თქმა გნებავთ? — ჩაეყითხა რიშარდი.

— დარტყმული ხალხია, — განაგრძო ბიძინამ, — იყინებიან, იფიჩხებიან

და მაინც მწვერვალისაკენ უჭირავთ თვალი. ვერ დაჯდებიან სახლში? რავედნი საქმეა გასაკეთებელი!

— რას ამბობ, ბიძინა! — შესძახა მაიამ.

— ეგეც არ იყოს, მთებზე ბლოტიალი ისეთი ადამიანის საქმეა, რომელსაც შინაგანი ცენტრი არ გააჩნია და ცდილობს საკუთარი თავი გარე მოვლენებთან შეჯახებაში დაამტკიცოს. ფიზიკური ძალა თუ გეყოფა, მწვერვალზე ასვლას მოახერხებ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, რა აზრი აქვს ამას? რიშარდი ალელდა. კიდევ კარგი, რომ ბნელოდა და ვერავინ დაინახავდა სიწითლეს, რომელიც სახეზე და ყელზე მოედო.

— როგორ გ... გეკადრებათ!

— მაინც? მაინც? რა აზრი აქვს?

„ნეტა არ უპასუხოს“, — გაფიქრა ლადომ.

— მთა უკეთ შეგვაცნობინებს საკ... კუთარ თავს, რადგანაც იოლად არ გ... გვნებდება და წ... წინააღმდეგობას გ... გვიწევს! ასე არაა, ლადო?

— ვიეახშმოთ, — თქვა ლადომ, — ძალიან მომშივდა!

არ უნდოდა კამათში ჩაბმა; იცოდა, თუ დაიწყებდნენ, უმტკივნეულოდ ვეღარ დაამთავრებდნენ. ზედმეტად ბევრი იყო სათქმელი და განსხვავებული თვალსაზრისი, რომ საუბარს მდორე დინება მისცემოდა. ზურგჩანთიდან პური, ყველი, „შპროტი“ და კონიაკი ამოიღო. პლასტმასის პატარა ჭიქაში დაასხა. რიგრიგობით სვამდნენ, თან მაღიანად ილუკმებოდნენ. კონიაკმა მალე ასწია განწყობილება. ბიძინამ ტრანზისტორი აამუშავა. ხრიალი, უცხოური ლაპარაკი და მუსიკის ნაწყვეტები ერთმანეთში აირია. აქა-იქ გაგარინსაც ახსენებდნენ. მსოფლიო ჯერ კიდევ ვერ გამოარკვეულიყო იმ განცვიფრებისაგან, რომელიც 12 აპრილმა მოიტანა... ბოლოს, თავბრულამხვევ

თეიმურაზ გალავანიძე
წყურბული

ჯახს მიაგნო და შკალაზე ძიება შეწყვიტა. რიტმი შედიოდა ტანში, ავსებდა ძარღვებს და სისხლს ადუღებდა.

— ვცეკვავთ! — წამოიძახა ნუცამ. ბიძინა მშშინვე აპყვა. ეს იყო გადარევა! ლტოლვა სრული თავდავიწყებისაგან და ლადოს მიეჩვენა: — ნუცა გაჩერდება, თავს ააღირებს, ფლოქვებით მიწას მოთხრის და ჭიხვინს დაიწყებსო. რაღაც ძალამ ფეხზე წამოაგდო, ყურებზე ხელები აიფარა და გაიქცა. ქვის ყორესთან ჩაჯდა, სული მოითქვა. ნახად, სათუთად ფშვენდნენ ახლადაფეთქილი ატმის ხეები და საამო სურნელს აკმევედნენ. ლადომ ხელი ააყოლა ხის დამაშრულ ტანს და მოვარსკვლავებულ ზეცას მიაჩერდა...

— ლადო! — მოისმა ძახილი, — ლა-ადო!

დამძიმებული გულით გაემართა მათკენ. ცეცხლი მინავლულიყო და სახეები ლიბრად ჩანდა.

— გადავიარათ ფუნდრატუკის უინმა?

— სად გაიქეცი? ჩვენ ცოდვებს შენ ინანიებ? — ნუცა ირონიულად იღიმებოდა.

— ყველამ თავისას მოუაროს! — უხეშად მოუჭრა ლადომ.

— კონიაკი მინდა, — თქვა ბიძინამ.

რიშარდმა ცარიელი ბოთლი დაანახა. მერმე, მაიასთან ერთად, საძილე ტომრების გაშლა დაიწყო. ეს საძილეები ალპური კლუბიდან ჰქონდა ნათხოვარი, ბუმბულისა იყო და გაზაფხულის სუსხი ვერ გაატანდა.

— რომ დაგვწვიმოს? — ჰკითხა მაიამ.

რიშარდმა ცას ახედა.

— არა მ... მგონია. თქვენ როგორ ფიქრობთ: მ... მართლა სისულელეა ალბინიზმი?

— იხუმრა ბიძინამ, რიშარდ.

— არა, ეს ხუმრობით არ იყო ნ... ნათქვამი!

— ნუ გეწყინებათ, — მაია ოდნავ მიელამუნა ხელზე, — ასე იცის.

რიშარდმა სიხარულით გაიღიმა.

— მზადაა — გასძახა დანარჩენები. — „შ... შეგიძლიათ მოისვენოთ.

ნუცა ჯობით ჩიჩქნიდა ღველფს და ნაპერწკლებს აყრევივებდა. ბიძინა და ლადო ყოტებივით ჩუმად ისხდნენ ლედებზე.

— ოო, როგორ მინდა რამე მოხდეს... — იღუმალი ხმით თქვა ნუცამ, — ახალი, მოულოდნელი!

— მაინც რა? — ჩაეკითხა ბიძინა.

— აი, თუნდაც, ბატონმა მწერალმა დაიხოქოს და შემომღალადოს: უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიათ. ლადო მოიღუშა.

— რას ბოდავ?

— ნუცა! — ბიძინას ხმა დაეძაბა, — ნუცა!

ნუცამ გამომწვევად გადაიხარხარა:

— ბატონო კრიტიკოსო, გახსოვთ ლექსი „მე ვერ მოვიტან რტოს იასამნის და ვერც გაზაფხულს ვერ დაგპირდები“, ა? გახსოვთ?

„ფეხი მომტეხოდა, არკი წამოვსულიყავი“, — გაიფიქრა ლადომ, ცეცხლს გადაალაჯა და საძილე ტომრისაკენ გაემართა. შიში, რაღაც უცნაური და უთქმელი შიში არ უსვენებდა...

ნიმბიანმა, საესე მთვარემ დაჰხედა ტაძარს და ასწლოვან ნიგვზებს ჩიჩქი ფოთლები ვერცხლისფრად აუციმციმა. ლადოს ყველაზე მალე ჩაეძინა. შფოთიანი, ძმომე ძილთ. ეზმანა, თითქო ის და რიშარდი ყინულის ლავგარდანზე მიაბიჯებდნენ. ზემოდან უშბის გუმბათი დასცქეროდათ... თუმცა, ეს უშბა კი არ იყო, არამედ ყინვისის ტაძარი. დამრეც, გალიბულ გუმბათზე ხელ-ფეხის მოსაკიდებელი არსად ჩანდა და ლადო უსასოო, ცხადი სიმწარით გრძნობდა: — აგერ-აგერ უნდა მოწყვეტილიყო...

ბერიკაცმა მზე ხელით იჩრდილა. საყდარს შეხედა, ქული მოიხადა და პირჯვარი გადაიწერა. ლადომ იფიქრა — მცველი იქნებაო. შეეგება.

— დილის მაღლი შეგეწიოს, გმველოდეს წმინდა ნიკოლოზი!



— იცოცხლე, პაპა.
 — ღამე აქ ათივეი?
 — აქა.

— მერე? არ შეგცივდა? ჩამოხვი-
 დოდი სოფელში, რიგიან-პირიანად მო-
 ისვენებდი.

— მარტო არა ვარ, პაპა.

— სხვები სადღა არიან?

— გაღმა, ტყეში გაისეირნეს.

— იმათაც ჩამოიყვანდი, შე კაი კა-
 ცო, განა დასაწოლს ვერ გიშოგნიდით?

— აღარ შეგაწუხებთ. საძილე ტომ-
 რები გვქონდა.

მოხუცმა ჩაიციხა უკბილო პირით.

— რანი ხართ ეს ქალაქელები! ჩაძ-
 ვრებით ტომარაში და ჰაიდა. ახლა
 რაო, წმინდა ნიკოლოზის დათვალიე-
 რება გინდათ?

— გვინდა, პაპა.

— ყაბულსა ვარ, გავაღებ, მაგრამ
 კედლებზე სულ ხარაჩოებია მიდგმუ-
 ლი. წინა კვირებზე ქალაქიდან ინ-
 ჯილერი ამოვიდა, ოსტატებიც ამოიყ-
 ვანა, რაც რამ მოხატულობა არი, უნ-
 და შევეაკეთოთო. მთავრობის ქალაქი
 ჰქონდათ. მაგას რაღა აჯობებს-მეთქი.
 ცოტა-მატა იფართიფურთეს, ხარაჩო-
 ები დადგეს და ეგ იყო, შარშანდელი
 თოვლივით აიხვეტნენ. ვუცდი, ვუცდი,
 მაგრამ საქმეში ხარ?

მიძიმე ბოქლომში კლიტე გადაატრი-
 ალა და რკინით შექედილი კარი ფარ-
 თოდ შესხნა. ნესტი, სიჩუმე და სიბ-
 ნელე გამოვარდა.

სარკმელებიდან ვიწრო სვეტბად
 ეშვებოდა დილის მზის სხივები და
 ტაძარში მიმქრთალებული შუქი რი-
 ალებდა. ხარაჩოები სწორედ იმ კე-
 დელზე მიედგათ, სადაც გიორგი მეს-
 ამის, თამარისა, ლაშასი და ყინწვისის
 ანგელოზის ფრესკები იყო. ზეიმური
 დღემილით იცქირებოდნენ ღვთისმშო-
 ბლის, წინასწარმეტყველთა და მახა-
 რებელთა სახეები. ეკუდერში, კართან,
 ტაძრის განმანახლებლის, ზაზა ფანას-
 კერტელ-ციციშვილის პორტრეტი ეხა-
 ტა. დიდებულის მაღალი ქუდი ჰქონდა
 დარქმული, ხელთ ტაძრის მოდელი ეპ-

ყრა და ბრძენკაცის თვალებით იყურე-
 ბოდა დიდი მწიგნობარი და ჰაქიმო-
 ლადომ მზერა გაუსწორა მის ჭკვიან-
 ურ, დრო-ჟამისაგან მიმქრალ სახეს და
 წამით მოეჩვენა, რომ ფანასკერტელის
 ბავშვზე მჭირდავი ღიმილი მოსხლტა...

ისევ მთავარ ტაძარს მიაშურა, კრძა-
 ლვით შედგა ფეხი ხარაჩოზე. არა-
 სოდეს ენახა ასე ახლოს დედა თამა-
 რი. არც ლაშა, არც გულზვიადი მე-
 ფეთ-მეფე გიორგი. დაუძლეველად უნ-
 დოდა შუბლზე ეგრძნო თამარის ღვთა-
 ებრივი თითების შეხება, გაეგონა წყნა-
 რი, სულზე სალბუნის მომფენი ხმა: —
 „შვილო ჩემო“.

რა იყო ეს, ჩაფერვლილ სახეთა
 ნათელობილა? სისხლის ნიაღვრებით
 გაპოხილი საკუთარი მიწა-წყლის ყიფ-
 ილი? ვანწმენდა ყოველგვარი ზადისა-
 გან? თუ მომწოდებელი ხმა მამათა
 ცხელი გულისა? რა იყო ეს?

ხარაჩოების ჭრიალმა გამოარკვია. ბი-
 ძინა ამოდიოდა.

— სად დაიკარგე? მთელი ტყე გადა-
 ვაბრუნე შენი ძებნით?

— გინდოდა რამე? — უგულოდ და-
 ინტერესდა ლადო.

ბიძინამ ჩაიციხით შეხედა.

— ისეთი არაფერი... ხელი შეგი-
 შალე?

— როგორ გითხრა...

— რომელია ყინწვისის ანგელოზი?
 ხარაჩოზე რამდენიმე საფეხურით
 აინაცვლეს.

ლაყვარდოვან ანგელოსს ყელი მოე-
 დერებინა, გაუმხელული სევდა უკრ-
 თოდა ბუდეშურ თვალებში. ისე ჰაე-
 როვნად იჯდა, ისეთი კდმა და უბი-
 წოება გამოუჭვიოდა ყოველი ნაკვთი-
 დან, რომ არავის გაუტყვირდებოდა, თუ
 ფრთების ჩუმში შრიალით ამაღლდე-
 ბოდა ზეცად.

— საოცრად არამიწიერი ყოფილა,
 თქვა ბიძინამ.

— სხვანაირს ელოდი?

თეიმურაზ მაღლაფერიძე
 წყნარული



— ჰო. უფრო თანამედროვეს.

ლადო გააღიზიანა მისმა კილომ. თითქოს ვალდებულების მოხდის მიზნით ლაპარაკობდა.

— მაინც, როგორ წარმოგიდგენია „უფრო თანამედროვე?“

ბიძინამ ხელი ჩამოუსვა ანგელოსის ცისფერ სამოსის ნაოქს და თითებზე დაიხედა — მტვერი ხომ არ ამყვავო.

— ახლა სხვა დროა, ბატონო ჩემო: ადამიანი გამოიცვალა. მისი სული კუთხოვანია და ჭრელი. ასეთი სიმშვიდე და უბიწოება არც ესმის ვინმეს და ამიტომ, არც ესაჭიროება...

— სტყუი! — გააწყვეტინა ლადომ.

— დამიჯერე...

ლადო ვერ იცილებდა შეგრძნებას, ყოველივე ამას იმიტომ ლაპარაკობს, რაღაც მძიმე და შემაწუხებელი გაამართლოსო. თავისდაუნებურად შეებრა-ლა.

— მოეშვი როლის თამაშს, ბიძინა!

— დამიჯერე-მეთქი, სულ სხვა რამეა საჭირო!

— კერძოდ, რა?

— წუხელი, ჩვენ რომ „ტვისტს“ ვცეკვავდნენ, შენ სადღაც გაიქეცი. ნაღდად ფიქრობდი — როგორ შეიძლება ყინწვისში „ტვისტის“ ცეკვაო.

— ეგ რა!

— შეუძლებელია დღევანდლობას წარსულის თვალთ უყურებდე...

— იცი რას გეტყვი? გზებს ნუ ბლანდავ!

— შენ მწერლობაში რეალისტი ხარ, ცნობრებაში კი — გამოუსწორებელი რომანტიკოსი. ამიტომ, ცოტა არ იყოს...

— მითხარი, რა გინდა!

ბიძინას, ღიმილის ნიშნად, სახე დაემანჭა...

— ჰო, სწორია! სულ სხვა რამის სათქმელად მოვედი, ღობე-ყორეს კი ვეხლები.

ლადოს გულმა რეჩხი უყო: „ნუთუ?... ნუთუ?“...

— გისმენ!

— პირდაპირ გითხრა?

— გისმენ!

— რას იტყობდი, მე რომ ნუცასთან ვარა? — მტანჯველი სიჩუმე ჩამოვარდა.

— თქვი: ან ჰო, ან არა! — წამოიძახა ბიძინამ.

მისი ხმა ყრუდ გაისმა ტაძარში. ლადო დაფანტული მშერით უყურებდა ანგელოსის მშვენიერ, სევდით ამოვსებულ თვალებს.

— ნუ იზამ მაგას, ბიძინა! — თქვა ჩუმად.

ბიძინა საცალფეხო კიბეზე ჩამოჯდა, თავი ჩაჰქინდრა.

●
ცა ერთბაშად დაჰვარა ყომრალმა ღრუბელმა. რიზარდი ჩქარობდა და სხეებსაც აჩქარებდა, მაგრამ დაღმართის ბოლოში წვიმა მაინც წამოეწიათ. ამ დღეღამაში მანქანასაც არ უჩანდა პირი. შორს, მზის სუსტი სხივებით განათებულ დაბლობში, მოჩანდა ქარელის თეთრი სახლები. თუ გზატკეცილს გვერდს აუტკეცვდნენ და ჭეჭილზე გადაივლიდნენ, მანძილი ერთიორად შემოკლდებოდა. რიზარდს რჩევა არავისათვის უკითხავს, მოდივებულ ღელეზე ჩაირბინა, კბოდე ათარა და პირდაპირ ხოდაბუნში გააბოტა. ენერგიული, ოღნავ მოკელანავე ნაბიჯით მიდიოდა. ეტყობოდა, რომ სიამოვნება წვიმაც და ის ოსზივარიც, ცვარნაყრავი, თბილი ნიადაგი რომ აუშვებს ხოლმე. მიწა მალე ატალახდა, ფეხს მძიმედ აეკრა და ნაბიჯი დაამძიმა. ტრიალ, ჭეჭილით გადააწვანებულ ველზე არავინ ჩანდა — წეროებივით მწყრივად მიმავალი ხუთი მგზავრის გარდა. თავით ფეხებამდე გაზუზულები იყვნენ, უკან დარჩა ტყიან ფერდაზე წამომართული ყინწვისი. აქედან მხოლოდ წვიმის ბლონდჩამოფარებული გუმბათი ჩანდა...

მაიას მთლად სველი, ლურჯი პერანგი და სპორტული შარვალი ტანზე მჭიდრად შემოტმასნოდა და ძუძუ-მკერდი და მაღალი თეძოები კიდევ უფრო თვალშისაცემად გამოეკვალთა. უმიზეზო ალტაცებისაგან არ იცოდა რა

გაეკეთებინა. ვადამდებად, მთელი გულით კისკისებდა. ხელები გაშალა და ადგილზე დაიწყო ტრიალი — თითქო უნდოდა წვიმის თვითეულ წვეთს მოჰფერებოდა.

დანარჩენები უსიტყვოდ შესტკეროდნენ. რიშარდი — ბავშვური, კეთილი დიმილით, ნუცა ფრთხილად, ლადო — დაფიქრებული, ბიძინას ნაწამები, გაბოროტებული სახე ჰქონდა. უცებ, შეტრიალდა და გაიქცა.

- მაგრად წვიმს, არა? — თქვა ნუცამ. მაიას გაელიმა.
- კარგია!
- გიხარია კიდევ?
- ძალიან!
- ო! — თქვა ნუცამ, — ო! მთლად გავილუმპე!

რიშარდი, ოდნავი კოკლობით, სწრაფად მიდიოდა, მაია ველარ ეწეოდა და ჩამორჩენილი ნუკრივით მიჰყვებოდა. ლადომ იგრძნო: მათ შორის წვიმის წვეთებივით სათუთი ინტიმის ძაფები იყო გაბმული...

თავი III

დილაადრიან, სამსახურში მიმავალ ლადოს ვიღაც ახალგაზრდა წამოეწია. უკაცრავად, თქვენ იაშვილი ბრძანდებით?

ასაკისათვის შეუფერებლად სქელი იყო. დეკაცურ მხრებზე დიდი, ქერათმიანი თავი ედგა. გამობურცული ტუჩები თხელ და რბილ უღვაშს დაეფარა.

„ნეტა სად მინახავს?“ — გაუელვა ლადოს.

- დიახ;
- თემრაზ ჯაჭვლიანი გახსოვთ ალბათ...

ლადო კინაღამ შეხტა. „თემრაზ, აქა ხარ? შენი ჰირიმე, აქა ხარ?“

რუსთაველის ძეგლთან იდგნენ. ტროტუარებზე, გადასასვლებზე, ქიანქველებივით ირეოდნენ ადამიანები. უწყვეტ ნაკადად დალოდავდა ავტობუსების ლაშქარი. დუღდა და გადადიოდა

გაზაფხულით აფერადებული დილით ქალაქი.

ახალგაზრდა დინჯად უხსნიდა ლადოს, რომ თემრაზ არ იყო ჩამოსული. სამაგიეროდ, აქვე ბრიგადირი ათმურზა იცდიდა. როდის ჩამოვიდნენ? ამ დილით, სოხუმის მატარებლით. და აკი ლადო იაშვილსაც გადაეყარნენ შემთხვევით. ახალგაზრდის ვინაობა? ჯუმბერ ონიანი! არა, ლადოს არ ესხომება ჯუმბერი, რადგან ერთი ორჯერ თუ შეხვედრიან ერთმანეთს ბეჩოში, ისიც ცოტა ხნით. ჯუმბერი სტუმარია ზემო სვანეთში, იშვიათად ჩადის ხოლმე ზაფხულობით თავის დედის ძმასთან, ბრიგადირ ათმურზასთან...

ლადოს სულ გადაავიწყდა, სამსახურში რომ აგვიანდებოდა. დაუფიქრებლად გაჰყვა ჯუმბერს. რესტორან „ყუზბეგში“ ჩასასვლელთან შორიდანვე გალანდა ათმურზა. ზამთრის დაბამბული პალტო და მძიმე ჩექმები ეცვა. „სვანეთში ალბათ ისევ სიცივეებია. იქნებ თოვლიც არ აუღია ჯერ. რა ვუთხრა? რა კვითხო?“ — ფიქრობდა ლადო. მლეღვარებამ ისე დაპრია ხელი, სალამიც ველარ მოახერხა რიგვიანად.

— ლადო! სი მარე! — შესძახა ათმურზამ. მერმე გაუთავებლად, სულის შეგუბებამდე ჰკოცნიდა ხან ერთ, ხან მეორე ლოყაზე. აღარ იცოდა, რით გამოეხატა აღტაცება. გარშემო უჯლიდა, მსხვილ, დაკვანძულ თითებს უბარტყუნებდა. შუბლის იარაც კი გაუსინჯა.

- ეს საიდან, კაცო, ჰა?
- სვანეთის სახსოვარია...

ათმურზამ უნდობელი, ბასრი მზერა გააელვა. მაშინვე უგანა საუბარს:

— ჰოუჰ, რა ყოფილა ქალაქი! ჯუმბერ რომ არა, სით გავიგნებდი გზაკეალს?!

— ჩემი ბიჭი ხომ გახსოვს, ფრიდონი? — წამოიწყო ისევ, — შარშან უნ-

თეიმურაზ მაღალაფრიძე
წყურვილი



ივერსიტეტში აბარებდა, მაგრამ ვერ ჩაირიცხა. ახლა იმიტომ ვარ ჩამოსული, საბუთების გამოტანა მინდა. წელს ძროხების საეჭიმოზე ჩავაბარებინებ. ეგ უფრო გვჭირდება სოფელში.

— მართალი ხარ, ბუბა, — დამეოწმა ლადო.

— ზუგდიდში კარტოფილი მაქვს ჩატანილი. სხვას დავუტოვებ და წამოვედლი. შენ? შენ რავე ხარ, ბუბას ლადელ ეჩქამ, ა?

გამვლელები უდიმილოდ ვერ უყურებდნენ ჭოლოკივით აწოწილ ათმურზას, რომელსაც ამ გაგანია სიცხეში დაბამბული პალტო ეცვა და კრაველის გალიბანდი ჰქონდა ჩამომხობილი.

— ჰე, კაი ახლა, ნუ გააბი შენებური! — უთხრა ჯუმბერმა, — დროზე ვქნათ, თუ ვაპირებთ რამეს;

ლადო მიხვდა, შემთხვევით რომ არ იყვნენ გაჩერებული „ყაზბეგთან“. ტუჩზე იკბინა. ჯიბეში საწყალი მანეთიანი ედო. დამშვიდობებოდა და გასცლოდა? არა, ეს მის ძალ-ღონეს აღემატებოდა. ჩაპყლოდა რესტორანში? მაგრამ ასე უკაპიოკოდ? რას ეტყოდნენ სვანეთში თემრას — საუზმე ვერ გვაჭამა შენმა მეგობარმაო?! გაიქცეს სახლში? მაგრამ იქაც რომ არაფერი ეგულება? იქნებ სამსახურში ესესხოს ვინმეს? მაგრამ სამსახურში თუ გამოჩნდა თავს ვერ დაიძვრენს. თანაც, ხელფასის დღე ზეგაა მხოლოდ, დღეს კი — ყველა ლადოსავით ქესატად იქნება...

ჯუმბერმა მეგობრულად გამოსდო ხელი:

— ჩავიდეთ, თითო ჭიქით დავლოცოთ ჩვენი შეხვედრა...

ლადოს ელვასავით გაპკრა: „შალიკო!... მეხინკლე შალიკო!“...

— ჩემთან წამოდიო!

— აჰ! — იტყია ჯუმბერმა — აჰ!

— შენ არ მომიკვდე! — თავბატიეი გამოიღო ათმურზამაც.

— ძალიან დაკავებულიც რომ იყოთ, მაინც უნდა წამოხვიდეთ! — მოსჭრა ლადომ, — ჩემი სტუმრები ხართ!

ლადო უკვე მანქანებს უჩივდა ხელს, რომლებიც განუწყვეტელად ჩარბოდნენ ელბაქიდის ქვაფენილიან დაღმართზე. „პობედა“ გაჩერდა. ათმურზამ ძლივს შეიტანა ზონზროხა ტანი კაბინაში. ბოხონი ვადასძვრა. როგორც იქნა, მოთავსდნენ და ავტომობილი კვლავ პროსპექტზე აბრუნდა. „რომ არ იყოს შალიკო, რაღა ვქნა? ფიქრობდა ლადო, — ჯერ ვიპურმარილებ, მერმე ამათ გამოვუშვებ. მე კი გულახდილად ვიტყვი: ფული არა მაქვს, რაც გინდათ მიყავით-მეთქი. არა, იქნება უეჭველად იქნება“... ოპერასთან, ქუჩის საათი ათს უჩვენებდა. უკვე ერთი საათით იყო სამსახურში დაგვიანებული. ეშმაკმა უწყის, კიდევ რამდენი დაავგვიანდება. თუ გაუგებდნენ, ულაპარაკოდ აპკილებდნენ საყვედურს. ეს კარგად იცოდა ლადომ, მაგრამ ათმურზას მიტოვება, სულაც რომ მოეხსნათ სამსახურიდან, მაინც არ შეეძლო.

შალიკო ერთი გამხდარ-გაჩხიკინებული, ნახშირივით შავი კაცი გახლდათ. სიცხეში აივანზე მოკლესახელოებიანი ბაღურით უყვარდა ჯდომა. ერთთავად ნარდს თამაშობდა ხოლმე. მეზობლებში იყევხინდა: — დღეში ხუთთუმნიანი ვარო. ლადოს პატივისცემით ეპყრობოდა — ვითარცა ნასწავლ კაცს. „ამ დღეებში ჯამაგირის გარდა, ჰონორარსაც ავიღებ და გავისტუმრებ. ოლონდ კი დამიხვდეს“...

ლენინის მოედანზე, ქალაქის საბჭოსთან, მოფერმა ჰკითხა:

— საით წავიდე?

— „ჯიტაგებში!“ — უთხრა ლადომ. „ჯიტაგებს“, ერთ ლამაზ ქუჩაზე პატარა სამწვადეს ეძახდნენ. იქ დახლიდარად მუშაობდა შალიკო. „ჯიტაგები“ მთელ ქალაქში განთქმულ „ლულა-ქაბაბას“ და ზინკალს აკეთებდნენ. ვის არ ნახავდით იქ: შოფრებს, მტვრითავეებს, სამსახურიდან შესვენებაზე გამოსულ ბუღალტრებს, მწერლებს, „დახურულ ბაზარში“ მოვაჭრე თუ შურქუდიან გლეხებს, სტუდენტებს და ეგ-

ზოტიკის მოყვარული უცხოელებსაც კი. სარდაფში რამდენიმე ალუმინის მაგიდა იდგა. ჰაერი ლუდისა და შავი პილპილის ცხელი ოხშივრით იყო გაყენებული, სულის მოთქმა ჭირდა. ლადომ კიბეზე ჩაალაჯა თუ არა, ცინკ-დადაკრულ დახლს იქით თეთრხალათიანი შალიკო დაინახა და გულზე მოეშვა.

— ვა, ლადო?

— უნდა მიშველო! — უთხრა ხმადაბლა.

— ჩემი თავი გენაცვალოს. ფული გინდა? რამდენი?

— აქ დავსხდებით, ხელფასზე ვაგისტუმრებ...

— შე კაი კაცო, რა ბარიშნასავით გაწითლდი? მოგიკვდეს შალიკო თუ საკადრისი პატივი არა გცე. დაბრძანდით.

ლადო აყოვნებდა.

— შალიკო...

— დაბრძანდით, ლადოჯან, დაბრძანდით!

ლადომ მხიარული ღიმილი აიფარა და კუთხეში მიმსხდარ სტუმრებს უთხრა:

— ახლავე გაჩნდება ყველაფერი!

— რა გამოვიდა, შე კაცო, ჩვენც კი გვაქვს ფული! — ჩაილაპარაკა ჯუმბერმა...

— ჩემზე მეტი არ გექნებათ, — ლადოს გაეცინა.

— შენზე მეტი მართლაც ვის ექნება, — ჯუმბერმა მხარზე დაჰკრა ხელი, — ბლომად მოგცეს მოთხრობაში?

ლადო შეჩქვიფდა.

— თქვენ საიდან იცით?

— ვკითხულობ ცოტა-ცოტას, მთლად ისე კი არაა საქმე, — ჯუმბერს დარცხვენით გაედიმა, — ალალია, ძმაო!

— ვითომ? — ფრთხილად ჩაეკითხა ლადო.

— ტყუილი რა საკადრისია! მე პროფესიით ეკონომისტი ვარ, მაგრამ წაკითხულს ვაგება შემიძლია, მგონი... წავიკითხე თუ არა, ვიფიქრე — ენახავ-

მეთქი, მაგრამ შენი გზა-კვალი არ ვიცოდი და სად მეპოვნე?

ჯუმბერი ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ქშენით ლაპარაკობდა. თეთრ სახეზე სვანისათვის უჩვეულო რბილი იერი ედო. ცხვირსახოცით მაღიმალ იშვენდდა გაოფლილ შუბლს.

— შენ არ წაგაკითხავს? — მიუბრუნდა ათმურზას.

— ჰო; ჰო, საკითხავად მცალია სწორედ! — ათმურზამ ხელი ჩაიჭინა.

მიმტანმა ქალმა ოხშივარიანი ლულა-ქაბაბი, კათხებით ლუდი და კონიკის ბოთლი დააწყო მაგიდაზე.

ლადოს ფაქიზი გრძნობით ევსებოდა გული. უხაროდა, რომ ყისმათმა ჯუმბერთან შეახვედრა. „დადისარ აღამიანებს შორის, გგონია არავის იცნობ და არავინ გიცნობს, სინამდვილეში კი რამდენი ახლობელი და თანამოაზრე გყავს... მე ძმა ვარ შენი, ჯუმბერ!..“ და თუ წელან ფარული ყრკოლით ფიქრობდა — ამ სიტყვაში კონიაკს რა დამალევენებსო, ახლა სიამოვნებით სვამდა. მესამე ჭიქაზე, როგორც სვანური წესი მოითხოვდა, „გგრაფი“ — წმინდა გიორგი აღლეგრძელა. ათმურზას სახე გაუბრწყინდა.

— არ დავვიწყებია ჩვენებური!

— ეეჰ, ბუბა, ეგრე ადვილია დავიწყება?

— იქაც ყველას ახსოვხარ, მე არ მოგიკვდე! — ანუგეშა ათმურზამ, მაგიდას გადაეტოტა და შუბლის იარა თითხელონურად მოუღისჯა.

— ჰეყ!

— მიხდება? — თქვა ლადომ, — ჩოფეს ნახელავია.

„აი, ახლა ახსენებს ქეთუს“, — გაიფიქრა გულის კანკალით.

— ოო, დიდი დაუწყნარებელი კაცი ხარ, დიდი!

— მაშინ კვიცი ვიყავი, ბუბა, ახლა დავცხენდი... მლანძღავენ?

— ზოგი გლანძღავს, ზოგი გაქებს. ასეთა!

თეიმურაზ მაღალაფარიძე
წყურავილი

ლადომ თავს ძალა დაატანა და აღ-
არაფერი უკითხავს. „თუ რამეა სათ-
ქმელი, თვითონვე მეტყვის.“ მაგრამ
ქვეცნობიერად ეშინოდა გამოკითხვისა.
ეშინოდა რამე ძნელი, მძიმე, შემძრავი
არ გაეგო.

— გახსოვს, „ლამარიასთან“ ქეიფი?
— უთხრა ჯუმბერმა, — იქ გნახე პირ-
ველად.

— მე ტოლუმბაში ვიყავი, — გაახსე-
ნდა ათმურზას.

— აუ, რა იცეკვე!

— ცეკვა ახლაც კაი შემიძლია, მე
არ მოგიკდე!

ლადოს თვალწინ დაუდგა ქეთუს ნა-
ღვლიანი, შემკრთალი სახე. „აბა რერა
რამაიდა“, — მეორდებოდა გაუთავე-
ბლად. ათმურზა ქამარდაბლუჯული უფ-
ლიდა ცერულის. ჩოფეს შავი, ყვითელ-
სირმისანი ფაყუ შუბლზე ჩამოეფხატა,
მკლავები გულზე დაეკრიფა და გორო-
ზად სდუმდა... ლადომ კრთომით დაჰ-
ხედა ზარის დაბჩენილ ხახას. მოუზო-
მავად, პირდაპირ დასწვდა. როგორც
კი მიწას ააცილა, მაშინვე მიხვდა, —
ვერ ასწევდა. საფეთქლებთან ძარღვე-
ბი დაებერა, სხეულში მომკვეთი ცახ-
ცახი ჩაუდგა... იძალა, მაინც აიტანა
მკერდამდე. ერთ ხანს ასე ეჭირა და
დაბინდული თვალებით უყურებდა შე-
მოჩერებულ, ერთმანეთში არეულ, უფ-
ორმო სახეებს... მერმე, უეტყოდ, მთე-
ლი სიციხადით იგრძნო თავისი ქცევის
უაზრობა; შეწუხებულმა დახედა
ბნელპირიან ზარს. ველარ გაეგო—რა-
ტომ ეჭირა ხელში. უნაითოდ დაავდო.
ზარმა მჭახედ დაირაძგუნა. საიდან-
ღაც მოისმა ჩოფეს ხარხარი...

— ვერ ავწიე ზარი, — ყრუდ თქვა
ლადომ, — დავლაჩრდი...

თანდათან გაუჯდათ კონიაკი. მესამე
ბოთლს სცილიდნენ და მეთხე რიგში
იღდა. ლადოს გული აუჩუყა სასმელმა.

— იცი, ბალზაკს გავხარ, — დაუჩემდა
ჯუმბერს.

— ოჰოო! — ხარხარებდა ჯუმბერი.

— რომელს. ონორეს?

— მართლა, მართლა, სახით გავხარ!

— კაი, კაცო!

— მიყვარხარ მე შენ!

— მეც! — ჯუმბერმა მკერდზე დაი-
რტყა მუშტი, — მეც მიყვარხარ!

შალიკო მოვიდა, სუფრის წვევები
დალოცა, კარგი დრო გაგეტარებინოთო
— უსურვა, რომ მეცალოს, სიამოვნე-
ბით ვიქეიფებდი თქვენთანო. ლადომ
აკოცა. თანდათან ეძალეზოდა სიმ-
თვრალე. „ნუთუ არაფერს მეტყვის
ქეთუზე? ნუთუ არც ახსენებს? სულ
დავლენავ აქაურობას“... შესტულდა
ყველა და ყველაფერი. თავის თავი —
უფრო მეტად...

— ხომ მშვიდობაა ბეჩოში. — ჩიქურ
მიუბრუნდა ათმურზას, — ბეჩოში ხომ
მშვიდობაა?

— კი, მშვიდობაა. მარტო ბაბა ჯა-
წყვით მოკვდა. ბებერი იყო.

— ქეთუს ბაბა?

— ხო, შეიწყალოს! — ჰიქა დააფერ-
და და სასმელის წვეთები იატაკზე და-
აქცია. ჯუმბერმა და ლადომაც წაჰბა-
ძეს. მერმე დაბამბული პალტო გაიხა-
და და ილიაში ამოიჩარა. წოწოლა
ბოხონი კი ისევ ზედ ეხურა და ლა-
დოს, როგორც ერთხელ, სვანეთში, ეგ-
ონა — გამოწეული ყურები რომ არა,
ნიკაპამდე ჩამოეფხატებოთ.

— ქეთუ მარტო დარჩა? — შეაპარა
გატეხილი ხმით.

— რატომ?! ქმარ-შვილი ხომ ყავს?

ლადომ აშკარად იგრძნო: ბნელ, უძ-
ირო უფსკრულში მიექანებოდა — სა-
შინელი სისწრაფით. უნებურად ორი-
ვე ფეხი შემოარკალა სკამს, რომ არ
გადმოვარდნილიყო.

— შვილიც?

— აბა! იმნაირი ბიჭია რომე...

ლადომ თვალები დახუჭა.

— შენ კიდევ არ დაივიწყე ქეთუ?

— დავვიწყე, — თქვა ვილიამ
ლადოს ხმით.

— ოო, მასთე! აღრევე რომ ჰკუა
გეხმარა... კაცს ცოლის წართმევა და-
უპირე...

— ვერ წავართვი... ვერც ზარი ავ-
წიე...

— არ ღირს მაგ საქმის გახსენება, — ჩაიღუღუნა ჯუმბერმა.

მალე აირია მონასტერი. ვინ რას სვამდა, ვინ რას ამბობდა, კაციწვილმა არ იცოდა. ლადო ათმურზას უკვე მეასეჯერ ეკითხებოდა: „ო, ბუბა, უშბა ისევ დგას, თუ?... ათმურზა ხითხითებდა: „ეი, სი მარე, აბა სად წავიდოდა უშბა?“ მერმე ჯუმბერი და ლადო ერთმანეთს ეხვეოდნენ „მიჭირს, ბიჭო“, — ზმუღოდა ლადო. „დედას ვუტირებ თუ ვინმე გაწყენინებს“, — ფუთიან მუშტებს მკერდზე იბრაგუნებდა ჯუმბერი. „გაუმარჯოს ქეთუს შვილს!“ — იყვირა ლადომ. სამწვადეში ყველა მაგიდა დაკავებული იყო. სათითაოდ ჩამოუარა. ხელში ჭიქა ეჭირა, ავსებდა და უცნობებს აძალებდა: — „გაუმარჯოს ქეთუს შვილს!“ თან ფიქრი ბურღავდა: „საშინლად უნდა დავთვრე. თუ საშინლად არ დავთვრე, გავგეყდები“. ჯუმბერი მრისხანედ აბრაგუნებდა თვალებს: შემკრთალი უცნობები სვამდნენ. „ლადოჯან, ანლა დავისვენოთ, არა სჯობია?“ ეხვეწებოდა შალიკო. „მომეშვი!“ — უღრიალა ლადომ. ჯუმბერმა ხელი წამოუსვია, შოთივით ამოიღო ილიაში და დახლსიქით გადასვა. ათმურზას თავი თეფშზე დაეღო.

— ვა, ეს ვინა ყოფილა, კაცო! — ჩუმად გადაულაპარაკა მზარეულს „ჩორნა შალიკომ“, — არ მიეკარე?!
უცებ, ათმურზა წამოიწია და გამყივიანი ხმით დასძახა:

ვოიდი, როსტომ და ჭაბიკი, ვოი... ჯუმბერმა და ლადომ აიტაცეს. სარდაფის ფარღალა კედლები შეზანზარდა. ეს არ იყო სიძღერა. ეს იყო სასიკვდილოდ ყელგამოღადრული ბუღების ბლაგილი. შემკრთალი, აბუზუული ნუშტრები თავის აწევას ვერ ბედავდნენ.

— ო, ბუბა! უშბა ისევ დგას თუ აღარა, ბუბა?!
ათმურზა ხითხითებს:

— ჰეჰ, აბა სად წავიდოდა უშბა?
ლადო ბარბაცით უახლოვდება, ჰკოც-

ნის. მერმე ჯუმბერს ეყრდნობა განიერ მკერდზე და ტირის...

თავი IV

ქალაქს სიცხის აღმური ასდიოდა. დარბაზებულნი აწვალტი ნაფეხურებით იყო აჭიკყნილი. ლადოს გულ-მუცელი ეწოდა კონიაკის მსურვალეებისაგან, ბარბაცებდა. გამვლელები ირონიული თუ შემბრალე მხერით ეკითხებოდნენ: — „ამ ხვატში სად ვატილებულხარ, შე უბედურ დღეზე ნამობო?!“ და ლადო მარტო, სულ მარტოდ-მარტო იყო უზარმაზარ, თონესავით გახურებულ ქალაქში. მარტო იყო და სამსხვერპლოზე გაყვანილი ხაროვით ეშინოდა მარტოობისა. გულმა ისევ გამომცემლობისაკენ გაუწია. იქ ხმას მაინც გასცემდნენ, ავს ან კარგს ეტყოდნენ. ფიქრობდა: არ ივარგებს სამსახურში მთვრალი მისვლაო, მაგრამ ვერ აიძულა თავი — შინისაკენ აეღო გეზი. იცოდა: მაქლაცუნასავით დააწვებოდა გამოყრუებული ოთახების ცხელი მღუმარება...

„ქეთუს ბავშვი ჰყავს. ბიჭი. ცხოვრობს ბედნიერად. აღარც ვახსოვარ. რაც გამოვივარეთ, გადავიტანეთ, სიზმარი იყო და მოლანდება. მხოლოდ მოლანდება! ან იქნებ, საერთოდ არ არსებობს ქეთუ და მე თვითონ გამოვივარე? მეც არ ვარსებობ. მორჩა და გათავდა!“..

ხმამაღლა ლაპარაკობდა. შერცხვა გამვლელებისა. ოპერასთან ტროლეიბუსს შეახტა და, როგორც იქნა, შეაღწია ნახევრად მიხურულ კარში. „გაუმარჯოს ტექნიკური ლიტერატურის გამოცემთა რედაქციის ლავრენტი ბედიანის მეთაურობით! ურა!.. ურა!“.. — ლადო იდგა ტროლეიბუსის უკანა ბაქანზე და ბრიყვულად იღიმებოდა.

სარედაქტოროში ერთადერთი ფანჯრისათვის ჭილოფის ფარდა ჩამოეფარებინათ, მაგრამ მაინც გაუძღისი ბული

თეიმურაზ მაღალაფრიძე.
წაშვილი

ტრიალებდა. ამის მიუხედავად, ყველანი იქ იყვნენ, ლავრენტიც კი. რომანოვის მაგიდასთან მიეჩოჩებინათ სკამები და წამონთებულები რაღაცაზე დაგვადნენ. ლადოს შესვლისთანავე ხმა გაკმინდეს.

— რა კარგია, რომ მოხვედი! — წამოიძახა მაიამ.

— ჰოო? — ჩავარდნილი ხმით თქვა ლადომ, მთელი შინაგანი ძალა მოიკრიბა, რომ არ დაბარბაცებულყო, თავის მაგიდასთან სკამზე დაეშვა და უჭრიდან სამუშაო ამოიღო. ჰიდროლოგიის სახელმძღვანელო იყო. ლადო სიამოვნებით მუშაობდა ამ წიგნზე, რადგან წინა წიგნისაგან განსხვავებით, ესმოდა, რასაც კითხულობდა, მაგრამ ახლა, როგორ არ ეცადა, ვერც ერთი სტრიქონიდან აზრი ვერ გამოიტანა. მაინც არ აუხედნია, იჯდა ჯიუტად თავჩალუნული. ბეჭებით გრძობდა — ყველანი მას უმზერდნენ: რომანოვიც, სანდროც, ნადიაც, ლავრენტიც, პიმენიც, მაიაც... და ეს კიდევ უფრო აზნევდა.

— მოგვაქციე, ყმაწვილო, ყურადღება! — დაუძახა რომანოზმა.

— შენს მოთხრობაზე ვლაპარაკობთ, — უთხრა მაიამ.

ლადომ გაიღიმა: „ვერ მატყობენ, მთვრალი რომ ვარ“.

— მიღით, დამცხეთ!

— რავარი უცნაურიც ხარ, შენი გმირიც ისეთი უცნაურია... — როხროხებდა პიმენი.

— ძმა ხარ, პიმენ, ძმა!

— ამ ბოლო დროს, ჩვენმა ლიტერატურამ მთისკენ იბრუნა პირი, — თქვა სანდრომ, — ყველა მთაზე წერს, კაცო!

— განსაკუთრებით ახალგაზრდები, — დააუხსტა მაიამ.

— მაგას აქვს თავისი მიზეზი! — თქვა რომანოზმა.

— სახელდობრ? — ჩაეკითხა სანდრო.

— ახლა, ჩვენს ლიტერატურას, როგორც არასდროს, ისე სჭირდება დადებითი იდეალების მქონე გმირი. გმირი, რომელიც ლოზუნგებით კი არ ილაპა-

რაკებს, არამედ ცხოვრებისეული, სისხლ-ხორციით სავსე აღამიანი გმირის ხასიათი წინააღმდეგობასთან კიდილში ყალიბდება. მთა კი, ინტელიგენტისათვის, რომელიც ასფალტზეა გაზრდილი, ბუნებრივია, ყველაზე ძლიერ წინააღმდეგობას ქმნის. იქ ყველაზე უკეთ შეკვანდება გმირის პიროვნული შესაძლებლობანი — სისუსტეცა და სიძლიერეც... ახალი თაობის მწერლებმა ეს კარგად იგრძნეს და ამიტომაც მიაშურეს ხელახლა მთას. ასე არაა, ლადო?

— არ ვციცი, ბატონო რომანოზ. თქვენ უკეთ მოგხსენებათ.

— თავს ნუ იკატუნებ, ძალიან კარგად იცი, — თითი დაუქნია მაიამ.

— ლადო, ყველაფერს გაფიცებ, ეს მოთხრობა ავტობიოგრაფიულია, ხომ? — დანიტერესდა ნადია.

— ინტერვიუ მწერალთან! — გაიცივნა მაიამ.

— ისე, რა! — თქვა ლადომ.

აქამდე გაჩუმებული ლავრენტი წამოდგა:

— მე ვფიქრობ, მოთხრობაში თავიდან ბოლომდე ყველაფერი ყალბია! წამით ყველა გაჩუმდა. ლავრენტის მიაცქერდნენ.

— მე ვაღიარებ ვარ, ვთქვა ეს!

— როგორ, ყალბი? — ვერ მიხვდა რომანოზი.

— მოგახსენებთ! — ლავრენტი გრძელი, წვრილი თითებით ნერვიულად ფურცლავდა ჟურნალს, სადაც ნაწარმოები იყო დაბეჭდილი, — ამ მოთხრობის მიხედვით სვანეთი საქართველოს ერთ-ერთ დაწინაურებულ კუთხედს კი არ წარმოგვიდგება, სადაც ახალმა დრომ უამრავი სიკეთე დანერგა — გაიყვანა გზები, ააშენა სკოლები, საავადმყოფოები, კლუბები, არამედ ველურებით დასახლებულ ადგილად. მე თქვენ გეკითხებით, — ლავრენტიმ ხმას აუწია, — ვისა აქვს უფლება ასე დამახინჯებულად წარმოსახოს ჩვენი დიდებული დღევანდლობა?

ლადოს საფეთქლები უშუხოდა, „გამოფხიზლდი, ახლავე გამოფხიზლდი!“

ლავერენტის გადმოკარკულ თვალებში
ზიზლი თუ დაცინვა ჩაუსახლდა. „მიხე-
და, რომ მთვრალი ვარ!“

— აბა ჰე, მიდი, ლარვენტი!

„ლარვენტი“ განგებ თქვა, მაგრამ
ლავერენტიმ არ შეიმჩნია დაცინვა.

— ვინ არის სევანეთში ჩასული მას-
წიველებელი? ამორალური პიროვნება
— ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელ-
ობით! დანიშნულ ქალს გადაეკიდება
და მთელ სოფელში მოსჭირის თავს. რა
მაგალთის აძლევს ამით მოწაფეებს?
ეს არის საბჭოთა მსწავლეულის სა-
ხე? ესაა დადებითი გმირი?

ლარენტი ექსტაზში შევიდა. დამ-
ფულრულივით იქნევდა ხელებს, დორ-
ბლებს ჰყრიდა, თვალებს აპარპალებდა
და ისეთი ხმით გაჰკიოდა, თითქო მრავ-
ალათასიან აუდიტორიას მიმართავსო.

— ეს ყველაფერი მოთხრობაში ამო-
კითხეთ? — გააწყვეტინა მაიამ.

— დიას, ქალბატონო;

— გამოდის, რომ არ წაგიკითხავთ!
ლარენტიმ თავისი განაგრძო:

— უნდა ვიცოდეთ, თუ ჩვენს დიდ-
ებულ დღევანდლობაზე ვწერთ, დავ-
წეროთ რამე განსაკუთრებული, ბუმ-
ბერაზული, კოლორიტული! მოქალაქე
იშვილი კი ჩაეფლო ყოფის წუმპეში!
დიას!

— მაშ, ჩავეფალი, არა? — ლადოს
გაეცინა. „მთვრალია“, — გაიფიქრა მა-
იამ.

— თქვენ, გალწილი ხართ, იაშვი-
ლო! — მიახალა ლარენტიმ, — უნდა
იცოდეთ, რომ სახელმწიფო დაწესე-
ბულებში გალწილი მოსვლა, თანაც
ღაგვიანებით, სასტიკად აკრძალულია!
და არც დაეუფებ, სანამ მე მიჭირავს
ხელმძღვანელის პოსტი! გთხოვთ, მიბ-
რძანდეთ და გამოიფხიზლოთ!

მას არ მოელოდა ლადო.

— პარდონ! ბატონო ლარენტი!

— აი, ხედავთ, ამხანაგებო?.. ლარ-
ენტი რომ მიწოდა, გესმით? თქვენი
ნებაა, მიწოდეთ რაც გინდათ, მაგრამ

თანამედროვეობის გაბიაბრუება, არ
შეგრჩებთ! მე მითქვამს!

— მე პირიქით მგონია! ამ მოთხრო-
ბაში სწორედ სიყვარული ჩანს თანა-
მედროვეობისადმი. ბრმა უნდა იყო,
რომ ეს ვერ დაინახო! — თქვა რომა-
ნოზმა.

— ეგ თქვენ გგონიათ! — გააწყვე-
ტინა ლარენტიმ.

— თუ ასეა, მაკედონელზე კომპი-
ლაციური რომანის წერას არ აჯობებ-
და თვითონვე დაგწერათ დღევანდე-
ლობაზე რამე „განსაკუთრებული,
კოლორიტული და ბუმბერაზული“?
— მშვიდად ჰკითხა მაიამ.

ლარენტი თოფნაკრავივით დაიგ-
რიხა:

— აჰ, ქალბატონს დამიხედეთ! თქვე-
ნთვის ალბათ არავის უთქვამს — უზ-
ნეო საქციელი ჯობია ზნეობრივსო,
მაგრამ მაინც ხომ მრუშობთ ამ ვაჟ-
ბატონთან? ვანა არა, ჩემო კეთილო?
ვანა არა?

მაია გათეთრდა. ლადო უეცრად ვერ
მოეგო გონს.

— ცილისწამებაა! — მაგიდას მუშ-
ტი დაჰკრა რომანოზმა.

— ოო, ჩემო კეთილო! საკუთარი
თვლით ვნახე „თბილისის ზღვაზე“. საკუთარი თვლით!

— შეხედე შენ! — აღმოხდა ნადიას.
ყველაფერი აირია. ლადო ყელში
ეცა ლარენტის, წიწილასავით აიტაცა
და კედელს აატმასნა. ლარენტიმ ენა
გადმოაგდო, ახრიალდა...

— უუ, შე ქვეწარმავალო! — ღმუ-
რდა ლადო, — გაიმეორე რა თქვი! გა-
იმეორე!

მთლად გაგიყებულს ძლივს გამოჰ-
გლიჯეს ხელიდან ცოცხალ-მკვდარი
ლარენტი. როგორც კი განთავისუფ-
ლდა, ჩესუნჩის პერანგი და ჰალსტუ-
ხი შეისწორა და მოკუნტული გაძვრა
ოთახიდან.

ლადო როდის-როდის მოსულიერდა.

თამარაჯ ვალაფერიძე
წყურველი

ამღვრეული მზერით შეათვალიერა ამ-
ხანაგები: მაიას უჩვეულო ფერმკრთა-
ლი სახე ეუცხოვა. მერმე ელვასავით
გაუნათლდა გონება. წამოვარდა:

— მოკვლავ!

მაია გადაეღობა. ვედრებით შეანათა
ნუკრის თვალები და მკერდზე მიეხუ-
ტა. ლადომ იცოდა, კარგად იცოდა,
რამდენ სიმწარეს, ტკივილსა და დაუშ-
სახურებელ დამცირებას იტანდა ამ
წუთში იგი და გული მოუკვდა.

— სად მოასწარი ამ დილა-ადრიან-
ნად? — მაიამ თავს ძალა დაატანა და
გაიღიმა.

ლადოს უეტრად გაახსენდა ყველა-
ფერი.

— ჰმ, სად მოვასწარი!.. ქეთუს შვი-
ლი ჰყოლია, მაია!

— რას ამბობ?!

— ბიჭი! — თქვა ლადომ ჩამწყდარი
ხმით, — ბიჭი!

●
გაიარა სამმა თუ ოთხმა მომლოდინე
სიჩუმით აღსავსე დღემ და ტექნიკურ
გამოცემათა რედაქციის მუშაკებმა
გული დაიბიძგეს — ინციდენტი ჩაი-
ფარცხაო, მაგრამ ერთ დილით, სამსა-
ხურში მოსულებმა, ვესტიბიულის კე-
დელზე დიდი, წითელი საღებავით და-
წერილი ბრძანება დაინახეს. მის წინ
სტამბის მუშებს მოეყარათ თავი და
ხმამალა კითხულობდნენ:

ბრძანება №132

ფაქტებით დადასტურდა, რომ ტექ-
ნიკურ ლიტერატურის გამოცემათა რე-
დაქტორმა ლადო იაშვილმა უხეშად
დაარღვია შრომის განაწესი. სამსახუ-
რის საათებში ილოთა, დებოში ასტეხა
სარედაქტოროში და ფიზიკური შეუ-
რაცხყოფა მიაყენა განყოფილების უფ-
როსს — ლავრენტი ბედიანს.

ვბრძანებ:

ლადო იაშვილი ჩამოქვეითებულ იქ-
ნეს სტამბის კორექტორის თანამდებო-
ბაზე შესაბამისი ხელფასით, გამოეცხა-

დოს სასტიკი საყვედური პირად საკმა-
ში შეტანითა და უკანასკნელ რედაქ-
ტორთილებით, ხოლო დისციპლინის და-
რღვევის თუნდაც მცირეოდენი გამო-
ვლინების შემთხვევაში — მოიხსნას
სამსახურიდან.

გამომცემლობის დირექტორი: კ. ცა-
გარელი

25 აპრილი, 1961 წელი.

ლადოს გამოჩენისთანავე მკითხველ-
თა დასტა შუაზე გაიპო. გზა დაუთმეს.
ბრძანება სწრაფად ჩაიკითხა და იგ-
რძნო — როგორ გადაეგლო გულზე
ცხელი ტალღა. თვალები აუჭრელდა.
გონება საშინელი სისწრაფით მუშაო-
ბდა. ვილიცამ თქვა: — ალბათ, ეს ყვე-
ლაფერი ლავრენტას მოწყობილი ოი-
ნებიაო (სწორედ ასე თქვა: ლავრენ-
ტა). ისიც გაიგონა, ხნიერმა მუშამ რომ
ჩაილაპარაკა: — თუ განათლებული და
კულტურული ხალხი ამას სჩადის, ჩვენ,
მუშებმა რაღა უნდა ვქნათო. ლადო
მასთან მივიდა:

— არა ვარ დამნაშავე, ძია კაცო!

— ეეპ, რა ვიცო, — კეფის ფხანით
მიუფო მუშამ.

— მაიის სულს გეფიცები, არა ვარ
დამნაშავე! — გაიმეორა ლადომ. თვა-
ლებზე სიმწრის ცრემლები მოადგა.

— გაიგებ ამ ქვეყნისას? — წაიფი-
ლოსოფოსა ერთმა.

— ჯერ მიპქარავენ, მერმე კი ფიცუ-
ლობენ! — თქვა მეორემ.

— გაფუქდა ხალხი!

— არა გჯერათ ჩემი? — წამოიძახა
ლადომ, — არა გჯერათ?

მიბრუნდა და სირბილით აუყვა კი-
ბეს. სამ-სამ დაფეხურს ახტებოდა —
ისე ავიდა მეოთხე სართულზე და პი-
რდაპირ დირექტორის კარს მიაწყდა.
მდივანი, სუსტი გოგონა, შემკრთალი
წამოხტა — დაფეთებული ლადო რომ
დაინახა.

— ბატონ კოტეს არ სცალია! — ეს-
და მოასწრო, ლადომ სათამაშოსავით
გასწია განზე, კარი ფართოდ შეხსნა და
წაილაგა.

რბილ სავარძელში გადაწოლილი ცაგარელი ჩიბუხს ეწეოდა. იქვე, საწერ მაგიდასთან, ლავრენტი მისჯდომოდა და ვაცხარებით ეტუტუნებოდა. ლადოს გამოჩენამ მისხს გავარდნის შთაბეჭდილება მოახდინა. თვალების უაზრო პარპალით ხან ცაგარელს უყურებდა, ხან შემოსულს... არც ლადო მოელოდა ლავრენტის აქ ნახვას. ცაგარელი ხენეშით შესწორდა სავარძელში. უძინარი სახე ჰქონდა.

— რა იყო, რა ამბავია?

ლადოს ცხადად ესმოდა საკუთარი გულის ბავაბუგი. რაც შეიძლება მშვიდად თქვა:

— ჩემი თხოვნაა — დასწეროთ მეორე ბრძანება, სადაც აღნიშნული იქნება, თუ რატომ ვავლახე ეს არაკაცი!

— ოჰო! — ჩაიღიმა ცაგარელმა.

— გესმით? აი, გესმით? — აცმუკდა ლავრენტი.

— დაიცა! — ხელი აუქნია ღირეკტორმა.

— თუ არ დასწერთ, მე საერთოდ წავალ გამომცემლობიდან!

— ოჰო!

— ეს იყო ჩემი სათქმელი!

— ერთი მიბრძანე, ყმაწვილო, — სიხის დაღლილი გამომეტყველება არ შესცვლია, ისე ჰკითხა ცაგარელმა, — ერთი მიბრძანე, გამომცემლობაში გაღეშილი მობრძანდი?

— ნასვამი ვიყავი.

— დღის მეორე ნახევარში, არა?

— მართალია, დამაგვიანდა. მთელი ჩემი ცოდვაც ეგ არის.

— კა-არგი. ახრჩობდი თუ არა განყოფილების უფროსს?

— სამწუხაროდ, ვერ დავახრჩე!

— ა! ესეც მე ვარ? ა! — კვლავ აცმუკდა ლავრენტი.

— დაიცა-მეთქი! — შეუწყრა ცაგარელი და ისევ ლადოს მიუბრუნდა: — სამწუხაროდ, ამბობ?

— დიახ!

— რატომ? — ჭიქურ აძგერა კითხვა.

— ეგ თვითონ იცის!

— მეც ვიცი.

— მით უკეთესი!

— უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები, წამოხტა ლავრენტი, — ამხანაგო ლადო, მე უკან...

— ვინაა შენი ამხანაგი, შე გლახაკო. ახლა მივაქვს უკან?

— ა, ბატონო! ა!

— დაჯექი, — ცაგარელმა სკამზე ანიშნა.

— ასე მირჩევნია, — ლადო ფანჯრის რაფას მიეყრდნო.

ღირეკტორმა რამდენჯერმე ამოდ მოქაჩა ჩიბუხი, მერმე ხელახლა მოუკიდა და მოლურჯო ბოლში გაეხვია. კარგა ხანს ჩუმად იყო, ეტყობა გადაწყვეტილება გამოჰქონდა.

— რატომ დასწამეთ ცილი? — მკაცრად ჰკითხა ლავრენტის.

— არა... მე მხოლოდ... ცოტა არ იყოს, ეჭვი შემეპარა და... საქმე იმაშია. რომ...

— ბოდიშს მოუხდი თოიძის ქალსაც და ამასაც!

— კი ბატონო! მე მზად ვარ... გეთაცვა! შეიძლება არც იცით, რომ პატიეცემული ლადო მზარდი შესაძლებლობის მწერალი გახლავთ? დიახ, ჩემო კეთილო! არ წავიკითხავთ მისი მოთხოვნა?

— ეგ არ მაინტერესებს მე! — გააწყვეტინა ცაგარელმა, — ბაირონიც რომ იყოს, ჩემთვის პირველ რიგში დისციპლინაა მთავარი!

— კი, ბატონო, კი!

— მაშ ასე! — დაიქშინა ცაგარელმა, ლავრენტი ბოდიშს მოიხდის. შენ კი, ვითარცა შრომის შინაგანაწესის უხეშად დამრღვევი და ხულოვნობის ჩამდენი, უნდა დაისჯო! ბრძანება ძალაში რჩება, ერთ ხანს იმუშავებ კორექტორად. მერე ვნახოთ!

— ბატონი კოტეს გადაწყვეტილება სავსებით სამართლიანია! — წამოიძახა ლავრენტი.

— დავამთავრეთ! — მოსტკრა ცაგარელმა.

თეიმურაზ ვალაფერიძე
წაუბრევილი



— არ ვარ თანახმა!
დირექტორი მოულოდნელობისაგან შეხტა.

— რაო?
— მე კორექტორად არ ვიმუშავებ!
— ოჰ, — წამოიწუწუნა ლავრენტიმ,
— ოჰ!

— ბიჭო, რას ატეხილხარ სამგლე გოქივიტა? — ცუდად შეფარული მუქარით თქვა ცაგარელმა, — ხომ იცი, მე სიტყვაზე გადასვლას არა ვარ ჩვეულო!

— ეგ თქვენი ნებაა;
— ცოტა ხანს იმუშავე, მერმე ისევ გადმოგიყვან. აჰა, მეტი რა გინდა?

— არც ერთ დღეს არ ვიმუშავებ!
— ბიჭო, ნუ ატეხილხარ-მეთქი!
— ჩემი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ დეავგვიანე და ნასვამი ვიყავი. თანაც, ეს პირველი შემთხვევაა. ამისათვის გაფრთხილებაც კმარა.

— ბიჭო, შენ მასწავლი კანონებსა?
— ხმას აუწია ცაგარელმა.
— მე კორექტორად არ ვიმუშავებ!
— არ იმუშავებ და ჩანდაბამდე გზა გქონია!

ლადოს ოდნავ გაეღიმა.
— ეგ თქვენს ზრდილობას ვით ეკადრება, ბატონო კოტე?

— დამცინის, ეს ლაწირაკი! — იბღვლა დირექტორმა.
— მილიცია! — წამოიკნავლა ლავრენტიმ, — მილიცია!

— გული!.. კოტე სავარძელში გადაესვენა.

— გვიშველეთ! გვიშველეთ! — ყვიროდა ლავრენტი.

ვილაცეები შემოაცვივდნენ. ატყდა ტელეფონზე რეკვა — სასწრაფო დახმარების გამოსახებლად. წელმოწყვეტილმა ლადომ ძლივს მიადწია დერეფნის ბოლომდე და პირდაპირ კიბეზე დაჯდა.

— ეს რა ჩაიდინე, ლადო! ეს რა ჩაიდინე? — მაიას ხმა იყო.

— აირია გზები, მაია... — ლადომ არ იცოდა ხმამაღლა თქვა თუ გაიფიქრა.

სამსახურიდან მოხსნილი ლადო სასახლეში გამოიკეტა. ჰონორარიდან ფული კიდევ ჰქონდა შემორჩენილი, თუ ყაბრატიანად გაირჯებოდა. იქნებ სექტემბრამდე ყოფნოდა. ამიტომ სამუშაოს ძებნაზე სულაც არ იწუხებდა თავს, შინ იჯდა და წერდა. გულის სიღრმეში უხაროდა კიდევ, ვითარების ასე წარმართვა — ხელს ველარაფერი შეუშლიდა მთლიანად მისცემოდა საქმეს.

იმ ზაფხულს ქალაქი არახსულმა ბურმა დაახრჩო. გათანგული მოქალაქეები ლანდებივით დალასლავდნენ ქუჩებში. ლადო ასიცხებამდე, იალონზე მიზბოდა გასტრონომში, დღის სამყოფ ძეხვს, კონსერვს, ყველსა და ლუდს ყიდულობდა, იქვე ნაცნობ ხაბაზს პურსაც ართმევდა და ვიდრე სამსახურში მიმავალი ეზოს ბინადარნი როდენის წყნარ ქუჩას აახმურებდნენ, უკვე შინ იყო და ხელნაწერებს უკირკიტებდა...

უჯიათ შრომას ქანცის გაწყვეტა მოჰქონდა: საღამოობით ქუთუთობები ეწვოდა და საფეთქლებიც ლამის გასკდომოდა, მაგრამ ისეთი შეგრძნებაც ეუფლებოდა, როგორსაც საყვარელ ქალთან სიახლოვის შემდეგ განიცდის ხოლმე კაცი და მაშინ ლადომ იცოდა: დღე უქმად არ იყო ჩავლილი. მისდევდა დღეები დღეებს, მაისი თვალახელშუა გაჰქრა. ლადო იჯდა მამისეულ სავარძელში მუხის დიდ მაგიდასთან და კიუტი მოთმინებით იურებდა სიტყვას. საწერი კი აუარებელი იყო! სულ უმნიშვნელო ბიძგი კმაროდა, რომ ფანტაზიას საკვები მისცემოდა და მყისვე დაეწყო ახალი სამყაროს შენება. და ეს ყველაზე სასიამოვნო განცდა იყო ამჟვეყნად!..

ერთ საღამოს, ლადო გასტრონომში ყავას ყიდულობდა. მის წინ რამდენიმე კაცი იდგა, მერმე უკანაც ამოუღვათი ახალგაზრდა. ლადოს ესმოდა მათი ლაპარაკი.

— ძაან მთვრალი ვარ?
— სულ არ გეტყობა..
— „საქართველოს“ ბუფეტში ვსხედვართ. კონიაკისთვის ჩამოვედი.

„საქართველოს“ ბუფეტში მაგარი სასმელებით არ ვაჭრობდნენ.

— წამო, გინდა?

სიჩუმე.

„უნდა, მაგრამ ერიდება“, — გაიფიქრა ლადომ.

— დედას გეფიცები, ჯემალ, ძაან გამიხარდება შენთან ერთად დალევვა.

მოკლე სიცილი.

— სახელიც დაგვიწყებია ჩემი?!

მეორემაც გაიცინა.

— ბოდიში, გიგი! წამო, წამო!

სიჩუმე. „ყოყმანობს, — გაიფიქრა ლადომ, — ალბათ ფული არა აქვს და ყოყმანობს“

— სხვა დროს იყოს. სახლში მელოდებიან, კარაქი უნდა მივიტანო.

„აი თურმე რა ყოფილა“.

— მართლა, ცოლი შეირთოო, გავიგე.

— შევირთე...

— შვილი გყავს?

— ველოდები...

— ეგ რომელი შეირთე, რომელთანაც უნივერსიტეტში დადიოდი?

— არა, სხვა...

ლადოს ძალიან მოუნდა მათი სახეების დანახვა, მაგრამ მიტრიალება ეუხებრხულა.

— რათა სხვა, აკი ძაან გიყვარდა ის გოგო?

— ეე, შენც ერთი, მაგისტანები ხდება!

ლადოს ყრუ, ნატანჯი სიცილი ჩაესმა.

— ნახულობ?

— ვისა, იმ გოგოს? კი, ზოგჯერ მხვდება ხოლმე.

ამასობაში რიგიც მოვიდა. ლადომ ნოქარს ფული გადააწოდა, ყავის კოლოფი გამოართვა და კარისაკენ წავიდა ისე, რომ ვერცერთი მოსაუბრე სახეზე ვერ დალანდა.

იმ საღამოს დიდხანს იჯდა ლადომ მარტოდმარტო, სვამდა ყავას და ცდი-

ლობდა ეკითხა ერთი უნივერსიტეტელი ამხანაგის მოთხრობა, რომელიც „ცისკარში“ იყო დაბეჭდილი, მაგრამ, ძალაუნებურად, გასტრონომში ყურმოყრულ საუბარზე ფიქრობდა. გონება ლადოსგან დაუყოთხავად ქმნიდა ამ ორი აღამიანის ცხოვრების მრავალგვარ ვარიანტს. ვინ იყვნენ? რა ტკივილები აწუხებდათ? რა უხაროდათ? საერთოდ, რა აზრი უტრიალებდათ თავში? ერთს ადრე ვიდაც ჰყვარებია, მერმე სხვა შეუერთავს. „ეე, მაგისტანები ხდება?“ — მოაგონდა მწარე სიცილით ნათქვამი, — „მაგისტანები ხდება?“ რატომღაც ამ ნათქვამს ბიძინა მიქელაძესთან აკავშირებდა ლადომ. აშკარად მისეული ფრაზა იყო... და გონება კვლავ ქმნიდა ურთიერთობებს, სიტუაციებს... „უნდა დავწერო; უნდა დავწერო კაცზე, რომელიც მარტობის შხამით არის მოწამლული და თვითონაც არ იცის, რა უნდა, ვერსად ვერ პოულობს ადგილს!“ ამის გაღიქრებამ ისევ ბიძინა მოაგონა. „რა ჰქვია კაცს? ბიძინა? არა, ერქვას თავისი სახელი გიგი! გიგი... ეე, მაგისტანები ხდება?“.

მეორე დღეს დილიდანვე ჩაუჭდა. სათაური თავისით გაჩნდა. „ძველი ნაცნობები“ ისეთი სიცხადით ხედავდა ყველას და ყველაფერს, რომ მოუთმენლობისაგან კანკალუდა — ჩქარა უნდოდა ბოლოში გასულიყო.

„გიგი ელოდა ნუტას“, — ასეთი იყო პირველი ფრაზა. სახელი „ნუტა“ ანგარიშმიუცემლად გაჩნდა და ლადომ შინაგანად იგრძნო, რომ იმ ქალს, რომელზედაც ლაპარაკი იქნებოდა ნოველაში, უეჭველად ნუტა უნდა რქმეოდა.

გიგი ელოდა ნუტას. იდგა ბაღის შესასვლელთან და ელოდა. საშინლად მოსაწყენი იყო ლოდინი. წარმოიდგინა თუ როგორ შევიდოდნენ ბაღში, როგორ ჩამოსხდებოდნენ სკამზე და მაგრად, მაგრად მოეფერებოდნენ ერთმანეთს. წარმოიდგინა, მაგრამ წარმოდგენამ სულაც არ ააღ-

თეიშუაზა მალაფერიძე
წაშრილი

ელვა და ლოდინიც ისევ მოსაბეზრებელი იყო. წასვლა დააპირა; არ შეეძლო, არაფრით არ შეეძლო. ქუჩასა სუსტად ანათებდა გრძელ-გრძელი ნათურები. წამოწეულ საყელოებში თავჩარგული მგზავრები სწრაფი ნაბიჯით მიდი-მოდოდნენ. გიგი ნაძვის ჩრდილებს ეფარებოდა, ეშინოდა ვინმე ნაცნობს არ გადაჰყროდა. არ უნდოდა აქ მოყურყუტე შეემჩნიათ — დაიწყებოდა ჭორები და მითქმა-მოთქმა — ოჯახის პატრონი კაცი საყვარლებში დადისო. მერმე შეიძლება ეს ხმები ცოლის ყურამდეც მისულიყო და ატყდებოდა ალიაქითო.

ბაღის ჭიშკართან კინორეკლამა იყო გამოკრული. მამაკაცი იდგა გაბზარულ ფანჯარასთან და ნაღვლიანი თვალებით ეცქირებოდა. ქვეშ ეწვრა: ახალი იტალიური მხატვრული ფილმი „უნებისყოფო მამაკაცი“. გიგიმ ზიზღით ჩათვალა რეკლამა, მიხედ-მოხედა, სასწრაფოდ ჩამოფხრა და იქვე, ურნაში ჩასტენა. ეს საქმე რომ მოათავა, ტყავის მოკლე პალტოს საყელო წამოიწია, ხელები ღრმად ჩაიწყო ჯიბეებში და ელექტრობის მიეყუდა.

როგორც იქნა, ნუცაც გამოჩნდა. დაინახა გიგი, ჩქარი ნაბიჯით გადაჭრა ქუჩა, უხმოდ გაუჩერდა წინ და თვალებში შეაქცერდა. გიგი მალაღი ჩანდა, ნუცა — სუსტი და გალუული.

- მეჩქარება, — თქვა საღმის მაგიერ.
- შევიდეთ ბაღში, ცოტა ხნით...
- მეჩქარება. თან მცოცა...

მართლაც, აბუსული ჩანდა, მაგრამ გიგი აღარ უსმენდა, ხელი გამოსდო და ბაღის სიღრმისაკენ წაიყვანა. ბნელოდა, სიცოცხე იყო. მიდიოდნენ ხელიხელგაყრილი და გიგი, რატომღაც მტანჯველი აკვირებოდა ფიქრობდა ცოლზე. აშკარად წარმოუდგა, როგორ მივიდოდა ამ საღამოს სახლში, როგორ გაუდებდა ცოლი კარს და ჰკითხავდა:

- გშია?
- კი...

მეტი არაფერი. ისევ ოჯახურ საქმეებს მიუბრუნდებოდა. მერმე დაწვებოდნენ. გიგი თვალგახელილი შეაშტერდებოდა

სიბნელეს და მოუსმენდა ცოლის ხერინვას...

- ასე უნდა?
- რა? რა უნდა ასე? — ვერ მიხვდა გიგი.

— რა და, სამ დღეს მანდა ყელზე შენი ტუჩების კვალი. ყველა მეკითხებოდა...

გაზონის ბოლოში გრძელი სკამი იდგა. ჩამოსდნენ.

— როგორა ხარ? — დაფანტულად ჰკითხა გიგიმ და მაშინვე მიხვდა: არ უნდა ეკითხა ეს. არაფრით არ უნდა ეკითხა. მრგვალი, რბილი ნიკაპის ქვეშ თითი ამოსდო და თავი აუწია. ბნელში ნუცას თვალები მუქი და უმეტყველო იყო. აკოცა მსუქან, სიცივისაგან გამაგრებულ ტუჩებში. ნუცა არც კი შერხეულა და გიგის უკმარობის სამწიფელი გრძნობა დაეფლავა. მკლავები შემოჰხვია, მთელი ძალით მიიხუტა გულზე... ნუცა განაბული იყო.

- გეყოფა, — თქვა ჩუმად.
- რატომ ხარ ვერე?! — გიგის ბრახვი დაეტყო ხმაში.
- როგორ?
- ხესავით.

ნუცამ არ უპასუხა. მის მეკერძზე ჰქონდა თავი მიყრდნობილი და გაფარჩხულ, შიშველ ხეებს უმწერდა. იმ წუთში ყველაფერი სულერთი იყო მისთვის და ეს ქვეყნობიერად იგრძნობდა გიგიმ.

- მომეფერე, ნუცა! გესმის?
- გიგის ხმაში მუდარა გაისმა. თან გული ბოღმით ეგვებოდა, რომ ვერ შესძლო ქალისათვის დაემალა თავისი სისუსტე.

— ხედავ, რუსული ეკლესია, — დუნედ ჩაილაპარაკა ნუცამ.

ბაღის გადაღმა მართლაც მოჩანდა ხაზვის გუმბათიანი თეთრი ეკლესიის სილუეტში.

— გვერდით „ლურჯი მონასტერია“, თამარის დროინდელი, — უპასუხა გიგიმ თვითონაც არ იცოდა — რატომ. გაბეზრდა უსაგნო ბჟუტურით. დაუკმაყოფილებელი სურვილი ამღვრევდა...

ლაღომ თვალები დახუტა. ამ წუთში ის გიგის მაგივრად იჯდა ცივი, ქარიან ბაღში და ეფერებოდა ნუცას...

— ახლა რომ კარი გაიღოს და მართლა მოვიდეს ნუცა ჩიქოვანი, რას იზამ?

დაინახა კიდეც ნუცა ჩიქოვანის დაბინდული, რალაცაზე მიმანიშნებელი მზერა. — „სისულელეებს თავი დაანებე!“

— გაგიჟდი? — ნუცა შეფართხალდა, გაეშვებინა, — რა დროს ეგ არის?

— აბა რა ვქნა? — ყრუდ თქვა გიგმი, — მითხარი!

— წადი სახლში, ცოლთან!

ეს სიტყვები უეტრად სილასავით მოხვდა გიგის. საშინლად მოუნდა ხელისკერით ჩამოეღო მუხლებიდან ნუცა და უსიტყვოდ მიეტოვებინა. საოცრად უცხო და შორეული იყო ახლა ეს ქალი.

— ნუ ბრზობ... გგონია მე არ მიჭირს! გიგის სადღაც შორიდან ესმოდა მისი დუნე, უნაპერწყლო ხმა.

— მხოლოდ საკუთარ თავზე კი არ უნდა იფიქრო...

გიგი უაზროდ შეჰყურებდა ხახვისგუმბათიანი ეკლესიის თეთრ სილუეტს.

— ნეტა მოგვედობოდე, — განაგრძობდა ნუცა, — აი ასე, ნელ-ნელა დაეზუჭავდე თვალებს და მოგვედობოდე... რომ აღარ შემეჩუქოს აბნეულმა ფიქრებმა, აუხდენელმა სურვილებმა. ოო, რა კარგი იქნებოდა....

გიგი სდუმდა.

— ხმა ამოიღე, — გაანჩხლდა ნუცა.

— რა გითხრა?

— რაც გინდა ის მითხარი, ოღონდ კი თქვი რამე. თუმცა... რა უნდა მითხრა? ისევ სიჩუმე სჯობია. მოდი გავჩუმდეთ.

მაგრად ჩაეკვრნენ ერთმანეთს. გიგის ყბასთან თბილი სისოვლე მოედო და მიხვდა: ნუცა ტიროდა. „ტირილით საქმეს ვერ უშველი“...

— როგორ გვჭირდება ადამიანებს ერთმანეთი...

— სუ! — ნუცამ ტუნებზე მიაფარა თითი, — არ მინდა ფილოსოფია!

სიბნელეს მილიციელის ფიგურა გამოეგმო.

— Сидеть как следует! — თქვა ბრძანებით და გაიარა. გიგის გაუკვირდა, რომ მილიციელმა ჯარიმად ფულის თხოვნა

არ დაუწყო. ჩვეულებრივ, ასე იცოდნენ ხოლმე.

ნუცამ წინდები შეისწორა, პალტოს ღილებიც შეიკრა და მოწესრიგდა.

— წავიდეთ?

— და რა ვქნათ?

— არაფერი. შენ შენთვის, მე — ჩემთვის...

— მე სხვა რამე მინდა...

— მეც, — თქვა ნუცამ, — მაგრამ არ არის. და არც იქნება.

— როგორ გვჭირდება ადამიანებს ერთმანეთი...

სარკმლიდან, რომელიც ეზოში გადიოდა, მოჩანდა მწვანედ დაბურული ცაცხვი და მღვრიე ცის ნაგლევი. კარგა ხნის აშუაღლებული იყო, მაგრამ მზე მაინც იმალებოდა. ჰაერი ჩამოიხუთა. „ნეტა იწვიოს“, — გაიფიქრა ლაღომ.

— რატომ წერ ამ ნოველას?

— იმიტომ, რომ მსიამოვნებს წერა!

— ეგ არ კმარა, ლაღო!

— კიდეც იმიტომ, რომ მაინტერესებს გიგისნაირი კაცი.

— მაინც, როგორი?

— საკუთარ ზრახვებში გაურკვეველი, მარტოსული, უმიზნო, უნებისყოფო, ხელმოცარული, ინსტინქტებს აყოლილი და უმწყურვალი!

— მერე? ამტყუნებ?

— სწორედ მაგიტომ ვწერ!

— შენ როგორ მოიქცეოდი მის ადგილზე?

— ნუ მეკითხები!

— მიპასუხე, თუ ვაჟკაცი ხარ!

— სხვაგვარად!

— ადამიანი არც ისე იოლი შესაცნობია, ლაღო!

— ვიცი. და ამიტომ გვჭირდება ადამიანებს ერთმანეთი.

ნუცამ შუბლზე აკოცა გიგის. ცრემლები ახრჩობდა.

— გათავდა! აღექი!

თენიშრაჲ ვალაჲფრიჲჲ
წყურვილი



შიშველი, ტოტებგაფარჩხული ხეები ქარისაგან გულსაკლავად ჭრიალებდნენ. შორიდან ისმოდა კინორეპროდუქტორის ხმა. გიგის გაასხენდა, რომ სადღაც „უნებისყოფი მამაკაცს“ უჩვენებდნენ და გუნება უფრო მეტად მოეშხამა.

— ნულარ გამაცილებ, — უთხრა ნუცამ გასასვლელთან, — მარტო წავალ, სჯობია.

— აგრე იყოს... რაკი სჯობია...

ნუცამ სწრაფი ნაბიჯით გადაჭრა ქუჩა. ჩამოდგა განათებული ტრამვაი და სანამ დაიძვროდა, თვალს მიეფარა. გიგი თავჩაღუნული წაყალიდა. ტყავის მოკლე პალტო გახსნილი ჰქონდა და ცივი ქარი აბეზრად უძვრებოდა გულისპირში. ვერის ბაზართან ლუდის ბარი ჯერ ისევ ღია იყო. კაცები ლუდსა და ცივ ხინკალს შეექცეოდნენ. გიგი შევიდა. „კარგი იქნებოდა ახლა დათრობა“, — გაიფიქრა, მაგრამ საამისო ფული მას არასოდეს ჰქონია. მოღარეს შეტონები გამოართვა და ავტომატიდან ლუდი ჩამოასხა.

ვიღაცა მთვრალი, ჭადარა, ცოცხიან დამლაგებელს მოსვენებას არ აძლევდა. გიგიმ ლუდის კათხა მარმარილოს მაღალ მაგიდაზე დადგა და მთვრალს კისერში ჩაავლო ხელი. ძალით მიათრია კარამდე.

— რა გინდა, კაცო, — ასლუკუნდა მთვრალი, — უბრალო ხელსანი ვარ.

გიგიმ კარი მიუკეტა.

— იცოცხლე, შვილო, — უთხრა დამლაგებელმა.

გიგიმ ლუდი მოსვა. არ ვარგოდა, ძველი იყო. კარმა ისევ დაიჭრიალა და ახლა გიგის შორეული ნაცნობი გუჯა შემოვიდა. ნასვამი ჩანდა. გუჯა ცნობილი დამრტყმელი იყო ვაკეში. სტუდენტები და პროვინციიდან ჩამოსული ფულიანი ბიჭები სანთლით ეძებდნენ მასთან ნაცნობობას. წვრილფეხა ხულიანებს კი მისი სახელის გავონებაზეც აკანკალებდით. გიგიმ თვალი მოარიდა. არავისთან ლაპარაკი არ უნდოდა. დალევდა ამ მწარე ლუდს და ისევ წაყალიდებოდა შემოდგომის ცივ ღამეში მარტოდმარტო. უჩინოდებოდა მარტობა, ეშინოდა კიდევ, მაგრამ მაინც ასე ვერჩივანა...

გუჯა თვითონ მივიდა, ხელი გაუწოდა.

— რავა ხარ, ბიჭო?

— ისე. შენ?

— მთვრალი ვარ, — იდიოტივით ახსმამს ხამა თვალები, — ძაან მთვრალი ვარ.

— არ გემჩნევა — უთხრა გიგიმ.

— მაგრად დაეურტყით... შენ რომ გაციხარდებ... ჰაუჰ!

— გინდა ლუდი?

— კონიაკი დავლიოთ. ჩეჩქივითა მაქვს ფული.

გიგის საშინლად უნდოდა კონიაკის დალევვა და დათრობა, მაგრამ ზრდილობისათვის თავპატივი გამოიღო.

— არაა საჭირო...

— დედას გეფიცები, ვახტანგ, ძაან გამიხარდება შენთან დალევვა.

გიგიმ დააპირა ეთქვა — ვახტანგი არა მქვიაო, მაგრამ გადაიფიქრა. არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა ვახტანგი ერქმეოდა, გიგი თუ ონოფრე...

— სხვა დროს იყოს, გუჯა; სახლში მელოდებიან, უნდა წავიდე.

— ჰო, გავიგე ცოლი შეირთოო. მართალია?

— შეეერთე, — თქვა გიგიმ, — კი შევიერთე.

— შეილი გყავს?

— ველოდები.

— ყოჩაღ, ძმაო, — გუჯამ მხარზე დაუბარტყუნა ხელი, — რომელი შეირთე, უნივერსიტეტში რომ... ა?

— არა. ის არა. სხვა.

— რატომ, არ იყო ცუდი გოგო?!

გიგის ჩაეცინა.

— ეე, მაგისთანები ხდება?

— ახლა სად არის ის გოგო? — გუჯას ინტერესს საზღვარი არ უჩანდა, — ხვდები ხოლმე?

— ვხვდები, — თქვა გიგიმ, — დღესაც შეხვები.

— ა, კაცი! — აღტაცებით წამოიძახა გუჯამ, მე ვიკითხო, ცოლი რავარც შევირთე, ისე გავუშვი. ვარ ახლა იაქესავით. ბავშვი თორემ, ცოლი ეშმაკს წაუღია...

გიგი აუტანელი სიცხადით გრძნობდა: თუ გუჯა არ გაჩუმდებოდა, ლუდის კათხას აიტაცებდა და მთელი ძალით ჩასთხლიშვავდა თავში. გააპარა კიდევ ხელი.

ყური მოუსინჯა კათხას. იბღლად, გუჯა გარემოდა.

— ცუდად ვარ, გუჯა, ძალიან ცუდად ვარ, — თქვა გიგიმ.

გუჯა თანაგრძობით უყურებდა.

— გაცივიდი ალბათ. გლახა ამინდებია.

— ჰო, ალბათ. წავედი, მშვიდობით.

დაუტყველი კათხა მიატოვა, ქუჩაში გავიდა. ჩამოძარცულ ჭადრებზე შემეცივნებული ბედურები ისხდნენ და ჟივჯივებდნენ. მათი ჟივჯივისაგან ყურთასმენა აღარ იყო.

● ლადო ერთ ხანს კიდევ იჯდა, ხედავდა, როგორ მიაბიჯებდა ბეჭებში წახრილი გიგი სუსტად განათებულ ქუჩაში და თითქო მის დაწვილ, უამურ ფიჭურებსაც ხედავდა. ცხადად, თვალნათლივ ხედავდა... მერმე გიგი სადღაც ბნელ მოსახვევში გაუჩინარდა. ახლა უკვე დამოუკიდებელ ცხოვრებას განაგრძობდა და ლადოს აღარაფერი ესაქმებოდა მასთან... „მშვიდობით ბრძანდებოდე, ბატონო გიგი! შენ შენთვის, მე — ჩემთვის...“ — წაიბუტბუტა და უნებლიედ გაეღიმა. „რას სულელობ, ბიჭო?“ ტანში საოცარ სიმსუბუქეს ჩვილობდა. დაიხარა და წელნელა, ჩვეული მოძრაობით, სავარძლის ზურგსა და სახელურზე ყირა აჭიმა. კუნთები დაებურცა, აუთამაშდა, სასიამოვნოდ დაუწყო ტეხვა... ისკუბა და ხალიჩაგადაფარებულ ტახტს ზემოდან დაახტა. „ახლა კარგია გავლა“, — მოაგონდა ბავშვობაში ნასწავლი ლექსის სტრიქონი. ამ ლექსში ბეჯით გიგლაზე იყო საუბარი... ლოყით მიეხუტა ხაოიან ხალიჩას. „რა იქნება მოხდეს სასწაული და ნოველის ნუცა გაცოცხლდეს? აი, აქ დაჯდეს, ჩემს კვერდით... მერმე?“ ლადოს გააჩრქოლა: „მთლად გადავირიე მე საცოდავი,“ — გაიფიქრა და წამოხტა. ცა კიდევ უფრო მოქურუშებულყო. ლადოს დიდიდან არაფერი ეკამა. შიოდა. ლუდი მოუნდა. საუქნაოში ბოთლები დაათვალიერა, მაგრამ საესე არც ერთი არ აღმოჩნდა. კიდევ უფრო მოუნდა ლუ-

დი. ჩაცმა დაიწყო, თან საკუთარ თავს ათვალიერებდა ძველი, აღამისყამინდელი ტუალეტის სარკეში. რაც სამსახურიდან დაითხოვეს, აღარ გაეპარა და ყბები ხორბლისფერი, მოხუჭუჭუო წვერით ჰქონდა დაფარული. თვალები ჩასცვენოდა, სახეზე ისეთი ნაზი სითეთრე გადაჰკრავდა, ნატუსაღრებს რომ ახასიათებთ. ხელი ჩამოსვსა წვერზე, გაიღიმა. „ნამდვილი მიკლუხო-მაკლაი ვარ... არა, ჰემინდუეი!.. არა! ლადო იაშვილი!.. სანამ უშბას არ დავადგამ ფეხს, არც მოვიპარსავ“... ფრთხილად ააყოლა შუბლის გადაკვეთ ღრმა ნაიარევის თითი. აივანზე რომ გავიდა, უკვე წვიმდა. მსხვილი წვეთები ყრუდ რახუნობდა თუნუქის სახურავზე. ლადომ სიამოვნებით შეუღვირა სახე და მკერდი გრილ წვეთებს, კიბე ბრაგაბურჯით ჩაირბინა და ეზოს ჭიშკარს მიაშურა. ვერის აბანოსთან ლუდხანა იყო, სადაც მთელი „ფიჭურის გორელი“ „ლოუდისტები“ იყრიდნენ თავს. ქუჩას ერთ მხარეს ეზოიანი სახლები ჩასდევდა. ეზოებში ლეღვის, მსლისა და ალუბლის ხეები იდგა. მესერი სურათი იყო დაბარდნილი და ამ უბანს ჯერ ისევ ჰქონდა შერჩენილი ძველი ტილიოსური, მყუდრო და უშფოთველი სახე. მტვერჩამობანილი, სველი ფოთლები მუქმწვანედ ხასხასებდა. ლადო ალერსიანად ელამუნებოდა ხელით სუროს დაგვარჯღულ ტოტებს, მოურიდებლად დააბოტებდა ასფალტზე დამდვარ გუბურებში და სიამოვნებით იწუწებოდა. რუხი ზეცა დაბლა იყო ჩამოსული და ლადოს რატომღაც სერგო კლდიაშვილის „შემოდგომის წვიმა“ ვახსენდა. თითქო შეიგრძნო მანჭკვალის სუნი, მოწყენილი, ნაცრისფერი დღე, დაინახა წარბებგაბურძენული მათხოვარი, დამონძილი კურტაკი რომ ეცვა და გრძელი ჯოხით იგერიებდა მიტევიბულ ძალს...

ლუდხანაში ნემსი არ ჩავარდებოდა. ზოგი ისეთიც შესულიყო, წვიმის გა-

თეიმურაზ მალაფერიძე
წყურვილი



დაყუდრებას რომ ელოდა. ფანჯრის რაფასთან უბნის ახალგაზრდები იდგნენ, დამარილებულ ქაშაყს, ლუღსა და არაყს აყოლებდნენ. კაცმა რომ თქვას, აღარც ეთქმოდათ ახალგაზრდები: ზოგი მათგანი ფოსტის მოხელე იყო, ზოგი სახლზღვევისა, ზოგი ექსპედიტორობდა, ზოგი ფეხბურთის გუნდს წვრთნიდა რომელიღაც პროვინციაში, ზოგსაც სხვა ათასგვარი ჩაღიჩით გაჰქონდა ცხოვრება. ყველა ლაღოს ნაცნობი აღმოჩნდა: ვისთან ერთად სკოლაში სწავლობდა ოდესღაც, ვის კიდევ ისე შეხვედროდა უბანში... ძალით მიიყვანეს რაფასთან და ჰქა შეაჩეჩეს.

— წვერი რატომ მოვიშვია? — ჰკითხა ერთმა, — ხომ არავინ... ა?

— კინოში ვთამაშობ, — ღიმილით უბასუსხა ლაღომ.

— არა, მართლა!

— სცენარიც მე დავწერ...

— რა ჰქვია?

— „დაუსრულებელი, სიცარიელეში გაქმიული გზა“, — ეს ფრაზა „შემოდგომის წვიმიდან“ იყო.

— კარგია?

— გენიალური!

— თავიდანვე ნიჭიერი იყავი. აი!

— შენ ახლა ნახე! უფრო ნიჭიერი ვარ! — იცინოდა ლაღო.

— დალიე! დალიე! — გააწყვეტინა მეორემ, რომლსაც ფეხბურთის გარდა არაფერი აინტერესებდა და არც ესმოდა.

— ფიქრის გორას გაუმარჯოს, — თქვა ლაღომ, — მთელ თბილისში ყველაზე პოეტური სახელი ჩვენს უბანს ჰქვია. ეგრე არ არის?

— ნაღდაღ!

ლაღომ გადაჰკრა და დაიქყანა. საშინელი სითხე იყო, თუ კაცის ჯავრი გჭირდა, ეგ უნდა დაგეძალებინა.

— ზნაჩიტ, არტისტობა დაიწყე?

— ყველანი არტისტები არა ვართ? აი, შენც არტისტი ხარ! შენც!

ვიღაც თავხედად, სრულიად დაუმსახურებლად შეუტრაცხყოფდა თავისივე უბნის ბიჭებს. რაღა? რისთვის? მოიწ-

ვიეს, პატივი სცეს, არაყი დააღვინებს...

— შენ იცი, რას გეტყვი! — რა ერთი.

— ნუ გეწყინებათ, ბიჭებო! ჩემი გაქირვებაც მეყოფა. რას ესულულობ, თვითონაც არ ვიცი... აპალონ! ერთი არაყი გაუხსენი ძმებს! — დაუძახა დახლიდარს და სამი მანეთი გადაუღღო.

— კარგად გნახეთ!

სახტად დარჩენილი ბიჭები მიატოვა.

— გატრიბაჩებულა! — თქვა ერთმა.

— სულ ეგეთი იყო! — თქვა მეორემ.

ისევ წვიმდა. ისევ წვიმდა და ლაღო ძალიან მარტო იყო. ეს ერთი კვირაა არც ერთი ამხანაგი არ გამოჩენილა. არც რიშარდი, არც მათა, არც ნუკრი. არც ბიძინა... ნუცა ხომ არ მოვიდოდა და არა, მას არც ელოდა ლაღო, მაგრამ ჯუმბერ ონიანს რაღა დაემართა? ყოველ მეორე დღეს იცოდა ხოლმე შემორბენა. მოიტანდა ორ ბოთლ „რვა ნომერს“ და როხროხით აავსებდა მიჩუმებულ სახლს...

ცაცხვების ფოთლებში წვიმა წკაპუნობდა. სახლის პირველ სართულზე, შუშაბანდის ღია ფახარასთან, ცოლქმარი ტატიშვილები ისხდნენ და ჰიშკარს უყურებდნენ. უყურებდნენ ჩუმი დაყინებით. ლაღოს საქციელი წაუხდა, დანაშაუვსავით აიბუზა, ველარც წინ გადადგა ნაბიჯი, ველარც უკან. იდგა და მონუსხულივით უმზერდა მოხუცებს, რომლებიც ფანჯრის ჩარჩოში ფოტოსურათივით ჩანდნენ. ორივე თითქო სავანგებოდ იყო გამოწყობილი: კაცს ბრჭყვიალაღვლებიანი კიტევი ეცვა, ეტყობოდა ოდესღაც რკინიგზაზე ემსახურნა, ქალს — ძველებური ჩიბტიკოპიდან უმტკერო თოვლისფერი კავები მოუჩანდა. საოცრად დარბაისლური, ღირსებით სავსე იერი ედოთ...

ლაღომ ძლივს გადადგა ნაბიჯი, მდბალი სალაში მისცა ორივეს.

— როგორ ბრძანდებით, დეიდა ელისაბედ?

— გამადლობთ, შვილო, იცოცხლე...

— თქვენა, ბიძია სანდრო?

— რაღა საკითხავი ვართ, დავრდო-

მილი ბებრები? — ნატანჯი ღიმილით უპასუხა კაცმა, — შენ რასა იქ, ისა თქვი...

— არა შიშავს... აი, ვაწვიმდა. იქნებ ცოტა აგრილდეს.

— ეჰ, შვილო... ჩვენთვის ყველა ერთია: წვიმაც, სიცხეცა და თოვლიც, — თქვა ელისაბედმა ისე რომ დაჟინებულ-ლი მზერა არ მოუცილებია ჭიშკრისათვის.

— ელისაბედ, გეთყავა...

— ვის რას ვუშავებ, ადამიანო?

— მაგას ვინ გეუბნება... — სანდრომ ალერსით მოუთათუნა გამხმარი, დაძარღვული ხელი, — მაგრამ...

— ლადო შინაურია, იცის ჩვენი ჭირ-ვარამი!

— როგორ არა, დეიდა ელისაბედ, — წაიბუტბუტა ლადომ.

— ფანჯარას ვერ მოვაშორე ეს უბედური, — თქვა სანდრომ, — ზის და უყურებს ჭიშკარს აი, ახლა შემოვა, აი ახლაო...

— კიდევაც ვიჭდები, — თქვა ელისაბედმა.

— საკუთარ თავს ამოიჭამ, შე საცოდავო!

— ცოტა დამაცალეთ და მალე აღარავის შევაწუხებ...

ელისაბედი ხუსხუსით შევიდა ოთახში. არ უნდოდა ლადოსთვის დაენახებინა ცრემლი.

— რა ვქნა, კაცო, ა? — ხმადაბლა თქვა სანდრომ, — ა?

— უნდა გაუძლოთ, ძია სანდრო.

— ჰე-ჰე, გაუძლოთ? აკი ვუძლებთ, შვილო? მაგრამ ამ ბოლო დროს ძალზე გაუჭირდა ელისაბედსა. ორმოცდახუთში ხომ გათავდა ომი? გათავდა! ესლა რომ არი სამოცდაერთი? არი! თექვსმეტი წელიწადი გასულა, არა? თუ ცოცხალია, აქამდე არ გამოჩნდებოდა ნიკოი? ხმას მაინც არ მოგვაწვდენდა უბედურ მშობლებსა? ჰა, მიიდი და გაუძელი!

— ვინ იცის, ძია სანდრო, იქნებ...

— ი, კარგი. თუ ღმერთი გწამს! ისე ამყოფე ჩემი მტერი, როგორც ნიკო იყოს სადმე! ეს საცოდავი კი მაინც ელოდება და ელოდება. დღით, საღამოს, შუადღეს — სულ ელოდება, თექვსმეტი წელიწადია, ყოველდღე ელოდება. ესლა შენ მითხარი, რა ვიღონო, ჰა? შვილი გამაჩნია თუ ძირი, რომ შევჩვილო და გული მოვიტხანო, ჰა?

ელისაბედი ისევ გამოჩნდა:

— მე მოვუვლი ჩემ თავს... ცოტა ხანს კიდევ მოვუცდი, დედა ენაცვალოს და მერე მოვუვლი ჩემ თავს...

— რა ეთქვა, რით ენუგეშებინა ეს ორი სვეგამწუარებული მოხუცებული?

— ვიქონიოთ იმედი...

— ჰო, იმედი! იმედი საჭიროა, მაშ...

— მე წაუალ, კარგად ბრძანდებოდეთ...

— რა გეჩქარება, შე კაი კაცო, მოდი, ალუბლის ნაყენი მაქვს, ჩემი გაკეთებულია. თითო რუმკა გადავკლუნწოთ, არ გინდა?

— მაღლობელი ვარ, ძია სანდრო.

— განა არ ვიცი, ოხვრა-ვაგების მოსმენა არავის ენიაზება. კარგად იყავი, შემოგვიარე ხოლმე.

— კი, შემოვივლი...

ელისაბედი დაჯდა, ისევ გაირინდნენ მოხუცები და ჩარჩოში ჩასმულ, ძველებურ ფოტოსურათს დაემგვანენ.

— გული მეუბნება, სანდრო, კაი სიზმარი მქონდა წუხელ...

— ღმერთია მოწყალე!..

გულდამიმებულმა ლადომ ძლივს აღწია კიბეზე. „ნეტა ვინმე მოვიდოდეს — ხმა გავცე, დაველაპარაკო, თუნდაც ეშმაკი იყოს, ოღონდ კი მოვიდეს.“ ამ ფიქრით შეაღო კარი, რომელიც წელან დაუქეტავად გაიხურა და გაშემდა: ტახტზე ნუცა ჩიქოვანი იჯდა!

პატარა ლექსი!

აღარც დრო დამრჩა, აღარც ძალა
მაქვს,

შენ მოვიარო, შენ გეაღერსო.
მაშ, აბა რატომ მაცლი არაქათს,
ჩემგან წასულო პატარა ლექსო.
მითქვამს სიმღერა, მითქვამს

ფიქრები,


ახლა შენ იცი, რას იქმ, რას იზამ.
კაცის სულს აბა როგორ მიხვდები,
როგორ გაუმხელ ცხადსა, თუ
სიზმარს.

მისთვის ამოგთქვი რომ იწრიალო,
სხვას ჩემი სუნთქვა გაუზიარო.
აბა, ხომ არ ხარ ოხერტიალი,
შენთვის იყო და მარტო იარო.

ქახი მქვია და...

განა არ ძალმიძს ვიყვირო ისე,
როგორც ყვირიან ზოგიერთები,
მე მზეს შევხარი, ვისწრაფი ცისკენ,
უცნაურ ყვირილს ვერ ვუერთდები.
მე კარგად ვიცი, უთვალავ წლის ვარ,
მხეციც ვყოფილვარ, ველური კაციც,
გადამილახავს წარღვნების რისხვაც
და მიგემნია ცხოვრება მკაცრი.
ბოლოს დავტოვე მხეცის ბუნავი
და ახლა ვაგებ დიდ-დიდ ქალაქებს,
დრო თვითონ მაწვდის ცხენს და
უნაგირს,
ჩემ აზრს, ჩემ სურვილს ზრდის
და ალაღებს.

ვაპირებ სადღაც, სხვა პლანეტაზე,
როგორც მოსახლემ დავადგა ფეხი
და რა დროსია ჩემი ყვირილი!
კაცი მქვია და სახელი კაცთა,
კარგა ხანია მხეცობას გასცდა.



ძ მ ე ბ ი

დოკუმენტური პოემა

ერთი ძმა ქართველი კომპოზიტორაა, მეორე — ამერიკელი ბალეტმეისტერი. „ქართველი“ — სწორია ანდრია ბალანჩინის პასპორტში. „ამერიკელი“ — იუწყება ჯორჯ ბალანჩინის პირადობის მოწმობა. ერთად იზრდებოდნენ ძმები, ერთად თამაშობდნენ დღისით, ერთად იძინებდნენ ღამით. ასლა დღე-ღამეც სხვაგვარად აქვთ გაყოფილი.

პეტროგრადის საბალეტო დასს გერმანიაში გაჰყვა ბალანჩინი. მალე დიაგილევა მიიწვია ისინი საფრანგეთში. იქ ავად გახდა. იწვა კარგახანს. როცა განიკურნა, სპექტაკლებს დგამდა ჯერ დიაგილევის ანტრეპრიზაში, მოგვიანებით — მონტე-კარლოს რუსულ ბალეტში. ამ დასთან ერთად ტრიუმფით შემთიარა ინგლისი, ამერიკა, კანადა, სამხრეთ ამერიკა, ავსტრალია. 1933 წელს ლ. კირსტინის მიწვევით ამერიკაში გადავიდა და ჩამოაყალიბა ცეკვის სკოლა. 1948 წლიდან დღემდე ბალეტ „New-york City“-ს — მხატვრული ხელმძღვანელია.

ეს თემა ჩემთვის არაა ახალი. „ძე შეცთომილი“ ერქვა პოემას — მე ის დაეწერე ორი ძმის გამო.

„ძე შეცთომილი“ ერქვა სპექტაკლს, ბალანჩინმა საგასტროლოდ რომ ჩამოიტანა თბილისში.

ასეთი იყო შეცთომილ ძის — ამერიკელი ძმის დაბრუნება.

ცრემლის სანაპირო

პუდონის პირას, პუდონის პირას
 იკონებ ფაზისს—ანტიურ სპირალს...
 ჯაჭვის ხიდს, როგორც ჯაჭვსა და
 ბორკილს

დადებულს სულზე. რიონის პირას.
 კვლავ ეჯიბრება უცნაურ ჯიბრით
 სასწორის პინა მეორე პინას —
 ნილოსის, ნევის, ევფრატის, ტიბრის,
 მისისიპის და მისურის პირას.

ცივი ლონდონი გპირდება სახელს,
 ჰამბურგი — ოქროს, პარიზი — ბინას,
 შენ კი სიხმარში ღიმილი ნახე —
 მამის ღიმილი — არაგვის პირას.

არა ჰუძონის, და არა ტემზის —
შენ მხოლოდ ნევის გიყვარდა თვეზი.
ისევ ეძახის ნაპირი ნაპირს —
ლიახვის, ვოლგის, იანძის, ტემზის...
და ყოველ მღვრიე ტალღაში ჩანდა
ძვირფასი სახე—გაცრეცილ

ლანდად...

სიზმარში ნახე შავთვალა ბიჭი —
დედიკო ღიმილს ცრემლებით ბანდა.
და ნევას—დიდი ჰუძონის კბილას—
იგონებ, როგორც ანტიურ სპირალს,
და გაღიმებულ ლანდებთან დგახარ
ადიდებული ცრემლების პირას...

ძმები

მსგავსი გენი და გენი — დეზოქსირიბონუკლეინი!
მსგავსი ხიდი და ხიდი — პომპეუსის და ბრუკლინის!
მსგავსი ცრემლი და ცრემლი—შარბათივით რომ სვამ და სვამ!
ბიჭები — უფლით ერთი! — და მხოლოდ ბედით—სხვადასხვა
„ოსანა“ — ისმის — „ოსანა“, მაგრამ რა გეოსანება!
(ხიდთან ცისფერი ხელიკი გაგს ნიანგებზე ოცნებას).
ისევ: ხიდი და ხიდი! მაგრამ შენ — რა გეხიდება!
როგორც ტკივილი — ტკივილს, დიდებაც გავდეს დიდებას!
მთელ დღეს ატარებს გელსი
ცისარტყელების წინაში,
და მისაკებით ხელში
დგას ანგელოსთა წინაშე.
ყოველ უბრალო პას სიცოცხლე უნდა ასი!
(მთვარე მიგორავს ცაზე, ვით უზუსტესი პასი).
იქნებ გაკლია ღიმილი! ალბათ გაკლია ალერსი!
ვიცი, გაკლია სამშობლო! — ყველა ხატია შპალერზე!
მტკვრის მოფერება გინდა? — ჯობს პომპეუსის ხიდი!
თავის დახრჩობა გინდა? — ხიდი ჯობია ბრუკლინის!
ერთი ცისფერი ქვეყანა ორი ცისფერი კიდით!
მსგავსი გენი და გენი — დეზოქსირიბონუკლეინი!

...ღმერთმა პატარა ბიჭი იქით ნაპირას გადასვა!
ბიჭები, მამით — ერთი! მაგრამ მამულით — სხვადასხვა!...

ისმ — ძმები

თურმე ვყოფილვართ ნამდვილი ძმები —
დედით ერთი და ღმერთით სხვადასხვა.
მთლად ერთნაირი თვალებით, თმებით,
და მხოლოდ გაღიმებით — სხვადასხვა.

მაგრამ ვყოფილვართ იმავე ღმერთის
თუ კაცის ნებით — საოცრად შორი —
დედით ერთი და მამულით ერთი,
და სინანულით და ფიქრით — ორი.

და ორი გულით, და ოთხი ხელით,
და ორი ტვინით, და ერთი სისხლით —
ერთმანეთს ვეძებთ, ვეძახით, ვვლით,
და მტრის და მოყვრის გარჩევა ვიცით.

მთელი ქვეყანა მოწამლეს ჭორით,
მე კი სიმართლე ვერა და ვერ ვთქვი —
რომ მხოლოდ ტანჯვით ვყოფილვართ ორი,
და დედითა და დედულით — ერთი.

ორი სამშობლო რად უნდა ორ ძმას —
საკმარისია სიკვდილი ერთი
(თუ არ ირწმუნა სულმა და ხორცმა
სულის და ხორცის — უშლიდა ღმერთი).

ღამეა. ღრუბლის კუნტრუშა ბატკნებს
შენსკენ მოდენის ღრუბლის მხევალი.
მასწავლე! უნდა მასწავლო, სად კრეფ
მიხაკებს, იებს და მერძევალას.

ასე მეგონა, ბეჭდამსხერეული
დამწვარ ჯეჯილში ვეგდე გულადმა.
ასი ნახმლევით დაღლილ სხეულზე
გადამიარა ასმა ულაცმა.

მე გადავბრუნდი შეუცნობ მხარეს,
როგორც კედლისკენ — ნაწყენი ბავშვი...
ილოცე ჩემთვის, დარეკე ზარი
და ხსოვნას ჩემსას ედექი მხარში,

რომ ვერ წაშალონ ძვირფასი ხმები
მზემ — ერთადერთმა, სევდამ — ათასმა,
და ქვეყანაზე სულ იყონ ძმები —
დედით ერთი და ღმერთით სხვადასხვა...

ორი ნეკნისა და ორი ქალღმერთის აგზავნი

...ბალანჩინის ორი ნეკნი აქვს ამოკვეთილი
(ანდრია ბალანჩივაძის ნაამბობიდან).

...და საკუთარი ნეკნით და ნეკნით
(რომ მარტოობის ყინული გალღვეს) —
როგორც ადამი, შენ ახლა შექმნი
მარის და გელსის — ქალღმერთს და ქალღმერთს.

უყურებ გელსის = რგონებ ტოლჩიფს*...
და პეტროგრადის ნაცრისფერ თოვლში
ბალღის ბოტივით ჩაგრჩება გული
(მარადიული ქალაქის თოვლში).
დახრჩობა სცადე ორი მარყუქით,
ხოლო გაფრენა — ორი ფასკუნჯით.
(მათი ცისფერი ფრთების ფათქუნი
არ დაეტევა ალბათ ას გულშიც).
მზერა — ამაყი და დედოფლური.
მხრები — მიხაკის ზღვაში დაფლული.
რამპა — ცრემლებით განათებული.
გადადაფნული.
გადადაფნული.
ფეხქვეშ ხალსა და ყვავილს გიგებენ,
და ოქროს ხილი ორჯერ იგემე,
და რაც იმღერე, გაიგეს ყველა,
მაგრამ შენს ღიმოლს — რას გაიგებენ!
რას გაიგებენ გელსის და ტოლჩიფს;
ყრმობას, ბოტივით ჩარჩენილს თოვლში!
რას გაიგებენ, როგორ გტკიოდა
ნეკნი და ნეკნი...
და როგორ მორჩი...

შორს, სან-მიქელეს სასაფლაოზე, გაუქმებული, ძველი საყდრის წინ,
დიაგილევის გვერდით მარხია შენი მაღალი მუზა — სტრავენსკი.
მიწა გაცვალა უცხო მიწაში, — არსი — სსოვნაში, ტუში — დამაში.
ცხოვრობდა ასე — მთღორებული ბედისწერით და „კარტის თამაშით“.**
შენ არ ნებდები სევდას უმეცარს, მაგრამ ნაღველი, ვით რეციდივი,
აფრთხილდებდა გულში უეცრად დიდი იგორის ზღაპრულ ჩიტოვით.
რამდენს დაშორდი! მაგრამ ცხოვრებას ბოლომდე შერჩა სევდა-რეფრენი!
სევდა, რომელმაც დახრა გულეები რამზესის, ჰამურაბის, ხეფრენის
და კიდევ ბევრის... სევდამ შეჭამა ეგვიპტე, ქალდე და ნინეფია...
და შენი დარდიც — მე რას გავიგებ — იქნებ მტკვარია, იქნებ — ნევაა!
მანც, ლიცოცხლე როგორ იღვეა — შხამდალეული ბრძენი სოკრატე...
„როგორ გავუშვი ამისოორზე“ — სწუხან ტფილისი და პეტროგრადი...
ჩამოარიგეს კარტი ათასჯერ, მაგრამ გაეცუდდა ყველა საფლემე!
შორს, სან-მიქელეს სასაფლაოზე მაღალი რუსი შფოთავს საფლავში.
ხელში გიჭირავს ყველაზე ბრძენი და სვედიანი კაცის სასმური,
და სვამ, და ფიქრობ: მანც როგორი იქნება იგი — მზის დასასრული!
და ყოველივეს, როგორც ტაძარში შესული ბავშვი, ისე განიცდი!
შორს, სან-მიქელეს სასაფლაოზე დუმს საუკუნის მუზა — სტრავენსკი!..

* მარია ტოლჩიფი და გელსი კერკლანდი — ორი ვანთქმული პრიმა-ბალერინა. „ფასკუნჯ-ში“ მთავარი პარტიების უბადლო შემსრულებელნი, ერთი — წინათ, ერთი — ახლა.
(ტოლჩიფი ბალანჩინის მეორე ცოლი იყო).

** „კარტის თამაში“ — სტრავენსკის ბალეტი, რომელიც დიდი წარმატებით დადგა ბალან-ჩინმა.

ინტერმეტო, სადაც მოთხროვილია, თუ როგორ გაუსწრა-
ვებულა მხედრებმა ამერიკას, როგორ იმღერეს ტირილის გუ-
ნებაზე ღამებობებზე, და როგორ აატირა ამ სიმღერამ ნახევარ-
რი საუკუნის უმღევ სტრავინსკი.

გლეხი კაცი ღობეს ღობდა,
მისი ღობე სხვისას ჯობდა.
შვილს არ ეცვა მინც წულა,
ცოლს არ ეცვა მინც კოფთა.

ახლაც მშობელ ცას იხსენებს
ბიჭი, ჩოხა-დაღლეტილი,
ცას უცინის კრიმანჭული,
მაგრამ გული უხმოდ ტირის:

„ჩემი ოდა წინამიდან
გუბაზოულს გადაჰყურებს.
კერ ვიშონე ყავრის ფული,
ვეღარც ისლით გადავხურე.

ვივატიე ცოლი, შვილი,
შემაცთინა კოკა-კოლამ.
ჩემი ცოდვა მისცემია,
ჩემი ცოდვა — კოლუმბს. კოლუმბს.

ალაფერი მბაბდია,
ღმერთი, ხატი, კაცი, რჯული!
გარდა ჩემი ქურანაის
და წანწალა კრიმანჭულის.

მუშტის ტოლა ცრემლებით და
ცრემლით ნაქსოვ ჩაქურებით —
ამერიკას ვეჯობრებით
საქართველოს ჩაგრულები.

დაგიკოცნი ცხრაჯერ ფაფარს,
გამიმარჯვე, უდარდელავ!
გულზე ჯავრი შამომაწვა
თელი ამერიკის ხელა.

და ყურმოკრულ საუბარსაც
ფუტი ახლავს მოშლილ კერის:
კითხულობენ — ვინააო!
პასუხობენ — მექსიკელი!

ნუ მღალატობ, უდარდელავ!
ვილას უცდი! რაღას ელი!
ზომ გაიგე — ვინააო!
ზომ გესმოდა — ტეხასელი!

რა მექსიკა! რის ტეხასი!
შეტყულებული გული ხავსით!
აივსება ჩემი ცრემლით
მჩიგანის დიდი ავზი!

ვერ ახარებს გამარჯვება
ჩემ გულს — დადნა, როგორც თირი!*

...და კისკისებს კრიმანჭული...
და სტრავენსკი ბრძნულად ტირის!

მოსუცი ბალერინა (ანუ ვარიაციმპი, რომელიც
არ იცნობება)

დღეები გადის, ის კი ისევ ფუსფუსებს ბნელში,
რომ შეინახოს შავი დღისთვის — მცირედი ოქრო,
და კიდევ უფრო შავი დღისთვის — მცირედი შხამი,
და საოჯახო სკივრით ხსოვნა,
სადაც ყოველთვის უწესრიგოდ არის ჩაყრილი
ათასნაირი უსარგებლო რაღაც ძველმანი,
გადასაყრელად რომ ენანება.
და ცხოვრებასაც, როგორც ღმერთის მოყოლილ
ზღაპარს,

უსმენს, და მასაც ძილი ერევა —
მარადიული, ერთადერთი და ტკბილი ძილი,
მაგრამ თავს ისევ ძალას ატანს და თვალებს
ახელს,

და მუხლმოყრილი ევედრება უხილავ ბატონს,
რომ აწი მაინც თანაბრად გაყოს
თაფლი და შხამი,
პური და ცრემლი,
ცხენის ფაფარი და ცხენის ძუა...

მარტოა ახლა. არც პა-დე-დე, არც პა-დე-ტრუა!
და ესმის: „დროა“.
ესმის: „დროა. ძვირფასო, დროა“...

ამერიკა, ამერიკა!

ცხრა მილიონი გული და სისხლი —
აი, ქალაქი — ძაღლის მენიუ!
ტკივილი — ძველი ტკივილის ასლი:
ორღობებზე სწუხს ავენიუ!

გახსოვს? ოცნება — ტაიტი, ბაში...
გახსოვს? სურვილი — ბორნეო, ფიჯი...

ფორთოხლისფერი ბავშვი და ბავშვი —
ტყუპისცალივით ბიჭი და ბიჭი...

ნაცრისფერ ღრუბლით შემკრთალი თხემი!
მწვანე ეზოში — ვეება ცაცხვი.
ცრმელების ზღვაში — მაღალი გემი,
განუზომელი ფიქრის და წყალწყვის...

და სევდა. სევდა — ამერიკული.
და სევდა. სევდა — მამელუკური.
მილიარდობით კილოვატებში
გამოსვეული მძიმე უკუნე!..

და ხსოვნა — ძველისძველი ყულაბა,
გამოდებული და გაძარცველი:
აღარც თვალები;
აღარც გულები;
აღარც ღიმილი;
აღარც წარსული.

სტრიატიზი — მოკლულ ვნების ფიტული.
ატმის წილ — ჩირი და კომფიტური.
უბულო ქუჩა — უმწეო ჩრდილზე
ფეხით შეგდგება ვიღაც ბითური!

ჭერაინუმი, და თბიუმის
კვამლში — ფხიზელი დიდი ჩაპლინი!
ასიათასი დიდი პომე —
ცენზორის მელნით გადაჩხაპნილი!

ბავშვობა! — ერთხელ ასენე მსოლთდ,
და სისხლი წვეთავს მოწყულ ტერფიდან...
და ისევ — ვისკი, და ისევ — ბოლი:
მწარე აბდულა და ჩესტერფილდი.



ბრუნავს და ბრუნავს დედამიწის ცალი ბორბალი
(ჩვენ კარგად ვიცით, რა ცოდვაა ცალი ბორბალი).

მიქრის ბიჭუნა ბიძამისის ველოსიპედით,
ვერ შეწვდენია — გაუყვია ფეხი გვერდელად.
მიქრის ბიჭუნა — დედის დარდი, მამის იმედი.
ორი ბორბალი მისრიალებს ვეებერთელა).

გააჟრიალებს გიჟურ რიტმით სავსე კასეტებს.
— ძინ! ძინ! ძინ! ძინ!
ააშრიალებს მწარე კითხვა ღამის გაზეთებს:
— სად! სად! ვინ! ვინ!

პრიმა-პლანეტის უსასრულო პირუტყბი.
ღვთიურ წრესაზის სექტორები და სემინტები.
ლურჯი დუმილი. (საქართველო).
ლურჯი ედემი.
ფიქრი. ფიქრები. (საქართველო).
ღმერთი. ღმერთები.

...ინდიელზე ნადირობა — ნამდვილი ჰობი:
მოკლული სიუ!
იროკეზი!
იუტა!
ხობი!
მოსაუკების — სიფილისი. ჰონკონგის გრიპი
ბედნიერება წამიერი — ცისფერი თრიპი*...

კმაყოფილი ხარ ალბათ ბინით — რკინით და
მინით.
როგორც ეს გოგო — ქვეყანაზე უმოკლეს მინით.
(თუ ვოზნესენსკის დაფუჯერებთ—მოუჩანს ჭიპი).
და ისევ: ჰიპი! ჰიპი! ჰიპი!
და ისევ: ჰიპი!..

ნაცრისფერ ნისლით შემკრთალი თხემი.
მწვანე ეზოში — ვეება ცაცხვი,
და ცრემლის ზღვაში — ცხოვრების გემი,
განუზომელი ფიქრის და წყალწყვის.

...ხოლო ნამდვილი სამშობლო ოხრავს:
ისევ გაიბნა ბიჭი დაფნებში...
ჯარჯო! შენს გულში მეტია ოქრო,
ვიდრე ფორტ-ნოქსის** ბნელ სარდაფებში.

ფიცვერცხლი

აზომილია ცისარტყელებით ჩემი პატარა ქვეყნის სიმაღლე.
გამოცდილია დიდი მკვლელების დაშნით და შუბით მისი სიმაგრე.
ამ ერთი ციციქნა საქართველოში მე საქართველოს სად დავემალო!
ახლაც, შეცთვნილ გოგოს სინაზით, დეკემბრის სუსხში ყვავის ტყემალი.
მე მასზე ვფიქრობ. ყოველთვის. მუდამ. მე მასზე ვწუხვარ — ისევ და ისევ!
დადუმებული საყდრების სევდა და ხმაურიან ქუჩების პლისე!..
კარგი. ავიღებ, და ვერცხლის ხანჯალს ამ ათიათას წლის ჯამში ჩავთლი,

* თრიპი — ეარგონი, რომლითაც ნარკომანები აღნიშნავენ „მოგზაურობას“ — თრობის მომენტს.

** ფორტ-ნოქსი — ადგილი, სადაც ამერიკის ოქროს მარაგი ინახება.

და შევსვამ, და შენ — ღვიძლსა და უცხოს — საკუთარ ძმად და იმედად,
ჩაგთვლი!

გახსოვს? მოხიბლე ტამა, ლულია*! — ულამაზესი იცოდი გასმა...
(ქართული ცეკვით ქართველი კაცი ლამის შეშალე ქართველმა კაცმა).**
ცეკვა იყო თუ გამოთხოვება, ცეკვა, რომელმაც ხალხი შეშალა!
(იქნებ — შეცდომა შენ ჩაიძინე! იქნებ უბრალოდ — ჩვენ შეგვეშალა).
და მაინც: ვიღებ ამ ფერცხლის ხანჯალს და ათიათას წლის ჯამში ჩავთლი,
და შევსვამ, და შენ—ღვიძლსა და უცხოს — საკუთარ ძმად და ტკივილად,
ჩაგთვლი!

წარსული

თოვლით შეცვლილა, რახანია,
თმები ხუჭუჭა ბიჭის;
ნევის ხიდები — ჰუძონით
და მაიამი-ბიჩით;
გული ინდიელს გაგს —
ცრემლით ტატუირებულს:
ათასმეერთედ ტირის
ათასჯერ დატირებულს —
მეგობრებს. ცოლებს. საყვარლებს.
აწმყო — წარსულში გარბის.
(ამჯერად წარსულს გამოედო
აისედორას*** შარფი).
ღამეს ათენებ თეთრად —
თეთრ ღამეებზე ფიქრში,
და ყველა სახე, როგორც
გაუმჟღავნებელ ფირში —
არის საოცრად მკრთალი,
და კიდევ უფრო მკრთალდება,
მაგრამ სურვილი მათი
მაინც არასდროს თავდება.
ტრეისი, ბესტერ კიტონი,
სენეტი, გრეტა გარბო...
მაინც ყველაფერს ფარავს
აისედორას შარფი.
შარფს თუ გადახდი წარსულს,
როგორც ახლობლის ცხედარს —
ბუხართან შენი ტამა და
შენი ლულია სხედან...

* ტამა, ლულია — ბალანჩინის და-ძმის — თამარისა და ანდრიას ბავშვობისდროინდელი მეტსახელები.

** პეტროგრადში, ქორეოგრაფიული სასწავლებლის გამოსაშვებ საღამოზე, ბალანჩინმა ლექსი იცეკვა. დიპლომანტს არნახული წარმატება ხელმომა წილად.

*** აისედორა დუნეინი. დაიღუპა საავტომობილო კატასტროფაში — შარფით გამოედო მანქანას.

„ვერ გაეპარა ღმერთსა და სინდისს
ბედი უკულმა დაჭედელ ნალით.
ვერ გავარჩიე კვეისგან — ზინთი;
სოკოსგან — სოკო;
ქალისგან — ქალი;

და ცარიელი გულით და ჭიქით,
და სიცოცხლისგან მორჩენილ
სურდით —
ამდენი ზღვის და მდინარის იქით —
განკითხვას ითხოვს ღატაკი ქურდი.

ვინ მოიგონა ამხელა ღამე,
ვინ გაყო ასე—გამოღმად... გაღმად...
გდია ვალუტთან გაჭირილი დამა —
ღვინით და ღოშნით დაღლილი კახბა.

არ მინდა. კმარა. გვეყოფა. კარგი.
მე მაინც უნდა წავიდე. ვცადო.
სასოწარკვეთა! — ესა მაქვს ბარგი,
და სინანული! — მეგზური სანდო.

რა გაღვევს ამ გზებს. თენდება ნელა—
მთვარე-ბატონი სეირნობს რიქშით.
ისევე მოგვადგა მოვალე ცელით:
— ვინ არის ბოლო სიკვდილის
რიგში?!

ვისსენე ძველი ჭერი და ფუძე,
მაინც ის გოგო ვერ მოვიგონე...
და ნაოჭები ჩემს ცოდვილ შუბლზე
გვანან უგულოდ წაშლილ
სტრიქონებს...

ვინ მომაყარა გულზე ღღეების
და ღამეების მძიმე ბელტები,
რომ ამ მაღალი სინათლეების
და სიჭაბუკის თვალწინ ვბერდები!..

არადა, ოჯახს ჭირდება ზველა,
და დაკარგული დიდება ძველი.
სახელი, რითაც იცნობდნენ ძველად.
შეძლება, რასაც ეძებს და ელის...

როგორ გავლესო დანაზე დანა
და მივამატო ძმობაზე ძმობა,

რომ გავამართლო, ძვირფასი ნანა,
სიზმრად ნამღერი ათასიგზობა!..

მე ვხედავ ნაპირს: ნიავეი არხევეს
ტალღას, და ზვატი ყველაფერს
სუთავს.

და ყრია სანაპიროზე ხალხი,
როგორც მაღალი ღმერთების ხურდა,

და კაცუნები დიდებულ სვიფტის,
ქალებთან ერთად მართავენ
სტრიპტიზს...

მე ეს ნაპირიც დავტოვო უნდა —
დრო ისევ გადის. დრო ისევ მიდის.

უნდა დავტოვო სხვასთან და
სხვისთვის
ყვავის ვალეტი და გულის დამა,
რადგან იქ ჩემი სამარე მიცდის,
და ძმა... და ძმაზე უმეტეს—მამა“...

ღამის სიმღერა

(აპოთეოზის მაგიერ)

მთვლემარე ჭალა გარინდებული
უსმენს

ჭრიჭინობელის ხმას.

ფერმკრთალი მზე

ზღვაში უცნაურად იძირება.

და დედამიწის ორი ნახევარსფერო
ჰგავს ორ მოყვარულ ძმას —
საფრთხის გამო
მორიგეობით რომ იძინებენ...



მ უ ო ბ ლ ე ბ ი

დღისგან დღეშია მივიღე, მამაშენს ცოცხალს ჩამოუსწარიო. უფროსს ორადლით დავეთხოვე. ისე დაიღრიჯა, თითქოს ორ დღეს საკუთარ შვებულებიდან მაძლევდა. განთავისუფლებასზე თანხმობა ძლივს ამოღერდა.

მეორე დღეს ავტობუსს გავყევი. ექვსი საათი სავალი მქონდა, ექვსი მომქანცველი საათი. ავტობუსი ხალხით იყო გაჭედილი. მიმედ მიდიოდა, ძილის მომგვრელად ირწეოდა. სადღაც წკრიალებდა მოფამფალებული მინა. მეჩვენებოდა, თავს ვერ დავალწევდი დახუთულ ავტობუსს, ვერასოდეს დავალწევდი. ავტობუსი ყვითლად გადახრუკულ მინდვრებს შორის მიდიოდა. დრო გაწვა, გაიჭიმა. ჩამძინებოდა. როცა გამოვფხიზლდი, ქალაქის გარეუბანში შევდიოდით.

ავტოსადგურიდან ფეხით წავედი. მზე ჩადიოდა — მაინც ცხელოდა. ასფალტი ცომივით იყო. ხიდი გავიარე. მარჯვნივ შევუხევე და სახლიც გამოჩნდა. კარები დედაჩემმა გამიღო. შუბლზე მეამბოხა. მერე ერთბაშად მომახალა:

— მოკვდება ეს უბედური, აღარ ვიცი, რა მოვიფიქრო... ლოგინში ჩაწვა და ადგომა აღარ უნდა, — დიდრონი ნაღვლიანი თვალებით შემომცქეროდა.

მეც ნაღვლიანი თვალები მქონდა. მაღალი, აჩონჩხილი სხეული მამაჩემისაგან გამომყვა. ტანსაცმელი ჩვარივით მეკიდა, საფრთხობელას ვგავდი.

— შედი, იქით წვეს, — მითხრა დედაჩემმა და სამზარეულოსაკენ წაფარფატდა. წინა ოთახი დერეფანივით გრძე-

ლი და ვიწრო იყო. ერთადერთი ფანჯარა ქუჩის მხარეს ჰქონდა. ადრე ამ ოთახში მე ვიწექი. ფანჯარასთან მიდგმული საწოლი მოკლე და მოუხერხებელი მეჩვენა, წიგნის თაროები — მობრეცილი. მაგიდაზე მალვიძარა საათი პირქვე ეგდო, მისი ხმა ვერ გავიგონე. მამაჩემი მეორე ოთახში იწვა.

ნახევრად ღია კარიდან დავინახე: საბანში გახვეულიყო, მხოლოდ ფეხები მოუჩანდა, თეთრი, ძარღვიანი ფეხები. ხმაურზე თავი წამოსწია. მომაჩერდა.

— ჩამოხვედი? — თქვა და ბალიშზე გასწორდა.

სკამზე ჩამოვჯექი.

— როგორ მიღის საქმე? — მეკითხა და ჩაახველა. ყოველთვის ასე ნეკითხება, როცა ჩამოვდივარ.

— კარგად, — მივუგე მე. ახლა იტყვის, ხვალ უკეთესად წავაო, გავიფიქრე. იატაკს დავაცქერდი. მან ისევ ჩაახველა. აღარაფერი უთქვამს. საერთოდ სიტყვაძვირი იყო. ცოლი გვიან მოიყვანა, მეც გვიან მოვევლინე ქვეყანას.

— გაცივდებოდი, — თქვენი მე და თავი ავიღე. მან სადღაც, ჩემს იქით გაიხედა.

— ხო... — ამოიხიზინა, — კაცს რაც უწერიდა...

— არაფერია საშიში.

— ასეა, ასე... ერთი წავა და სხვა მოვა... ასე ყოფილა, — იღიმებოდა, თითქოს ვიღაცადან გადაედო და სახეზე შეაცივდაო, — ჰმ...

შევხედე: ჩემს მესხიერებაში მულამ მოხუცი იყო. ჭლარა წვერით შემოსი-

ლი სახე ჰქონდა, მკაცრი და ჩაფქრებული. ჩაცვნილ ლოყებზე მიწისფერი ლაქები აჩნდა. მეჩვენებოდა, ის ყოველთვის ასეთი იქნებოდა, მე — მუდამ ახალგაზრდა.

— ახალგაზრდები ბედნიერი ხალხი ხართ... — თქვა მან.

ხმა არ ამოიღია.

— დრო ისე გარბის, ვითომც არაფერი, — ამოიხრა და ჰერს მიაშტერდა.

მზე უკვე ჩასული იყო. საიდანაც ნიავე შემობორიალდა, თეთრი ფარდები ააფრიალა. დედაჩემი შემოფრატუნდა. მოხარული კომბოსტოს სუნი შემოჰყვა.

— იქნებ რამეს შეჭამ? — მამაჩემს ჩაეკითხა. მამაჩემი უსიამოვნოდ დაიღრიჯა. მოხარული კომბოსტოს სუნი მის ყნოსვასაც მისწვდა.

— ასეა, — მითხრა დედაჩემმა, — ჰამაც აღარ უნდა. ძალის-ძალად ვაჭმევ. აბა რა ვქნა? მე რომ ავად ვიყავი, ეგ სულ თვრებოდა. ყველაფერს ვითმენდი. სიკეთეს დანიხავს?

დედაჩემი სულ ავადმყოფობდა. მამაჩემი, ზოგჯერ მთვრალი მოვიდოდა, დაჯდებოდა და მთელი ღამე ზუზუნებდა. ვხედავდი: კედელზე როგორ ქანაობდა მამაჩემის ვეებერთელა ჩრდილი. მისი ნაღვლიანი ზუზუნი მთელი ღამე მესმოდა. არ მინდოდა მასავით დიდი ჩრდილი მქონოდა, არ მინდოდა მასავით გულჩახვეული ცყოფილიყავი.

— ყოველთვის ასეთი იყო, — ამბობდა დედაჩემი, — თავისას არ იშლის. მე რომ მითხოვა, გადამღრძვალ ბერიკაცობრძანდებოდა. სულელი ვიყავი!

— ჰო, — ამოიხიზინა მამაჩემმა, მე შემომხედა. თვალები სუსტად უკრთოდა, — ვცხოვრობდით... დიდად არ გვიღიხნდა, — გაჩუმდა. ფიქრებში ჩაიძირა.

— მავას რა მოკლავს! — წამოიძახა დედაჩემმა, — არაფერი ენაღვლება!..

ერთი წუთით გაჩუმდა. სივრცეს ჩა-

აშტერდა, თითქოს რაღაცას იგონებდა და ვერ მოეგონებინა.

მერე ისევ განაგრძო ლაპარაკი. მორთოლვარე ხმა ჰქონდა. ერთი და იგივეს ლაპარაკობდა... ახალგაზრდობა შევწირეო, სულელი ვიყავიო... სულელიო... იმეორებდა და იმეორებდა. იატაკს ჩავშტერებოდი და ოთხ თავისუფალ დღეზე ვფიქრობდი. საქმე ის იყო, რომ იმ ორ დღეს შაბათი და კვირაც მოსდევდა. ოთხი დღე უსაქმოდ უნდა ვმჯდარიყავი. საზოხდრობა უსაქმოდ ჯდომა. თითქოს აწმყო იყინება, აწმყო — მარადი საზღვარი წარსულსა და მომავალს შორის.

მერე დედაჩემის მონოლოგი შეწყდა. თავი ავიღე. მამაჩემის მზერას წავაწყდი. შექმუხვნილ შუბლის ქვემოდან მომშტერებოდა. თვალებში რაღაცნაირი შუქი უკრთოდა, ნემსის ყუნწის ოდენა მომწვანო შუქი.

— მე რომ ავად ვხდებოდი, მარიგებდით, ყველაფერი უნდა მოითმინო. მეც ვითმენდი და მერე კარგად ვხდებოდი, — გავიღიმე.

— ეგრე გარიგებდი? — მკითხა მამაჩემმა.

— მოთმინება რომ არ იყოს, ყველაფერი თავდაყირა დადგებო, ასე მარიგებდით, — ისევ გავიღიმე. მამაჩემი კედლისაკენ გადაბრუნდა. ამან დედაჩემის გონებას რაღაცნაირი ბიძგი მისცა.

— ხედავ, — წამოიძახა მან, — აღარავის დანახვა არ უხარია. უნდა მოვკვდებო?! გავიწილა, არავინ უნდა!... რა დავეუშავე!.. რა დავეუშავე!..

მერე კიდევ რაღაცას ლაპარაკობდა. მე მხოლოდ მისი ტუჩების მოძრაობას ვხედავდი. მგზავრობამ და სიციხემ თავისი გაიტანა. როგორ აღმოვჩნდი ჩემს ლოგინზე, აღარ მახსოვს.

დილით ადრე გამეღვიძა, ფანჯრიდან ცინცხალი სილურჯე იღვრებოდა, პირდაპირ სულში იღვრებოდა. კიდევ კარგი, არსებობს დილა, რომელიც ქმუნვას გვაიწყებს და სიმხნევით გვაყვებს.



პ უ რ ი

ჩვენმა მეზოვემ აბდია ჩალოვემა
ნაგვის ყუთი გადმოაპირქვეავა,
გადმოაპირქვეავა და გადაყრილი პურის ნატეხები
ოქროს ზოდებივით გადმოცვივდნენ.

მეწყინა..
მეოთხედი საუკუნით უკან დავიხიე
და ისე შევცქეროდი საყვარელ პურის ნატეხებს,
როგორც „ძუნწი რაინდი“ დასცქეროდა
სკივრში ჩაყრილ ოქროებს.

მომავონდა საკონცენტრაციო ბანაკი,
როცა პირუტყვებით ვძოვდით ბალახ-ბულახს,
ალარც ბალახი იშოვებოდა,
შიმშილმა გადახრა,
უდაბნოდ აქცია შემოგარენი
და გვადღეღვებდა დანახვა შოშირიალე არყის
ხეებისა.

მეეზოვის მეშვიდე შვილს — თექირას
„ნაპოლეონის“ ნაჭერი უჭირავს ხელში,
ჭამს ბიჭუნა გემრიელად,
დარბის ასკინკილით,
ნამცეცები მიწაზე ცვივიან,
თავხედი ბელურები ჟივჟივებენ და კენკავენ.

უეცრად აღიმართება აჩრდილი ანა ფრანკისა,
იღიმება ნაღვლიანად,
პურს ითხოვს ხელგაწვდილი გოგონა,
ბანაკში შიმშილით ავსილა ცარიელი ნაგვის
ყუთები.

მშვიერი ავადმყოფების კენუსა მესმის,
წამალს ითხოვენ,
მათ უშველის ერთადერთი წამალი — პური.
პური წამალიცაა და ხმალიც აღმართული.

ფურგონებზე დედიშობილად დაყრილი მკვდრები
გააქვთ,
ისინი შიმშილით არიან დახოცილნი,
გერმანელი უნტერ-ოფიცერი არხეინად მიაცილებს
მკვდრებს.

ვეებერთელა სასაფლაოსკენ.
ხოჭოსფერ ჩექმაზე წკეპლას იტყაპუნებს და
ლიღინებს:

„დოიჩლანდ, დოიჩლანდ უბერ ალეს!..“

მშფოთვარე დუმილი ბობოქრობს...

სადა ვარ?

დმერთო, დამიფარე!

გონს მოვდივარ და მეეზოვეს ვეუბნები:

— აბდია, ცოდვაა გადაყრა პურისა,
ხატზე კი არა, პურზე უნდა ილოცოს კაცმა!

მტრედები ეზოს დასტრიალებენ ფრთების
ტკაცუნით,

— აუ, რამდენი მტრედი! —
ყიჟინებენ შავშვები.

პურის სუნი ტრიალებს,
რა ღვთაებრივი სუნია,
მალაზიას პურით დატვირთული მანქანა მოადგა,
რამდენი პურია,
ადამიანებო, ილოცეთ პურზე!



თიბათვის სივლერები

ისე წავალ, არ შეგხედავ, —
თუ ტანჯვას,
ტანჯვა იყოს.

უფრო მწარეს რას ვიფიქრებ,
უფრო ნათელს რას მოვისხამ...

ისე წავალ,
არ შეგხედავ, —
ცაო საქართველოსა!..

●
იას ვზრდიდი, ვარდსა ვშლიდი,
ბალახს ვასწავლიდი დგომას.

ბაღს ემოსა უცხო ჩითი, —
უხდებოდა მზეზე კრთომა.

შიგ დაფრენდა ერთი ჩიტი,
შორს შემეძლო მისი ცნობა.

იას ვზრდიდი, ვარდსა ვშლიდი,
ბალახს ვასწავლიდი დგომას.

ჯარისკაცის დღიურიდან

ამ დროს,
მკერდს უნდა ვუშვერდე ნიავს,
ალბათ შენც ასე გსურს და განიცდი.

ო, ახლა მაინც ისეთი დღეა, —
ჭია-შია ხელზე დაფისვი.

და რატომ უნდა
მესროლო ტყვია,
და რატომ უნდა
მომკლა, არ ვიცი.

შენს მახლობლად თივას ვთიბავ,
ფრთხილად ვთიბავ ცის სილურჯეს.

გულზე ცეცხლი მომდებია,
თივას ცეცხლი არ გაუჩნდეს.

შენს მახლობლად თივას ვთიბავ,
ფრთხილად ვთიბავ ცის სილურჯეს.

თუ ვინმეს
რამე დავპირდი,
თუ ვინმე
რამეს დამპირდა —

— არ გიღალატებ! —
დავპირდი.

— არ გიღალატებ, —
დამპირდა.

ან ჩემგან
მეტი რა უნდათ,
ან სხვისგან
მეტი რა მინდა.

რა იციან,
მათ სიმღერას
შენი ბანი ურევია.

რა იციან,
რომ მათ ქვეთინს
შენი ცრემლი ურევია.

რა იციან...
რომ იცოდნენ,
აღარ დაგემდურებიან.

...მღეროდა და ღმერთსაც თითქოს
ამად ყავდა განზრახული.

მასსენდება თეთრი გოგო, —
თეთრ სიზმრებში ჩაკარგული.

ან უმისოდ როგორ მოდის
იმერეთში გაზაფხული

●
ვედახოდი: დამშვიდდი,
რა გგონია, რა ხდება.

ერთადერთი, ისევე
თენდება და ღამდება.

წავალ — მოიღუშები,
მოვალ — გაგიხარდება.

აი, ქვეყნად რაც ვიცი,
აი, ქვეყნად რაც ხდება.

●
...მერე წვიმამ გადაიღო,
მერე ქარიც აღარ ქროდა.

მაგრამ თავად გამქრალიყო,
ვინც დარისთვის ასე თრთოდა.

რა პატარა გოგო იყო,
რა ლამაზი ფრთები ჰქონდა.



მ თ ე ბ ი

გახსენებებით იზრდება ბოლოს
სუყველა სევდა —
ნაწილი სისხლის...
გზაზე უეცრად მაღლდება თოვლი
საკუთვნო ჩემი,
შენი და მისი...
და მთები ღელავს ღამენათევი
და იმშუმნება ძილში ჩვილივით
ეს ერთადერთი,
ეს ერთადერთი,
ეს ერთადერთი — მწარე ტკივილი.



ასე გიყურო ნეტავი
ლამაზსა, კეთილს, მცირესა...
ასე ელოცოს ნეტავი
ჩემს დაუცხრომელ იმედსა.
ასე აენტოს ნეტარი
დილა სურვილის სიმეზსა.
ასე გიყურო ნეტავი
მზეს — სულში მოციმციმესა!

ს ვ ე

ვერ ავუარე სურვილის
ზარებსა დასარეკავსა,
ვერც ღამეს გადაბურვილსა,
ვერც ვარდსა,
ვერცა ეკალსა,
ვერცა რიჟრაჟსა ბრიალას,
ჩემეულს — მცირე სიამის...
გულს კაწრავს ყველა იარა:
პე, ესეც ჩემი სვე არის.



მ ე ს ს ე თ ი

უნდა მქონოდა მთათა სული
და ვყოფილიყავი ქვის გულისა,
არ დამნანებოდა გარდასული,
შუქი პაპაჩემის მიწიერისა.

არ დამნანებოდა გარდასული,
კლდეზე მიტმასნული ძველი ოდა,
სადაც თამარ მეფის ნაშიერი
მზის ანარეკლივით შედიოდა...

შუქჩაუმქრალია შენი ზეცა,
შოთა რუსთაველის მონაგარი,
ეს ჩემი ახალი სასახლე და
ჩემი ძველთაძველი ოდა-კარი.



ჟორორ როსოოევსკი

თთრი ლამეები

სენტიმენტალური რომანი

(მოცნების მოგონებიდან)

...ქვეყნის იგი რად მოვედინა? — ნუთო იმისათვის, რომ ერთი წამით შენს გულთან ახლოს დედო ბინა?...*

ივ. ტურგენევი

პირველი ლამე

გახლდათ საუცხოო ღამე. აეთ ღამეს მხოლოდ სიკაბუკეში თუ შეიძლება შევესწროთ, ძვირფასო მკითხველო! ცა ისე მოჭედლიყო ვარსკვლავებით, ისეთი ნათელი ეფინა, მისი მხილველი ძალაუნებურად იკითხავდით: ნუთუ შესაძლოა ამგვარი ცის ქვეშ ათასნაირი მწერალი და ჭირვეული ადამიანი ცხოვრობდეს? ესეც ახალი საკითხია, ძვირფასო მკითხველო, ფრიად ახალი, და ღმერთმა თქვენი გუნება-ხასიათის მიხედვით გადაგაწყვეტინოთ!.. ჭირვეულ და სხვადასხვა მწყურალ ბატონებზე საუბრისას არ შემეძლო ჩემი დღევანდელი კეთილსინდისიერი საქციელიც არ გამეხსენებინა. დილიდანვე საკვირველი კაემანი მოსვენებას არ მაძლევდა. უეცრად მომეჩვენა, თითქოს მე, მარტოსულ კაცს, ყველა მტოვებს და მშორდება. რა თქმა უნდა, სრული უფლება გაქვთ იკითხოთ კიდევ: ვინაა ეს ყველა? ვინაიდან რვა წელია უკვე პეტერბურგში ვცხოვრობ და ნაცნობობა თითქმის ვერაფრითან გავაბი. თუმცა ნაცნობობა რად მჭირდება? მთელ პეტერბურგს უამისოდაც ვიცნობ; ჰოდა, სწორედ ამიტომ მეგონა ყველა მტოვებს-მეთქი, როცა პეტერბურგი აიყარა და უეცრად აგარას მიამურა. მე მარტო დარჩენამ შემაშინა და სრულ-

ლი სამი დღე ყურბანამოყრილი დეგბორილებდი ქალაქში, ვერაფრით ვერ ამეხსნა რა მემარტებოდა. გავალ ნების პრისპექტზე, შევივლი ბაღში, დავუყვები სანაპიროს — ვერაფრის ვხედავ, რომელთა შეხვედრასაც მთელი წლის მანძილზე ერთსა და იმავე ადგილას და ერთსა და იმავე დროს ასე მივეჩვიე. რასაკვირველია, ისინი არ მიცნობენ, მე კი ყველას ვიცნობ. კარგადაც ვიცნობ; თითქმის მათი გამომეტყველებაც შევისწავლე — გული ხარობს, როცა მხიარულად არიან და სევდა მეუფლება, როცა სახე მოედრებლებათ. ერთ მოხუცთან, რომელსაც ყოველი ცისმარე დღე გარკვეულ დროს ფონტანკაზე ვხვდები, თითქმის მეგობრობაც გავაბი. მას მედიდური, დაფიქრებული შესახედაობა აქვს. ნიდავც დუღლუნებს და მარცხენა ხელს იქნევს, მარჯვენაში ოქროსბუნიკიანი, გრძელი, დაკორძილი ხელჯოხი უჭირავს. მე ამ მოხუცმაც კი შემაშინია და გულითადი თანაგრძნობით მეპყრობა. თუ ვინიცობაა განსაზღვრულ დროს ფონტანკაზე იმავე ადგილას არ მივედი, დარწმუნებულ ვარ, ინალვლებს. აი, სწორედ ამ მიზეზის გამო ხანდახან ორივე თავს ძლივს ვიკავებთ, ერთმანეთს არ მივესალმობთ, განსაკუთრებით, როცა კარგ გუნებაზე ვართ. ამას წინათ (ჩვენ მთელი ორი დღე ერთმანეთი არ გვენახა და მესამე დღეს შე-

* ი. ს. ტურგენევის ლექსიდან „ყვავილი“.

ხელით) ორივემ ის იყო ქულზე ვიტაცეთ ხელი, მაგრამ დროზე გამოვეტყვი, ხელი დავუშვი და თანაგრძობით ჩაუტარეთ ერთმანეთს. მე სახლებსაც ვიცნობ. როცა მივიღივარ ყოველი მათგანი თითქმის წინ მისწრებს ქუჩაში, დაეინებთ შემომყურებს და ლამის ამბობს: „გამარჯობა, როგორ ბრძანდებით? მეც, მადლობა ღმერთს, კარგად ვარ, მაისში ერთ სართულს დამაშენებენ“. ან: „როგორ ბრძანდებით? ხელოდან ჩემს შეკეთებას დამწყებენ“. ან კიდევ: „ჩინალამ დაიწყო და შემეშინდა“, — და ასე შემდეგ. მათ შორის გამოირჩეულნიც, ახლო მეგობრებიც მყავს; ერთმა მათგანმა ამ ზაფხულს არქიტექტორთან უნდა იაქიმოს. ყოველდღე საგანგებოდ მოვიინახულებ, რომ უხეიბოდ არ უშუქრნალონ; ღმერთო დიდფარე!.. მაგრამ არასოდეს დამაიწყებდა ერთი კოპწია, ღია ვარდისფერი პატარა სახლის ამბავი. ეს ისეთი ცქრილაა ქვის სახლი იყო, ისე ალერსიანად მიცქეროდა, ისეთი სიამაყით უყურებდა თავის ულახათო მეზობლებს, გული ხარობდა, როცა გვერდით ჩაუვლიდი. გასულ კვირას ქუჩაში მივიღივარ და, თვალი შევეაღე თუ არა, ჩივილი შემომესმა: „ყვითლად მდებარე!“ ავაზაკები შარბაროსები! არაფერი დანიდეს: არც სვეტები, არც ლავგარდანები და იგი იაღონივით გააყვიტოლეს. ამის გამო კინალამ ნაღველა ჩამექცა და აქამდის გული არ მიწვედა მომენახულებინა ჩემი დასახიჩრებულის, საბრალო მეგობარი, რომელიც ციურ იმპერიის ფერზე შეთხზინეს.¹

ამრიგად, მკითხველო, თქვენთვის ვასაბიზო, როგორ ვიცნობ მთელ პეტერბურგს.

უკვე მოგახსენეთ, რომ სრული სამი დღე ჩემს თავს არ ვეკუთვნოდი, ვიდრე წუხილის მიზეზი არ გავიგე-მეთქი. თავს ქუჩაშიც ვერ ვგრძობდი კარვად (ეს არ არის, ის არ არის, სად გაქრა ესა და ეს?)¹ წინაც აფორიკებულნი ვიყავი. ორი საღამო მოსვენება არ მქონია: რა მაკლია ამ ჩემს კუთხეში? რატომ არ მიდგება აქ გული? საგონებელში ჩავარდნილი ვათვალ-იერებდი მწვანე, ჩაშავებულ კედლებს, აბლაბულით დაფარულ ქერს (აბლაბუდის მომრავლებაში დიდი წვლილი შექმონდა მატრონასი, ხელახლა ეჩხრადი მთელ ჩემს ავეჯს, გაისინდა თითოეულს სკამი, ვფიქრობდი აქ ჩემი არ იმალება უზედურება-მეთქი? (იმიტომ რომ, თუ ერთი სკამიც კი ისე არ დგას, როგორც გულში იდგა, ეტყობა ჭკუაზე შეცედი) შეყურებდი ფანჯარას, მაგრამ ამაოდ... იოტის ოღენ შეებას ვერ ვგრძნობდი აზრადაც კი მომივიდა მატრონასთვის დამეძახნა და ტკბილად ვუსაყვედურე აბლაბუდასა და სეერთოდ უსუფთაობისათვის; მან კი გაცივებით შემომხედა, არაფერი მიპასუხა და წავიდა, ასე

¹ ესე იგი ყვითლად (იმდროინდელი ჩინეთის ეროვნული დროშის ფერა)

რომ აბლაბუდა აქამდე უდრტყინველად ჰქონდა თავის ადგილზე. საბოლოოდ, მხოლოდ დღეს/დღით მივხვდი წუხილის მიზეზს. ანუ ჩინეთში ხომ ავარაგზე გაიარებენ? მომიტევეთ ტრივიალური გამოთქმა, მაგრამ მე მაღალი სტილისთვის არ მტყულოდა... ვინაიდან ყოველივე, რაც კი პეტერბურგში იყო, ან გაემგზავრა, ან მიემგზავრებოდა ავარაგზე; ვინაიდან ეტლის დამქირავებელი, დარბაისლური შესახედაობის თვითველი პატრიცემული ბატონი ჩემს თვალში მყისვე იქცეოდა ოჯახის საპატრო მამად, რომელიც მომავლურბელი სამსახურბრივი საქმიანობის შემდეგ საათად მიემგზავრება თავისი ოჯახის წილში, ავარაგზე, ვინაიდან თვითველი გამველეს ახლა უკვე ჰქონდა განსაკუთრებული გამოთქმულიება, რაიც თითქმისა ყოველ შემხვედრს ამცნობდა: „ჩვენ, ბატონებო, აქ მხოლოდ ისე, სხვათა შორის ვართ, ორ საათში კი ავარაგზე ვავსწევთ“. თუ ფანჯარა გაიღებოდა და ზედ თერთად მოქათეთი თლილი თითები დაუკაჟუნებდა, მშენიერი გოგონას თავი გამოჩნდებოდა და ყვავილების გამყიდველს დაუძახებდა, იმუშავე გულში გამკრავდა: ამ ყვავილებს მხოლოდ ისე ყიდულობენ, ესე იგი, იმისათვის კი არა, რომ დახუთულ ქალაქურ ბინაში გაზაფხულით და ყვავილებით დატკენენ, სულ მალე ყველა ავარაგზე წავა და ყვავილებსაც თან წაიღებენ-მეთქი. ეგ არაფერი, ჩემს ახალ, თანისებურ აღმოჩენაში ისეთი წარმატებებს მივალწვი, უკვე შემეძლო ზუსტად, თვალის ერთი შევლებით ვამოძიებო ვინ რომელ ავარაგზე ცხოვრობს. ქვისა და აფთაქის კუნძულების ან პეტერბურგის გზის ბინადარნი გამოირჩეოდნენ დასწავლილი მანერების სინატივით. კოხტა საზაფხულო ტანსაცმლით და საუცხოო ეტლებით, რომლებითაც ქალაქში ჩამოვლიდნენ. პარკოლონის და ცოტა იმას იქითური მცხოვრებნი პირველი შეხვედრისთანავე თავიანთ კეთილგონიერებასა და დარბაისლობაში „გაჯერებდნენ“ ჯვრის ექნძულის სტუმარს კი უსუფთოვლო, ხალისიანი შესახედაობა ჰქონდა. როცა ვხვდებოდი ათასგვარი ავეჯით, მაგიდებით, სკამებით, თურქული და არათურქული დივანებითა და სხვა საოჯახო ხარახორით და ზეინულ ფორნებს, მათ გვერდით სადავეებით ხელში ზანტად მიმავალ მეფორნეთა გრძელ პროცესიას და ამ ხარახორზე, ზედ ფორნის წვერზე ხშირად დიდკატურად წამოსკუპებულ დაჩაჩანაყვებულ მზარეულს, რომელიც თვალისჩინივით უფრთხილდება ბატონის ავლაღდებას; როცა გავყურებდი ავეჯეულით დატვირთულ ნავეებს, რომლებიც ნევას ან ფონტანას შავ მდინარეზე ან კუნძულებამდე მიჰყვებოდნენ, ფორნები და ნავეები ჩემს თვალში ათეკედებოდა, ასეკედებოდა. მეჩვენებოდა, თითქმის ყველა აიყარა და გაემგზავრა, ქარავნებად მიდიოდნენ ავარაგზე; თითქმის მთელი პეტ-

ერბურაც უდაბნოდ ქცეით მემუქრებოდა. ასე რომ, ბოლოს, შემჩნევა, მეწყინა და დავანდვლანდი; მე გზა არსაით მჭონდა და არც ღირდა აგარაკზე წასვლა. მზად ვიყავ ყოველ ფორანს გავყოლოდი, ვამგზავრებულვიყავ თვითეული დარბასლური გარეგნობის ბატონთან, ერთად, რომელიც ეტლს ქირაობდა, მაგრამ არც ერთმა, და არც მეორემ არ მიმიწვია, თითქოს დამივიწყეს, თითქოსდა მათთვის მართლაც უტოს ვიყავი!

მე დიდხანს, ბევრი ვიარე და ჩვეულებისამებრ უკვე სავეგბით დავივიწყე საღ ვიყოფეზობდი, რომ უცერად საგუშავოსთან აღმოეჩნდი. მუის გავხალსიდი, გადავადი შლაგბაუმს, ვავსწიე დათესილ ყანებსა და მდებოებს შორის. თავს დადილობის ვერ ვიტყობდი, მაგრამ მთელი არსებით ვგრძნობდი, რომ გეულიდან ლოდი მშორდებოდა. თვითეული მგზავრი ისე აღერხანდა მიტქეროდა, სალმის მიცემას არაფერი უკლავ: ყველას რაღაც უხაროდა, სუყველა უკლებლივ სიგარას სწევდა. მეც მიხაროდა, ასე არასდროს დამმართინია. მოულოდნელად თითქოს იტალიაში მოვხვდი — ისე ძლიერ გამაოცა ბუნებამ, ქალაქის კედლებში ლამის სულამორბეული, ეს ნახევრად ავადმყოფი მოქალაქე.

ჩვენს პეტერბურგულ ბუნებაში არის რაღაც გულის ამპქროლებელი, როცა იგი ვახაფხულის დადგომისთანავე უცერად გამაოცლენს მთელ თავის ძლიერებას, ზეგარდმო მონიჭებულ ძალას, შეიძოსება, მოიართება, ყვაოდლებით გადაჭრელდება... ის უნებლიეთ ავადმყოფ, ჩამომხმარ ქალიშვილს მაგონებს, რომელსაც ზოგჯერ სიბრალულით უტქერით, ზოგჯერ კი უბრალოდ ვერ ამჩნევთ, მაგრამ ანახლებულად, ერთ წაში, როგორცეც მოულოდნელად ენით უთქმელი სილამაზით დამშვენდება, თქვენ კი, განციფერებული და მოხიბლული, უნებლიეთ საკუთარ თავს ეკითხებით: ასე რა ძალამ ვაიცისკროვან ეკ ნადვლიანი, დაფიქრებული თვალები? რამ ვადაჯღაფა ეგ ფერმქროლი, ჩამომქენარი ლოყები? რამ შეუთხო ვენების ცეცხლი სახის ამ ნახევრებს? ასე რისიან უფეთქებს მერად? ასე მოულოდნელად რამ მიანიჭა ძალა, სიცოცხლე და სილამაზზე სბრალო ქალიშვილის სახეს, რამ აიძულა ასეთი ნათელი დიმილი ვადაჟენოდა, გულადი, ზეადმტაცი კისისით ვამოეცოცხლებინა? თქვენ ირგველი იყურებით, ვილაცას დუძებთ, თქვენ ატყობთ... მაგრამ წაში ვადის და, შესაძლოა, მეორე დღეს კვლავაც იხილოთ იგივე დაფიქრებული, დაბნეული მჭერა, იგივე ფერმქროალი სახე, შენიშოთ იგივე მორჩილი, შიშნეული მოძრაობა და წუთიერი ვატაციების ფაშო სინანულიც, მიმქრალი ნადველისა და დარდის ნავაღევიც კი... და გულს ვაყლიათ, რომ ასე მალე, ასე საშუდამოდ და-

ინთქა წამიერი სილამაზე, რომ მან ასე მაც-ღულს ვაყლიათ, რომ მი შეყვარების დროც არა გქონდათ...

მაგრამ მანაც ჩემი დამე დღეზე უკეთესი იყო! და აი, რატომ:

ქალაქში ძალზე გვიან დავბრუნდი, უკვე ათმა საათმა დაჰკრა, როცა სახლს ვუხალოვდებოდი. მოვეყვებოდი არხის სანაპიროს, სადაც ამ დროს მე ხორციელს ვერ შეხვდებით, — მე ქალაქის უშორეს ნაწილში ვცხოვრობ. მოვიდინი და მოვიმდეროდი, რადგან როცა ბედნიერი ვარ, უთუოდ რაღაცას ველიდნებ ჩემთვის, ისე როგორც ყველა ბედნიერი ადამიანი, რომელსაც არც მეგობრები ჰყავს, არც კეთილი ნაცნობები და, რომელიც ბედნიერების წუთებში თავის სიხარულს ვერავის ვაუხარებს. მოულოდნელად წარმოუდგენელი ამბავი მოხდა.

არხის მოაჯირთან ქალი იღვავ: იგი მოაჯირს დაყრდნობოდა და, როგორც ჩანდა, დიდი ყურადღებით დაჰყურებდა მღერეი წყალს, კობტა ყვითელი ქული ეხურა და მოხდენილი შავი მანდილი მოესხა. „ეს ქალიშვილია და ამავ დროს უქვევლა ვავგერმინა“, — ვავილე გულში. ქალს, ეტყობა, ჩემი ფეხის ხმა არ ვაუგია, არც კი ვანძრეულა, როცა სუნთქვაშეკრულმა გულისთროლით ჩავუარე. „უცნაურია! უთუოდ რაღაცაზე ფიქრმა ვაიტაცა“, ვავიფიქრე და ადგილზე ვაქვავიდი. მე ყრუ ქვითინი შემომესმა: დიანს! არ შევცდარვარ: ქალიშვილი ტიროდა და ყოველი წუთის შემდეგ სლუქუნებდა. დმერით ჩემი! გული შემიდევს. ქალბთან ფრად მორიდებულ ვარ, მაგრამ ეს ისეთი წუთი იყო!.. შემოვბრუნდი, მისკენ წავიდი და უსათუოდ ვიტყოდლი: „ქალბატონო!“ რამეთუ არ მცოდნოდა, რომ რუსული მაღალი საზოგადოების რომანების დროს ეს სიტყვა ათასჯერ წარმოითქვა. მხოლოდ ამან შემაჩერა, მაგრამ ვიდრე სხვა სიტყვას მოვქნბიდი, ქალიშვილი ვამორეკა, მიმოიხედა, გონს მოეგო, თავი დახარა და სანაპიროს ვაუყვა. მაშინვე უკან ვავედენე, ქალიშვილი მიხიხვდა, არხის ნაპირი მიატოვა, ქუჩა ვადაჰკრა და ტროტუარზე ვანავრძო გზა. მე ვერ ვაგებდი, ქუჩა ვადამეკვეთა. გული დამქროლი ჩიტივით მიფართვალბდა. უცერად ერთმა შემთხვევამ მიშველა.

ტროტუარის იმ მხარეს, უცნობი ქალიშვილის მახლობლად, უცებ ფრაში ვამოწუბილი ვავატონი ვამოჩნდა. იგი ხანდაზმული ვახლდათ, მაგრამ ვერ იტყოდით, რომ ასაკის შესაფერისად მიდიოდა, მიზანვალბდა და კედელს ფრთხილად ემჯინებოდა. ქალიშვილი კი მიქროდა ისარვით, აჩქარებით და შიშნეუ-

ფიოდორ დოსტოევსკი
თეთრი ლამეზი



ლად, ისე როგორც ყველა ქალიშვილი, რომელსაც არ სურს ღამით ვინმემ თავს იდოს მისი შინ გაცილება და, რასაკვირველია, ბანკალით მიმავალი ვაჟბატონი ვერაფრით დაეწეოდა, რომ ჩემს ბედად სხვა გზა არ გამოენახა. უერად, სიტყვის უთქმელად, ადგილს წყდება, თავქუდმოკლეილი ვაზრის და ჩემს უცნობ ქალიშვილს ეწევა. ქალიშვილი ქარივით მიფრინავდა, მაგრამ ფეხბარუსული ვაჟბატონი მაინც ეწეოდა, მიეწია კიდევ, ქალიშვილმა იკივლა და... განგებას მადლობას ვწირავ შესანიშნავი დაკორძილი ხელჯობის გამო, რომელიც ამერად მარჯვენა ხელში აღმომაჩნდა. თვალის დახამამებაში იმ მხარეს გავჩნდი, დაუბატიებელმა ვაჟბატონმა მყისვე იგრძნო საქმის ვითარება, გონს მოეგო, ხმა გაკმინდა, ჩამოგვრჩა და როცა უკვე ძლიერ შორს ვიყავით, ჩემს წინააღმდეგ მხოლოდ მაშინ დაიწყო პროტესტი. განცხადება საკმაოდ ენერგიული ტერმინებით. მაგრამ მისი სიტყვები ძლიერ აღწევდა ჩვენს სმენად.

— მომეცით ხელი და ოჯი ვეღარ გაბედავს მეტად ავგედენოს, — ვუთხარი ჩემს უცნობ ქალიშვილს.

მან მღუმარედ გამომიწოდა ხელი, მღელვარებისა და შიშისაგან რომ ჯერ კიდევ უცახცახებდა. ო, დაუბატიებელი ვაჟბატონო! როგორ გლოცავდი ამ წუთში! ქალიშვილს თვალი შეეკაღვ: გამოვიცან — მართლაც შეეგერმანი იყო, ამასთან ფრიად სანდომიანი; შავ წამწამებზე ჯერ კიდევ უთიანებდა, არ ვიცო, ახლანდელი შიშისა თუ ადრინდელი მწუხარებით გამოწვეული ცრემლები, ბაგეებზე კი უკვე ღიმილი უქრთოდა. ქალიშვილმაც შემომხედა მაუღლად, სახე შეუფაჯლდა და თავი დახარა.

— აი, ხომ ხედავთ, რატომ ჩამომიშორეთ მაშინ თავიდან? მე რომ იქ ვყოფილიყავი, არაფერიც არ მოხდებოდა...

— მე ხომ არ გიცნობდით: მეგონა თქვენც...

— განა ახლა მიცნობთ?

— ცოტათი. აი, მაგალითად, რატომ ცახცახებთ?

— ო, თქვენ თავიდანვე გამოიცანით! — უუპასუხე აღფრთოვანებულმა იმით, რომ ქალიშვილი გონიერი იყო: ეს სილამაზეს არასდროს არ უშლის ხელს. — ერთი შეხედვით გამოიცანით, ვისთან ვაქვთ საქმე. სწორია, ქალბატონ მორიდებელი ვარ, არ ვდაობ. არა ნაკლებ ვლელავ; ვიდრე თქვენ ერთი წუთის წინ, როცა იმ ვაჟბატონმა შეგაშინათ... ახლა რალანციური შიში დამეუფლა. თითქოს სიზმარში ვარ, მე კი სიზმარშიც არ მზნანებია, რომ ოდესმე თუნდაც რომელიმე ქალს დაველაპარაკებოდი.

— როგორ? ნეთუ?...

— დიახ, ხელი თუ მიცახცახებს იმის ბრალია, რომ არასდროს არ შეგხებიათ თქვენებარ

მშენებერ, პაწია ხელს. ქალბს სრულად დაეჩვიე; უფრო სწორად არასდროს არ მიეჩვიევიარ; მე ხომ მარტო ვარ. არც კი ვიცო, როგორ ველაპარაკო მათ, აი, ახლაც არ ვიცო — რაიმე სისულელე ხომ არ ვითხარით? ნუ დამიხმობთ; წინდაწინ გეუბნებით, მე განაწყენება არ მიწვეია...

— არა, არაფერი, არაფერი; პირიქით, და თუ უკვე მოითხოვთ გულახდილი ვიყო, პირდაპირ გეტყვით: ქალბს ასეთი გაუბედობა უფრო მოწონთ, თუ მეტის ცოდნა გნებავთ. უნდა ვითხრათ, რომ ეს გაუბედობა მეც მომწონს და ამიტომ შინ მისვლამდე არ მოვიცილებთ.

— თქვენ ისე მეპყრობით, — დავიწყე აღტაცებით სულშეგუბებულმა, — გაუბედობას ახლავე მივატლებ და — მაშინ მშვიდობით ჩემო ყველა საშუალებავ!..

— საშუალება? რა საშუალება, რა საჭიროა? ეს კი უკვე უცლია.

— დამნაშავე ვარ, ხმას არ ამოვიღებ, წამომცდა; მაგრამ როგორღა გინდათ, რომ ასეთ დროს არ გავიჩინდეთ სურვილი...

— მოწონებინსა, არა?

— თუნდაც მოწონებისა; ო, ნუ მიწყენთ, თუ ღმერთი გვაძთ. ნუ მიწყენთ. თავად განსაჯეთ, ვინა ვარ! უკვე ოცდაქექსი წლისა გახლავართ და არასდროს, ავარის არ შეგხვედრივარ. ჰოდა, როგორ შემეძლება კარგად, მოსწრებულად და სათანადოდ ვილაპარაკო? თქვენთვის ხომ უკეთესი იქნება ყველაფერი გამოძლავნდეს, გამოაშარავდეს... არ შემიძლია ვდუმდე, როცა გული ლაპარაკობს. მაგრამ სულ ერთია... დამიჭერეთ, არც ერთი ქალი არასდროს, არასდროს! არავითარი ნაცნობობა! ეს კია, რომ ყოველდღე ვოცნებობ, ბოლოს და ბოლოს, იდგამე ვინმეს შეგხედობით. ო, რომ იცოდეთ, ასე რამდენჯერ ვიყავე შეყვარებულო!..

— როგორ, ვისზე?

— არავისზე, იდეალზე, იმაზე, ვინც სიზმარში გამოგეცხადებთ ხოლმე. ოცნებებში მთელ სასიყვარულო ამბებს ვთხზავ. ო, თქვენ არ მიცნობთ! მართალია, უამისობაც არ იქნება, ორ-სამ ქალს შეგხედი, მაგრამ რა ქალები არიან? ყველა ისეთი დიასახლისია, რომ... მაგრამ მე თქვენ გაცინებთ, გაიპბობთ, რამდენჯერმე როგორ ვფიქრობდი ისე, უბრალოდ რომელიმე არისტოკრატ ქალს მჭერაში გამოვლაპარაკებოდი, ცხადია, როცა პირტო იქნებოდა; გამოვლაპარაკებოდი, რასაკვირველია, მოკრძალებით, მოწიწებით, გულმხურვალედ; მე თქვა, რომ მარტო ვიღუბები, რომ ხელი არ ეკრა, რომ უნარი არ შემეწევს თუნდაც რომელიმე ქალს დავუახლოვდე; ჩამეგონებინა, ქალის მოვალეობაც კია ჩემისთანა უბედური კაცის გაუბედავი მუდარა ყურად იღოს-მეთქი. რომ, დასასრულ, ჩემი თხოვნა მხოლოდ ისაა, ორი-

ოდე მეგობრული, თანაგრძნობის გამოხატე-
ლი სიტყვა მიტხრას. ახლავე არ გამაძევოს,
ენდოს ჩემს სიტყვებს, მოისმინოს რასაც ვე-
ტყვი, თუ უნდა დამცინოს კიდევ, ოღონდ და-
მაიმედლოს, ორიოდ სიტყვა, მხოლოდ ორიოდ
სიტყვა მიტხრას, მერე კი თუნდაც ნურასო-
დეს ნუ შევხვდებით... ო, თქვენ იცინით... თუ-
მცა მეც ამიტომ ვიყვებით...

— ნუ მიწყენთ; მიბრუნეთ ვიცინი, რომ საკუ-
თარი თავის მტერი ხართ; და რომ გესიხნათ,
მიხანს მიაღწევდით კიდევ, თუგინდ ეს ამბავი
ქუჩაში მომხდარაო; რაც უბრალოდ იქ-
ნება, მით უკეთესია... არც ერთი კთილი ქა-
ლი, თუ ცოტა კუთამყოფელია ან იმ წუთში
რაიმეზე განსაკუთრებულად არაა გაჯაგრებუ-
ლი, არ მოგიცილებდათ ამ ორიოდ სიტყვის
გარეშე, რასაც ასე მოკრძალებით ითხოვთ...
თუმცა რას ვამბობ! მე, რასაკვირველია, გივი
მეგონებოდით. მე ხომ ჩემი მოსახრება მაქვს.
კარგად ვიცი ხალხის ასავალ-დასავალი!

— ო, გზადლობთ, — შევძახე მე — თქვენ
არ იცით, ახლა რა საქმე მიყავით!

— კარგი, კარგი! მაგრამ მიიხარით, რატომ
გეგონათ, რომ ისეთი ქალი ვარ, რომელთან-
აც... ვთქვათ, რომელიც ყურადღებისა და
მეგობრობის ღირსად მიგაჩნით... ერთი სიტ-
ყვით, არა დისასხლისი, როგორც თქვენ უწო-
დებთ. რატომ გადაწყვიტეთ ჩემთან მოსვლა?

— რატომ? რატომ? თქვენ მარტო იყავით,
ის ვაგბატონიც ძალიან თამამი ვახლდით, ახ-
ლა დამევა: დამეთანხმეთ, რომ ეს მოვალე-
ობაა...

— თქვენ, არა, ჯერ კიდევ ადრე, იქ, იმ მხარ-
ის. თქვენ ხომ გინდოდით მოსულიყავით?

— იქ, იმ მხარეს? მერაშუნეთ, არ ვიცი, როგორ
გინაპსხოთ: ვშიშობ... იცით, დიდეს
ბედნიერი ვიყავი, მოვდიოდი და ვმღეროდი;
ქალაქგარეთ ვახლდით; არასდროს ბედნიერ-
ებთ სავსე ასეთი წუთები არ განმიცდილა.
თქვენ... შეიძლება, მომეჩვენა... ვთხოვთ, მო-
მიტყვიეთ, თუ შევახსენებთ: მომეჩვენა, თით-
ქოს ტირილით და მე... მე ამის მოსმენა ვე-
ლარ შემიძლო. გული შემეკუმშა... ო, ღმერთო
ჩემო! ნუთუ არ შემეძლო თქვენს გამო შეე-
წუხებულოყავ? ნუთუ მკრეხელობა იყო თქვენ-
დამი ამჟერი თანაგრძნობა გამომეხატა? მაპა-
ტიეთ, მე ვთქვი თანაგრძნობა... ჰო, ერთი სი-
ტყვით, ნუთუ შემეძლო თქვენთვის შეურაც-
ხყოფა მომეყენებინა იმით, რომ უნებურად
თქვენთან მოსვლა მოვიწყდინე?

— კარგი, გეყოფათ, ნუ ლაპარაკობთ... —
მიიხრას ქალიშვილი, თავი დახარა და ხელი
ხელზე მომიჭირა, — თვითონ ვარ დანაშავე,
რომ ამაზე წამოვიწყებ საუბარი; მაგრამ მიხა-
რია, რომ თქვენში არ შევმძლარე. ოჰ, უკვე
შინ მოვსულვარ; აქ შესახვევში უნდა შეეუბ-
ნო; აქედან ორ ნაბიჯზე ვცხოვრობ... მშვი-
დობით, მადლობას მოგახსენებთ...

— მაშ, ნუთუ ამის მეტად აღარასოდეს შე-
ვხვდებით?.. ნუთუ ყველაფერი ამით დამთავ-
რდება?..

— ხედავთ, — სიცილით თქვა ქალიშვილი,
— თავიდან მხოლოდ ორიოდ სიტყვა გასურ-
დათ, ახლა კი... თუმცაღა, არაფერს გეტ-
ყვით... შეიძლება შევხვდეთ...

— ხვალ აქ მოვალ, — ვუთხარი მე, — ო,
მაპატიეთ, მე უკვე მოვიბრუნე...

— დაბ, თქვენ სულწაფი ხართ... თით-
ქმის მოითხოვთ...

— მოიცა, მოიცა! — გაეაწყვეტინე ლა-
პარაკი. — მაპატიეთ, თუ კიდევ ისეთ რამეს
გეტყვით... მაგრამ აი, რა: არ შემიძლია ხვალ
არ მოვიდე. მე მეოცნებე ვარ; ნამდვილ ცხო-
ვრებას იმდენად მოუღებელი ვარ და ამგვარი
წუთები, რასაც ახლა ვანიციდი, ჩემთვის იმდენ-
ად იმეფითა, რომ ვერ გავძლებ ხელახლა ოც-
ნებით არ წარმოვიდგინო. თქვენზე მთელი ღამე,
მთელი კვირა, მთელი წელიწადი ვიოცნებებ.
ხვალ უსათუად მოვალ, სწორედ აქ, ამ ადგი-
ლას, სწორედ ამ ღრას, ვავიხსენებ დღევან-
დელ ამბავს და ბედნიერად ვიგარბობ თავს.
ეს ადგილი ჩემთვის უკვე სანუკვარია. ბუტერ-
ბურგში ორი-სამი ასეთი ადგილი მაქვს გამო-
რჩეული. ერთსხე მფიქრებთ თქვენსავით ამ-
ატირია... ვინ იცის, შესაძლებელია თქვენც
მოგონებისაგან ტირილით ათიოდე წუთის
წინ... მაგრამ მომიტყვიეთ, კვლავ გადავამეტ;
თქვენ შეიძლება, ოდესმე ბედნიერი იყავით
ამ ადგილას...

— კარგი, — თქვა ქალიშვილი, — ხვალ
აქ მართლაც მოვალ, სწორედ ამ საათზე, ვხე-
დავ, რომ უკვე აღარ ძალმის ადგილკეთით...
იცით, რა: ხვალ აქ უნდა ვიყო; ნუ იფიქრებთ,
თითქოს პაემანი დაგინიშნეთ; გაფრთხილებთ,
ჩემს საქმეზე უნდა მოვიდე, მაგრამ... კარგი,
პირდაპირ გეტყვით: კარგი იქნება, თუ მოხ-
ვალთ; ჯერ ერთი, შესაძლოა დღევანდელივით
უსიამოვნო არ მოხდეს, ეს სხვადასაშინ...
ერთი სიტყვით ვისურვებდი მენახეთ... რომ
ორიოდ სიტყვა მეთქვა... მხოლოდ, იცით, არ
დამძრახავთ ახლა? ნუ იფიქრებთ თითქოს
ასე ადვილად გინიშნავთ პაემანს... მე არც და-
გინიშნავდით, რომ... მაგრამ ეს ჩემი საიდუმ-
ლო იყოს! მხოლოდ წინასწარ უნდა შევთან-
ხმდეთ...

— შეთანხმება! ილაპარაკეთ, თქვით, ყველა-
ფერი წინასწარ თქვით; მე ყოველივეზე თანა-
ხმა ვარ, ყოველივეზე მზად ვარ, — შევძახე
ალტაცებულად, — ჩემს თავზე მე ვავებ პა-
სუხს: მორჩილად, მორიდებით ვიქნები... მე
თქვენ მიცნობთ...

— სწორედ იმიტომ ვიწყვეთ, რომ გიცნობთ,
— სიცილით მიიხრას მე, — ზედმიწევნით

ფიოდორ დოსტოევსკი
თითქონი ლაშქარის



გიცნობთ. მაგრამ იცოდეთ, მოხვალთ ერთი პირობით; ჯერ ერთი (მხოლოდ, ვეთყავა, რასაც ვთხოვთ, შეასრულეთ, ხელდავთ, მე გულახლოდ გელაპარაკებით) არ შემიყვართ... გარწმუნებთ, ეს არ შეიძლება. მეგობრობაზე მზად ვარ, აბა, ჩემი ხელი... შეყვარება კი არ შეიძლება, ვთხოვთ!

— გფიცებით, — შეეძახე და მის ხელს წავეტანე...

— როგორ გეკადრებთ, ნუ მეფიცებით, განა არ ვიცი, შეგიძლიათ თოფის წამალივით იფეთქოთ. ნუ დამძრახავთ ასეთი ლაპარაკისათვის. თქვენ რომ იცოდეთ... არც მე მყავს ისეთი ვინმე — სიტყვა ვუთხრა, რჩევა ვკითხო. რასაკვირველია, მრჩეულები ქუჩაში არ უნდა ეძებო, მაგრამ თქვენ გამოხალისი ხართ. ისე გიცნობთ, თითქოს ოცი წლის მეგობრები ვიყოთ... ხომ შართალია, არ მიმტყუნებთ?..

— ნახავთ... ოღონდ არ ვიცი, როგორ მივატან თუნდაც ხეალ საღამომდე.

— მაგრად იძინეთ; ღამე მშვიდობისა — და გახსოვდეთ, რომ უკვე მოგენდით. რა კარგად თქვით წელან: ნუთუ საჭიროა ანგარიში ჩავაბაროთ ყოველ გრძნობაზე, თუგინდ ძმურ თანავგრძნობაზე! იცით, ეს კარგი ნათქვამი იყო. იმწამსვე აზრმა გამიელვა, თქვენ მოგნდობოდით...

— კი მაგრამ რაში? რაო?

— ხელამდის. მოდი, ჯერჯერობით დუმლოდ დარჩეს; მით უკეთესი იქნება თქვენთვის; თუმცაღა შორიდან რომანს ემგვანება, შეიძლება, ხეალვე გითხრათ, შეიძლება, არა... მე კიდევ წინასწარ მოველაპარაკებო, ერთმანეთს უკეთ გიცნობთ...

— ო, ხეალ ჩემს შესახებ ყველაფერს გაიგებოთ! მაგრამ რა მემართება? თითქოს სასწაული ხდება ჩემს თავს... ღმერთო, საღა ვარ? ერთი მითხარით, ნუთუ უკმაყოფილო ხართ იმით, რომ სხვასავით არ გაჯავრდით და თავიდან არ მომიშორეთ? ორი წუთი და სამუდამოდ ბედნიერ აღამიანად მაქციეთ. დიას! ბედნიერ აღამიანად; ვინ იცის, შესაძლოა, საკუთარ თავთან შემარიგეთ, ჩემი ეშვები გაფანტეთ... შეიძლება, ჩემთან ისეთ წუთებს პოულობენ... კარგით, ხეალ ყველაფერს გაიგებოთ, ყველაფერს შეიტყობთ, ყველაფერს...

— კარგით, გეთანხმებით, თქვენც დაიწყებთ...

— თანახმა ვარ.

— ნახვამდის!

— ნახვამდის!

გამოვეშვიდობებთ ერთმანეთს. მე მთელი ღამე დავეხეტებოდი; შინ წასვლა ვერ გადამეწყვიტა. ისე ბედნიერი ვიყავი... ხელამდის!

მომრა ღამე

— ხელდავთ, მიატანეთ კიდევ! — სიცილით მითხრა მან და ორივე ხელი ჩამოშორდა.

— უკვე ორი საათია აქა ვარ. თქვენ არ იცით, რა ყოფაში ვიყავი მთელი დღე!

— ვიცი, ვიცი... მაგრამ საქმეს მიგხედოთ. იცით, რატომ მოვედი? ვუშინდელივით ხომ არ უნდა ვილაყბოთ. აი, რა: ამიერიდან ჭკვიანურად უნდა მოვიქცეთ. გუშინ დიდხანს ვფიქრობდი ყოველივეზე.

— როგორ თუ ჭკვიანურად? მე მზად ვარ, მაგრამ, მერწმუნეთ, ჩემს სიცოცხლეში ასე ჭკვიანურად არასდროს მოვექცეულვარ.

— მართლა? ჯერ ერთი, ვთხოვთ, ასე ნუ მიჭერთ ხელს; მეორეც, თქვენზე დღეს ბევრი ვიფიქრე.

— მერე რა დასკვნა გამოიტანეთ?

— რა დასკვნა? ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ, ვინაიდან დღეს საბოლოოდ იმ აზრამდე მივედი, რომ ჯერ კიდევ კარგად არ გიცნობთ, რომ გუშინ ბავშვივით, გოგონასავით მოვიქციე და, რასაკვირველია, ისე გამოვიდა, თითქოს ყველაფერში ჩემი კეთილი გულია დამნაშავე, ესე იგი, თავი შევიქე, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, როცა საკუთარი სულის შეფასებას ვიწყებთ. ჰოდა, შეცდომების გამოსასწორებლად გადავწყვიტე თქვენს შესა-

ხებ დაწერილებით შევიტყო ყველაფერი. მაგრამ, ვინაიდან ამის გაგება სხვისგან არ შემიძლია, თვითონვე უნდა მიახლოო ყოველხე, მთელი თქვენი ასავალ-დასავალი. აბა, მიიხხარით, ვინა ხართ? დაიწყეთ ჩქარა, მიამბეთ თქვენი თავგადასავალი.

— თავგადასავალი! — შეეძახე დაფეთებულმა, — თავგადასავალი! ვინ ვითხრათ, რომ მე თავგადასავალი მაქვს? მე არა მაქვს თავგადასავალი...

— მაშ, როგორ ცხოვრობდით, — სიცილით შემაწყვიტინა მან.

— ყოველგვარი თავგადასავლის გარეშე! როგორც იტყვიან, ისე, ჩემთვის ცხოვრობდი, უფრო სწორად, სავსებით მარტო, მარტო, სავსებით მარტო, — ვესივთ, რა არის მარტო? — როგორ მარტო? ესე იგი, თქვენს სიცოცხლეში არავის შეხვედრიხართ?

— რას ამბობთ, შეხვედრიით შეხვედრივარ, მაგრამ მაინც მარტო ვარ.

— როგორ, ნუთუ არავის ელაპარაკებოთ?

— ზუსტად მნიშვნელობით არავის.

— აბა, ამიხსენით ერთი, ვინა ხართ! მოიცათ, მე ვხვდები; თქვენ, უსათუოდ, ისევე როგორც მე, ბებია ვყავთ. ბებიაჩემი ბრმა და მთელი სიცოცხლე თავიდან არ მიშორებს, ასე



რომ ლაპარაკს თითქმის სრულიად გადაეჩვიე. როცა ამ ორი წლის წინ წავიცელები, იფიქრა, ამის უკან დღეების თავი არა მაქვსო, დამიძახა და ჩემი კაბა თავისაზე ქინძისთავით მიიბნია. მას შემდეგ მთელი დღეები ვზვიარა; იგი წინდასა ქსოვს, თუმცა ბრმაა; შენ კი მთელი დღე გვერდობდი ნუ მოცილებდი და უყურე ან ხმა-მალა უკითხე წვინი — ისეთი უცნაური ჩვევაა, აი უკვე ორი წელია მიბმული ვარ...

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რა საოცრებაა! არა, არა, მე ასეთი ბებია არ მყავს.

— მაშ, როგორღა ზიხართ შინ?

— მოცდათ, თქვენ გსურთ იცოდეთ ვინა ვარ?

— მაშ, მაშ!

— სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით?

— სწორედ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით.

— ბატონი ბრძანდებით, მე ვარ ტიპი.

— ტიპი, ტიპი! რომელი ტიპი? — წამოიძახა ქალიწვილმა და ისე გადაიკისკისა, თითქოს მთელი წელიწადი არ გაუცინიაო. — ო, თქვენთან ყოფნა ძალიან სახალისოა! ხედავთ, აგერ სკამია, ჩამოესხდით! აქ არაფერი დადის, ჩვენს ლაპარაკსაც ვერაფერი გაიგონებს და, გვზოვთ, ბარემ დაიწყეთ თქვენი თავგადასავალი! მე ვერ მომატყუებთ, თქვენ თავგადასავალი გაქვთ, მაგრამ მალავთ. ჭერ ერთი, რა არის ტიპი?

— ტიპი? ტიპი, ეს ორიგინალური, ეს რაღაც სასაცილო ადამიანია! — ვუბასუხე და მის ბავშვურ კისკისს მეც ავეყევი. — ეს რაღაც ხასიათია. მისმინეთ: იცით, რა არის მეოცნებე?

— მეოცნებე? მოითმინეთ, როგორ არ ვიცი? მე თავად მეოცნებე ვარ! ხანდახან ბებიას გვერდით ზიხარ და თავი რით არ ივსება! პოლა, იწყებ კიდევ ოცნებას. ისე წავიღებს ფიქრებზე, ო, პირდაპირ ჩინეთის უფლისწულზე ვთხოვდები... ხანდახან ოცნება კარგიცაა არა, თუმცა, ღმერთმა უწყის! განსაკუთრებით, როცა სხვათა გაქვს საფიქრებელი, — ამჭერად საქმად სერიოზულად დაუმტა ქალიწვილმა.

— ჩინებული! თუ უკვე ჩინეთის პოლიტიკის გაკვეთი, მაშასადამე, მეც სავსებით გამოგვბო. მაშ, მისმინეთ... მაგრამ დაიცა: მე ხომ არ ვიცი რა გეკვიპა?

— როგორც იქნა! ადრე კი გაგახსენდათ!

— ო, ღმერთო ჩემო! სულ არ მომგონებია, ისედაც კარგად ვგრძნობდი თავს...

— ნასტენკა მქვია.

— ნასტენკა! მეტი არაფერი?

— მეტი არაფერი! ნუთუ საკმარისი არაა, თქვე გულშეუჭერებელი თქვენა!

— საკმარისი არაა? პირიქით, პირიქით, ნასტენკა, გულმოდგინედ ქალიწვილო, რამეთუ პირველი შეხვედრისთანავე ჩემთვის ნასტენკა გახდით!

— ოჰ, ოჰ, აბა!

— მაშ, უსმინეთ, ნასტენკა, რა სასაცილო თავგადასავალი მოგიყვებო.

— მე მის გვერდით დავჯექი, ზედმიწევნით სერიოზულად გამომეტყუებდა მივიღე და ვითომც დალაგებულად დავიწყე:

— პეტერბურგში არის, ნასტენკა, თუ არ იცით, არის საკმაოდ უცნაური ადგილები. აქ თითქოსდა იგივე მზე კი არ იხედება, რომელიც ყველა პეტერბურგელისათვის ანათებს, რაღაც სხვა, რაღაც ახალი, ამ ადგილებისათვის თითქოს განზრახ შერჩეული, და ყველაფერს სხვანაირ, განსაკუთრებულ სინათლეს ჰქვინს. აქ, ძვირფასო ცხოვეტნა, თითქოს სრულიად განსხვავებული ცხოვრებაა, არა იმგვარი, ჩვენს გვერდით რომ ჩქეფს, სხვარიგი, რომელიც შეიძლება, ცხრა მთას იქითა უცნობ სამეფოში არსებობდეს და არა ჩვენთან, ჩვენს უაღრესად სერიოზულ დროს. აი, სწორად ეს ცხოვრება გახლავთ რაღაც წმინდა ფანტასტიკური, უსაზღვროდ იდეალური და ამასთან ერთად (სამწუხაროდ, ნასტენკა) უფერული, პროზოული და ჩვეულებრივი (რომ აღიარა ვთქვათ: წარმოუდგენლად საძაველი) რამის ნარევი.

— ფუი! ღმერთო მალალო! რა წინასიტყვაობაა! ამის შემდეგ რაღა უნდა მოვისმინო?

— მოისმინეთ, ნასტენკა! ასე მგონია, არასდროს არ მომწყინდება ნასტენკა (დავიძახოთ), მოისმინეთ, რომ ამ ადგილებში ცხოვრობენ უცნაური ადამიანები — მეოცნებენი. მეოცნებე — თუ საჭიროა ამის ზუსტი განსაზღვრა — ადამიანი კი არა, იცით, რაღაც უშუალოდ არსებაა. იგი უმეტესად სადმე მიუვალ კუთხეში სახლდება, თითქოს დღის სინათლეს ემალებო, და თუ მოიკალათა, თავის კუთხეს ლოკოკინასავით შეგზრდება კიდევ, ანუ, იგი ამ მხრივ ძლიერ ჩამოკავს ერთ საინტერესო ცხოველს, რომელიც ერთსა და იმავე დროს ცხოველიცაა და სახლიც და რომელსაც კუჭქვია. როგორ ფიქრობთ, ასე რად უყვარს უთუოდ მწვანედ შეღებილი, გამურული, უხალისო და უსაშველოდ გაბოლილი თავისი ოთხი კედელი? ამ სასაცილო ვაჟბატონს თავის იშვიათ ნაცნობთან თუ ვინმე ეწყია (საბოლოოდ კი ნაცნობები სულ შემოეფანტება), რატომ ხვდება მას დარცხვენილი, სახეშეცვლილი და დაბნეული, თითქოს თავის ოთხ კედელში დანაშაული ჩაიდინა, თითქოს ყალბ საბუთებს აკეთებდა ან ლექებს წერდა, რომ ჟურნალში გაეგზავნა უსახელო წერილთან ერთად, რომელშიც აღნიშნულია, ვითომ ნამდვილი პოეტი გარდაიცვალა და მის მგებობას უზენაეს მოვალეობად მიიჩნია პოეტის ლექსები გამოაქვეყნოს? მითხარით, ნასტენკა, რა-

ფეოლორ ღოსტომავსი
თეატრი ლამეზბი



ტომ არ ებმება თავი მათ საუბარს? რატომ არ გაიცინებს და ერთი მოსწრებული სიტყვაც არ წამოცდება მოულოდნელად შემოსულ და შეფიქრანებულ მეგობარს, რომელსაც სხვა დროს ძალიან უყვარს წიცილიც და მოსწრებული სიტყვაც, მშვენიერ სქესზეც და სხვა მხიარულ ამბებზეც მასალათ? ეს ალბათ ახლად გაცნობილი მეგობარი, პირველი ვიზიტის დროსაც კი, ვინაიდან ამ შემთხვევაში მეორე აღარ იქნება და მეგობარი მეორეჯერ მასთან ფეხსაც არ შემოდგამს, რატომ ცბუნდება, რატომ შემდეგ ისე მასპინძლის შეწყუხებულ სახის დანახვზე, თუმცა გონებაში ახილია (უკეთუ არის გონებაშიც), მასპინძლია, რომელმაც თავის მხრივ უკვე საცხებით მოასწორო დაბნეულობა და თავგზა აწოლდა მას შემდეგ, რაც მთელი სული და გულით, მაგრამ ამაოდ შეეცადა საუბარი გამოეცოცხლებინა, მრავალმხრივი გაეხადა, თვითონაც გამოემკვლავებინა მაღალი წრის ცხოვრების ცოდნა, ელპარაკა მშვენიერ სქესზე და თუნდაც ამგვარი მორჩილებით თავი მოეწონებინა საბარლო სტუმრისათვის, რომელიც ასეთ შეხვედრას არ მოელოდა და შეცდომით ეწვია? დასასრულ, სტუმარი უეცრად რატომ იღებს ქუდს და სწრაფად რატომ მიდის, ვითომ ფრიად აუცილებელი საქმე მოაგონდაო, ძლივს აღწევს თავს მასპინძლის გულმხურვალ ხელის ჩამორთმევას, მასპინძლისა, რომელიც ყოველწინაოდ ცდილობს სინანული გამოხატოს და უხერხულობა გამოასწოროს? ბოლოს, ვართ ვასული მეგობარი რატომ ხარხარებს, რატომ ღებს აღთქმას, ამ უნებურ კაცს აღარასოდეს ეწვოს, თუმცა ეს უცნაური კაცი არსებითად ჩინებული ადამიანია? ამეც დროს რატომ ვერ იკავებს თავს, პატარა ახარებაზე: თუნდაც შორეული შედარება მოახდინოს მასპინძლის მთელი მამინდელი იკრამეტყულებისა და იმ საბარლო კნუტის გაიროს, ბავშვებმა რომ მუხანათურად ჩაიგდეს ხელთ, დაეღლიმეს, შეაშინეს, ყოველწინაოდ აწყენინეს, შეარცხვინეს, ბოლოს კი საქმევე ბნელში მიიყუდა. სადაც მოსვენების უამს მთელი საათი იძულებული იყო ტანი აფეხხორა, დაეკრუტუნებინა, გატანჯული სახე ორივე თათით ჩამოეწმინდა და ამის შემდეგ კიდევ დიდხანს მტრულად ეცქირა ბუნებისა და ცხოვრებისათვის, ბატონების სადილის მონარჩუნისთვისაც კი, გულკეთილ მეკუქნავეს მისთვის რომ შემოეხანხა?

— მოიკათ, — შეაწყვეტინა ნასტენკამ, რომელსაც თვალეზი გაფართოებოდა, პირი დაეღლო და მთელი ამ ხნის განმავლობაში გაკვირვებით მისმენდა. — მოიკათ: მე სრულებით არ მესმის, რატომ მოხდა ყოველივე ეს და რატომ მაინცდამაინც მე მთავაზობთ ამგვარ სასაცილო კითხვებს: ის კი დანამდვილებით

ვიცი, რომ მთელი ეს თავგადასავალი თავიდან ბოლომდე უეჭველად თქვენ გადაგზავნილია. — უდავოდ, — მივუგე მეტად სერიოზული გამომეტყველებით.

— თუ ასეა, განაგრძეთ, — მითხრა ნასტენკამ, — რადგან ძალიან მინდა გავიგო რით დასრულდება.

— თქვენი გსურთ გავიგო, ნასტენკა, თავის ბუღეში რას აკეთებდა ჩვენი გმირი ანუ, უფრო სწორად, მე, ვინაიდან ამ ამბების გმირი თვითონ მე, მთელი ჩემი მოკრძალებული პიროვნებაა: გსურთ იცოდეთ, რამ ამაწარმოა და მთელი დღე თავგზაბნეული სად ვიყავი მეგობრის მოულოდნელი ვიზიტის გამო? ასე რამ შემეცბუნა, რად გავწითლი, როცა ჩემი ოთახის კარი გააღეს, რატომ არ შემეძლო სტუმარი მიმელო და ასე სამარცხვინოდ რატომ გვამსწორა მიწასთან საკუთარმა არასასიამოვნო სტუმართმოყვარეობამ?

— დიას, დიას! — მომიგო ნასტენკამ, — ესაა მთავარი. მოიკათ: თქვენ შესანიშნავად ჰყვებით, მაგრამ არ შეიძლება, სხვანაირად მოყვებოთ? თორემ ისე ლაპარაკობთ, თითქოს წიგნს კითხულობდეთ.

— ნასტენკა! — ვუბასუხე მედიდური და მკაცრი ხმით, თან ძლივს ვიკავებდი სიცილს. — ძვირფასო ნასტენკა, ვიცი, რომ შესანიშნავად ვყვები, სხვანაირად მოყოლა არ შემიძლია. ახლა, ძვირფასო ნასტენკა, ახლა მე შევსოლომონის სულს ვგავარ, ათასი წელი დღეში რომ იყო ჩამწყვედელი და ბოლოს თავისუფლება მიანიჭეს. ახლა, როცა კვლავ შევხვდით ასე დიდი ხნის განშორების შემდეგ, — ვინაიდან დიდი ხანია ვიცნობთ, ნასტენკა, ვინაიდან დიდი ხანია ვილაცას ვეძებდი, ეს კომის დიდსატყუებია, რომ სწორედ თქვენ გეძებდით, და რომ ბედად გვეწერა ახლა შეხვედრილობათ, — ახლა ჩემს თავში ყველა სარქველი გაიხსნა და უნდა სიტყვები ვიქციე, თორემ სული ამომხდება. ამრიგად, გთხოვთ ლაპარაკს ნუ შემაწყვეტინებთ, ნასტენკა, მისმინეთ მშვენიერად და მორჩილად, თორემ ენას დავიღუფებ.

— არამც და არამც! არავითარ შემთხვევაშიც ვანაგრძობ! ახლა კრინტს არ დავძრა.

— განვარკობ: ჩემო მეგობარო ნასტენკა, მთელი დღის მანიძლზე არის ჩემი ერთი სანუყვარი საათი. ეს ის საათია, როცა მთავრდება პოეტის ყოველგვარი საქმე, სამსახური და ყველა მინ მიიჭქარის, რომ ისადილოს, დისვენოს, გზადგავა კიდევ სხვა სახალისო ამბებსაც იგონებენ, რაც საღამოს, ღამეს და მთელ დანარჩენ თავისუფალ დროს, უხება. ამ დროს ჩვენი გმირიც, — შაპაკით, ნასტენკა, რომ მესამე პიროს გაამბობდა, რადგან პირველ პიროს ამის მოყოლა საშინლად მეტრცხვინოდა, — ამრიგად ჩვენი გმირიც, უსაქმოდ არც ის ყოფილა, სხვებთან ერთად მიაბიჯებს, გაფთხე-



ბელ, თითქოსდა ოდნავ მოთენილ სახეზე
 ემაყოფილებს უცნაური გრძობა აღბეჭდვით.
 ხალისთ უცქერის პეტერბურგის ცივად მომი-
 ზირიანი ცაზე თანდათან მინაკლებულ დაისს.
 როცა ვამბობ უცქერის-მეთქი, ვცრუობ: კი არ
 უცქერის, თითქოს დალიოდა, ანდა მისი ყურ-
 აღღება ამავე დროს სხვა, უფრო საინტერესო
 საგანზე შეჩერდა, ასე რომ დანარჩენ გარე-
 მომცველ ამბებს სულ მცირე ხნით, თითქმის
 უნებლიეთ შეიძლება დაუთმოს დრო. იგი
 ემაყოფილა, რადგან ხვალამდე ხელს არ მოჰ-
 ლიდებს გულის გამწყალებულ საქმეებს, და იმ
 მოსწავლესავით უხარია, კლასის მერხიდან
 რომ პირდაპირ სათაბაშოდ და სილაღობოდ
 გაუშვებს. ერთი თვალი მთავლობ, ნასტენკა, და
 მამოწვევ შეამჩნევ, რომ მის სუსტ ნერვებსა
 და ავადმოყოფრად აღზნებულ ფანტაზიზე
 მზიარულმა განწყობამ სვეკეთლად იმოქმედა.
 აი, რალაცაზე ჩაფიქრად... თქვენი აზრით, სა-
 დღინვე დღევანდელ საღამოს? რას უქცე-
 რის? დარბაისლური შესახედაობის ბატონს
 ხომ არა, ასე მოხდენილად რომ მიესალმა
 ქალს, რომელმაც ცხენბედური დიდებული
 ეტლით ჩაუქროლა? არა ხასტენკა, ახლა ამ
 წერტილმანებთან რა ესაქმება! იგი უკვე თავისი
 განსაკუთრებული ცხოვრებითაა აღსავსე. რო-
 გორდაც უცებ აღივსო, ჩამავალი მზის გამ-
 სასოზოვარი სხვივ ასეთი სიხალისით ტყუილ-
 უბრალოდ არ გამკრთალა მის წინ და აფოფი-
 ნებულ გულში შთაბეჭდილებათა მთელი წყება
 არ წამოუშლია. ახლა ვეღარ ამჩნევს ვხას,
 სადაც აღწევ ყველაზე უმნიშვნელო წერტილ-
 მანსაც შეეძლო გაეკვირვებინა. "ფანტაზიის
 ქალღმერთა" (ყუთოვსკი თუ წავიკითხავთ,
 ძვირფასო ნასტენკა) თავისი ყინინი ხელით
 ოქროს ქსელი გააბა და ჩვენი გმირის წინ არ-
 ხანხული, უცნაური ცხოვრების ქარავს შეუ-
 დგა, ჰოდა, ვინ იცის, შესაძლოა იგი გრან-
 ტის ჩინებული ტროტუარიდან, რომლითაც
 შინ მიდის, მეშვიდე — ბროლის ცაზე აიტაცა.
 სკადეთ შეჩაერთო ახლა, ჰკითხეთ უცებ: სად
 ვიხს, რომელი ქუჩებს მოჰყვებოდა? ალბათ,
 ვერაფერს განიხსენებდა, ვერც იმას — სად
 დადიოდა, ვერც იმას — სად იდგა ახლა და
 გაწითლებული უთუოდ იცრუებდა ზრდ-
 ლობის გულისთვის. აი, რატომ შერბოა, კინა-
 დამ იყვირა და შინწულად მიმოიხედა, როცა
 მეტად პატივცემულმა, ხნიერმა მანდილოსანმა
 შუა ტროტუარზე თავაზიანად გაჩერა და
 გზის სწავლება სთხოვა. მეოცნებე გუნებაწამ-
 ხარის, მოღუშული ვანაგრობის სვლას, ვერც
 კი ამჩნევს, რომ მის დანახვზე არაერთ გამ-
 ვილსს გაედინა და თვალი გააყოლა, რომ
 რომელიღაც პატარა გოგონამ შიშით უგანა,
 მის ფერხან, მგრძნობიარე დიმილით და ხელ-
 ების მოძრაობაზე თვალები დაჰყიტა და ხმა-
 მალა გაიცინა. იმავე ფანტაზიამ თავის ლად

სამყაროში გაიტაცა მოხუციც, ცნობისმოყვ-
 რე გამგელებიც; პატარა გოგონაც და გლეხ-
 ორჩხომელებზე რომ აღამებენ (ეთქვათ ჩვენი
 გმირი ამ დროს აქ მიდიოდა), ყველა და ყვე-
 ლაფერი ეშმაკურად მოაყოლა თავის ბაღეში,
 როგორც ბუზი ებებება ობობას ქსელში, და
 უცნაური მეოცნებეც ახალი შენაძინით თავის
 სანუჯვარ სოროში შევიდა; უკვე მიუჯდა სა-
 დილს, უკვე დიდი ხანია ისაილა და მხოლოდ
 მაშინ გამოერკვა, როცა ჩაფიქრებულმა და
 მუდამ მწუხარე მატრონამ, რომელიც მას ემ-
 სახურება, მაგად ააღავა და ჩინებუ მიართვა;
 გამოერკვა და განცვიფრებით გაიხსენა, რომ
 უკვე უსადილია და არც კი შეუძნენვია რო-
 გორ მოხდა. ოთახში ჩამოხინდა; მეოცნე-
 ბის სულ სიცარიელე და სევდა დაუფლუბა;
 მის ირგვლივ ოცნებათა მთელი სამეფო დაიშ-
 სხვრა, დაიშხვრა უკვალოდ, უხმაუროდ, გაქრა
 ვითარცა სიზმარი, მას კი თვითონაც არ
 ახსოვს რა მოეხმანა. მაგრამ რალაც უსიამო
 შეგრძნება, რამაც გული ოდნავ დაუმწუხრა
 და აუფორიაქა, რალაც ახალი სურვილი მიე-
 დურად უდიტნებს, აღიზიანებს მის ფანტა-
 ზიის და შეუძნენვლად მოუხმობს ახალ მოჩა-
 ვენებათა მთელ წყებას. პატარა ოთახში სიწ-
 ყნარე მეფობს; სიმარტოვე და უქმად ყოფნა
 წარმოსახვას ასათუთებს; მას ნელა ედება ალი
 ნელა შფოთავს, როგორც წყალი გვერდით სა-
 მზარეულში აუღვლელებად მოფუსფუსე გა-
 ტრონას ყავადანში. აი, წარმოსახვას უკვე ცე-
 ცხლი მოედო, აი, უკვე ჩემს მეოცნებეს ალაღ-
 ბებზე, უმიზნოდ აღებული წიგნიც უფარდება
 ხელიდან, ისე რომ მესამე გვერდზე ვიკრძა
 მისულა. მისი წარმოსახვა ხელახლა აღზედა,
 აღივზნო და უცებ კვლავ ახალი სამყარო, ახ-
 ალი, მომხიბვლელი, ბრწყინვალე პერსპექტივით
 მოცული ცხოვრება გაუქრთა თვალწინ. ახალი
 სიზმარი — ახალი ბედნიერება! ნეტარი, უკე-
 თური შხამის ახალი ულუფა! ო, რა ხელი
 აქვს მას ჩვენს ნამდვილ ცხოვრებასთან! მისი
 მოთავაზული მოსაზრებით ჩვენ, ნასტენკა,
 რალაც უსიამოლო, უღიმღამო, უფეროდ
 ეცხოვრობთ, სულ უქმაყოფილო ვართ საყუ-
 თარი ბედით, ჩვენაწავს ცხოვრება! ასეცაა,
 დააკვირდით, ჩვენს შორის პირველი შეხედ-
 ვისთანავე, მართლაც, როგორ ცივად, დაღვრე-
 მილად და თითქოს მწყურაოდ გამოიყურება
 ყოველივე... „საბარლონი!“ — ფიქრობს ჩვენი
 მეოცნებე. არცაა გასაკვირი! შეხედეთ ამ ჭად-
 ოქრულ მოჩვენებებს, რომლებიც მის წინ ასე
 მომხიბვლელად, ასე გულმოდგინედ, თამამად
 და გრეულად ქმნიან ამგვარ წარმატაც ცოცხალ
 სურათს, სადაც წინა მხარეს თვითონ დგას,
 სადაც მთავარი, რასაკვირველია, თვით ჩვენი

ფეოლოზ დონსოვსკი
 თითქონი ლაშქობი

მეოცნებეა მთელი თავისი ძვირფასი პიროვნებით. დააკვირდით, რა განსხვავებულ თავდასადავალთა და ფრთავამლოლ ზმანებათა დაუსრულებელი წყებაა. შეიძლება იკითხოთ, რაზე ოცნებობს? რა საჭიროა ამის კითხვა! ოცნებობს ყველაფერზე... ჯერ აღდიარებული შემდეგში კი გვირგვინოსანი პოეტის როლზე; მოფანთან მეგობრობაზე; ბართლომეს ღამე, დიანა ვერნონი, ივანე ვასილივიჩის გმირული როლი ყაზანის აღებისას, კლარა მოვბრაი, ევფია დენსი, მღვდელთავართა კრება და მათ წინ მღვდომი ჰუსი, მიცვალებულთა აჯანყება „რობერტი“ (გახსოვთ მუსიკა? სიკვდილის საფრთხეა!), მინა და ბრენდა, ბერეზინის ბრძოლა, გრაფინია ე-დსთან პოემების კითხვა, დანტონი, კლოპატრა ei suoi amanti¹, სახლი კოლომნაში, საკუთარი კუთხე და გვერდით ძვირფასი ქმნილება, რომელიც ზამთრის საღამოს პირდაღებულ, თვალბგავართოებულ გისმენს, როგორც თქვენ მისმენთ ახლა, ჩემო პატარა ანგელოზო... არა, ნასტენკა, რა უნდა, რა ხელი აქვს ამ უკეთურ უსაქმურს იმ ცხოვრებასთან, რომელიც ჩვენ ასე გეწვია? მისი ფიქრით, ეს ღატაკობა, უბედურეც ცხოვრებაა, იმას კი ვერ მიმხვდარა, რომ, შესაძლოა, ოდესმე მისთვისაც დაპყრას მწუხარების ეამმა, როცა მთელ თავის ფანტასტიკურ წლებს ამ უბედურეც ცხოვრების ერთ დღეში გაცვლის, გაცვლის არა ბედნიერების, არა სიხარულის გამო, არჩვენასაც არ დაიწყებს იმ სევდის, სინანულის და მოძალებული მწუხარების ეამს. მაგრამ ჯერჯერობით ეს მისისხანე ეამი არ დამდგარა, — მას არაფერი სურს, რადგან სურვილზე ძლიერია, რადგან ყველაფერი აქვს, თვით არის საკუთარი ცხოვრების მხატვარი და ყოველ წუთს შეუძლია იგი თავის ნებაზე გარდაქმნას. მეგრედა, ნუთუ ასე ადვილად, ასე ბუნებრივად იქმნება ეს ზღაბრული, ფანტასტიკური სამყარო! თითქმის ყოველივე ეს მართლაც არაა მოჩვენება! შერწყმუნეთ, ზოგჯერ მზად ვარ დაიჯერო, რომ მთელი ეს ცხოვრება გრძნობების მოჭარბებაა, მირაჟი, ცრუ წარმოდგენა კი არა, მართლაცადა, ნამდვილი, არსებული, კვშმარტი ცხოვრებაა! რატომ მიიხიბაოთ, ნასტენკა, რატომ იხუთება სული ასეთ დროს? რაღაც მიხსნურად, რაღაც იდუმალ ძალით რატომ მატულობს პულისი, რატომ აფრქვევს ცრემლებს მეოცნების თვალეზი, რატომ წამოინთება ვაფთობებელი, დანამული ლოყები და მთელი მისი ცხოვრება რატომ ივსება აუწყრელი სიხარულით? დაუშრეტელ სიხარულსა და ბედნიერებაში რატომ გადის წამივით მთელი უძლილ ღამეები და, როცა ცისკარი ვარდისფერ სხივებს ფანჯრებში აკაიფებს და დაღვრემილ ოთახს განითადის საკეოდ ფანტასტიკური

შუქი დაეფინება, როგორც ჩვენთან პეტერბურგში, ჩვენი დაღლილი, დაქანცული მეგობარი საწოლზე ეშვება და ავადმყოფურად მშფოთვარე სულის ფრთონვასა და ასეთი ტუბლ-გამსავათებელი გულისტიკვილით იძინებს? დაახ, ნასტენკა, მოტუყუდები და უნებურად სხვას დაუჭერებ, რომ მის სულს ნამდვილი, კვშმარტი გზნება აღელვებს, რომ მის უსხეულო ზმანებებში ცოცხალი, ხელშესახები რამ არის! მერტა როგორი სიცრუეა — აი, მაგალითად, მას მთელი თავისი დაუშრეტელი სიხარულითა და გულისგამწყალებელი ტანჯვით აღსავსე სიყვარული ეწვია... მაგრამ ერთი შენგდეთ და დაწმუნდები! მის მხილველს, კერათა, ძვირფასო ნასტენკა, რომ სინამდვილეში მართლაც არ იცნობდა მას, ვინც ასე უყვარდა თავის აზავებულ ოცნებებში? ნუთუ მხოლოდ მაკუღრად ელანდებოდა იგი და ეს ვატაცება მართოდენ სიხმარი იყო? ნუთუ მართლაცადა ხელიხლჩაიკედებულ არ განვლგეს თავიანთი ცხოვრების ამდენი წელი — ერთად, განუყრელად, ოდეს თავიანთი სული შეანივოს, ოდეს თავიანთი სიცოცხლე ერთმანეთს დაუჯერებს? ნუთუ გვიან, როცა განშორების ეამი დადგა, მეგრეზე არ მიყრდნობია დადარდიანებული, აქვიინებული ქალი, რომელიც ყურს არ უგდებდა მრისხანე ცის ქვეშე ამტყდარ ქარიშხალს, არ უსმენდა ქარს, შავი მწამებოდან ცრემლებს რომ აცლიდა და მიაჭროლებდა? ნუთუ ოცნება იყო ყოველივე — ეს ხავსმოდებული ბილიკებით დასერილი უსიცოცხლო, მოუვლელი და გავერანებული, განმარტებული და მოღუშული ბანდი, სადაც ასე ზნორად დადიოდნენ ერთად, იმედოვნებდნენ, წუხდნენ, უყვარდათ, ასე დიდხანს და სათუთადა! ეს უცნაური მამაპაეული სახლი, სადაც ქალი ამდენხანს განმარტობით და მოწყენით ცხოვრობდა თავის აჯამ, მუდამ გულჩახვეულ და ღვარდიან მოხუც ქმართან, რომელიც შიშის ზარს სცემდა მათ, ბავშვებივით მფრთხალებს, ერთმანეთს რომ ნადვლიანად და შიშინულად უმალავდნენ სიყვარულს? როგორ იტანჯებოდნენ, როგორ შიშობდნენ, როგორი უბიწო, წმინდა იყო მათი სიყვარული და (ცხადია, ნასტენკა) რა ბოროტები იყვნენ ადამიანები! და ღმერთო ჩემო, ნუთუ შემდეგ ამ ქალს არ შეხვდა თავისი სამშობლოდან შორს, უცხო აღმურმოდებულ თაყარა ცის ქვეშ, საკვირველ მარადიულ ქალაქში, ბრწყინვალე ბაზზე, მუსიკის გრაილში, სინათლით გაჩახჩახებულ პალაცოში (უსათუოდ პალაცოში), ღვით და ვარდებით გაბარულ აივანზე, სადაც ქალმა ჩვენი მეოცნებე იცნო თუ არა, ნილაბი აქაქარებით მოიხსნა, წაიხურჩულა: „თავისუფალი ვარ“, ათრთოლდა, ჩაეკონა, აღტაცების შემახილი აღმოხდა და ერ-

¹ და მისი სატრფოები (იტალიური) .



თმანთს ჩაგრულებმა წამით დაიფიცეს მწუხ-
 ხარბედ და განშორებაც, ტანჯვაც, აღდრე-
 მილი სახლიცა და ბერიაციც, პირქუში ბალი
 შორეულ სამშობლოში, მერხი, რომელზეც
 ქალი უქანასკნელი მწველი ცოცნით, უსასოოდ
 დამწუხრებელი ვანრიდა მის სანეტარო ხე-
 ვნას... ო, დამთავანმეთ, ნასტენკა, გული
 ავიფანქვალდებ, შეცბუნდები და გაწითლ-
 დები, იმ მოსწავლესაგით, მეზობლის ბაღში
 მოპარული ვაშლი რომ ეს-ესაა ჭიბნით ჩაიტე-
 ვნას, როცა ვინმე აწოლილი, ჯანი საევი, მზი-
 არული და ხუშარა ჭაბუჯი, თქვენი დაუბატი-
 ცემელი მეგობარი კარს შემოგოდებთ და, თი-
 თქოს აქ არაფერიათ, იყვირებს: „აი, ძმაო,
 ეს წუთია პავლოვსკიდან გეხატება!“ ღმერ-
 თო მაღალი მოხუცი გრავი ვარდაიცივლა,
 დგება ენით უთქმელი ბედნიერების ჭამი და
 უცებ პავლოვსკიდან ხალხი ჩამოდის!

მე პათეტიკურად გავჩუქდი, როცა ჩემს
 პათეტიკურ შეძახილებს მოვრჩი. მახსოვს,
 მთელი არსებით მიწოდდა როგორმე ძალისძა-
 ლად გადამეხარხარა, რადგან ვგრძნობდი, რომ
 ჩემს სულში უკეთური ეშმა შეინძრა, სუნ-
 თქვა მეეკროდ... ნიკაი იტყვას იწყებდა და
 თვალები უფრო და უფრო მენამებოდა... ველ-
 ოდი, ნასტენკა (ის თავისი კვიანური თვალე-
 ბით შემომყურებდა და ასე მისმენდა) ბავ-
 შურო, დაუკებელ, მზიარულ კისკის გამა-
 გონებს-მეთქი, და უკვე ვნახობდი, რომ შორს
 შეეტოპე, ამაოდ მოგუყუევი ის, რაც დიდი
 ხანია გულში მქონდა ჩაუვებული, რაზეც
 შეშეძლო დაღაგებით მელაპარაკა, რადგან
 ჩემს თავს ადრევე გამოეუტრანე ვანაჩენი, ახლა
 კი თავი ვეღარ შევიკავე და ეს განაჩენი წარ-
 მოვუთქვი; უნდა გამოუტყდე — არ მოველოდი
 თუ გამიგებდნენ; მაგრამ, ჩემდა გასაკვირად,
 ნასტენკამ ცოტა იყუჩა, ნელა მომიჭირა ხელი
 და შიშნული თანაგრძნობით მკითხა:

— ნუთუ მართლაც ასე გაატარეთ მთელი
 სიცოცხლე?

— მთელი სიცოცხლე, ნასტენკა, მთელი სი-
 ცოცხლე და, მგონია, ასეც დავასრულებ, —
 ვუპასუხე მე.

— არა, არ შეიძლება, — მოთხრა შემფოთ-
 ვებით, — ეს არ მოხდება; ასე მთელ სიცოც-
 ხლს, მართლაც, მე გავატარებ ბებნას გვერ-
 დით. მომისმინეთ, იცით, რომ სრულებით არ
 ვარგა ასე ცხოვრება?

— ვიცი, ნასტენკა, ვიცი! — შევიძახე გრძნო-
 ბამოჭარბებულმა, — ახლა უფრო ვიცი, ვიდრე
 ოდესმე, რომ ამაოდ დავკარგე ჩემი საუ-
 კეთესო წლები! ახლა ვიცი და სულს მიხუ-
 თავს ამის შეგნება, რადგან თვით ღმერთმა
 წარმოგვივანათ თქვენ, ჩემი კეთილი ანგე-
 ზი, რომ ეს გეთქვათ და დავამტკიცებინათ.
 ახლა, როცა თქვენს გვერდით ვზივარ და გეს-
 უბრებობთ, მომავალზე იჭირიც კი მაკრთობს,
 ვინაიდან მომავალში კვლავ მართობა, კვლავ

ეს უამური და უსაზნაო ცხოვრება მელის;
 რაღაზე უნდა ვიოცნებო, როცა ასე ბედნიერ-
 ვიყავი ცხადოვ, თქვენს გვერდით! ი, კურ-
 თხელ იყავით, ძვირფასო ქალწულიო, რომ
 თავიდანვე ზურგი არ მაქციეთ, რომ ახლა უკ-
 ვე შემიძლია ვთქვა: ჩემს სიცოცხლეში ორი
 საღამო მივიც ვიცხოვრე!

— ო, არა, არა! — წამოიძახა ნასტენკამ და
 თვალეში ცრემლი აუქიაფდა. — არა, შემდეგ
 ასე არ იქნება; ჩვენ ასე არ ვანვშორდებით!
 რა არის ორი საღამო!

— ოჰ, ნასტენკა, ნასტენკა! იცით, რა დიდი
 ხნით შემარიგეთ საკუთარ თავთან? იცით, რომ
 ჩემს თავზე უწინდელივით უკუდად აღარ ვი-
 ფიქრებ? რომ, შესაძლოა, უკვე აღარ ვიღარ-
 დო — ცხოვრებაში დანაშაული და ცოდვა ჩა-
 ვიღინე-მეთქი, ვინაიდან ასეთი ცხოვრება და-
 ნაშაულიცაა და ცოდვაც? ნუ იფიქრებთ,
 თითქოს რამე ვაგვიზიადეთ, ნუ იფიქრებთ
 ამას, თუ ღმერთი გწამთ, რადგან ხანდახან
 ისეთა სევდა მომეძაძაღო, ისეთი სევდა... რა-
 დგან ამ წუთებში უკვე მეჩვენება, რომ არა-
 სდროს არ მქონია უნარი ნამდვილი ცხოვრება
 დამეწყო, რადგან უკვე მომეჩვენება, თითქოს
 ყოველგვარი თავდაჭერა, სინამდვილის, ჭეშ-
 მარტის ყოველგვარი შეგრძნება დავკარგე;
 რადგან, დასასრულ, ჩემი თავი დავწყვედვი;
 რადგან ჩემი ფანტასტიკური ღამეების შემდეგ
 უკვე გამოვხიზლებს საშინელ წუთებს ვანიც-
 ცდი! ამავე ღროს გესმის შენს ირგვლივ ცხოვ-
 რების ფერხულში როგორ გრგვინავს და ბრუ-
 ნავს ხალხის ტალა, გესმის და ხედავ, როგ-
 ორ ცხოვრობენ ადამიანები — ცხოვრობენ
 ცხადოვ; ხედავ, რომ მათთვის ცხოვრება აჯ-
 რძალული არაა, რომ მათი ცხოვრება სისმარ-
 ივით, მოჩვენებასაგვით არ გაქრება, მუდამ ახ-
 ლდება, მუდამ ჩქეფს და მისი არც ერთი სა-
 ათი არა ჰკავს მეორეს, მაშინ, როცა ასე დუ-
 ნე და საშინლად ერთფეროვანია მფრთხალი
 ფანტაზია, იდეის, ლანდის მონა, მონა პირ-
 ველივც ღრუბლისა, რომელიც უეცრად დაფ-
 არავს მზეს და დარდით დაწურავს ნამდვილ
 პეტერბურგულ გულს, ასე რომ უფრთხილდე-
 ბა თავის მზეს — დარდში კი მართლად რა
 ფანტაზია! გრძნობ, რომ ეს დაწურული
 ფანტაზია მუდმივი დაძაბულობით ბოლოს
 იფიტება, იშრიტება, რადგან ხომ მოწიფული
 ხლები, იცილებ ძველ იდეალებს: ისინი
 მტკრად, ნაწმურვევებად იქცევიან; თუ სხვა
 ცხოვრება არ გვაჩნია, ამავე ნაწმურვევებისა-
 ვან მოვიწვივს მისი აშენება. ამასობაში კი სული
 რაღაც სხვას თიხვებს და სურს! და მეოცნებე,
 როგორც ნაყარში, ამაოდ იქეძება თავის ძველ
 ოცნებებში, ეძებს თუნდაც მცირე ნაპერ-
 წკალს, რომ იგი ვაღვივოს, განახლებული ცე-

ფეოდორ დონიკოვი
 თითქონი ლაშქარი

ცხლით გაითბოს გაცივებული გული და მასში კვლავ აღადგინოს ყველაფერი, რაც ადრე ასე ძვირფასი იყო, სულს აღვლევდა, სისხლს უჩუხჩუხებდა, თვალთავან კრემლებს ადენდა და ასე საუცხოოდ ატყუებდა! იცით, ნასტენკა, სადამდის მიველ? იცით, რომ უკვე იძულებული ვარ საკუთარ შეგრძნებას წლისთავი გადავიხადო, წლისთავი იმისა, რაც უწინ ასე ძვირფასად მიმჩნადა, რაც სინამდვილეში არასდროს არ არსებულა, — იმიტომ რომ ეს წლისთავი სულ იმ სულელური უსხეულო ოცნებებისათვის ეწყობა, — და გამეკეთებინა ეს იმიტომ, რომ არც ეს სულელური ოცნებები გამაჩნია, შემდეგ იმიტომ რომ არაფრით არ შეიძლება მათი გადარჩენა: ოცნებებიც ხომ ისახებიან! იცით, მე ახლა მიყვარს გავიხსენო და განსახლვრულ დროს ვეწვიო იმ ადგილებს, სადაც ოდესღაც ჩემებურად ბედნიერი ვიყავი, მიყვარს ჩემი აწმყო სამუდამოდ განვლილის დარად ავაგო და ხშირად პეტერბურგის ქუჩებსა და ქუჩაბანდებში საჭიროების გარეშე, უმიზნოდ, უხალისოდ და დარდიანად აჩრდილივით დაეხეტები. ო, როგორი მოგონებები წამოიშლება! მაგალითად, გავახსენდება, რომ აქ, ამ ადგილას ზუსტად ერთი წლის წინ, ზუსტად ამ დროს, ამ საათს, ამ ტროტუარზე ისევ მარტო, ისევ უხალისოდ დაეხეტებოდი, როგორც ახლა გავგონდება, რომ მამიკან სევდიანად ოცნებობდი, მამიკან ვერ გრძნობდი თავს უკეთესად, მაგრამ რატომღაც სულ ფიქრობ, თითქოს უფრო უღარდელად და მშვიდად შეიძლება ცხოვრება, არ გაწუხებდა შავი ფიქრები, რომლებიც ახლა ერთი წუთითაც არ გცილებდა; რომ არ გრძნობდი სინდისის ქენჯნას, მწუხარე, გულსგამაწყვალელებელ ქენჯნას, რომელიც არც დღისით და არც ღამით მოსვენებას არ გაძლევს და საკუთარ თავს ეკითხები: სად გაქრნენ შენი ოცნებანი? შენ თავს აქნევ და ამბობ: რა ჩქარა მიფრინავს წლები! და კვლავ კითხულობ: რა უყავი შენს წლებს? სად დაასამარე შენი საუკეთესო ხანა? ცხოვრობდი თუ არა შენ? შეხედე, ეუბნები საკუთარ თავს, შეხედე რა აუტანელი ხდება ქვეყნად ყოფნა. კვლავ ჩაივლის წლები, მათ მოაკყვება პირქუში მარტოობა, მოგაკვავს უამური სიბერე, შემდეგ კი დარდი და ნალექილი გაჩნდება, ფერი ეცვლება შენს ფანტასტიკურ სამყაროს; დაქვენიან, გაქრებიან შენი ოცნებები და ხიდან ჩამოცვივნილი ყვეთელი ფოთლებივით განიხვეიან... ო, ნასტენკა! ხომ დაბალონებული იქნება მარ-

ტო, საეცებით მარტოდ დარჩე და დასაწყენებელიც არაფერი გქონდეს, არაფერმასწრულში იალ არაფერი... რადგან ყოველივე, რაც დანაკარგე, ყოველივე აბდაუბდა, სისულელე და სრული არარაობა, მხოლოდ და მხოლოდ ოცნება იყო!

— გეყოფათ, მეტად ნულარ დამითუქავთ გულს! — წარმოთქვა ნასტენკამ, თან ჩამოცურებული კურცხლი მოიწმინდა. — ახლა კმარა! ახლა ერთად ვიქნებით, ახლა მე რაც უნდა შემემთხვეს, ერთმანეთს არ განვზორდებით. მისმინეთ. მე უბრალო ქალშვილი ვარ, ცოტა ვისწავლე, თუმცა ბებია მასწავლებლები დამეძირავა; თქვენი მინც მემისს, რადგან ყველაფერი რაც მიაბნეთ, თვითონაც განვიცადე, როცა ბებია თავის კაბაზე გამომაბა. რასაკვირველია, თქვენსავით კარგად ვერ მოვეყვებოდი, მე არ მისწავლია, — მორიდებით დაუმატა მან, რადგან ჭერ კიდევ გრძობდა ერთგვარ პატივისცემას ჩემი პათეტიკური ლაპარაკისა და მალაფარდოვანი სტილის მიმართ, — მაგრამ ძლიერ გახარებული ვარ, რომ საეცებით გულახდილად ვამენდეთ. ახლა გიცნობ, ყველაფერი ვიცი, ჰოდა, მინდა ჩემი თავგადასავალი ვიამბოთ, ყოველივე დაუფარავად მოვიყვებ, თქვენ კი ამის შემდეგ რჩევას მომიცემთ. თქვენ ძლიერ ჭკვიანი კაცი ხართ; აღმითქვამთ, რომ ამ თხოვნაზე უარს არ მიტყვებთ?

— ოჰ, ნასტენკა, — მიეუგე მე, — მართალია, მრჩეველი არასდროს ვყოფილვარ, მით უმეტეს გონიერი მრჩეველი, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ თუ მუდამ ასე ვიცხოვრებთ, როგორღაც ძალზე გონივრული იქნება და ერთმანეთს ფრიალ ჭკვიანურ რჩევას მივცემთ! აბა, ჩემო მშვენიერო ნასტენკა, რა რჩევა გსურთ? პირდაპირ მითხარით; ახლა ისე ვახარებული ვარ, ისე ბედნიერი, თამამი და გონიერი ვარ, სიტყვის ძებნა არ დამჭირდება.

— არა, არა, — სიცილით შემაწყვეტიანა ნასტენკამ, — განა მარტო ჭკვიანური რჩევა მჭირდება, გულისხმიერი, ძეური რჩევა მინდა, ისე, თითქოს მთელი თქვენი სიცოცხლე გიყვარდით!

— კეთილი, ნასტენკა, კეთილი! — შეეძახე აღტაცებულმა. — ოცი წელიც რომ მყვარებოდით, ახლანდელზე უფრო ძლიერ მაინც არ მიყვარებოდით!

— თქვენი ხელი! — მითხრა ნასტენკამ.
— აბა! — მიეუგე და ხელი გაუწყოფე.
— ამრიგად დაევიწყეთ ჩემი თავგადასავალი!

ნასტენკას თავგადასავალი

— ჩემი თავგადასავლის ნახევარი თქვენ უკვე იცით, ესე იგი, იცით, რომ მოხუცი ბებია მყავს...

— თუ მეორე ნახევარიც ასე მოკლეა... — შევაწყვეტენ სიცილით.
— გაჩუმდით და ყური მივდეთ. უპირ-



ველეს ყოვლისა, შევთანხმდეთ: ლაპარაკი არ შემაწყვეტინოთ, თორემ მართლაც ავირევი. აბა, მისმინეთ წყნარად.

მე მოხუცი ბებია მყავს. პატარაობიდანვე მასთან ვიყავი, ვინაიდან დედ-მამა გარდამეცვალა. უნდა ვიფიქროთ, რომ ბებია წინათ უფრო მდიდარი იყო, რადგან ახლაც კი ფონზემ კარგად გატარებულ დღეებს. მანვე მასწავლა ფრანგულა, შემდეგ მასწავლებელი დამიქირავა. როცა თბუთმეტი წლისა გავხდი (ახლა ჩვიდმეტისა ვარ), სწავლა დაავითარეთ. სწორედ ამ დროს წავიცულქე: რა ჩავიღინე, არ ვიპოვებ, დიდი არაფერი მომხდარა; ოღონდაც ერთ დღიას ბებია მომიხმო და მითხრა, მე ბრმა ვარ და შენი თვალყურის დევნება არ შემიძლიაო, მეკრ აიღო ქინძისთავი და ჩემი კაბა თავისაზე მიიბინა, თან დაურთო — მთელი სიცოცხლე ასე ვიქნებოთ თუ, რა-ნაკვირველია, არ დაჰკვიანდებო. ერთი სიტყვით, პირველ ხანებში მინც, არაფრით არ შეიძლებოდა მეციცილებოდი: აბა, იმუშავე, ფიქრით და ისწავლე კიდევ ბუბიას გვერდით. ერთხელ ეშმაკობა ვცადე და თეკლეს ვუთხარი, ჩემს ადვილას დაეჭე-მეთქი. თეკლე ჩვენი შოსამასურეა, ყრუა. ისიც დაჭდა. ბუბიას ამ დროს საჯარმელში ჩავიბინა, მე კი მახლობლად, ჩემს მეგობართან წავედი. ეს ამბავი ცუდად დასრულდა. ჩემს არყოფნაში ბუბიას გამოვლიძებია და რაღაც უკითხავს, გვონა იქვე მორჩილად ვიჭექე. თეკლე თურმე ამჩნევს, რომ ბებია რალაკეტებს ეკითხება, მაგრამ რა უნდა, ვერ გებულობს. იფიქრა, იფიქრა რა ექნა, შემდეგ ქინძისთავი მოიხსნა და გაიპოქცა...

ნასტენკა შეჩრდა და ვადაიოსკისა. მეც ვავიცი. ნასტენკა იმ წამსვე გაიშურდა.

— მოიცათ, ბუბიას ნუ დასცინით. მე იმიტომ ვიცინი, რომ სასაცილოა... რა უნდა ქნა, როცა ბებია, მართლა, ასეთია, მე კი ცოტათი მაინც მიყვარს. ჰოდა, მომხვდა კიდევ: ისევ ჩემს ადვილზე დამსვენეს და განძრევის საშუალებაც მომესპო.

აჰ, დამაიწყდა, მეთქვა, რომ ჩვენი უფრო სწორად, ბუბიას საკუთარი სახლი აქვს, ესე იგი, პაწია სახლი, მთლიანად ხისა და ბუბიასავით დამაჩანაკებელი; ზემოთ მეზონინია; ჰოდა, მეზონინიში ახალი მღვმური ჩადგა...

— მაშასადამე, ძველიც იყო არა? — ვკითხე სხვათა შორის.

— რალა თქმა უნდა, და მას თქვენზე უკეთ შეეძლო ჩუმიდ ყოფილიყო. მართლაც, ძლივს აბრუნებდა ენას. ეს ერთი ზმელ-ზმელი, მუნჯი, ბრმა და კოჭლი მოხუცი ვახლდით. ასე რომ ბოლოს ამ ქვეყნად ველარ გაძლო და გარდაიცვალა. შემდეგ ახალი მღვმური უნდა აგვეყვანა, რადგან უმითაოდ ვეციქირს: თითქმის მთელი ჩვენი შემოსავალი ბინის ქირა და ბუბიას პენსიაა. ახალი მღვმური თითქმის ვანგეზისად ახალგაზრდა კაცი იყო, აქაური კი არა,

ჩამოსული. მას ვაჭრობა არ დაუწყია და ბებია იმ სწორედ ამიტომ შემოთქვა სახლში. შემდეგ ბებია მეკითხება: „რაო ნასტენკა, ჩემი მღვმური ახალგაზრდაა?“ მე მისი მოტყუება არ მინდოდა და ვუთხარი: „ვერ იტყვი, რომ მთლად ახალგაზრდაა, არც მოხუცი ეთქმის“ „კარგი შესახედავია?“ — კითხულობს იგი.

მე კვლავ არ მინდა ვიტყო და ვუბნებ: „ჰო, კარგი შესახედავია, ბებია!“ ბებია კი ამბობს: „ეჰ! სასჯელია, სასჯელი! ამას, ჩემო შეილიშვილო, იმიტომ გეუბნები, რომ თვალის მიმტერება არ დაუწყო. როგორი დროა! დახე, ჭინბეგანგეტელი მღვმურია და თანაც კარგი შესახედაობისა: აბა ძველად ასე როდი იყო!“

ბუბიას კი ყველაფერი წარსულში ეგულბოდა! ძველად უფრო ახალგაზრდაც იყო, მზეც უფრო აცხუნებდა და ნალბევი ასე სწრაფად არ მგადავებოდა მე ვეზივარ, ხმას არ ვიღებ და ჩემთვის ვფიქრობ: ბებია თვითონ რატომ მაგდებს გაულისხმამი, რატომ მეკითხება მღვმური კარგა თუ არა, ახალგაზრდა თუ არა-მეთქი? ეს მხოლოდ ისე, უბრალოდ გავიფიქრე და მაშინვე თვლების ამოყვანა და წინდის ქსოვა ვანვაგრძე, შემდეგ კი ყველაფერი გადამაიწყედა.

ერთხელ, დილაადრიან მღვმური შემოვიდა და განხცხდა, ოთახში შალერის გაეკრას შემპირდნენო. წალაპარაკდნენ. ბუბიასაც ხომ ქაქანი უყვარს, ბოლოს მოთხრა: „ნასტენკა, წაიდი ჩემს საწოლ ოთახში და საანგარიშო მომიტანე“. იმწამსვე წამოვხტი, არ ვიცი რის გამო, ჰარხალივით გავწითლდი, ჰოდა, ისიც დამაიწყდა, რომ მიბმული ვიჭექე. ვერ მოვიხსარე მღვმურის უემჩნევლად, ჩემად მომხსენა ქინძისთავი, — ისე მოწყულ ადვილს, ბუბიას საჯარმელმა ფეხი აიდგა. როგორც კი შევინიშნე, მღვმური ყველაფერს მიხვდა-მეთქი, ადვილზევე ვავიყინე და უეცრად ავტრადი, — სირცხვილმა და წუხილმა ისე ამიტანა, იმ წუთში რომ მიწა გამსკდომობდა და თან ჩავეტანე, ის მერჩივნა! ბებია მიყვირის: „რას უღეხხარ“ მე კი უარესი მიმეკითხება... მღვტურმა რა წამს იგრძნო, მისი მოგწყვნივოდა, თავი დაგვიყარა და მაშინვე წავიდა!

ამის შემდეგ წინკარში დარჩეულ ჩამიჩუმზეც ვული მელევა. აი, მღვმური მოდის — ვფიქრობ და ყოველი შემთხვევისათვის, ჩუმად ეიხსნი ქინძისთავს. მაგრამ ის სულაც არ ჩანდა ზოლმე, არ მოდიოდა. გაიარა ორმა კვირამ; თეკლეს ჩემთან აბარებს — ბევრი ფრანგული მოწივი მაქვს, თანაც კარგი წიგნებია. აუე რომ მათი წაკითხვა შეიძლება; ხომ არ ისურვებს ბებია, ეს წიგნები წაუტყობო, რომ არ მოეწყინოსო? ბებია დათანხმდა და მადლი მოახსენა, მხოლოდ სულ იმას მეკითხებოდა

ფაოლორ ღონისძიება
თეატრი ლაბეუბი

ზნეობრივი წიგნებია თუ არა, რადგან თუ ზნეობრივი არ არის, შენ რომ წაიხტოხ არავართო არ შეიძლება, ცუდ რამეს ისწავლიო.

— მერედა რას ვისწავლი? რა წერია იქ?

— რაო! იქ აღწერილია ახალგაზრდები როგორ აცთუებენ წესიერ ქალიშვილებს, ცოლად შერთვის საბაბით როგორ მიჰყავთ მშობლების სახლიდან, შემდეგ როგორ ტოვებენ ბედის ანაბარა; ჰოდა, ეს უბედური ქალიშვილები მეტად სავალალოდ იღუპებიან. მე. — ამბობს ბებია, — მრავალი ასეთი წიგნი წამოიკითხავს, ყველაფერი ისე მშვენიერად არის აღწერილი, ღამე კითხვაში დავათენდება. იცოდე, შენ ნასტენკა, ამგვარი წიგნები არ წაიკითხო. რა წიგნები გამოგზავნა მან?

— სულ ვალტერ სკოტის რომანებია, ბებია.

— ვალტერ სკოტის რომანები! ვითომ იონებით არაა სავსე? ამა ნახე სატრფიალო წერილი ხომ არ ჩაუდევს?

— არა, ბებია, წერილი არ არის.

— შენ გარეკანქვეშ ნახე: ზოგჯერ იქ შეჩრიან ხოლმე, ავაზაკები!..

— არა ბებია, არც გარეკანქვეშაა რამე.

— ოპო-ოპო!

აი, დაიწყეთ ვალტერ სკოტის კითხვა და ერთ თვეში თითქმის ნახევარი დავასრულებო. მდგმური კიდევ და კიდევ გავიგზავნიდა წიგნებს, გვიგზავნიდა პუშკინს, ასე რომ, ბოლოს, უწინდოდ ყოფნა აღარ შემეძლო და თავი გავანებე იმაზე ფიქრს, როგორმე ცოლად გავყოლოდი ჩინეთის უფლისწულს.

ასე იყო საქმე, როცა ჩვენს მდგმურს უცაბედად კიბზე შევხვდი: ბებიამ რალაცაზე გამგზავნა. მდგმური შედგა, მე გავწითლდი, ისიც გაწითლდა: ოღონდ დავიცინა, მომესალმა, ბებიას ჯანმრთელობა იკითხა და მიხიბა: „წაიკითხეთ წიგნები?“ ვუპასუხე: „წაიკითხე“. „ყველაზე მეტად რა მოგეწონათ?“ — „ყველაზე უფრო იკვანოე და პუშკინი მომეწონა“. ამჯერად საუბარი ამით დამთავრდა.

ერთი კვირის შემდეგ კვლავ უცაბედად შევხვდი კიბზე. ახლან ბებიას არ გავუგზავნივარ. მე თვით უნდა წავსულიყავი რალაცაზე. სამი საათი დაწყებულიყო, მდგმურიც ამ დროს ბრუნდებოდა შინ. „გამარჯობა!“ — ამბობს ის. „გავიმარჯოთ!“ — ვუპასუხე მე.

— არ გწყინდებთ მთელი დღე ბებიასთან ჯდომა? — შეკითხება მდგმური.

არ ვციკი რატომ, გავწითლდი, დავირცხვინე და კვლავ ვიწყინე, ალბათ იმიტომ, რომ ამასზე სხვებმა დამიწყეს გამოკითხვა. მინდოდა პასუხი არ გამეცა და წავსულიყავი, მაგრამ ძალა არ მყოფინდა.

— მოცაო, — მეუბნება იგი, — თქვენ კეთილი ქალიშვილი ხართ! მახატეთ, რომ ასე გელაპარაკებით, მაგრამ, მერწმუნეთ, თქვენთვის ბებიათქვენზე უფრო მსურს სიეთე. არა

გყავთ მეგობარი, რომელთანაც შეიძლება სტუმრად წასულიყავით?

ვეუბნები, არავითარი მეგობარი არა მყავს. ერთი მაშენკა იყო და ისიც ფსკოვს გავმგზავრა-მეთქი.

— მისმინეთ, წამოხვალთ თეატრში ჩემთან ერთად?

— თეატრში? ბებიას რაღა ვუყო?

— მის ნამალევად...

— არა, არ მინდა ბებია მოვატყუო. მშვიდობით!

— მაშ, მშვიდობით, — ამბობს იგი. მეტი არაფერი უთქვამს.

ნასალიდევს კი ჩვენთან შემოდის; დაჯდა, დიხხანს ესაუბრა ბებიას, ჰუთხა ხომ არსად მიემგზავრება, ჰყავს თუ არა ნაცონებში და უცებ ამბობს: „დღეს ოპერაში ლოვის ბილეთები ავიღე; „სევილიელი დალაქი“ გადის; ნაცონებებს წამოსვლა უნდოდათ, მაგრამ შემდეგ უარი თქვეს და ბილეთები ხელთ შემჩინა.“

— „სევილიელი დალაქი!“ — წამოძახა ბებია. — ეს ის დალაქია ძველად რომ დგამდნენ?

— დიახ, სწორედ ისაა, — მიუგო მან და მე გადმომხედა. მე კი ყველაფერს მივხედი, გავწითლდი და მოლოდინით გული ამიძვინდა!

— როგორ არა, — ამბობს ბებია, — როგორ არ ვციკი! ძველად მე თვით შინაურ სცენაზე როზინას ვასრულებდი!

— ხომ არ წამოხვალთ დღეს? — უთხრა მდგმურმა. — ბილეთები ისედაც მიუქმდება.

— რატომაც არა, — ამბობს ბებია. — რატომ არ უნდა წავიდეთ? ნასტენკა არსადროს არ ყოფილა თეატრში.

ღმერთო ჩემო, როგორ გავიხარე! მანინვე მოვეზადეთ, გამოვეწყვეთ და წავედით. ბებია ბრძა, მაგრამ მუსიკის მოსმენა მაინც ისურვა. ამას ვარდა, კეთილი მოხუცია: უფრო ჩემი გართობა უნდოდა. ჩვენ თვითონ ვერასდროს ვერ მოვახერხებდით წასვლას. რა შთაბეჭდილება მოახდინა „სევილიელი დალაქმა“ არ მოგიყვებით, მხოლოდ მდგმური მთელი სამო ისეთი კარგი თვლით მიყურებდა. ისე ტკბილად მეღაპარაკებოდა, მანინვე შევიწინე, რომ დლით, როცა თეატრში მარტო წასვლა შემომთავაზა, ჩემი ვამოცდა უნდოდა. ო, როგორ გავიხარე! დასაძინებლად ისე ამაყი და მხიარული დავეშქე, ისე მიმგერდა გული, ცოტა არ იყოს, შემაყრყოლა და მთელი დღე „სევილიელი დალაქი“ ვზოღვდი.

მეგონა ამის შემდეგ მდგმური ხშირ-ხშირად შემოვივლიდა — იქვე არ იყო? მაგრამ სულ შეწყვიტა სიარული. ხანდახან თვეში ერთხელ თუ შემოვივლიდა და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ თეატრში დავებატყებინეთ. თეატრში კიდევ ორჯერ წავედით, მაგრამ ამჯერად ძალზე უქმყოფილო დავჩინე. ვატყობდი, რომ



მდგმურს ვებრალეზობდი, რადგან ბებიასთან ასე დანაგრული ვიყავი, მეტი არაფერი. შემდეგ და შემდეგ სულ გამოვიცალე: ვერც ვზივარ, ვერც ვკითხულობ, ვერც ვმუშაობ, ხანდახან ვიციხი და ბებიას ჭიბრზე რაღაცას ვუკეთებ, სხვა დროს უბრალოდ ვტირი. ბოლოს, ჩამოვხში და კინაღამ ავად გავხდი. საოპერო სეზონი დამთავრდა, მდგურმაც სულ აიკვეთა ფეხი; როცა ერთმანეთს ვხვდებოდით, რასაკვირველია, ყველთვის იმ კიბეზე, ისე მღუმარედ, ისე სერიოზულად დამიკრავდა თავს, თითქოს ლაპარაკიც არ უნდოდა; იგი პარმალს ჩაივლიდა, მე კი ისევ შუა კიბეზე ვიდექი ალუბალისფერ კაფითლებულ, რადგან მასთან შეხვედრისას მთელი სისხლი სახეზე მაწვევებოდა ხოლმე.

ამ წუთში დავასრულებ. ზუსტად ერთი წლის წინ, მაისში, მდგმური ჩვენთან შემოდის და ბებიას ეუბნება, აქ, როგორც იქნა, საქმეები მოვაგვარე და ერთი წლით კვლავ მოსკოვს უნდა გავემგზავრო. ამის გაგონებაზე ფერი წაივიდა და მიტოვებული დავკარდი რაღაც. ბებიას არაფერი შეუთქმნავს, მან კი რა წამს განაცხადა მივდივარო, თავი დავვიკრა და გავიდა.

რა უნდა მექნა? ვიფიქრე, თავი ვიმტკრიე, ბევრი ვიდარდე, ბოლოს ერთ ზხას დავადექე. ის ხვალ უნდა გამგზავრებულყო, გადაწყვიტე საღამოს, როცა ბებია დაწვევებოდა, ყველაფერი გამეთავებინა. ასეც მოხდა. კაბები და აუტიკბელი თეთრეული ერთად გამოვკარი და ცოცხალ-მკვდარი მეზონინისკენ გავემარეთ. კიბეზე ასვლას, მგონი მთელი საათი მოუვდნო. კარის შეღება და ჩემს დანახაზე მდგმურის წამოყვირება ერთი იყო; მჩვენება ვეგონე. მან სასწრაფოდ მომაწოდა წყალი, რადგან ფეხზე ძლივს ვიდექი. გულს ისე ვაპქონდა ბაგაბუგო, თავებუ დამეხევა და გონება დამებნა. როცა მოვსულიერდი, პირდაპირ იმით დაიწვიე, რომ ბოხნა მის გვერდით საწოლზე დავდევი, მეც იქვე ჩამოვჯექი, ხელები ავიფარე და მწარედ ავკვითინდი. როგორც ჩანდა, მდგმური იმწამსვე მიხვდა ყველაფერს, ჩემს წინ ფერწასული იდგა და ისე ნაღვლიანად მიცქეროდა, გული დამეთუთქა.

— მისმინეთ, ნასტენკა, მისმინეთ, — დაიწყო მან, — მე არაფერი არ შემიძლია; ღარიბი კაცი ვარ; ჭერჭერიობით არაფერი გამაჩნია, რიგისად ადგილიც კი; როგორღა ვიცხოვრებთ, რომც შევირთოთ?

ჩვენ დიდხანს ვლაპარაკობდით, ბოლოს, მოთმინების ძაფი გამიწყდა, ვუთხარი, რომ ბებიასთან ცხოვრება აღარ შემიძლია, ვაქოქევი, არ მინდა ქინძისთავით ვიყო მიმბული და როგორც ინებებ, ისე მოვიქცევი, გამოვყვები მოსკოვში, რადგან უთქვენოდ ვერ გავძლებ-მეთქი. სირცხვილიც, სიყვარულიც და სიამაყეც ერთბაშად მომეძალა და კინაღამ გულშე-

წუხებული დავეცი საწოლზე. ო, როგორ მეშინოდა უარის!

იგი რამდენიმე ხანს მღუმარედ იჯდა, მერტა ადგა, მოვიდა და ხელი მომიკიდა.

— გამიგონეთ, ჩემო კეთილო, ჩემო ძვირფასო ნასტენკა! — დაიწყო ცრემლორეულმა. — გამიგონეთ, თუ ოდესმე ქალის შერთვის საშუალება მექნა, უსათუოდ თქვენ გამაბედნიერებთ. გარწმუნებთ, ახლა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ბედნიერება მომანიჭოთ. მისმინეთ: მე მოსკოვს მივდივარ და იქ ზუსტად ერთ წელს დავრჩები. ვიმედოვნებ ჩემი საქმეები მოვაგვარო. როცა დავბრუნდები, უკეთუ თქვენც არ შემატკუეთო ზურგს, გვეიცეხათ, ბედნიერები ვიქნებით. ახლა კი შეუძლებელია. მე არ შემიძლია, არც უფლება მაქვს თუნდაც რაიმე აღვიტუვათ, მაგრამ გიმეორებთ, თუ მე ერთ წელიწადში არ მოხერხდება, ოდესმე მაინც უსათუოდ მოხდება: რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ სხვას არ მამჯობინებთ, ვინაიდან არ შემიძლია და ვერც ვაგებდე რაიმე დაპირებით ხელ-ფეხი შეგიკრათ.

აი, რა მითხრა და მეორე დღეს გაემგზავრა. დაეტყვით ამის შესახებ ბებიას არაფერი გავეცო. ასე ისტრება მან. აი, ჩემი თავგადასავალი თითქმის დასრულდა. ზუსტად ერთი წელი გავიდა, ის ჩამოვიდა, მთელი სამი დღე აქ არის და, და...

— და რა? — მოუთმენლად შევძახე მე, მიხლოდა ამბის დასასრულიც გამეგო.

— და აქამდე არ გამოჩენილა! — ისე მიპასუხა, თითქოს ძალას იკრებო, — არაფერი ისმის...

ნასტენკა გაჩუმდა, ცოტა იყუჩა, თავი დახარა, უტეხ ხელი აიფარა და ისე აქეითინდა, გული გადამიქანდა.

ასეთ დასასრულს არაფრით არ მოველოდი.

— ნასტენკა, — დავიწყე გაუბედავი, შემპარაკი ხმით, — ნასტენკა! თუ ღმერთი გწამთ, ნუ ტირით! იციო რატომ? შესაძლებელია, ის ჭერი კიდეც არ არის აქ...

— აქ არის, აქ! — შემაწყვეტინა მან, — ვიცი, აქაა. ჩვენ პირობა დავდეთ ჭერი კიდეც მაშინ, იმ საღამოს, გამგზავრების წინა დღეს. როცა ერთმანეთს ყველაფერი ვუთხარით, ის რაც ახლა მე თქვენ გამბეფთ, და პირობა დავდეთ, აქ, სწორედ ამ სანაპიროზე წამოვედით-სასიერნოდ. ათი საათი იყო; ამ სკამზე ვისხედით; მე უკვე აღარ ვტიროდი, გულზე მალა-მოდ მეცხებოდა მისი საუბარი. მითხრა ჩამოსვლისთანავე მოვალე, და თუ უარს არ ვეტყვოდი, ჩვენს აშბავს ბებიას გავაგებინებდით. ვიცი, ახლა აქაა; მაგრამ არა და არ ჩანს!

ნასტენკას კვლავ მღუმარე ცრემლები გადამოცივდა.

ფადლონ ღმერთმანსა
თეთრი ლამიები

— ღმერთო ჩემო! ნუთუ არაფერი ეშველება ამ მწუხარებას? — შეცხადე და ზეზე წამოვიტერი, — მითხარით, ნასტენკა, არ შეიძლება მე მაინც მივიღე მასთან?..

— განა ეს შესაძლებელია? — უცებ თავი ასწია ნასტენკამ.

— არა, რასაკვირველია, არა! — ვთქვი გონს მოსულმა, — მართლა, წერილი მისწერეთ.

— არა, ეს შეუძლებელია, არ შეიძლება — გადამოხრით მიპასუხა ნასტენკამ, თავი დახარა და უკვე აღარ მიცქეროდა.

— როგორ არ შეიძლება? რატომაც არა?

— განვარბე მე და ჩემს მოსაზრებას ჩავეჭიდდე. — მაგრამ, იცი, როგორი წერილი წელიცაა და წერილიც და... აჰ, ნასტენკა, ეს ასეა! მერწმუნეთ, მერწმუნეთ! ცუდ რამეს არ გირჩევთ. შეიძლება ყოველივე მოგვარდეს. თქვენ ხომ დაიწყეთ, ახლა რატომღა...

— არ შეიძლება, არ შეიძლება! თითქოს ძალად ვეტმანებო... —

— აჰ, ჩემო კეთილო ნასტენკა! — შევაწყვეტინე დაუფარავი ღიმილით, — არა, არა; ბოლოს და ბოლოს, უფლება გაქვთ, რადგან მან პირობა მოგცათ. ყველაფერზე ვატყობ, ის რიგანი კაცია და კარგად მოიქცა, — განვარბე ჩემი მოსაზრებებისა და შეხედულებების ლოგიკურობით უფრო და უფრო აღტაცებულმა, — როგორ მოიქცა? მობოხის მოცემით თავი შეიზღუდა. თქვა, რომ თქვენს ვარდა არაგის შეირთავს, თუ საერთოდ დაქორწინდება; სრული უფლება დაგიტოვათ თუნდაც ახლავე უთხრათ უარი... ასეთ შემთხვევაში შეგიძლიათ პირველი ნაბიჯი გადადგათ, უფლებამოსილიცა ხართ, უპირატესობა გაქვთ მის წინაშე, თუნდაც, მაგალითად, თუ ისურვებოთ მოციმუში სიტყვისაგან გავეთავისუფლებინათ...

— მოიცათ, თქვენ როგორ დაწერდით?

— რას?

— წერილს.

— მე ასე დავწერდი: „მოწყალეო ხელმწიფევი...“

— „მოწყალეო ხელმწიფევი“. აუცილებლად უნდა...

— აუცილებლად! თუმცა, რატომ არა? მე ვფიქრობ...

— კარგი, კარგი! განვარბეთ!

„მოწყალეო ხელმწიფევი!“

„მომიტყვეთ, რომ...“ თუმცა, არა, არავითარი მობოდიშება არაა საჭირო! თვით ფაქტი ამართლებს ყველაფერს; დაწერეთ უბრალოდ: „მე თქვენ გწერთ. მაპატიეთ მოუთმენლობა; მაგრამ მთელი წელი იმედი მასულდგმულებად; დანაშავე ვარ, რომ არ შემიძლია ახლა იქვებსაც გაუქმლო? ამეამდ, როცა უკვე ჩამოხვედით, იქნებ განზრახვა შეიცვალეთ. მაშინ ეს წერილი შეგატყობინებთ, რომ არ გემღუბრით და არც გამტყუნებთ, არ გამტყუ-

ნებთ იმისთვის, რომ თქვენს გულს ვერ დავუტყულებ; ალბათ ასეთია ჩემი ბედი!

თქვენ კეთილშობილი აღამიანი ბიჭი ხართ. არც ვაიღიმებთ და არც განაწყენდებით ჩემს სულწასულ სტრიქონებზე. გახსოვდეთ, რომ მათ საბრალო ქალიშვილი გწერთ, რომ ის მარტოა და ისეთი არავინ გააჩნია, ვისთანაც შეეძლო ესწავლა ან რჩევა მიეღო, რომ არასდროს იმის უნარი არ ჰქონია საკუთარი გული დაემოხრობინებინა. მაგრამ მაპატიეთ, თუ ჩემს სულში წამიერად მაინც დაიბუღა ეჭვი. თქვენ არ იკადრებთ გულშიაც კი გაიფიქროთ იმ აღამიანის შეურაცხყოფა, ვისაც ასე უყვარდით და უყვარხართ.“

— დიახ, დიახ! ზუსტად ისეა, როგორც ვფიქრობდი! — წამოიძახა ნასტენკამ და თვლებში სიხარული ჩაუდგა. — ო! თქვენ გაფანტულ ჩემს ეჭვებს, თვით ღმერთმა წარმოგვზავნათ ჩემს მხსენლად! გამდლობთ, გამდლობთ!

— რისთვის? იმისთვის, რომ ღმერთმა წარმოგვზავნა? — მივეტე ნასტენკას. მე აღტაცებული შევეყურებდი მის გახარებულ სახეს.

— ჰო, თუნდაც ამისთვის.

— ოჰ, ნასტენკა! ჩვენ ხომ მაღლობას ვეუბნებით სხვა აღამიანზე, თუნდაც იმით, რომ ჩვეთთან ერთად ცხოვრობენ. მე მაღლობას გწირავთ იმისთვის, რომ თქვენ შემხვდით, იმისთვის, რომ მთელი სიცოცხლე მემახსოვრებოთ!

— კარგი, კმარა, კმარა! ახლა კი აი, რა, ბარემ მომისმინეთ: მაშინ პირობა დავდევი, რომ იგი ჩამოსვლისთანავე წერილს დატოვებს ერთ ადგილას, ჩემს ნაცნობებთან, კეთილ და უბრალო აღამიანებთან, რომლებმაც ამის შესახებ არაფერი იციან, და ამით შემიტყობინებს დაბრუნების ამბავს. ან, თუ წერილს ვერ მიმწერს, რადგან შიგ ყველაფერს ვერ ჩაატე, მაშინ იმავე დღეს, ზუსტად ათ საათზე დამხვდება აჰ, სადაც დავთქვით კიდევ შეხვედრა. იცი, უკვე ჩამოვიდა, მაგრამ მესამე დღეა არც თვითონ ჩანს და არც წერილი. დილით ბებიას მიტოვება არ შემიძლია. ხვალ თქვენ გადავიტოვებ წერილი იმ კეთილ აღამიანებს, რომლებზედაც ახლა გეუბნებოდი: ისინი კიდევ მას გაუგზავნიან; თუ პასუხი იქნა, თვითონვე მომიტანთ საღამოს ათ საათზე.

— კი მაგრამ წერილი, წერილი! ჭერ ხომ წერილი უნდა დაწეროთ! უამისოდ ხომ ზევ არაფერი იქნება.

— წერილი... — მიპასუხა ცოტათი შეტუბუნებულმა ნასტენკამ, — წერილი... მაგრამ...

მან სიტყვა აღარ დაასრულა. ჭერ სახე შეაბრუნა, ვარდევით გაფითლდა და უცებ ხელში წერილი ვიგრძენი, ეტყობა, წინასწარ დაწერილი, გაზადებული და დალტქული. გონებაში ნაცნობი, სანუკვარი, ლამაზი მოგონება გამიკრთო...



— R.o-R.o, s-i-s-i, n-a-n-a — დავიწყე მე.

— Rosina! — ავმღერღით ორთავე. მე ალტა-
ციბისიან კინალამ მოვეჭვებე. ნასტენკა გაწითლ-
და, როგორც კი შეიძლება გავწითლებუ-
ლიყო, და პირმოღიშარს ცრემლები გადმო-
ვდინა, რომლებიც მარგალიტებზე თრთოდ-
ნენ მის ზეგ წამწამებზე.

— კარგით, საკმარისია, საკმარისი! ახლა

მშვიდობით! — სხაპასხუპით მითხრა მან. —
აჰა, წერილი, აგერ მისამართიც, სადაც უნდა
მიიტანათ. მშვიდობით! ნახვამდის! ხვალამდე!
ნასტენკამ მაგრად ჩაომარათვა ორივე ხელი,
თავი დამიქნია და ისარივით გაიღვა თავის
შესახებეში. მე დიდხანს ვიდექი და უკან გაე-
ყურებდი.

„ხვალამდის! ხვალამდის!“ — გამიკრთა თა-
ვში, როცა ის თვალთავან მიეფარა.

მისამი ლამი

მოწყენილი, ჩამობურტული, წვიმიანი დღეა,
ზუსტად ჩემი მომავალი სიბერის ხატება. ისე-
თი უცნაური აზრები, ისეთი ბუნდოვანი შე-
გრძნობანი შემომაჭრავია, ისეთი გაუგებარი სა-
ციხებები მიტრიალებს თავში, რატომღაც არც
ძალა მაქვს და არც სურვილი მათი ახსნისა.
მე არ შემოიძლია მათი ახსნა!

დღეს ჩვენ არ შევხვდებით. გუშინ, როცა
ერთმანეთს ვემშვიდობებოდით, ცაზე ღრუბ-
ლები წამოიშალა და ნისლი დაიძრა. მე ვთქვი
ზვალ ცუდი ამინდი იქნება-მეთქი; მას არ უბ-
ასუნხნია, არ ზურდა საკუთარი თავის წინააღ-
მდეგ ეთქვა რაიმე; მისთვის ეს დღე მზიან-
იცილა, ნათელიც და მის ბედნიერებას ვერა-
ვითარო ღრუბელი ვერ დაბინდავს.

— თუ წვიმა იქნა, ერთმანეთს არ შევხვდე-
ბით, — თქვა ნასტენკამ, — მე არ მოვალ.
ჩემის აზრით, მას დღევანდელი წვიმა არც
კი შეუშინავია, მაგრამ არ მოვიდა.
გუშინ ჩვენი მესამე შეხვედრა, ჩვენი მესა-
მე თეთრი ღამე იყო...

მაინც როგორ აღამაზებს აღამიანს სიხარუ-
ლი და ბედნიერება სიყვარულით როგორ ფე-
თქავს გული! თითქოს ვინდა შენი გული სხვი-
სას შეუწინეთო, ვინდა ყველა მხიარულობდეს,
ყველა იცინოდეს, მერედა რა გადამდებია ეს
სიხარული გუშინ რაოდენი ნეტარება იგარჩო-
ბოდა მის სიტყვებში, მის გულში კი რაოდენი
სიციეთე ჩემდამი... როგორ მეგვებოდა თავზე,
რარიგ მიაღერებდა, რარიგ მიმხნეებდა
მისათუთებდა ვულს! ო, როგორ ავეკლუცებ-
აღამიანს ბედნიერება! მე კი... მე კი ყველ-
აფერო მჭეროდა; მეგონა, რომ ის...

მაგრამ, ღმერთო მაღალო, როგორი შემეძლო
ეს გამეფიქრა? როგორ შემეძლო ასე ბრმა
ვეყოფილიყავ, როცა უკვე ყველაფერი სხვას
ეკუთვნოდა, როცა ყველაფერი სხვისი იყო;
როცა, დასასრულ, თვით მისი სინაზეც, მისი
აღერსიც, მისი სიყვარულიც... დაიბ, ჩემდამი
სიყვარულიც იყო მარტოდენ სხვასთან მალე
შეხვედრის სიხარულის გამოვლინება, სურვი-
ლი — საკუთარი ბედნიერება ჩემთვისაც მოე-
ხვია თავზე?.. როცა ის არ მოვიდა და ჩვენი
ამოდ ველოდეთ, ნასტენკა მოიღუშა, დაფ-
რთხა და შეშინდა. მის ქვევას, მის სიტყვებს

უკვე სილაღე, სითამამე, სიხალისე, დავიკარგა.
მაგრამ, უცნაურია, ჩემდამი ყურადღება გაო-
რკეცა, თითქოს ინსტიქტურად სურდა გაენდო
ის, რასაც თავისთვის ნატრობდა და რისი აუ-
სრულელობისაც ემინოდა. ჩემი ნასტენკა
ისე დაფრთხა, ისე დაფეთდა, მგონი, ბოლოს
იგარჩო, რომ მიყვარდა და ჩემს საბრალო
სიყვარულს თანაუგრძობდა. ასეა, როცა უბ-
ედღურები ვართ, უფრო ძლიერ ვგრძნობთ
სხვის უბედურებას. გრძნობა კი არ სუსტდე-
ბა, პირიქით, ძლიერდება...

მე სულით და გულით მივეახლე მას და
ძლივს ვეღირსე პაემანს. ვერ გავითვალისწინე
ის, რასაც ახლა შევიგრძნობდი, არ მეგონა,
რომ ყველაფერი ასე დამთავრდებოდა. ნას-
ტენკას სიხარულით გული საგულეს აღარ
ჰქონდა, ელოდა პასუხს. პასუხი თვით ის კა-
ცი ვახლდათ, უნდა მოსულიყო, უნდა მოერ-
ბინა მის დაბახილზე. ნასტენკა მთელი ერთი
საათით აღრე მოვიდა. პირველად ყველაფერ-
ზე კიკისებდა, ყოველ ჩემს სიტყვაზე იცინო-
და. მე ის-ის იყო ლაპარაკი დავიწყე და გაე-
ჩუმდი.

— იცი, რა მახარებს ასე? — მითხრა ნას-
ტენკამ, — რატომ მიხარია თქვენი ყურება,
ასე რატომ მიყვარხართ ღლეს?

— მაინც? — ვციხებ და გული ამიტოვდა.

— იმიტომ, რომ თქვენ არ შეგყვარებდითარ.
სხვა თქვენ ადგილზე აფორიავდებოდა, მოს-
ვენებას არ მომცემდა, დაიწყებდა ოხვრას, და-
სნეულდებოდა, თქვენ კი რა კარგი ხართ!

ამ ღროს ხელზე ისე მომიჭირა, კინაღამ შე-
ვეყვირე. მან გაიციხა.

— ოჰ, ღმერთო! როგორი მეგობარი ხართ!
— ძალზე სერიოზულად დაიწყო ერთი წუთის
შემდეგ. — პირდაპირ ღმერთმა მომივლინა
თქვენი თავი! ო, რა დამემართებოდა, ახლა
რომ ჩემთან არ ყოფილიყავით? რა უნაგარო
ხართ! როგორ დიდსულოვნად გიყვარვართ!
როცა გაეთხოვდები, ძალიან მეგობრულად,
და-ძმაზე უკეთ ვიქნებოთ. ისე მიყვარებით,
როგორც ის...

ფილოსოფიური დისკუსია

თეიმური ლამიანი

ამ წამს საშინელი სევდა შემომოწევა; მაგრამ ჩემს სულში მაინც სიცილისმაგვარი რაღაც შეერბა.

— თქვენ შემოფთებული ხართ, — ვუთხარი მე, — გეშინიათ; გგონიათ, რომ არ მოვა.

— ღმერთმა დაგიფაროს! — მიხასუხა მან, — მე რომ ნაკლებ ბედნიერი ვიყო, თქვენს ურწმუნობასა და საყვედურებზე იქნებ ავტირებულყავ. თუმცაღა გულსხმაში ჩამავდეთ და ძლიერ დამაფიქრეთ; მაგრამ შემდეგ ვიფიქრებ, ახლა კი, უნდა გამოვტიყდეთ მართალს ამბობთ. დიახ! გონს ვერ მოვსულვარ, სულ მოლოდინში ვარ და გულთან უცებ მიმაქვს ყველაფერი. მაგრამ კმარა, გრძნობებზე საუბარს თავი ვავანებოთ!..

ამ დროს ფეხის ხმა მოისმა და სიბნელეში ჩვენკენ მომავალი კაცი გამოჩნდა. ორივე აეკანკალდით: ნასტენკამ კინაღამ შეპკვილა. მე მისი ხელი მოვიცილე და ისეთი სახე მივიღე, თითქოს წასვლას ვამბობდი; მაგრამ მოვტყუვდით: ის არ იყო, ვისაც ველოდით.

— რისა გეშინიათ? რატომ გამიშვით ხელი? — მკითხა ნასტენკამ და ხელი კვლავ გამოიწვალა. — რა ვაუწყობთ? ერთად შევხვდებით მას. მინდა დაინახოს, როგორ გვიყვარს ერთმანეთი!

— როგორ გვიყვარს ერთმანეთი, — შევძახე მე.

— ოჰ, ნასტენკა, ნასტენკა! — გავიღე გულში — რამდენი რამ მითხარი ამ სიტყვებით! ზოგჯერ ამგვარი სიყვარული გულში სიცივეს გაგრძნობინებს და სულს გიმძიმებს. შენი ხელი ცივია, ჩემსას კი ცეცხლი ეკიდება. რა ბრმა ხარ, ნასტენკა!.. ო! ზოგჯერ რა აუტანელია ბედნიერი ადამიანი! მაგრამ არ შემეძლო შენზე ვაეჭვებოდა!

ბოლოს ვეღარ მოვითმინე.

— მისმინეთ, ნასტენკა! — შევძახე მე, — იცით, რა ყოფაში ვიყავი მთელი დღე?

— რა მოხდა, რა იყო? ჩქარა მიამბეთ! რატომ არაფერს ამბობდით აქამდე?

— ჯერ ერთი, ნასტენკა, როცა ყველა თქვენი დავალება შევასრულე, წერილი გადავეცი, ვიყავი თქვენს კეთილ ადამიანებთან, შემდეგ... შემდეგ შინ დაბრუნდი და დასაძინებლად დავწვიქი.

— სულ ესაა? — სიცილით შემაწყვეტინა მან.

— ჰო, თითქმის ესაა, — მივუგე თავშეაყვებით, რადგან თვალეზე უკვე სულელური ცრემლები მომაწვა. — ჩვენს შეხვედრამდე ერთი საათით აღრე გამეღვიძა, მაგრამ თითქოს არც მძინებია. არ ვიცი, რა დამემართა. მოვლოდი, რომ ყველაფერი მეამბნა; თითქოს ჩემთვის დრო გაიყინა, თითქოს ერთი შეგარქმევა, ერთი განცდა ამ დროსთან ერთად სამუდამოდ უნდა დარჩენილიყო ჩემში, თითქოს წუთი მთელ საუკუნედ უნდა ქვეუღო, თითქოს მთელი ჩემი ცხოვრება შეჩერდა. როცა

გავიღვიძე, მომეჩვენა, რომ დიდი ხნის წინ ნობი, საღაც ადრე გაგონილი, დავიწყებული და ტკბილი მუსიკალური მოტივი აწლავდა სენდა. მომეჩვენა, რომ მთელი სიცოცხლე სულიდან ამოქრას ლამობდა და მხოლოდ ახლა...

— აჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — შემაწყვეტინა ნასტენკამ. — ეს როგორ მოხდა? არაფერი მესმის.

— აჰ, ნასტენკა! მინდოდა ეს უცნაური შთაბეჭდილება როგორმე გადმომეცა... — დაიწყე საღვალადი ხმით, რომელშიც კიდევ იმაღლებოდა იმდის ნაერწყალი, თუმცაღა მიჭრალი ნაერწყალი.

— კმარა, შეიწყვიტეთ, კმარა! — წარმოთქვა ნასტენკამ, მყვირებელს ვეკლავდა, ეშმაკი ანაზღად უჩვეულოდ გახალისდა, ლაპარაკის და ეშმაკობის გუნებაზე მოვიდა. ხელმოკლავი გამიქეთა, იცინოდა, უნდოდა მეც მეცინა და ყველ ჩემს შემცბარ სიტყვაზე ისე ხშირად, ისე გაბმით ტკრციალებდა... მე თანდათან გული მომდიოდა, მან კი უცებ კეკლუცობა დაიწყო.

— მოიცათ, — დაიწყო ნასტენკამ, — მე ხომ ცოტათი-მწყინს, რომ არ შემოყვართ. აბა გაარჩიე ამის შემდეგ ადამიანი! მაგრამ მაინც ქედმოუხრებლო ბაზრონი, არ შევიცლიათ ქება არ მითხარო, რომ ასეთი უბრალო ვარ. მე ყველაფერს გეტუნებით, ყველაფერს, რა სისულელემაც არ უნდა გამიღვოს თავში.

— მოიცათ! გგონი, თერთმეტი საათია, არა? — ვთქვი მე, როცა ქალაქის შორეულ კოშკზე ზარის თანაზომიერი გუგუნე გაისმა. ნასტენკა უცებ შეჩერდა, სიცილი შეწყვიტა და თვალდაიწყო.

— ჰო, თერთმეტი, — თქვა ბოლოს შიშვეული, გაუბედავი ხმით.

იმწამსვე ვინანე, რომ ნასტენკა დავაფრთხე და ვაიძულე საათი გამოეთვალა, თავბედს ვიწყვედილი ჩემი უხამსი საქციელის გამო. შევწუხდი და არ ვიციდი როგორ გამომესყიდა დანაშაული. დავიწყე მისი დამშვიდება, იმ კაცის მოუსვენლობის მიზეზის ძებნა, სხვადასხვა მოსაზრებებისა და დამამტკიცებელი საბუთების მოყვანა. ამ წუთში ისე არავის მოტყუებდა არ შეიძლებოდა, როგორც მისი. ასეთ დროს ხომ ყველა რატომღაც სიხარულით ისმენს ყოველგვარ დამამშვიდებელ სიტყვას და უხარია ერთ დეწო სიმართლესაც თუ ხედავს.

— სასაცილოა, — დავიწყე ჩემი დამამტკიცებელი საბუთების არაჩვეულებრივი სიხარულით უფრო და უფრო გატაცებულმა და ნასიამოვნებმა, — არც შეძლო მოსულყო; თქვენ მეც მომატყუეთ და თვალს ამიხვიეთ, ასე რომ, დროის ანგარიშიც კი ამრია... აბა, იფიქრეთ: იქნებ წერილი ჯერ ვერც მიიღო: ვთქვათ მოსვლა არ შეუძლია, ვთქვათ, გიპასუხებს, წერილიც ხვალამდე არ მოვა. მე



ხვალ უთენია წვალ და იმწამსვე გაცნობებთ ყოველივეს. დასასრულ, გაითვალისწინეთ ათასი რამ: ვთქვათ, შინ არ იყო, როცა წერილი მივიღა, და, შესაძლოა, აქამდე არც წაუკითხავს? ყველაფერი მოსალოდნელია.

— ჰო, ჰო! — მიპასუხა ნასტენკამ, — ეს არც მიფიქრია. რა თქმა უნდა, ყველაფერი მოსალოდნელია, — განაგრძო დამყოლი ხმით, რომელშიც ნაღვლიანი დისონანსი ისმოდა სხვა, შორეული აზრი. აი რას იზახთ: ხვალ რაც შეიძლება აღერ წადით და თუ რა-მე გაივთ, იმწამსვე მაცნობეთ. ხომ იცით საღ ვეცხოვრობ? — მითხრა ნასტენკამ და თავისი მისამართი გამომივრია.

შემდეგ ჩემდამი უეტრად ისეთი სინაზე, ისეთი მოკრძალება გამოიჩინა... თითქოს ყურადღებთ ისმენდა, რასაც ვუტყვებოდი; მაგრამ რაღაც რომ ვკითხე, ხმა გაქმინდა, დიუნა და თავი მიბარუნა. მე თვალეში შევხედე — ასეც ველოდი: ნასტენკა ტირიდა.

— მამ, შესაძლოა, შესაძლოა? ოპ, რა ბევრე ხართ! რა ბევრეობაა!.. კმარა!

ნასტენკამ სცადა გაეღიმა, დამშვიდებულყო, მაგრამ ნიკაბი უტახტავებდა და მკერდი ისევ ძალუმად ურთობდა.

— მე თქვენზე ვფიქრობ, — მითხრა წუთიერი ღუმლის შემდეგ, — თქვენ ისეთი კეთილი ხართ, გულჯვა ვიქნებოდი, რომ ეს არ მეგობრნი... იცით ახლა რა აზრი დამეხდა? მე ორთავეს გადავრებდი. რატომ არა ხართ თქვენ ის? რატომ არა გგავთ იგი? ის თქვენ ვერ გჯობიათ, თუმცა თქვენზე მეტად მიყვარს.

მე არაფერი მიპასუხედა. ნასტენკა, როგორც ეტყობოდა, ელოდა რაიმე მითქვა.

— რასაკვირველია, შესაძლოა ჭერ კიდევ ვერ ვუტყვებ მას, კარგად არ ვიცნობ, იცით, თითქოს ყოველთვის მემოიხადა მისი; მუდამ სერიოზულად, თითქოს ამყარე ეჭრი თავი. რა თქმა უნდა, ვიცე, რომ ასე გარეგნულად გამოიყურება, თორემ ჩემზე უფრო ნაზი გულო აქვს. მახსოვს, როგორ შემომხედა, როცა ბოხნი მთავადევი; მაგრამ როგორღაც მეტისმეტე პატივისცემით ვეპყრობი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაფერისნი არა ვართ, ხომ?

— არა, ნასტენკა, არა, — მიუუბე მე, — ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ყველაზე მეტად გიყვართ ამქვეყნად, საკუთარ თავზე მეტადაც კი.

— კარგი, ვთქვათ, ასეა, — მიპასუხა გულუბრყვილო ნასტენკამ, — მაგრამ იცით, ახლა რა აზრი დამეხდა? მხოლოდ ახლა მისი შესახებ არაფერს ვიტყვი, ისე, სხვა რაიმე ვილაპარაკებ, დიდი ხანია, რაც ყოველივე ეს თავში მიტრიალებს. მისმინეთ, რატომ არა ვართ ერთმანეთთან და-მასავით? რატომ ხდება, რომ ყველაზე კარგი ადამიანი მეორეს თითქოს მუდამ რაღაცას უშალავს და არ უშხელს? რატომ პირდაპირ, იმწამსვე არ უნდა ითქვას ის, რაც გულში გაქვს, თუ იცი, რომ შენი ნათ-

ქვამი ქარს არ გაჰყვება? თორემ ყველა ისე გამოიყურება, თითქოს უფრო ყველაკრია, ვიდრე ნამდვილად არის, თითქოს ყველას ეშინია საკუთარი გრანობები არ შელახოს იმით, თუ მათ ძალიან აღერ გამოამჟღავნებს...

— ოპ, ნასტენკა! მართალს ამბობთ; ამას ხომ მრავალი მიხეში აქვს, — შევაწყვეტინე მე. ჩემი გრანობები ისე არსდროს დამოიკებია, როგორც ამ წუთში.

— არა, არა! — მიპასუხა მეტად მგრძობიერად, — თქვეხ, მაგალითად, სხვებს არა ჰგავხართ! მართალი ვითხრათ, არ ვიცე, როგორ გიამბობთ, რასაც ვგრძნობ, მაგრამ, მაგრამ, ჩემის აზრით, მაგალითად, თქვენ... თუნდაც... ახლა... მე მგონია ჩემთვის მსხვერპლს იღებთ, — დამუბტა გაუბედავად, თან თვალი შემავლო. — მაპატიეთ, რომ ასე გულაპარაკებით: მე ხომ უბირი ქალიშვილი ვარ; ჭერ ცოტა რამე მინახავს ქვეყნად და, კაცმა რომ თქვას, ზოგჯერ ლაპარაკე მექნებოდა, — თქვა ნასტენკამ რაღაც ფარული გრძნობით ხმაყანკალებულმა, თან ცდილობდა გაეღიმა. — მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ მადლობელი ვარ, რომ მეც ვგრძნობ ყოველივე ამას... ო, დებრთმა ამისთვის ბედნიერება ნუ მოგიშალთ! რაც თქვენს მეოცნებეზე მიამბეთ, სრულეზით არაა მართალი, ესე იგი, მინდა გითხრათ, რომ თქვენ სრულიად არ შევეფერებათ. თქვენ გამოჯანსაღდებთ, თქვენ, მართლაც, სულ სხვა ხართ, ვიდრე საკუთარი თავი ამიჭერეთ. თუ ოდესმე ვინმეს შეიყვარებთ, მამაშვიტერს შევთხოვ ბედნიერი გამოყოფით მასთან! მას კი არაფერს ვუსურვებ, რადგან თქვენთან ისედაც ბედნიერი იქნება. მე ვიცე, თვითონ ქალი ვარ და უნდა დამიჭეროთ, რასაც გუტუნებით...

ნასტენკა გაჩუმდა და ხელი მაგრად მომიჭირა. მეც ენა დამეხა მღელეარებისაგან. განვლო რამდენიმე წუთმა.

— ჰო, ეტყობა, დღეს არ მოვა, — თქვა ბოლოს ნასტენკამ და თავი ასწია, — გვიანაა!..

— ხვალ მოვა, — ეუთხარი მეტად დამაჯერებლად და მტკიცე ხმით.

— ჰო, — დაუმტა ვახალისებულმა ნასტენკამ, — ახლა მეც ვატყობ, რომ მხოლოდ ხვალ მოვა. აბა, ნახვამდის! ხვალამდე! თუ წვიმა იქნა, შეიძლება არ მოვიდე. ზეგ კი მოვალ, ყოველ მიზეზგარეშე მოვალ; უსათუოდ აქ იყავით. მინდა გნახოთ, მე თქვენ ყველაფერს ვეამბობთ.

შემდეგ, როცა ერთმანეთს ვემშვიდობებოდით, ხელი გამომიწოდა, თვალეში შემომხედა და მითხრა:

ფეოდორ დონსოვსკი
თეირნი ლამიანი



— ჩვენ ხომ სამუდამოდ დავუკავშირდით ერთმანეთს, მართალი არაა?

ო, ნასტენკა, რომ იცოდე ახლა რა მართო ვარ! როცა ცხრა საათმა დაჰკრა, ოთახში ვერ გავძელო. ჩავიცივი და მიუხედავად უამინდობისა გარეთ გამოველ, ვიყავი იქ, ვიჭექე ჩვენს სკამზე. კინაღამ მათ შესახებვე ვეწვიე, მაგრამ შემრცხვა და უკან გამოვბრუნდი, ისე რომ მათი ფანჯრებისათვისაც არ შემინებდეს, ორ

ნახიჯზე არ მიეკარებებინარ მათ სასტუმროს მეტად გულდამძიმებული მივბრუნდები. მური, მოსაწყენი დროა! კარგი ამინდი რომ ყოფილიყო, მთელ ღამეს ვისეირნებდი...

მაგრამ ხვალამდე! ხვალ ნასტენკა ყველაფერს მიაბამოს.

წერილი დღესაც არ ყოფილა. თუმცა ასეც უნდა მომხდარიყო. ისინი უკვე ერთად არიან...

მომთხე მამე

ღმერთო, როგორ დასრულდა ყოველივე! რით დასრულდა ყოველივე!

მე ცხრა საათზე მიველ, ნასტენკა უკვე იქ იყო. იგი შორიდანვე შევინხვნი; მაშინდელივით სანაპიროს მოაჯირს დაყრდნობოდა და ჩემი მოსვლა ვერ გაიგო.

— ნასტენკა! — გამოვჩხმაურე, ძლივს ვიკავებდი მღელვარებას.

იგი სწრაფად შემობრუნდა.

— აბა! — მითხრა ნასტენკამ, — აბა ჩქარა! მე ვაოცებული შევეყურებდი.

— სადაა წერილი! მოიტანეთ წერილი? — გამიმეორა და მოაჯირს ჩასქიდა ხელი.

— არა, წერილი არა მაქვს, — ამოვღერდე, როგორც იქნა. — ნუთუ ჯერ კიდევ არ მოსულა?

ნასტენკა გადადიოდა და დიდხანს გაუნძრევლად შემომძიქვროდა. მე მისი უკანასკნელი იმედიც დავამსხვრიე.

— ღმერთმა ხელი მოუშართოს! — თქვა ბოლოს გაბზარული ხმით. — ღმერთმა ხელი მოუშართოს, თუ ასე მტოვებს.

ნასტენკამ თვალეზი დახარა, შემდეგ უნდოდა ჩემთვის შემოეხედა, მაგრამ ვერ შეძლო, ერთ ხანს მღელვარებას იოკებდა, მერე უტებ შებრუნდა, სანაპიროს მოაჯირს დაეყრდნო და ცრემლები ღაბაღღაობით გადმოსცივიდა.

— როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებთ! — დავიწყე, მაგრამ მის შემყურეს ძალა არ მეყო ლაპარაკი განმეგრძო, ან რა უნდა მეთქვა?

— ნუ დამამწვიდებთ, — ტირილით ამბობდა იგი, — ნუ ილაპარაკებთ მასზე, ნუ იტყვიან, რომ მოვა, რომ ასე უფულოდ, ასე უღმობლად არ მივეტოვებებინარ. რაღა ჰქნა ეს? რად? ნუთუ ისეთი რამ იყო ჩემს წერილში, ამ ბედუქულღმართ წერილში?..

ამ დროს ქვითინმა ხმა ჩაუწყვიტა. მის შემხედვარე გული ამოვარდნაზე მქონდა.

— ო, რა უღმერთო სისასტიკეა! — კვლავ დაიწყო მან. — ერთი სტრიქონი, ერთი სტრიქონი რა! ის მაინც მოეწერა, რომ აღარ ვჭირდები, რომ ზურგს მაქცევს; მთელი სამი დღე ერთი სტრიქონის მოწერა გაუმძნელდა! როგორ ეიოლება შეურაცხყოფა მიაყენოს, და-

ინბრევოს საბრალო, უმწურო ქალიშვილი, რომლის დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ იგი უყვარს! ო, რამდენი მოვლითმინე ამ სამი დღის განმავლობაში! ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! როცა ვისხენებ, რომ პირველად მე მივედი, თავი დავიმციტე, ეტიროდი, ერთ ბეწო სიყვარულს ვევედრებოდი... ამის შემდეგ კი! მოიცაოთ, — მომბართა და შვიი თვალდნ წამოენთო, — ეს ასე არაა! ან თქვენ მოტყუებდით, ან მე; იქნებ წერილი ვერ მიიღო? იქნებ აქამდე არაფერი იცის? როგორ შეიძლება, თვით განსჯეთ, მითხარით, თუ ღმერთთ გწამთ, ამიხსენით, — მე ამის გაგება არ ძალმიძს, — როგორ შეიძლება ასე ბარბაროსულად მოიქცე, როგორც ის მომიქცა? არც ერთი სიტყვა! მაგრამ უკანასკნელ ადამიანსაც კი თანაუგრძნობენ ხოლმე. შესაძლოა, ჩემს შესახებ რაიმეს მოჰკრა ყური, შესაძლოა, ვინმემ რამე უამბო? თქვენ, თქვენ როგორღა ფიქრობთ? — ყვირილით შემეკითხა იგი.

— მოიცაოთ, ნასტენკა, ხვალ თქვენი სახელით მივაკითხავ.

— მერე!

— ყველაფერს გამოვიკითხავ, ყველაფერს მოეუწყებო.

— მერე, მერე!

— თქვენ წერილს დაწერთ. უარია არ თქვათ, ნასტენკა, უარია არ თქვათ! მე ვაიძულებ პატივისცემით მოგაგყროთ, ის ყველაფერს გაიგებს, და თუ...

— არა, ჩემო მეგობარო, არა, — შემაწყვეტინა ნასტენკამ. — კმარა არც ერთი სიტყვა, არც ერთი სიტყვა ჩემზე, არც ერთი სტრიქონი, საკმარისია! მე მას არ ვინცნობ, აოარ მიყვარს, მე მის და... ვი... ვიწყებ...

ნასტენკამ სათქმელი ველარ დაასრულა.

— დამწვიდდით, დამწვიდდით! აქ ჩამოვჭექით, ნასტენკა, — ვეუზუნებოდი და მერხზე ვსვამდი.

— მე დამწვიდებულნი ვარ. რას ბრძანებთ! ეს ისე! ეს ცრემლებია, გაშრება! როგორ ფიქრობთ, თავს დავიღუპავ, დავიხრჩობ თუ?..

გული მიცახტახტებდა. მინდოდა ხმა ამომეღო, მაგრამ ძალა არ მყოფიდა.

— მისმინეთ! — განაგრძო ნასტენკამ და ხელი მომკიდა. — მითხარით: თქვენ ასე არ-



მოიტყუოდი? არ მიატოვებდით მას, ვინც თავისი ფეხებით ვეახლათ და უწყალოდ არ დაცუნებდით მის სუსტ, უგუნურ გულს? გაუფრთხილდებოდით? წარმოიდგენდით, რომ მარტო იყო, რომ არ შეეძლო საკუთარი თავისთვის მიხედვა, რომ არ შეეძლო თქვენდამი სიყვარულს არიდებოდა, რომ დამნაშავე არაა, რომ, ბოლოს და ბოლოს, დამნაშავე არაა... რომ არაფერი იყო ჩაუღვნიია... ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო...

— ნასტენკა! — შევყვირე მე, უკვე უძღურის ვიყავ მღვდლანობა დამეყოფინა. — ნასტენკა! თქვენ მე წარმემაბოდი გულს მიკრძავეთ! არ შემოძლია ვდუმდე! ბოლოს და ბოლოს, უნდა ვილაპარაკო, უნდა ვთქვა ის, რაც სულში ჩაგუბებულა...

ამას რომ ვამბობდი, მერხიდან წამოვიწიე, ნასტენკამ ხელი მომიკიდა და გაკვირებულს შემომწყურებდა.

— რა დაგმართათ? — მეითხა ბოლოს.

— მისმინეთ! — ვუთხარი მტკიცედ. — მისმინეთ, ნასტენკა! რასაც ახლა გეტყვით, სისულელეა, განუხორციელებელი და ბრძოლვით რამაა! ვიცი რომ ეს არასდროს არ მოხდება, მაგრამ დღემილიც არ ძალმიძს. იმის სახელით, რითაც ახლა იტანჯებით, წინდაწინ გვედრებით, მომიტყუოთ!...

— რა იყო, რა მოხდა? — ამბობდა იგი, ტირილი შეწყვიტა და ჩიქურ მიკეროდა, გაკვირვებით მომზირად თვალში კი უცნაური ცნობისმოყვარეობა უკრთოდა. — რა დაგემართათ?

— ეს აუხდენელია, მაგრამ მიყვარხართ, ნასტენკა! აი, რა! ახლა ყველაფერი ნათქვამია! — ვუთხარი და ხელი ჩავიქნიე. — ახლა ნახავთ, შეგიძლიათ თუ არა ისე მელაპარაკოთ, როგორც ახლან მელაპარაკებოდით, შეგიძლიათ თუ არა მისმინოთ ის, რასაც გეტყვით...

— მერე რა უშავს, რა მოხდა? — შემაწყვეტინა ნასტენკამ, — მერე რა? ჰო, დიდი ხანია ვიკობი, რომ გიყვარდით, მაგრამ მეგონა, ისე, უბრალოდ, სხვათა შორის ვიყვარდით... ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

— ჯერ უბრალოდ, ნასტენკა, ახლა კი, ახლა... ზუსტად ისეთ დღეში ვარ, როგორც თქვენ მაშინ, როცა მასთან ბოხნით მიხვედით. თქვენზე უფრო უარეს დღეში, ნასტენკა, რადგან მას იმეამდ არაეინ უყვარდა, თქვენ კი გიყვართ.

— ამას რას მეუბნებით! მე, ბოლოს და ბოლოს, სრულიად არ მესმის თქვენი. მაგრამ მოიცათ, რისთვის დაგვირდით ამის თქმა, უფრო სწორად რისთვის კი არა, რატომ, და ასე უცებ... ღმერთო! რა სისულელეს ვამბობ! მაგრამ თქვენ...

ნასტენკა სავსებით აირია. ლოყები წამოყენოდა და თვალეები დახარა.

— რა გენა, ნასტენკა, რა! დამნაშავე ვარ, სანამ გულად მოვიტყუე... მაგრამ არა, არა, დამნაშავე არა ვარ; მე ეს მესმის, ვგრძობ, რადგან არაფერთ არ შემოძლია გაწყენინოთ, შეურაცხყოფა მოგაყენოთ! მე თქვენი მეგობარი ვიყავი; ახლაც მეგობარი ვარ; სრულებით არ გამოგვეცლილვარ; აი, ცრემლები მისი, ნასტენკა. დაე, იდინოს, იდინოს! — ხელს არავის უშლიან. ისინი გაშრებიან, ნასტენკა...

— დაქვით, დაქვით, — მეუბნებოდა, თან სკამზე მსავდა. — აჰ, ღმერთო ჩემო!

— არა! არ დავცდები, ნასტენკა; აქ ყოფნა აღარ შემოძლია, თქვენ ამის მეტად ევე მნახავთ; გეტყვით ყველაფერს და წავალ. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ვერასდროს გავიგებდით ჩემი სიყვარულის ამბავს. შევინახავდი საიდუმლოს. ახლა, ამ წუთში არ გავაწყვლებდით ჩემი ეგოიზმით. არა! მაგრამ მოთმინება არ მეყვ; თქვენ თვითონ დაიწყეთ ამაზე ლაპარაკი, თქვენა ხართ დამნაშავე, ყველაფერში თქვენა ხართ დამნაშავე, მე კი ბრალოდ არ მიმობდით. თქვენ არ შეგიძლიათ გამაძევოთ...

— რას ბრძანებთ, არ გაძევებთ, არა! — ამბობდა საბრალო ნასტენკა და შეძლებისდაგვარად მალავდა მღვდლანობას.

— არ მაძევებთ? მე კი მინდოდა თავად გაეძევებულყავ. წავალ კიდეც, მხოლოდ ჯერ ყველაფერს გეტყვით, რადგან როცა აქ ლაპარაკობდით, ერთ ადგილს ვერ ვჭერდებოდით, როცა აქ ტირილით, როცა იტანჯებოდით იმისგან, აი იმისგან (გეტყვით, ნასტენკა), იმისგან, რომ ზურგს გაქცევენ, რომ თქვენი სიყვარული უარყვეს, მე ვიგრძენი ჩემი გული რაოდენ სიყვარულს იტევს, რაოდენ სიყვარულს თქვენდამი.. და ისე დამამწყურბრა იმან, რომ არ შემოძლია ამ სიყვარულით დაგემართო... გული ჩამწყვდა და მე, მე, დღემილი ვერ შევძელი, მე უნდა მელაპარაკა, ნასტენკა, უნდა მელაპარაკა...

— ჰო, ჰო! მელაპარაკეთ, მელაპარაკეთ ასე! — თქვა ნასტენკამ, თან უცნაურად შეიჩხრა.

— შესაძლოა, გუცნაურებთ, რომ ასე გუბნებთ, მაგრამ... ილაპარაკეთ! მე თქვენ შემდეგ გეტყვით! ყველაფერს მოგიყვებით!

— თქვენ გეცოდებით, ნასტენკა; უბრალოდ გეცოდებით, ჩემო მეგობარო! რაც დაიკარგა, დაიკარგა! რაც ითქვა, უკან ვეღარ დააბრუნებ! ხომ ასეა? ახლა ყოველივე იცით. ეს წასვლის ნიშანია. მაშ, ასე! ახლა ყველაფერი რიგზეა; მხოლოდ მისმინეთ: როცა თქვენ იქვით და ტირილით, ჩემთვის ვეჭვრობდით (ოჰ, მთქმევივით, რასაც ვეჭვრობდით), ვეჭვრობდით, რომ (რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელია, ნასტენკა), ვეჭვრობდით, რომ თქვენ... ვეჭვრობდით, ის რაღაცნაირად... საესებით რაღაცნა-

ფაოლორ დოსტოევისკი
თითარი ლამეიბი



რად აღარ გიყვარდათ. მაშინ, — ამაზე გუშინ
და აგერ მესამე დღეა ფიტრობი, ნასტენკა, —
მაინც ისე ვიზამდი, უსათროდ ისე ვიზამდი,
რომ შეგყვარებოდით: აქა თქვით, თვითონვე
თქვით, რომ თითქმის შემოყვარეთ. მეტი რა
გითხარათ? აი, ყველაფერი, რის თქმაც მინ-
დოდა. სათქმელი მხოლოდ ერთიდა დამჩრა —
რა მოხდებოდა თუ შემოყვარებდით, მხო-
ლოდ ეს, მეტი არაფერი! ბარემ მომისმინეთ,
ჩემო მეგობარო, — მეგობარო, რადგან ჩემი
მეგობარი ხართ, — მე, რა თქმა უნდა, ერთი
ჟებრალი, დარბიბი, უმნიშვნელო ცაცი ვარ,
მაგრამ საქმე ეს როდია (მე რატომაც სულ
სხვა რამეზე ვლაპარაკობ, ეს დარცხვენის
ბრალია, ნასტენკა), ისე შეყვარებოდით, ისე
შეყვარებოდით, აღამიანი, რომელსაც არ ვიც-
ნობ, კვლავაც რომ გყვარებოდით და მისი
სიყვარული გულოდან არ ამოგვედოთ, ჩემი
სიყვარული თქვენთვის სამძიმო მაინც არ იქ-
ნებოდა. ოღონდ კი ყოველ წუთს კისნდეთ,
ყოველ წუთს გრძნობდეთ, რომ თქვენს გვერ-
დით ფეთქავს მადლიერი, მადლიერი გული,
მგზნებარე გული, რომელიც თქვენთვის... ოჰ.
ნასტენკა, ნასტენკა! რა მყავიათ!..

— ნუ ტირით, ნუ, მე არ მინდა ტიროდეთ,
— მითხრა ნასტენკამ და სწრაფად წამოდგა
შერხიდან, — წავიდეთ, ადექით, წავიდეთ ერ-
თად, ნუ ტირით, ნუ ტირით, — ამბობდა იგი
და ცრემლებს თავისი ცხვირსახოცით მიშრავ-
ლებდა. — აბა, ახლა წავიდეთ, შეიძლება რა-
მე გითხრათ... თუ მართლა მიმატოვა, თუ და-
მივიწყა, მიუხედავად იმისა, რომ კიდევ მიყ-
ვარს (არ მინდა მოგატყუოთ)... მაგრამ მოი-
ცით, მიპასუხეთ. თუ, მაგალითად შეგყვარე-
ბდით, ესე იგი, თუ მხოლოდ... ოჰ, ჩემო მეგ-
ბარო, ჩემო მეგობარო! რა წამს გავიფიქრებ,
რა წამს გავიფიქრებ, რომ მაშინ შეურაცხყოფ-
დით, რომ თქვენს სიყვარულს დატყუროდით,
როცა გაქებდით — არ შემოყვარეთ-მეთქი!..
ო, ღმერთო! როგორ არ გავითვალისწინე ეს,
როგორ არ გავითვალისწინე, ასე რამ გამომა-
სულელა, მაგრამ... კარგი, კარგი, გადავწყვიტე,
ყველაფერს გეტყვით...

— მოიცათ, ნასტენკა, იცით რა? მე წავალ!
გტანჯავთ და მეტი არაფერი. აი, ახლა სინდი-
სი გქვჩანით, რომ დამცინეთ, მე კი არ მინდა,
არ მინდა თქვენს მწუხარებას... რასკვირვე-
ლია, დამნაშავე ვარ, მაგრამ ნასტენკა, მშვი-
დობით!

— დაცით, მომისმინეთ: შეგიძლიათ ლო-
დინი?

— რადას ვუცადო?

— მე იგი მიყვარს, მაგრამ ეს სიყვარული
გაივლის, უნდა გაიაროს, არ შეიძლება არ გა-
ივლის; უკვე ქრება, მე ვგრძნობ... ვინ იცის,
შეიძლება გაქრეს, რადგან იგი მიძულს, რადგან
შან დამცინა, მაშინ როცა აქ ჩემთან ერთად
ტიროდით, რადგან თქვენ მასავით ზურგს არ

შემაქცევთ, რადგან გიყვარვართ, მას კი არ
ვუყვარდი, რადგან, ბოლოს და ბოლოს
თვით მიყვარხართ... დიას, მიყვარხართ! მიყვარ-
ხართ ისე, როგორც თქვენ გიყვარვართ; მე ხომ
ადრევე გითხარით ეს, თვითონვე მოისმინეთ, —
იმიტომ მიყვარხართ, რომ მასზე უკეთესი
ხართ, უფრო კეთილშობილი ხართ, იმიტომ,
რომ ის...

საბრალი ნასტენკა ისე ლელავდა, სათქმელი
ველარ დაამთავრა, თავი მხარზე მომალდ, შემ-
დგე მკერდზე და გულამოსკვნით აქვიტინდა.
მე ვამშვიდებდი, ვარწმუნებდი, მაგრამ ვერას
ვხვებოდი. სულ ხელს მიჭერდა და ქეთინით
მეუბნებოდა: „მოიცადეთ, მოიცადეთ... აი, ახ-
ლავე გავჩემდები! მინდა გითხარათ... ნუ იფი-
ქრებთ, თითქოს ეს ცრემლები, ეს ისე, სისუ-
სტის ბრალია, მოიცათ, სანამ გავიცილებს...“
ბოლოს ტირილი შეწყვიტა, ცრემლები მოიწ-
მინდა და კვლავ მაგნავარძეთ გზა. მე ლა-
პარაკი დავაპირე, მაგრამ ნასტენკა სულ მოხო-
ვდა დამეცადა. ორთავე გავჩუმდით... შემდეგ
მან ძალა მოიკრიბა და აღაპარაკა:

— აი, რა, — დაიწყო სუსტი, აკანკალებული
ხმით, რომელშიც ანახლად ისეთი რამ მოისმა,
რადღაც გულში შეიჭრა და ტკბილად თა-
ქროლდა იქ. — ნუ იფიქრებთ, რომ ასეთი თა-
კვარიანი და მერყევი ბუნებისა ვარ, რომ ასე
ადვილად შემოიძლია დავივიწყო, ვუღალატო...
იგი მთელი წელიწადი მიყვარდა და, ღმერთს
გეფიქვინია, არასდროს, არასდროს ანზარდც
არ გამივილია მისი ღალატი. მან არად ჩაავლო
ეს; მე, მე არ მიყვარს იგი, რადგან მხოლოდ
იმ აღამიანის სიყვარული შემოიძლია, ვინც დი-
დულყოფანია, ვინც გამიგებს, ვინც კეთილშო-
ბილია; რადგან თვითონ ახეთი ვარ. იგი ჩემი
ღრსი არ არის, მაგრამ ღმერთი იყოს მისი
შემწე! ის ახლა უფრო კარგად მოიქცა, ვიდ-
რე, როცა გავიგებდი რას წარმოადგენდა, მო-
ლოდინი გამიმტყუდებოდა... კმარა! მაგრამ,
ვინ იცის, ჩემო კეთილო მეგობარო, — განა-
გრძობ ნასტენკამ და ხელი მოიკრიბა, — ვინ
იცის, შეიძლება მთელი ჩემი სიყვარული ცრუ
გრძნობებში და წარმოდგენებში იყო, შეიძლება
იგი ცელქობით, სისულელეებით დაიწყო, იმის
გამო, რომ ბეზია მადლენენდა თვალ-ყურს?
შეიძლება ის კი არა, იმგვარი ცაცი კი არა,
სხვა უნდა მეყვარებოდა, სხვა რომელიც შემო-
ბრალებდა და, და... კარგი, თავი გავანებოთ,
თავი გავანებოთ ამას, — თქვა მღელვარებით
სულმეგუბებულმა ნასტენკამ, — მე მხოლოდ
იმის თქმა მინდოდა... მინდოდა მეთქვა: თუ,
მიუხედავად იმისა, რომ იგი მიყვარს (არა, მი-
ყვარდა), თუ მიუხედავად იმისა, კვლავ მეტ-
ყვით... თუ გრძნობთ, რომ თქვენი სიყვარული
ისე ძლიერია, ჩემი წინადადელი გრძნობა გაანე-
ლის... თუ ჩემს შეწყალებას შიონდობდით,
თუ მარტო ბედის ანაპარა, უნუგეშოდ, უმიე-
ლოდ არ დამტოვებთ, თუ მონილომებო ყოვ-

ვლთვის ისე გიყვარდეთ, როგორც ახლა, გვე-
იცებთ, რომ მაღლობა... რომ ჩემი სიყვარ-
ული თქვენი სიყვარულის ღირსი იქნება... ახლა
ინებებთ ჩემს ხელს?

— ნასტენკა, — ვიყვირე ქვითინით სულშე-
ხუთულმა, — ნასტენკა!.. ო, ნასტენკა!..

— აბა, კმარა, კმარა! აბა, ახლა სავსებით
კმარა! — თქვა ნასტენკამ. ის ძლივს იკავებდა
თავს, — ახლა ყველაფერი ნათქვამია: ხომ მა-
რთალია? თქვენც ბედნიერი ხართ და მეც;
ამის შეტად კინრტი არ ღადძრათ ამაზე. მოით-
მინეთ: შემოიწყალეთ... თუ ღმერთი გწამთ,
სხვა რამეზე ილაპარაკეთ!..

— ჰო, ნასტენკა, ჰო! კმარა, ახლა ბედნიერი
ვარ, მე... კარგი, ნასტენკა, კარგი, სხვა რამეზე
ვილაპარაკებო, ჩქარა, აი ჩქარა დავიწყებთ
ლაპარაკს; დიახ! მე მზად ვარ...

არ ვიცოდით რაზე გვესაუბრა, — ვიციინო-
დით, ვტიროდით, უთვალავ სიტყვას წარმოე-
თქვამდით უახროდ და უშინაარსოდ; ხან
ტროტუარზე მივაბიჯებდით, ხან უკან ვბრუნ-
დებოდით და ქუჩას ვკვეთავდით: შემდეგ
წერტლებოდით და კვლავ სანაპიროზე გავდი-
ოდით: ბავშვებივით ვიქცევოდით...

— მე ახლა მარტო ვცხოვრობ, ნასტენკა, —
დავიწყებ ბოლოს, — ხედა კი... ჰო, რა თქმა
უნდა, მე, იცით, ნასტენკა, ღარიბი ვარ, სულ
ათას ორასი მაქვს, მაგრამ არაფერია.

— რასაკვირველია, ბებია კიდევ პენსიას ღე-
ბულობს. ასე რომ ჩვენ არ შეგვაწუხებს.
უნდა წავიყვანოთ ბებია.

— უსათუოდ, უნდა წავიყვანოთ... მხოლოდ
აი, მატრონა...

— აჰ, ჩვენც თქვენი გვყავს!
— მატრონა კეთილი ქალია, მხოლოდ ერთი
ნაკლი აქვს: არავითარი, არავითარი მოსაზრე-
ბის უნარი არ გააჩნია; მაგრამ არა უშავს!..

— სულ ერთია, ორივეს შეუძლია ერთად
იყოს; ოღონდ ხედა ჩვენთან გადმოდი.

— რა? თქვენთან? კეთილი, მე მზად ვარ...

— ჰო, ბინას ჩვენთან იჭირავენ; ზემოთ
მეზონინი თავისუფალია; იქ ერთი მოხუცი აზ-
ნაურის ქალი ცხოვრობდა, იგი წავიდა და. ვი-
ცი, ბებიას უნდა ოთახი ახალგაზრდა კაცს
მიაქირავოს; მე ვეუბნები: რად გინდა ახალ-
გაზრდა-მეთქი. ის ამბობს „ისე, მე უკვე მო-
ხუცი ვარ, მაგრამ არ იმეჭრო შენი გარიგება
მინდოდავს“. მე კი მიგხვლი...

— აჰ, ნასტენკა!..
ორთავეს გაგვეცინა.

— აბა, როგორ გეკადრებათ, როგორ გეკა-
დრებათ. კი მაგრამ სად ცხოვრობთ? სულ
გადამაიწყდა.

— იქ, ხიდთან, ბარანიკოვის სახლში.

— აა, დიდი შენობა რომაა?

— ჰო, დიდი შენობა რომაა.

— აჰ, ვიცი, კარგი სახლია; მაგრამ იცით,

მიატოვებ და რაც შეიძლება ჩქარა გადმოდი
ჩვენთან...

— ხეაღვე, ნასტენკა, ხეაღვე; ცოტა ბინის
ვალი მაქვს, მაგრამ არაფერია... მალე ხელფასს
მივიღებ...

— იცით, მე შეიძლება გაცივთილები ავიღო;
ჯერ თვითონ ვისწავლი და შემდეგ სხვას ვა-
სწავლი...

— ჰოდა, ჩინებულის... მალე ჯილდოს მომ-
ცემენ. ნასტენკა...

— მაშ ხვალღან ჩემი მდგმური იქნებით...

— კი, ჰოდა, „სველიელ დალაქზე“ წავალთ,
რადგან მალე კვლავ დადგამენ.

— ჰო, წავალთ, — სიცილით მითხრა ნას-
ტენკამ, — არა, უკეთესი იქნება „დალაქს“ კი
არა, სხვა რამეს დავესწროთ...

— კარგი სხვა იყოს, რა თქმა უნდა, უკე-
თესი იქნებოდა, ეს ვეღარ მოვისაზრებ...

ამ საუბრის დროს თითქოს ბურანში, სიზ-
მარში ვიყავით, თვითონ არ ვიცოდით, რა
გვემართებოდა. ხან წერტლებით, დიდხანს
ვლაპარაკობთ ერთ ადგილას, ხან ისევ გან-
ვარძობთ გზას და, ღმერთმა უწყის, სად
გავდივართ, შემდეგ ისევ სიცილი და ცრემ-
ლები მეორდებოდა... ზოგჯერ მოულოდნელად
ნასტენკა შინ წასვლას ინდომებს, მე ვერ ვაქავებ
და მსურს სახლამდე მივიცილო; მივდივართ
კიდეც; მაგრამ უეტრად თბულთმეტ წუთში სა-
ნაპიროზე, ჩვენს მერხთან ამოყვოფთ თავს.
დროდღრო ის ოხრავს, კვლავ ცრემლები აღ-
გება თვალზე, მე ვფრთხები, ვშეშლები. უკე-
ბ ნასტენკა ხელს მიჭერს და კვლავ სახეტი-
ალოდ, სალაუბოდ, სალაპარაკოდ მეწვევა...

— ახლა დროა, დროა წავიდე, მე მგონია,
ძლიერ გვიანაა, — მითხრა ბოლოს, — გვე-
ყოფა ბავშვობა!

— ჰო, ნასტენკა. მაგრამ მე ახლა ვერ და-
ვიძინებ; შინ არ წავალ.

— მეც, მგონია, ვერ დავიძინებ; ისე კი სა-
ხლამდე მიმაცილებთ...

— უსათუოდ!

— იცოდეთ, ახლა უეპველად ბინამდე მი-
ვალთ.

— უეპველად, უეპველად...

— პატროსან სიტყვას მაძლევთ?.. — იმიტომ,
რომ ოდესმე ხომ უნდა დავბრუნდე შინ!

— პატროსან სიტყვას გაძლევთ, — მივუგე
სიცილით...

— მაშ, წავიდეთ!

— წავიდეთ.

— შეხედეთ ცას, ნასტენკა, შეხედეთ! ხვალ
ჩინებულ დღე იქნება; როგორი მოწმენდილი
ცაა, როგორი მთვარეა! შეხედეთ: ახლა მას
ეს ყვირთელი ღრუბელი გადაეფარება, შეხედეთ.

ფიოდორ დოსტოივესკი
თემირი ლაშევი



შეხედეთ... არა, გვერდით ჩაუბრა შეხედეთ, ერთი შეხედეთ!..

მაგრამ ნასტენკა ღრუბელს არ უტყუროდა, ის მდუმარედ, გაქვავებულივით იდგა. ერთ წუთში როგორღაც დაფრთხა და ძლიერ მოშეკრა. მისი ხელი ჩემს ხელში აკანკალდა. მე თვალი შევაღვლე... ნასტენკა უფრო ძლიერ მოშეკრნო.

ამ დროს შორისალო ახალგაზრდა კაცმა ჩაიარა. უცებ შეჩერდა, ჯიქურ შემოგვხედა და კვლავ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. მე გულო ამიფანცქალდა...

— ნასტენკა, — ვუთხარი ხმადაბლა, — ნასტენკა, ვინ არის ეს კაცი?

— ისაა! — მიპასუხა ჩურჩულით და უფრო ძლიერ, უფრო მთრთოლვარედ მოშეკრა... მე ძლივს ვიდექი ფეხზე...

— ნასტენკა! ნასტენკა! ეს შენაა... გაისმა ჩემს უკან და ახალგაზრდამ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა...

ღმერთო, როგორი შეძახილი აღმოხდა ნასტენკას! როგორ შეტოვდა, როგორ დამისხლტა და როგორ გაფანტა მისკენ... მე ვიდექი და მკვდარივით ვუტყუროდი მათ, ნასტენკას მისთვის წესიერად ხელიც არ ჩამოუერთმევია, არც მოხვევია, რომ უცებ კვლავ შემობრუნდებოდა, ქარივით, ელვასავით მოიჭრა, ვიდრე გონს მოვიდოდი, კისერზე ორთავე ხელი შემომოპლდა და მწველად, მაგრად მაკოცა. შემდეგ, ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ისე გაიქცა მისკენ, ხელი ჩავლო და თან წარიტყა.

მე დიდხანს ვიდექი და უკან გავყურებდი მათ. ბოლოს ორივე თვალთაგან მიმეფარა.

დ ი ლ ა

ჩემი ღამეები დასრულდა დღით. ცუდი დღე გათენდა. წვიმაღა, წყლის წვეთები ნალღლიანად უკაქუნებდა ჩემი ფანჯრის მინებს; ოთახში ბნელოდა, გარეთ მოღრუბლული იყო. მე თავი მტკიოდა და მიბრუოდა; სახსრებმა ტეხვა დამიწყო.

— შენთან წერილია, ქალაქის ფოსტით მოიტანა ფოსტალიონმა, — თავზე დამძახა მატრონამ.

— წერილი! ვისგან? — შევკვირე და სკამიდან წამოვიჭერი.

— აბა, რა ვიცო, დახედე, შეიძლება აწერია. მე წერილი გაცხსენი. მისგან იყო!

„ო, მომიტევეთ, მომიტევეთ! — მიწერდა ნასტენკა, — მუხლმოყრილი გვევდრებით, მომიტევეთ! თქვენც მოგატყუეთ და ჩემი თავიც. ეს სიზმარი, მოჩვენება იყო... დღეს ძალიან გავწამდი თქვენ გამო; მომიტევეთ, მომიტევეთ!..“

ნუ გამამტყუნებთ, იმიტომ რომ თქვენს მიმართ არაფრით არ შეეცვლილვარ; მე გითხარით მეყვარებით-მეთქი, მიყვარხართ კიდეც, ჭფროს მიყვარხართ, ვიდრე სიყვარულია. ო, ღმერთო! ნეტავ შემქმალს ორივე ერთად მიყვარდეთ! ო, ნეტავ თქვენ იყოთ ის!“

„ო, ნეტავ ის იყოთ თქვენ!“ — გამოელვა თავში. მე შენივე სიტყვები მომაგონდა ნასტენკა!

„ღმერთი მოწამეა, რას არ ვიზამდი ახლა თქვენი გულისთვის! ვიცო, გამძიმთ და დანაღვლიანებული ხართ. მე შეურაცხყოფა მოგაყენეთ, მაგრამ მოგესხენებათ — თუ გიყვარს, წყენაც დიდხანს არ გავყვება. თქვენ კი გიყვარვართ!“

გამადლობთ! დიხს! გამადლობთ ამ სიყვარულისათვის, რადგან იგი მებსიერებაში ჩამებნქდა, ვით ტკბილი სიზმარი, რომელიც დიდხანს გასსოვს უამოღვიძების შემდეგ; რადგან არასდროს დამავიწყდება ის წამი, როცა ამურად

გამენდეთ; სანაცვლოდ კი ასე დიდსულოვნად მიიღეთ ჩემი შელახული გული იმისთვის, რომ ვაფრთხილებოდით, მოგველოთ, განგეუქრნათ... თუ მომიტევეთ, თქვენი ხსოვნა მადლიერების მარადის გრძნობად დამჩნება და არასდროს წარბოცება ჩემი სულიდან... გავუფრთხილებები მას, ვუერთგულვებ მას, არ ვუღალატებ მას, არ ვუღალატებ ჩემს გულს; იგი საქმაოდ მტკიცეა; ჭერ კიდეც გუშინ ასე მალე დაბრუნდა მას, ვისაც სამუდამოდ ეკუთვნებოდა.

ჩვენ შეგხვდებით; მოხვალთ ჩვენთან, არ მიგვატოვებთ, მუდამ ჩემი მეგობარი, ჩემი მზა იქნებით... და როცა მზნახვთ, ხელს გამომიწვლით... ხომ? გამომიწვლით, ესე იგი მომიტევეთ, ხომ მართალია? თქვენც წინანდებულად გიყვარვართ?

ო, გიყვარდეთ, ნუ მიმატოვებთ, რადგან ესოღონ მიყვარხართ ამ წუთში, რადგან ღირსი ვარ თქვენი სიყვარულისა, რადგან დავიმსახურებ მას... ჩემო ტკბილო მეგობარო! მომივად კვირას მასზე ვთხოვდები. იგი შეყვარებულ იღარუნდა, არასდროს დავიწყებინავ... ნუ გამოიყვარდებით, რომ მის შესახებ მოგწერეთ. მე მინდა მასთან ერთად მოვიწახულოთ; თქვენ მას შეიყვარებთ, ხომ მართალია?..

მომიტევეთ, გასოვდეთ და გიყვარდეთ თქვენი

ნასტენკა“.

წერილი მრავაღვზის გადავიკითხე; თვალზე ცრემლი მომადგა. ბოლოს ბავათი ძირს დამივარდა და სახეზე ხელში ავიფარე.

— ჩემო გვრიტო! პეი, ჩემო გვრიტო! — დამიწყო მატრონამ.

— არ მოხდა, მოხტო?

— აბლაბუდა მთელ ჭერს მოვაცაღე; ახლა თუ გინდა ქალი შეირთე, სტუმრები მოიწვიე, იმ დროს...

მე მატრონას შევხედე... ეს ჯერ კიდევ მხნე, ახალგაზრდა მოხუცი იყო, მაგრამ არ ვიცი რის გამო, უეცრად სახედანაოქებული, თვალბჩამქრალი, მოხრილი და დაჩაჩანაკებული მეჩვენა. არ ვიცი რის გამო თითქოს ოთახიც მისავით დაბერდა. კედლებმა და იატაკმა ფერი დაკარგეს, ყველაფერს სიცოცხლე გაუქრა, აბლაბუდა უფრო გაიზარდა. არ ვიცი რის გამო, როცა ფანჯარაში გავიხედე, მომეჩვენა, რომ პირდაპირ მდგომი სახლიც დაჩაჩანაკდა, გამოხუნდა, სვეტებზე ბათქაში დაიბზარა და ჩამოცვივდა, ლავგარდანები გაშავდა, დასკდა და მუქყვითელი კედლები აჭრელდა...

თუ ღრუბლებიდან უეცრად გამოტანებული მზის სხივი ისევ საწვიმარ ღრუბელში ჩაინთქმებოდა, ჩემს თვალში კვლავ ბინდი ეფარებოდა ყოველივეს; თუ ჩემი ცხოვრების მომავალი თვალწინ პირქუშად და მწუხარედ გამიკრთებოდა, საკუთარი თავი ისე წარმომეჩვენებოდა, როგორც ახლა, ზუსტად თხუთმეტი წლის შემდეგ ვარ — დაბერებული, იმ-

ავე ოთახში, იმავე მატრონასთან, რომელიც ამ წლების მანძილზე ოდნავადაც არ მოჭკვიანებულია.

გულში რომ წყენა ჩამერჩინა, ნასტენკა! რომ შენი ნათელი, აუზღვრეველი ბედნიერებისათვის შავი ღრუბელი გადამეფარებინა, რომ მწარედ მესაყვედურა და შენი გული დამეჯავრიანებინა, იღუშალი ქენჯნით მომეშხამა და მეიძულებინა ნეტარების უამს მწუხარედ ეძებრა, რომ დამეჭქნო თუნდაც ერთი იმ ნაზ ყვავილთაგანი, რომლებიც შენს მაცვლისფერ კულულებში ჩაიწანი, როცა მასთან ერთად საკურთხეველს მიაშურე... ო, არასდროს, არასდროს არ მომხდარა! დაე ნათელი იყოს შენი ცა, ნათელი და აუზღვრეველი დიმილი გქონდეს, კურთხეული იყავ ნეტარებისა და ბედნიერების იმ წუთისათვის, რაიც უცხო, ეულ, მადლიერ გულს მიანიჭე!

ღმერთო ჩემო! ნეტარების მთელი წუთი! განა ეს ცოტაა თუნდაც მთელი აღამაანური ცხოვრების მანძილზე?..

თარგმან აკაკი ვრიგაძემ.





ო დ ი ს ე ა

XV

ამასობაში მზიურ ლაქდემონს ეწვია ათინა, რათა ოდისევსის სახელოვანი შვილისთვის შეესხენებინა: სამშობლოში დაბრუნების დრო აირისო უყვე. მენელაოსის სასახლის წინკარში მწოლარე ტელემაქე და პიზისტრატე მალედვე მონახა ქალღმერთმა. გმირი ნესტორის ძეს, პიზისტრატეს გულწებიერად ეძინა, ხოლო მამაზე ფიქრით გულდამძიმებულ ტელემაქეს მთელი ღამე რული არ მიჰკარებია წამწამებზე. თვალსხივისანი ქალღმერთი თავით დაუდგა კაბუკს და შეესიტყვა:

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „იკიკარი“, № 3, 4, 5, 6, 7, 8.

— ტელემაქე, აღარ გმართებს სახლიდან შორს ყოფნა. ნუ დაივიწყებ: ვერაფერია ხალხი შენს საბადებელს მიტაცებას უპირებს. წყალში არ გადაგეყაროს ეს მგზავრობა. საჩქაროდ დაეთხოვე ომშიმყოფარ მენელაოსს, ვინაშე სახლში მიუსწრო ძვირუხსენებელ დედაშენს. მამა-მამანი უკვე ევრიმაქეზე გათხოვებას ურჩევენ, რაკი მისი ურვალი ღიდალ აღემატება სხეულისას. წადი, სახლს მიმართე, რამე არ გაჰყვეს შენი ქონებიდან. ხომ იცი, ღიათა ზნე: იმას უმრავლებენ ქონებას, ვისაც ცოლად გაჰყევიან, აღარც მკვდარი ქმარი ენაღვლებათ და აღარც მასთან სიყვარულით გაჩენილი შვილები. შინ რა მიბრუნდები, შენი წილი ქონება უერთგულეს მონაქალს ჩააბარე მანამ, სანამ ღმერთ-

თები ღირსეულ სასძლოს ამოგარჩევენ. ერთსაც გეტყვი და კარგად დაიხსომე: კლდოვანი სამცხე სრულტყვი სასიძოებზე ჩავსაფრებთან, შენი მოკვლა აქვთ გადაწყვეტილი, მაგრამ ამაოდ დაშვრებიან, შენი დოვლათის იავარმყოფელთ უმალ მიწა უყოფს პირს! მაინც, კუნძულებს შორილდე ხომალდი. დამე იმგზავრე, — შენი მფარველი ღმერთებმა კეთილ ზურგქარს დაგადვენებენ. ითაკის პირველსვე ყურეს რა მიადგები, ხომალდი და თანამგზავრები ქალაქს გაისტუმრე, ხოლო შენ ერთგულ მელორესთან მიდი. დამე მის ქოხში გაათიე, დილაადრიან კი სახლში გაგზავნე, რომ ბილოსიდან შენი მშობლობით დაბრუნება ახაროს დედაშენს.

ეს თქვა და მალაღ ოლიმპოს მიაშურა ქალონებოთმა.

ტელემაქემ ფეხის წაკვრით გააღვიძა ნებიერად მძინარე ნესტორის ძე:

— ადე, პიზისტრატე, ეტლი შეეკაზმოთ, გზას დაგვადგეთ!

— რა დროს წასვლა, ტელემაქე, ჯერ არ გათენებულა! დილაად შევიცადოთ. მალე ოქროსთმიანი მენელაოსიც გამოვა, საჩუქრებს გვიძღვნის წესისამებრ და აფერსიანი სიტყვით გავიხსტუმრებს. გულუხვ მასპინძელს არასოდეს დაივიწყებს სტუმარს!

გათენდა. ვარდისფრად ირეკრა ეოსმა. ომამშვენიერი ელენეს სარეცელიდან წამომდგარმა მენელაოსმა მოაკითხა სტუმრებს. მენელაოსმა შენ-შინა, ტელემაქემ სასწრაფოდ გადაიცვა ძვირფასი ქიტიონი, მხარებზე მოსასხამი მოიგდო, კარში შეეგება სახლის პატრონს და ვედრებით უთხრა:

— აწ სამშობლოში გამისტუმრე, ზევისს ნებიერო, გული შინისკენ მიმიწევს!

ომშიმეფიარმა მენელაოსმა დინჯად უბასუხა:

— არ დაგვიკერ, ჩემო კარგო, რაკი გულიც აღარ გიდგება ჩემთან. მასპინძელმა თვით არ უნდა მოაბეზროს სტუმარს. ხომ არ ვარგა, პურძეირი მასპინძელი სახლიდან როცა ერეკება მასთან დარჩენის მოწადინე სტუმარს, წასვლა და აქწარებულის გადამკვდარი პატივით დაკავებაც უქადრისია. სტუმრის პატივისცემა და დროზე გასტუმრება ხანს! მაგრამ ნუ აქაბრდები, იცრე საჩუქრებს ჩავიწყობ ეტლში, რომ თვალით ახილო, რას გატან, მერე კი პური გავტეხიოთ, ორივეს გვეამება: სტუმრისთვის პატივია, ხოლო მასპინძლისთვის სიხარული, მაძლარი რომ დაადგები შორეულ გზას. არგოსსა და ელადზე თუ გაივლი, თან წამოგვადი: გზადგავლი ქალაქებში უსაჩუქროდ არავინ გამოგვიშვებს; ვინ სპილენძის კეთილნახელავ ზედადგარს გვიძღვნის, ვინ ვერცხლის პირსაბან ტაშტს, ოქროს მშვენიერ ბარძიშს, ან კიდევ მულმაგარ რორებს.

ტელემაქემ თავმდაბლად უბასუხა:

— ზევისს ნებიერო, ომშიმეფიარო მენელაოს! კიდევ დავრჩებოდი, სახლი უპატრონოდ რომ

არ მქონდეს დავდებულნი. მეშინია, მამის მკებნელი თავად არ გავხდე საძებარი: სასიძოები დალუპავსა და ქონების წართმევას მექადაბან!

ოქროსთმიანმა ბასილევსმა მეუღლესა და მსახურ ქალებს უბრძანა სუფრა გაეშალათ. საწოლიდან ახლადმდგარ ეტეონეს, რომელიც სასახლის მასობლად ცხოვრობდა, აცეცხლის დანთება და მწვედების შეწვა დაავალა. თავად კი მეუღლესთან და საყვარელ შვილთან, მეგაპენთესთან ერთად, საღარო პალატს მიაშურა. პალატში მასვადებულნი საჭურჭლიდან ატეონესს ძემ ორძირიანი ბარძიში აირჩია, ხოლო შვილს უძვირფასესი ვერცხლის ლაგვინი წაბოლდებინა. დედათა შორის უტურფესმა ელენემ თავი ახალა სკივრს. სადაც მისი ნახვდავი მრავალფერო სამოსელი ელავა და ძირიდან ვარსკვლავით მხრწყინავი, ოქრომკედლით მოსირბული კაბა გამოიღო. საჩუქრებით ხელდამშვენებულნი შემდეგ უყავინე შემობრუნდნენ.

— ო, ტელემაქე, — მიძარა სტუმარს მენელაოსმა, — ჰერას ხმამჭუხარი მეუღლის — ზევისს წყალობით, მშვიდობითამც დაბრუნებინარი სამშობლოს! ამა, მიიღე ჩემგან ეს საბოძვარი, სავანძურში ამაზე ძვირფასი არაფერი მაქვს. იცოდე, ეს ლაგვინი ჰეფესტომ გამოსკედა, წმინდა ვერცხლისა და პირი ოქროთი აქვს მოფერილი. გვირმა ფაიდონისმა, სიღონელთა ბოსილევსმა მათუქა იგი, როცა ტროადან გზადმომავალი მის სახლში ვიყავე შეხზუნებულნი. აწ შენი იყოს ეს ლაგვინი!

ეს რა სიქვა, მისმა ძემ, მეგაპენთემ, ვერცხლის მზინვარე ლაგვინი წინ დაუდგა ტელემაქეს, ხოლო მენელაოსმა ორძირიანი ბარძიში მისცა. წინ წამოდგა ლოყაფითელი ელენე, სტუმარს უტხოვ ნახვდავი კაბა გაუწოდა და ფრთიანი სიტყვა უთხრა:

— ამ კაბას ქორწილის სეგებენიერი დღისათვის გიძღვნი, ჩემო ძვირფასო. დაე, ელენეს სახსოვრად ატაროს შენმა მეუღლემ. ქორწილამდე ძვირუნსენებელ დედაშენს შენახანიე იგი. ახლა კი გზას დაგილოცავ: მშვიდობით მიგივყავი ნეტარმა ღმერთებმა სამშობლოში!

ტელემაქემ სიხარულით მიიღო ბოძებულნი. პიზისტრატემ ეტლში ჩააწყო საჩუქრები, — გაოცებული იყო მათი სიძვირფასობა და ქმნულკეთილობით. ოქროსთმიანი მენელაოსი დარბაზში შეუძღვა ჭაბუქებს. ყველანი საყარცხლულვებდ დასხდნენ. მოახლემ ხელის დასაბანად ვერცხლის ტაშტი და წყლით სისვე მოჭროილი სურა მოართვა სტუმრებს და წმინდად გარანდული ტაბლა დაუდგა წინ. მოკრძალებულმა მეუღლემ პური შემოიტანა და უხვად მომატებულნი მრავალფერი ჭამადით გაუწყო სუფრა. ეტეონესმა ხორცი ჩამოურთვა მინახეებს. ბასილევსის მემკვიდრემ მეგაპენთემ

ჴმომროსი
ოღისა

ღვინი შეავსო თავები და პურობაც დაიწყო. სმა-პაშით გული რა იყარეს, ტელემაქე და პი-ზისტრატე კარში გავიდნენ და ეტლი ჩასხდნენ. მათ უკან გაჰყვა ატრესის სახელოვანი ნაშე-რი: მუნელოის ხელში ღვინით სავსე ოქროს თასი ეჭირა, რომ წამავალთათვის გზა დაელო-ცა. ბუმბალი სახლის პატრონი ეტლს წინ დაუდგა და ასე გამოეთხოვა სტუმრებს:

— გზა მშვიდობისა, ქაბუყები! პილოსელთა ერისმთავარი, ჩემი ნესტორი მომიკითხეთ, მა-მასავით რომ ზრუნავდა ჩემზე ილიონის კედ-ლებთან!

მადლიერებით გულსავსე ტელემაქემ მიუგო: — ზევსის ნებეირი; შენი ნებისაებრ მოვიქ-ცევი! როგორც კი მივალ, მოკითხვას ვადავ-ცემით და ყოველთვის ვეუბნობი ნესტორს. ო, ნეტავ ითაკში დამხედებოდეს მამაჩემი, რომ მასაც ვუამბო შენი ტკბილი მისპინდობისა და უმავალითო გულუხვობის ამბავი!

ეს თქვა და მიყსეულად გამოჩნდა არწივი, რომელსაც მოტაცებული დიდი, თეთრი ბატი ეპყრა კლანჭებში. მას ჰაუს ძახილით დადევ-ნებოდნენ ხელშინაური გოგო-ბიჭები. არ-წივმა მხარმარჯვნივ ჩაუქროლა ეტლს და ცაში აიჭრა. ამის დანახვაზე სისარულმა მოიცივა იქ მყოფთა გული. პირველად პიზისტრატემ დასძ-რა სიტყვა:

— შენ გამოვიცხადა ეს ნიში, ზევსის ნებეი-რო, კრონიონმა თუ ჩვენ?

დაფიქრდა ძალგულოვანი მენელოისი, რომ ვაებრჭო და აწონილი სიტყვა ეთქვა ქაბუყი-სათვის, მაგრამ დაასწრო დედათა შორის უტუტ-რევის ეუენემ:

— მე გეტყვით, რას მოასწავებს ეს ნიში აი, რა ჩამავონეს უკვდავმა ღმერთებმა: როგორც ამ შინაურ ბატს დაიცა შორით მოფრენილი მისი არწივი, ისე დააცხრება შორ გზათა დამ-ლახავი ოდისევის მის სახლში გაშინაურებულ სასიძოებს! ვინ იცის, იქნებ შინ არის უკვე და დასაღუბად ჰყავს განწირული ისინი?

— უკეთუ ზევსის წყალობით ახდება ეგ შე-ნი სიტყვა, მთელი სიცოცხლე ქალღმერთის და-რად გეთავყვანები! —

შესახბა ტელემაქემ და ცხენებს მათარაი გა-დაუტერა. ეტლი გაქანდა, სწრაფად ვაცილდა ქალაქს და მგზავრები ტრიალ მინდროსი გავიდ-ნენ. მთელი დღე შეუსვენებლივ ეწეოდნენ ეტ-ლის ხელნას მუხლადი ცხენები.

მზე ჩაესვენა და გზებზე სიღამე ჩამოწვა. მგზავრებმა ფერას მიადრწიეს, იქ, ღმერთი ალ-ფეოსის შვილის შვილს, დიოკლესს ეწვეინ და ღამე გაათიეს. მეორე დღეს, ირიერავა თუ არა, იტლი შეკაზმეს და დიოკლესს სახლის კარი-ბჭიდან გავიდნენ. მათარაგადაწეული ცხენები თავდაუზოგავად მიქროდნენ. პილოსის შემოგა-რჩნათან. ტელემაქემ ასეთი სიტყვა უთხრა ნეს-ტორის ძეს:

— ო, პიზისტრატე, ზევსის ნებეირო, ძველი

მეგობრები არიან ჩვენი მამები და ჩვენც; თა-ნატლონი, ამ მგზავრობამ დაგვამოგვამა ამასა ვთხოვ მშურად! გული არ მითმენს, პირ-დაპირ ხომალდთან მიმიყვანე, ნუ შევივლით თქვენთან: სტუმართმოყვარე მამაშენმა ევემ, მალე გამოიშვარ!

ჩაფიქრდა ნესტორის კეთილშობილი ძე: გო-გორ მოგვავრებინა ეს საქმე? ბოლოს ეტლი ზღვისაკენ დაძრა. ნაპირს რა მიადგნენ, საჩუქ-რები ხომალდზე აუტანა და ასე ურჩია მეგო-ბარს:

— იჩქარე, ჩემო ტელემაქე! სანამ მოხუცს ჩვენს ჩამოსვლას შევაცუობინებ, თანამგზავრები ნირბებს მიუსხი და გზას დაადექი, თორემ ვიცი, თავად მოგაკითხავს მამაჩემი, არ მოგვეშვება და უცილად პილოსში ვაბოვავრებუნებ!

ეს უთხრა და ფადარაყრილი ცხენები ქალა-ქისკენ გაქროლა. ტელემაქემ ააჩქარა თავისი ხალხი: აბა, სწრაფად, ხომალდი გაეაწყოთ და გზას დაედგეთო! თანამგზავრებმა გამაზადეს ხომალდი და რიკულებს მიუსხდნენ. ის-ის იყო ათინასათვის მსხვერპლშეწირვას მორჩნენ ხო-მალდის კიბოზე, რომ ტელემაქეს ერთი უცხო კაცი მიეახლა:

— მეგობარო, იმ მაღალ ღმერთსა და მისთვის შეწირულ მსხვერპლს ვაფიცებ, მოთხარ ვინა ხარ და საით მიდიხარ, სად ვიდგას სახლი ან სად არის შენი სამკვიდრებელი?

— ათაფერს დავიძალავ, უცხოელო, პირდა-პირ გეტყვი, — უპასუხა ტელემაქემ, ითაკელი ოდისევსის ძე ვარ! დაკარგული მამის ამბავი მინდოდა გამეგო პილოსსა და ლაკედემონში, ახლა კი შენ ვებრუნდები.

უცხოელმაც გაამედანა თავის ვინაობა:

— თეოკლიმენე მქვია მე, პოლიფიდეს-ძე! მელამბიდელის მისანთა შთამომავალი ვარ! ცხენმარავალ არავსში თვისტორი შემომავლა და შურისმძიებელ ძმებს გამოვეცი, უცხო ქვეყნებში ხეტიალი მწარე ხედრად მერგუნა-ზედისაგან დევნილი ვარ და გვედრებუ შემი-ფარო ხომალდზე, — მესისლენი ალბათ მიქე-ბენ უკვე!

ტელემაქემ მიუგო.

— გულმშვიდად იყავ, ამ ხომალდზე არვის დაეანებებ შენს თავს. ამოდი, რაცა ვეაქვს, იმით დავიხედებთ!

ეს უთხრა, ხომალდზე მოიწვია, ბრინჯაოს წვერმახი შუბი ჩამოართვა და გვერდით მოის-ვა. ნიჭბოსნებმა ბავიერები ახსნეს. ანაა აღმარა-თეს, თეთრი იალქნები გაშალეს და ზღვაში გა-ვიდნენ. ათინამ მძლავრი ზურტკარი დაადგინა ხომალდს, რომ უსწრაფესად გადაეღახათ მლა-შე ზღვა.

მზე ჩასულიყო და უნაპირო ზღვა ბნელს მოეცვა. ხომალდმა ფეასა და მზიან ელიდას ჩაუარა, სადაც ეპეელთა ტომი ბინადრობს. აქედ-დან ტელემაქემ ფრთხილად დასძრა ხომალდი სამესა და დელისიონის კუნძულებისაკენ. აქ,



სტრუქტურა, ჩასაფრებული სასიძოვები მის გამოჩენას ელოდნენ.

მას ჭამსა შინა, ითავში, მელორეები და მათი სტუმარი ვახშად ისხდნენ. სმა-ჭამით გული რომ იჭრეს, ოდისეცსა ვანიზარა ერთხელ კიდევ გამოეცადა ემეოსი, ვაგება უნდოდა: წინანდებურადვე უმასპინძლებდა მელორე თუ ქალაქს გასტუმრებდა.

— ჩემო ემეოს, კმარა, რაც მიპატრონეთ. ხვალ დილით ქალაქში წავალ, გზა მიმასწავლენ მეგზურად კაცი ვაგაყოფ ვინმე. სამოწყალოდ კარდაკარ ვივლი, ვინ წყალს დამალევიანებს, ვინ პურს მაჭმევს! ღვთაებრივი ოდისევის სახლსაც მივაკითხვებ და პენელოპეს ქმრის ამბავს შევატყობინებ. ეგებოს იმ ამპარტავან სასიძოვართანაც ვაეძვირე და მათი სუფრიდან რამე დაეინახრუნო, ხოლო თუ მიმსახურებს, ამას რა აჯობებს! პერმესის წყალობით ყველაფერი მემარჯვება, რითაც მდაბიორნი წარჩინებულთ ემსახურებთან, — შენის დაჩეხვა. ცეცხლის გაჩაღება, მწვადების შეწევა, ღვინის დასხმა და რა ვიცი კიდევ რა!

შეწუხდა კეთილშობილი მელორე:
— ვაი, ჩემს თავს, ეგ რა მითხარი ბედრეულო? სასიძოვთან მივალ, რომ ამბობ, თავი ზომ არ მოგძულებია? მათი უსამართლობა და ძალმომრეობა რვალის ცასა წვდება. შენნაირ მსახურს არც კი იკადრებენ, კობტად ჩაემული ლამაზ-ლამაზი ბიჭები ემსახურებთან! წმინდად გარანდული ტაბლა პურღვინით და მრავალფერი შეჭამალითა აჭეთ საესე. აქ დარჩი, კაცო, ისეთი რა გავეჭირებია, რომ ერთი კაცი ვერ შევიწახოთ? მლე ჩვენი საყვარელი ტელემაქე ჩაოვია, მოსასახსმა და ქიტონს ვაჩუქებს და შენი ნებისაებრ ვაგასტუმრებს!

ემეოსის ასე უპასუხა მრავალჭირთამომენმა ოდისევსმა:

— ყოვლის შემძლე ზევსმა ვაგახაროს ისე, როგორც შენ ვამახარე მაგ სიტყვით! დიდ ჰირს ვაღამარჩინე, ჩემო ემეოსს: სამათხოვროდ კარდაკარ წაწვალზე უარესი რა უნდა იყოს მოკვდავისათვის? ლუქმამურზე დაგეშილი კაცი რას არ ვადაეყრება გზაზე? რაილა ტელემაქეს მოსულამდე ჩემი დარჩენა ინებე, ბარემ ისიც მიაშბე, რა დღეშია ოდისევის დაბერებული დღე-მამა, ჭერ კიდევ ჰერეტენ წუთისოვლის მუეს თუ ჰადვისს ბუქებთან დაიდეს ბინა?

ემეოსმა — მწყემსთა წინამდგომმა — ასე უპასუხა:

— გულახსნით გეტყვი ყველაფერს, ჩემო სტუმარო, არას დაგიმალავ! ცოცხალია ლაერტი, მაგრამ დღენიადაგ ზევსს ევედრება დახსნას წუთისოვლის შრომას. დაკარგულ შვილზე და გარდაცემულ მეუღლეზე დარდმა უდრდობა დააბერა ლაერტი და მოაძაგა ეს მზექეყიყანა. შვილზე დარდმა გადაიყოლა ბედშავი ანტიკლეა. ღმერთმა ყველას აშოროს ასეთი ბელი!

სანამ ცოცხალი იყო ზმირად მოვიციტხავდა ხოლმე, — არაფერი სჯობდა მასთან ტკბილ მუსაფეს! მე ზომ მის უმრწემეს ასულთან, კლამენესთან ერთად ვიზრდებოდი და საყვარელ შვილში არ მარჩევდა. რა მთეწიფეთ, კლიმენე სამოსში ვაათხოვეს და საქმოსავან დიდძალი ურავიდი მიიღეს, მე კი ახალთახალი ქიორნითა და მოსახამით შემომსა ანტიკლეამ, წყვილი ხაზლი მარუქა და მეტი პატეის ნიშნად მწყემსთა წინამდგომად ვანმარესა. აწ წარბა ყველაფერი! თუმცაღა ღმერთმა დამიმადლეს ეს ერთგულება: ავი ხვდავ, თუკმაპური არც ჩემთვის მაკლია და არც ჩემი სტუმრისათვის! ახლა სისახლემიც ვერ მივსულვართ, რომ აწინდელ სახლის დედას ჩვენი გულისჭირი ვუთხარათ, ბასილევსის ამბავი ვაგოვავითხოთ და პატრონის სუფრაზე სმა-ჭამით გულვახარებულნი და საჩუქრებით ხელავსებულნი ვამოვბრუნდეთ სამწყესურში: მას შემდეგ, რაც ამ სახლში სასიძოვები ვაწინაურდენ, გული აღარა აქვს ჩვენს დედულას ტკბობი სიტყვა შეგვაწიოს და ძეგლებურად ვვიპატრონოს!

— შენი ამბავიც მიაშბე ბარეღამ, ჩემო კეთილო, — უთხრა ოდისევსმა, შენ ზომ დიდი ჰირი ვაქვს ვამოვლით? ავი ბალობიდანვე მოშორებინარ დედის კალთას! მითხარი როგორ მოხვდი აქ. — სამშობლო ქალაქი დაგიქციეს მტრებმა და მონად წაგიყვანეს, თუ ძროხაში მარტო დარჩენილი მეკობრეებმა მოგატაცეს და ითავაში ვაგყიდეს?

ემეოსმა მიუგო:

— რაილა ჩემი ამბის ვაგება მოიწადინე — გაიმობ, შენ კი ნება-ნება სვი ღვირო, ახლა ლამეები გრძელია და ვამოძინებას კიდევ მოვასწრებთ. ადრე ნუ დაეწვებით, ბევრი ძილი აძაბუნებს კაცს. რული თუ მოერია ვისმე — მოისვენოს, რომ უთინია წამოდგეს ვეხზე, შიხემსოს და სამწყესურს მიაშუროს. ჩვენი კი აქ ვისხდეთ, ღვინოს შევექცეთ და გარდასულ დღეთა მოგონებით ნადველი მოვიწყოთ. გულს უაქებს კაცს გარდახილ ჰირთა ვახსენება! მაშ, ყური მომაყარ, ჩემო სტუმარო:

გეტყვინება, — ორტიგას ზემოთ არის ერთი კუნძული — სიროსი, საიდანაც მზე მოიქცევა ხოლმე. ხალხმრავალი არაა ეს კუნძული, მაგრამ უხვსაძოვრია და ცხვარძროხამრავალი ყოვლითვე ნაყოფიერია, — ვენახითაც და თესლმარცვლეულითაც. მანდატურებმა არც შიმშილი იციან და არც ხორცის დამადნობელი სნეულეზანი. სიბერით რა აიყვებიან, ვერცხარხარავალი დოსანი აპოლონი და არტიმდე ვამოცხადებთ, რომ მსუბუქი ისრით უგარმულად ვამოასალმონ წუთისოვლეს. ორი ქალაქია ამ კუნძულზე: ყანები, ბალეენახები და საძოვრებიც ორად აქვთ გამოქნული. ორივე ქალაქს მამარჩემი —

კომაროსი
ოქსინა

ქეთისოს ორმენის ძე განაგებდა, — ღვთისდარი მამარი.

იმხანად ჩვენს კუნძულს უცხო საქონლით დატვირთული ფინიკიელთა ხომალდი მოადგა. მამაჩემს მამინ ხელსაქმეში დიდად გაწაფული ერთი ლამაზი ფინიკიელი დიაკი ემსახურებოდა. ეს ქალი ხომალდის მახლობლად რეცხავდა ხოლმე სარეცხს. იმ ხომალდიდან ერთი გაქნილი ვაჭარი შეუჩნდა ამ ქალს, მოხიბლა და შეაყვინა. შენ იცი, მამაკაცთან თანაყოფა თავად სათნო და თავშენახულ ქალსაც დაახვევს თავბრუს. მაცოთუნებლმა წვერილად გამოკითხა: ვინა ხარ, საიდანა ხარო. დიაკმა ჩვენი მალაღერდოიანი სახლი დაიანხა და უთხრა: მდიდარი არიბატიც ასული ვარ, სპილენძით განთქმული სილიონი არისო ჩემო სამშობლო. ყანიდან მომავალი ტაფოვებმა მეკობრეებმა შემოაყრეს. აქ ჩამომიყვანეს და ავერ, ამ სახლის პატრონს მიმიყვლიო დიდ ფსაღად.

— თუ ასეა, წამოგვეყვი სამშობლოში, — ურჩია კურომ, — არ გინდა, იხილო შენი ჭერ-მალდი სახლი და საყვარელი დედ-მამა? ცოცხლები არიან ისინი და კვლავ განცხრობით ცხოვრობენ!

— წამოგვებოდიო, — უპასუხა ქალმა, — თუკი შემომდივავთ, რომ გზაში არაფერს შემომთხვევო.

მეზღაურებმა შეჰფიცეს. ფიცის თქმა რა მოამთხარეს, ქალმა ასეთი რამ უთხრა თვისტომთ:

— ახლა მისმინეთ! ამიერიდან არცერთმა თქვენთაგანმა, სადაც უნდა მნახოთ, — გზაზე თუ წყაროზე, — არამც და არამც ხმა არ გაშეცეს, რომ არავინ დაგვასმინოს ჩემს პატრონთან. თორემ ექვს აიღებს ბერიაკი, მე ხომ პირაკილებს დაშადებს, არც თქვენ დაგადგებათ კარგი დღე. გულში ადიაბრით, რაც ვითხარით, სიტყვა არ წამოგვდეთ. საეპრო საქმეს რა მოითავებთ და გამგზავრებას დააპირებთ, სასწრაფოდ შემეტყობინეთ. ოქროულობას, რასაც მოვიხებოთ, თან წამოვიღებ და ჩემი წყევანის სახალურად ერთ კარგ საჩუქარსაც მოგართმევთ: პატრონის პატარა ვაჟი მყავს მობარებულ-ლი, ცოცხალი და გონიერი ბავშვია, ხშირად დამყავს ხოლმე სასიერნოდ და იმას წამოვიყვან: სადაც უნდა ვაპყიდოთ, დიდ საფასურს აიღებთ! ეს თქვა და წავიდა.

მთელი წელი დაპყვეს ფინიკიელებმა ჩვენს კუნძულზე. კარგად ივაჭრეს და დიდი სარგებელიც ნახეს. წასვლის ეამმა რა მოაწია, კაცი გამოგზავნეს სასახლეში. ცბიერმა ფინიკიელმა ძვირფასი ყელსაკიდი წამოიძვანია: დედაჩემი და მონაქალები თვალდამშუღნი ათვალაყრებდნენ და ხელთ სინჯავდნენ ოქროს ძეწვევებს ასხმულ ქარვის მზინვარე მძივებს. სწორედ ამ დროს წამ-უყო ჩვენს მხეველს ფინიკიელმა. ნიშანი რა მისცა, სასახლე დასტოვა და თავისიანებს მიაშურა.

ქალმა ხელი ჩამკიდა და სასახლიდან უჩურჩაღად გაიყვანა. წინკარში რომ ვაგედით, ტან-ლებზე ოქროს თასებს ჰკიდა თვალი. აქ მამაჩემს მობდნენ ხოლმე მამაჩემის სტუმრები, რომლებიც ახლა საბჭოდ იყვნენ წასულნი. ქალმა ხელი დაავლო სამ ოქროს თასს და უბეში ჩაიშალა. მე კი — სულელი, უქანმოუხედავად წაყვივი მას.

ამასობაში მზე ჩაესვენა და გზებზე შვირბინდი ჩამოწვა. მალე მესუდრო ნვასადგურს მივადწიეთ. იქ, ფინიკიელთა სწრაფმავალი ხომალდი ვველოდებოდა. საჩქაროდ აგვიყვანეს ხომალდზე, ზევისს ზურგქარამაც დაპებრა და გზას დავადექით. ექვსი დღე-ღამე შეუსვენებლოდ მივცურავდიო. მეშვიდე დღე რა ვათენდა, მშვიდროსანამა არტემიდემ ისერი ვანგმირა ეს ქალი: საცოდავი თოლიასავით ჩავარდა ხომალდის ძირში. მეზღაურებმა ამოიტანეს მისი გვამი და თევზებსა და ღალთოლებს გადაუთვგეს საქმელად. ვუგლგობიანი და მოწყენილი ასე, მარტოდმარტო ვიჯექით, ვიდრე ქარმა და ზღვის მოქცევამ ითაქის ნაპირს არ მიგაყვინა. აქ, ლაერტემ მიყიდა. აი, როგორ მომხვებო ითაქაზე, ჩემო კეთილო!

ევემოსის თავგადასავალი რა მოსმინა, ოდისევსმა ასეთი სიტყვა უთხრა მასპინძელს:

— გულს მომხვდა შენი ნაამბობი, ევემოს! საწუთროს ბევრი უთარევიხარ, მაგრამ ღმერთებმა ტანჯვის წოლ სიკეთეც ვარგუნეს: კთილ-შობილი და გულუხვი პატრონის ხელში მოხვედრილხარ. შენ რა გვირის, შენ ჩემი ვასპირი თქვი: უგზო-უგვლოდ დავეხეტები ამ ქვეყანაზე უსახლკარო და მიუსაფარი.

ასე, ტუბილ საუბარში შეეჭყოლდნენ ღვინოს სტუმარ-მასპინძელი, ვიდრე რული არ მოერიათ. ბოლოს დაწვენენ, თუმცა დიდხანს არ უძინიათ, — მალე ოქროსტატოსანამა ეოსმაც გამოანათა.

ამასობაში კი ტელემაქემ ითაქას მიადწია. აფრები დაღუშეს და ყურეში ნიჩბოსნებმა შეიყვანეს ხომალდი, ქვის ღერა ჩაუშვეს და ბავირობით დააბეს ნაპირზე. მერე ხმელეთზე ვადმოვიდნენ, ჰამალი მოიშადეს და ლაგვი-ნებში ღვინო გააზავეს. სმა-ჰამით გული რა იჭებრეს, სიტყვა დასძრა ტელემაქემ:

— ნიჩბოსანო, ხომალდი ქალაქს მიიყვანეთ! მე მთავრი მივდივარ, ჩემს მწყემსებს უნდა დავხედო. საქმეს რომ მოერჩები, შედამებულზე მეც ქალაქში გამოვბრუნდები. ხელო კი, რაღაც მშვიდობით მოვილწიეთ სამშობლოს, სანადიმოდ მოგაწვევთ და პურმარილით ვადაგიხდით მადლობას!

ტელემაქეს ასე მიმართა მისანამ თეოკლიმენემ. რომელიც პილიოსიდან დავემგზავრა მათ:

— მე საღდა წვიდღე, ტელემაქე? ფიცხელ-კლდოვანი ითაქის რომელიმე დიდებულს მივადდე კარზე თუ შენს სახლში ვესტუმრო დედაშენს?



— სხვა დროს პირდაპირ ჩემსა მივიწვევდი, — მიუგო ტელემაქემ, — და საკადრისადაც ვაგვიმასპინძლდებოდა ჩემი სახლელი. ახლა კი, უჩემოდ, არ ვირჩევ ჩვენთან სტუმრობას: დედაჩემს მაინც ვერ ნახავ, ერთთავად ბექ-სახეხელს უზის სანთიობოში და სასიძოვბსაც იშვიათად ეჩვენება. მაგრამ გეტყვი ვისთან მიხვიდე: პოლიბოსის კეთილშობილ ძეს — ვერბილოქეს ეწვიე. ითაკელთა შორის ღვთისდარი პატივი აქვს მოხვეჭილი და ღირსებით ყველა სასიძოში გამოირჩევა; დედოფლის შერთვაც მის სწადია ყველაზე მეტად, თუმცადა ერთადერთმა კრონიონმა უწყის გაუთენდებათ თუ არა ქორწილის დღე.

ის-ის იყო დაასრულა სიტყვა, რომ ცაში, მხამარჯენიც, აპოლონის ფრთამალი მაცენ — შევარდენი გამოჩნდა. კლანჭებში ქედანი ეჭირა და ბღღენიდა. ქედნის ბუმბული ტელემაქესა და ხომალდს შუა ჩამოდიოდა. თეოკლიმენემ განზე გაიხმო ოდისეესის ძე, მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— ამოღე არ გამოჩენილა ეს შევარდენი, ტელემაქე, ღვთის ხელი ურგვია ამ საქმეში! შევხედე თუ არა, მყისვე მეცნაურა აპოლონის ფრთამალი მაცენ. იცოდე, ითაკელ ბასილევსთა

შორის უსაინოესია თქვენი გვარი, ამ კუნძულზე მარად იხელმწიფებს იგი!

— ო, თეოკლიმენე, — შესახა ტელემაქემ, — ნეტამც ანდებოდეს შენი მისნობა! ძმასავით შეგიტკობდოდა ჩემგან დოვლათით ავსებულ უბედნიერეს კაცად შეირაცხებოდი!

ახლა პირეოსს მიუბრუნდა გახარებული ტელემაქე:

— ჩემო ერთგულ კლიტოსის ძე, შენ ხომ მუდამ მხარში მედღე და უსიტყვოდ მემორჩილებოდი პილოსში მგზავრობისას, კიდევ მოისხი ჩემი მადლა, ეს კაცი შინ მიიწვიე და ჩემს მოვლამდი საკადრისი პატივი ეცი!

შუბოსნობით განთქმულმა პირეოსმა უპასუხა:

— რამდენ ხანსაც უნდა დაყოვნდე, ჩემო ტელემაქე, შენს სტუმარს არაფერი მოაკლდება ჩემს სახლში!

ეს რა სთქვა, ხომალდზე ავიდა პირეოსი. თანამგზავრებს უბრძანა ბავირი აეხსნათ და სანიჩო რიკულებს მისხდომოდნენ. შემდგომ ამისა ქალაქისაკენ დასძრა ხომალდი. ტელემაქემ კი ხმალი გამოიკვალა, სპილენძის წვერმახი შუბი ხელთ იხურა და ეემეოსისაკენ მიმავალ მთის ბილიეს დააადგა.

ძველბერძნულადან თარგმნის
 ჯურაბ კიკნაძემ, თამაზ ჩხენკელმა.

გაგრძელება იქნება



გუკამ ასათიანი

ბ მ რ ო ნ ტ ი ქ ი ქ ო ძ ე

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს გერონტი ქიქოძე, ან მისი სულისა და გონების შუქით გამთბარა, ვისაც ერთხელ მაინც უფიქრია მის პიროვნებაზე, მისი ცხოვრების გზაზე, არ შეიძლება არ ეგრძნოს, რომ ეს ადამიანი იყო არა მხოლოდ ბრწყინვალე ლიტერატორი, არა მხოლოდ შეუღარბელი ესეისტი და უბადლო მოქართველი, ან როგორც ხშირად ამბობენ „თაობათა გამოვლენის კანონმდებელი“...

ჩვენი საუკუნის ქართულ მწერლობაში ის იყო ამავე დროს განუყოვრბელი, უნიკალური პიროვნება, თავისებური ნიშნში, ეტალონი, შთაბეჭდილებელი მაგალითი.

ასეთი ხეივანი მას თვით დრომ არგუნა და ის ყოველგვარი პოზის, ყოველგვარი ფსევდო-მარტივული პათოსისა და ამპარტავენების გარეშე, — მშვიდად, დაუმადლებლად, საოცარი უბრალოებით ატარებდა ამ ტვირთს.

ერთხელ მწერალთა კავშირის ბაღში, უკვირმად მოხუცებულმა — როცა უმცროსი თაობის წარმომადგენელთა დიდი ქება მოისმინა, ღიმილით მოგვივთ:

— ამ ბოლო დროს დამიჩემეს, ქართული მწერლობის ნამუხი ხარო; თუ ეს მართლა ასეა, ძალიან ცუდად ყოფილა ჩვენი მშობლიური ლიტერატურის საქმე...

ეს იყო გერონტი ქიქოძის სიტყვები. სავსე ბუნებრივი თავმდაბლობით, თვითორთონით, სიმართლის, რეალობის მოუღუნებელი გრძნობით.

მან იცოდა, რომ ცოცხალი ადამიანი არ შეიძლება იყოს რისიმე განსახიერება, კერპი ან სიმოლო.

ადამიანმა პირველ რიგში ადამიანურობა უნდა შეინარჩუნოს და, თუ ძალა შესწევს, ერთგულად, უანგაროდ უნდა ემსახუროს თავის იდეალს, თავის ღმერთს და სინდისს.

გერონტი ქიქოძე იყო სანიმუშო ქართველი

ინტელიგენტი. მრავალი იმ უტყუარი თვისებით დაჯილდოებული, რაც ამ რანგის პიროვნებას მკვეთრად გამოარჩევს ყველა ჯურის ფსევდო-ინტელექტუალების ფონზე. არა მხოლოდ იმის გამო, რომ მან უმაღლესი განათლება ევროპაში მიიღო და დასავლურ კულტურას ეზიარა.

მთელი თავისი სულიერი წყობით ის იყო ღირსეული მემკვიდრე გასული საუკუნის შესანიშნავი ქართველი ინტელიგენციისა, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ახალი საქართველოს სულიერ ფორმირებაში.

სიტყვა „ინტელიგენტი“ ერთ დროს განმსჭიებელ ტერმინად იქცა. ეშმაკმა უწყის, ვინ შეაუღლა პირველად მასთან ეს გამჭირდავი ეპითეტი, მაგრამ ობიექტელის ბრძეველ წარმოდგენაში ცნებები: „ინტელიგენტური“ და „უხერხემლო“ ძალიან ადვილად დაუკავშირდა ერთმანეთს.

„მერყევი ინტელიგენტი“, „უხერხემლო ინტელიგენტი“, „ინტელიგენტური ყოყმანი“... რამდენჯერ გვსმენია ამგვარი და კიდევ უარესი რან. ინტელიგენტურ მანერებს ზოგი დღესაც იჭვის თვლით უყურებს.

გერონტი ქიქოძე მხრებში ოდნავ მოხრილი დადიოდა, მაგრამ მისი თავმდაბლობა და სიმორცხვე სისუსტის ნიშანი როდი იყო. ის გახლდათ ჰუმანიტარულ ქედუხრელო, უკომპრომისო პიროვნება.

ინტელიგენტობა მისთვის ნიშნავდა იმას, რასაც ეს სიტყვა სინადვილში ნიშნავს, მისი არა სწოებული და, მით უმეტეს, არა შემწანსნური. არამედ ფართო ჰუმანური გავებით.

იყო ინტელიგენტი — ნიშნავს იმას, რომ შენს პიროვნებაში ატარებდე უპირატესად საკუთრივ ადამიანურ, საკუთრე ჰუმანურ თვისებებს, ესე იგი, იმას, რაც ადამიანს დანარჩენ მსავით ცოცხალ მაგრამ, მისგან განსხვავებით, აზროვნებით



ნების უნარმოკლებულ არსებებისგან გამოარჩევს.

ინტელიგენტობა გერონტი ქიქოძისთვის შინაგანი სიფაქიზისა და დამოუკიდებლობის სინონიმიც იყო.

მის უტყუებოდ არ უტყვობია, მაგრამ ამ თვისებათა შესანარჩუნებლად განსაცვიფრებელი სტილიცაში გამოიჩინა.

ქართველმა ინტელიგენციამ ბევრი მძიმე განსაცდელი გადაიტანა ორი უკანასკნელი საუკუნის მანძილზე. ბევრი ღამე გატეხა ქვეყნისა და ხალხის ბედზე ფიქრით, მეტად ბევრი მსხვერპლი გაიღო, ნემსის ყუნწი გაძრომაც მოუხდა. ცეცხლთან თამაშით, მუნჯი ბარიკადის როლში ყოფნაც. მაგრამ მის საუკეთესო წარმომადგენლებს არასოდეს არ დაუკარგავთ საკუთარი მოწოდებისა და ღირსების მაღალი შეგნება.

როცა გასული საუკუნის ობიექტული ყოველგვარი ყოყმანისა და შინაგანი მერყეობის გარეშე თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ძლიერი პატრონების კარზე თბილი ადგილის საშოვნელად და მერე ლაქიური სამსახურით დადილობს, საკუთარ ტყავზე და სტომაქზე ზრუნვით, ათასი შიშით, ღალატით, მოქმედებით დაოსებულს ღრმა ძილით ეძინა, ინტელიგენტის თვალს რული არ ეკარებოდა. ის ხშირად მარტომდარტო იყო თავის ფიქრებთან, მაგრამ მის სიფხიზლეში სხვათა წილიც ერია.

ის თავის მძინარე თანამომქმთა მაგივრადაც ფხიზლობდა, სჯიდა, სწონიდა, წვალობდა და ყოველგვად თითო სანთელს ანთებდა მათი სულის გადასარჩენად.

ასე აღადგებოდა მოაწმინდაზე ყრმა ბარათოშვილს, ასე უთევდა ღამეებს თავის სწულს ქვეყანას ილია ჭავჭავაძე.

გაიდა და როდესაც შთამომავლობა წარსულადქცეულ საოუკუნეს მიტბრუნდა, მასში ჭეშმარიტ ფასეულობათა აღმოსაჩენად, ეს თეთრად გატეხილი ღამეები უფრო მკვეთრად აკაფდნენ, ვიდრე ყველა იმდროინდელი ზარზეიმის ბრწყინვალეობა და საჩილდო ოქროსტრეკის მაცდური ზიზზიმი.

გერონტი ქიქოძე იმ ძველი ყალიბის ქართველ ინტელიგენტთა ნაშვირი იყო, მაგრამ წინამორბედთაგან პატივისცემას იგი კონსერვატიულ განწყობილებამდე არ მოუყვანია.

ის იყო ახალი საქართველოს უერთფლესი მსახური და მესიტყვე. როგორც ცნობილია, სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად, მან უშუალო მონაწილეობა მიიღო იმ დიდი კერძის იდეოლოგიურ საყრდენთა მომზადებაში, რაც წინ უძღოდა და თან სდევდა ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ გარდატეხებს.

მთელი თავისი ქაბუტური იმედები მან ამ ახალი ჯერ არნახული ქვეყნის აღმოცენებას მისცა და შემდეგ „სიცოცხლის უკანასკნელ წუთა-

მდე, როგორც ახალი ქართველი ინტელიგენტის ერთი რიგითი წარმომადგენელი, მისი კულტურის წიაღში ჭეშმარიტ ღირებულებათა დამკვიდრებისთვის იღვწოდა.

მას სწამდა ქართველი ინტელიგენტის წმინდა მოვალეობისა. არადა, იყო ინტელიგენტი — ეს ნიშნავს იმასაც, რომ მთელი შენი არსებით შენს ხალხს, შენს წმინდა საქმეს ეუფლები და ამ საქმის განხორციელებისთვის ბრძოლაში რაც შეიძლება ნაყოფმად ამჩნევდეს საკუთარ პერსონას, რაც შეიძლება მეტს ფიქრობდე შენს მიზანზე, შენი მოქმედების რეალურ შედეგზე.

მიზნის სინათლე იყო იმ შინაგანი პარმონოლოგიის საფუძველი, რომელიც ამ აღამიანმა მთელი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა.

გერონტი ქიქოძემ ჩვენ დავეიმტკიცა, რომ საქართველოს სიყვარული შეიძლება გამოვლილი გრძნობების ვარაუდ, რომ ქართველი ხალხის შეილს იმდენი რამ აქვს ზურგს უკან, იმდენად საიმედო სულიერი წრთობა გააჩნია, იმდენად მდიდარი და ძლიერია, რომ შეუძლია თავის წარსულს და აწმყოს ხალი თვალით შეხედოს.

თანამედროვეთა უმრავლესობას მხოლოდ სიბერე ახსოვს გერონტი ქიქოძისა და ზოგს მისი იერი ოლიმპიური სიმშვიდის განსახიერებად წარმოუდგება.

გადაიკითხეთ მისი ნაწერების პირველი ტომი, ახალგაზრდობისდროინდელი პოლემიკა და თვალნათლივ დაინახავთ, რა ცეცხლი დაანთო ამ მორცხვმა კაცმა თავისი დროის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, რა უღმობლად შეებრძოლა ყველა შინაგნად თუ უცხოეთიდან იმპორტირებულ ცრურწმენას, რა ურყევად ღვას იგი ყველგან, სადაც ზოგადსაკუთბრითი კულტურული მონაპოვარის, პროგრესის, ჭეშმარიტების, აზრის სისწორის დაცვაა საჭირო, როგორ ოსტატურად აძრობს ტყავს ერთ თავის რეკოლუციამდე წერილში ვინმე „კრახანას“, რომელიც მაშინ საერთო ფეხის ხმას აყოლილი ცუდად მონღლებული მოდერნისტული თეორიების გავლენით, ხელოვნებაში „ბრმა ინსტიტუტების“ აპოთეზს ქადაგებდა.

ნამდვილ კრიტიკოსს ზედმეტი ხელაზნობა არ შეუგინის, და, თუ მას დრომ ავიგას თავლის მოვლა დააიკისრა, არც ეს საქმე უნდა ითავილოს!

ოღონდ ისეთი სულიერი წყობის პიროვნებისათვის, როგორც გერონტი ქიქოძე იყო, ლიტერატურული ბრძოლის ინტერესებს არასოდეს არ დღუზრდილავთ ინტერაქტუის მთავარი საგნის, მისი საბოლოო მიზანდასახულების ამაღლებული განცდა.

მან, როგორც მთარგმნელმა, მკვლევარმა და

გურამ ასათიანი
ბარიონტი ქიმოძე

უცთომელმა შემფასებელმა ქართველ მკითხველს გაუხსნა მშვენიერების თვალუწვდენელი სამფლობელოს მრავალი მანამდე უცნობი კუთხე.

ისე, მართლაც, მშვენიერებისა და სინათლის პალადინი იყო — რუსთველის მზიურ სულში შეყვარებული, მისი უკვდავების რწმენით გამსჭვალული და შთაგონებული.

ღიად, ჩვენ რუსთველის ნათელი გენიის მემკვიდრენი ვართ!

ბოროტება, გულჩახვეულობა, დაცემულთაღმი იეზუიტური სისასტიკე უცხოა ჩვენთვის. ასევე უცხოა ჩვენი ბუნებისთვის ცხვრის ფარის უმწეო ფსიქოლოგია.

ჩვენ ამ უქრობი სინათლის შვილები ვართ და ძნელად ვეგუებით ყველაფერს, რაც ბნელი პალიმატიის იერს ატარებს, რაც თრგუნავს და ახშობს შემოქმედი აზრის ლად მოძრაობას ჩვენს ძარღვებში. ამ დიდი მზის ათინათი ციმციმებს და ჩვენ თავდავიწყებით გვიყვარს სიცოცხლე, გაზაფხული, ყველაფერი, რაც არსების მაღლად მოგველენია, რაც მარადიულ ქმედებას და განახლებას მოასწავებს.

ჩვენთვის უცხოა ასკეტური თვითგვემა სამყაროს ხილულ მშვენებაზე, მიწიერ ბედნიერებაზე უარის თქმა, მაგრამ კიდევ უფრო საძულველია ის, რაც ჭუჭყში და ნაგავში სერის ჩვენდამი ბუნების მიერ მომადლებულ, მაღალ

სულიერ თვისებებს, რაც ცხოვრების აზრს და სიხარულს უქარავს.

„სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ ტანჯვა უარს ვაძობ“, — ასეთი იყო გერონტი ქიქოძის უენასკნელი სიტყვები, რომლებიც მან საბედისწერო ავადმყოფობით შეპყრობილმა გვითხრა.

ასეთი იყო სიტყვები იმ ადამიანისა, რომელიც თავისი რწმენისთვის ყოველ წუთს მზად იყო ჯვარზე საცემლად.

მთელი თავისი ბუნებით, სულიერი წყობით, ცხოვრების წესით მან სრულყოფილად გამოხატა ქართველი ადამიანის ხასიათი — მისი ლაღი. თავისუფლებისმოყვარე სული და აუმღვრეველი გონება, მისი მიდრეკილება ნატიფი, პაეროვანი ფორმებისადმი და ნათელი აზროვნების ნიჭი, მისი დაუცხრომელი ნდობა და სიყვარული სიცოცხლისადმი და პრინციპული უთანხმოება ყველაფერთან, რაც ადამიანის ამქვეყნიურ არსებობას გათელვითა და გაუფასურებით ემუქრება.

მხოლოდ რჩეულ ერთეულებს შესწევთ ძალა თავისი ჭეშმარიტი ბუნებისადმი ასეთი ერთეულების შესანარჩუნებლად.

მათი მაგალითი, მათი გმირული თანმიმდევრულობა შემდგომმაეალთა მთელი თაობის გამამხნევებელია.



პიოჩგი ნალირაძე

ნ. ურბნელი დავით აღმაშენებლის პატივს ზოგიერთი საკითხის შესახებ

„რამეთუ მეფე იქმნა რა დავით, მოკრებულ იყო ქართლი და თვნიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა“.¹

ასე იწყებს 16 წლის დავით IV ტახტზე ასვლის თხრობას მისი ისტორიკოსი, ხოლო იგივე მემატიანე დავით აღმაშენებლის გარდაცვალების დროისათვის წერს: „და აქუნდა ყოვლით — კერპო მშუღობა და დაწყნარება სამეფოთა მისთა². დიახ მტრისგან. აოხრებულნი მოშლილი და დასუსტებული ქვეყანა მიიღო მემკვიდრეობით 1089 წელს 16 წლის დავით აღმაშენებელმა, 1125 წელს კი მან ძლიერი, აყვავებული, მტერთაგან თავისუფალი საბელმწიფო დაუტოვა თავის ძეს, დემეტრე I-ს.

ბუნებრივი, ისმის კითხვა: რა ისტორიულმა გარემოებებმა შეუწყვეს ხელი ამ სასწაულებრივ გარდაქმნას და რა ღვაწლი მიუძღვის ამ აში დავით მეოთხეს, რომელსაც ხალხმა და ისტორიამ აღმაშენებელი უწოდა.

ეს საკითხი აინტერესებდა და აინტერესებს დავით აღმაშენებლის დროიდან მოყოლებულა ყველა ქართველ და არაქართველ ისტორიკოსს, რომელიც კი შეხებია საქართველოს ისტორიის ზემოაღნიშნულ მცირე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან მონაკვეთს.

1894 წელს თბილისში ქართულ ენაზე ცალკე წიგნად გამოვიდა ნ. ურბნელის შესანიშნავი ისტორიული მონოგრაფია „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო“, რომელშიც ავტორს ვრცელადა აქვს განხილული დავით აღმაშენებლის

მეფობისა და მოღვაწეობის ყველა მხარე. ამისათვის მას გამოუყენებია იმდროისათვის მოძიებული თითქმის ყველა წყარო როგორც ქართული, ისე უცხოური.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულ მონოგრაფიის შესახებ გამოთქმულ აზრებს მხოლოდ კანტიკუნტად ვხვდებით და იქიდან, ბუნებრივია, ბევრს ვერაფერს გავიგებთ ნაშრომის ავტორისათვის და, მით უმეტეს, ნ. ურბნელის როგორც ისტორიკოსის შესახებ.

ჩვენი მიზანია, შეძლებისამებრ წარმოვაჩინოთ ნ. ურბნელის მონოგრაფიის — „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო“ — დადებითი და უარყოფითი მხარეები და შევადგინოთ ავტორის დამსახურება საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში.

ნ. ურბნელი თავის მონოგრაფიას მეტად თავისებურად იწყებს და გაკვირვებას გამოაქვამს იმის გამო, რომ თამარ მეფის ხსოვნას უფრო იმსახავს ხალხი და მეტი პატივით უხეობა მის სახელს, ვიდრე დავით აღმაშენებლისას. იგი წერს: „საქართველოს ისტორიულ პანთეონში თუმცა თამარ მეფის გვირგვინი უფრო ბრწყინავს და ელვარებს, მაგრამ დავით აღმაშენებლის სამეფო კვერთხს მაინც უპირატესობა აქვს. ამის დასამტკიცებლად საჭიროა, მოკლედ მაინც შევადაროთ თამარ მეფის და დავით აღმაშენებლის პირადი ღვაწლი და ღირსება“.³

ნ. ურბნელი ფიქრობს, რომ თამარისათვის ვაცილებით ადვილი იყო ქვეყნის მართვა, რადგან მას გადასცეს „ძლიერი და კარგად განწყო-

1. ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 324. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.

2. იქვე, გვ. 361.

3 ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, 1894 წ., გვ. 1.



ბილი სახელმწიფო⁴ უდავოა, რომ თამარ მეფეს მართლაც გაცილებით კარგ ისტორიულ პირობებში მოუხდა ტახტზე ასვლა, ვიდრე მის სახელმწიფო წინაპარს. მან მემკვიდრეობით მიიღო ის, „რაც დიდი ხნისა და მედგარი მუშაობის წყალობით საქართველოს კეთილდღეობისა და წარამტებისათვის თამარის წინაპრებმა შექმნეს“.⁵

მაგრამ თამარ მეფისა და მისი სამეფო კარის მნიშვნელობის დამცირება იქნებოდა, ვაგვეზიარებინა აზრი, თითქოს „თვითელმა კერძოდ, და ყველამ საერთოდ მხოლოდ ის შესაძლოა, რაც ანდერძოდ და სახელმძღვანელოდ დასტოვა გონებით შორსმჭვრეტელმა მეფემ“.⁶ ჩვენ კრა თქმა უნდა, იმის თქმა არ ვესურს, თითქოს დავით აღმაშენებლის პოლიტიკური კურსის, მისი „ანდერძის“ დაცვა და ცხოვრებამუხა გატარება თამარის, როგორც მეფე პოლიტიკოსის მნიშვნელობას ამცირებდეს, პირიქით. მაგრამ საქმის ისე წარმოდგენა, თითქოს თამარს და მის სამეფო კარს დიდი არაფერი ჰქონდა გასაქვეთებელი და სათათნოსო, სწორი არ იქნებოდა. მართალია, საქართველო „მამინ უკვე ძლიერ, სახელგანთქმულ სახელმწიფოდ ითვლებოდა, მრავალ და ვრცელ ქვეყნების ხატონად, სხვადასხვა მოდგმისა და სარწმუნოების ხალხის მბრძანებელად, ამიტომ საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების ხელმძღვანელთათვის იმ დროს დიდი სიფრთხილე და წინახედულება, სიბრძნე და შორს ვაჭყრეტელობა იყო საჭირო“.⁷

ნ. ურბნელს შესანიშნავად ჰქონია წარმოგანილი ისტორიის კვლევისა და კერძოდ და შემთხვევაში, თავისი მონოგრაფიის დანიშნულება. იგი წერს: „უშეშველია, საეროენო თვითცნობიერების აღორძინება და წარსული ცხოვრების ცოდნა ნათელს მოჰფენს დავით აღმაშენებლის დიად სახელს და ჯეროვან განჩინებას დასდებს იმის დიდებულ მოღვაწეობას, ამჟამად კი ორიოდე ამბავი თუ იცის ხალხმა თავის უდიდეს მეფეზე“.⁸

და მართლაც მისი ისტორიული მონოგრაფია პირველი სერიოზული ცდა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში დავით აღმაშენებლის ეპოქის შესასწავლად. ნ. ურბნელი აღნიშნავს და უჩივიქ იმ ვარემოებას, რომ საინტეროო მხარეები ძუნწად მოგვიტობრობენ და-

ვით აღმაშენებლის მოღვაწეობის ზეგნულად მხარეზე, მეტადრე, მის „კერძო“ და „საინტერესო“ ცხოვრებაზე“, რაც ხელს უშლის საეთიხის ნათლად გაშუქებას. ამ მხრივ გაქირვებას ვერ ასცდლა ვერავინ, რომელიც კი, თეიმურაზ ბატონიშვილის თქმისაებრ, „ისტორიკოსებერ ჰყოფს ძიებასა-ო“.⁹ საპართლიანად წერს ნ. ურბნელი. იგი ხაზს უსვამს იმ მძიმე და არასახარბილო მემკვიდრეობას, რომელიც დავით აღმაშენებელმა მიიღო მტრისაგან შეეწროებული, პოლიტიკურად სუსტი სამეფოს სახით და იქვე ხატოვანად წარმოგვიდგენს ნიჭიერი და მეტბრძოლი მეფის პიროვნებას: „დაშლილსა და დარღვეულს სამეფოს განახლება და აღშენება ესაჭიროებოდა. ჭბატუკმა მეფემაც პირველადვე სამეფოს ბურჯი და საძირკველი განაახლა და შემდეგ ზედ ამოიყვანა მკვიდრი სამეფო შენობა. ხეროთომოძღვრება თვით მეფემ იტვირთა, შენობის დადგმა და მოწყობაც იმის საქმე იყო... და შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ ყველაფერ კიდევ უფრო ში მოსჩანს მეფის ხელმძღვანელობა, თათონობა. თვითეულს საქვეყნო საქმეს იმის დიდებუნიბოვნობის ბუქვედი ამჩნევი, მისი ძლიერის სულის გავლენა ატყვიან“.¹⁰

აუცილებლად აღნიშნვის ღირსია, რომ ურბნელს საცხებით სწორად ესმის პიროვნების როლი ისტორიაში. მას მიაჩნია, რომ ტრადიციის გამოვლინების, მისი განვითარებისათვის, აუცილებლად საჭიროა პირობები. ამ პირობებს კი ისტორიული ვითარება და საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათი განსაზღვრავს. მისი მართებული გაგებით, დავით აღმაშენებლის წარმატებას ხელი შეუწყო არსებულმა პირობებმა და იმდროინდელმა მნიშვნელოვანმა მოვლენებმა. „მეფის თუ სხვა საზოგადოებრივის მოღვაწის საქმეთა განხილვა და განსჯა შესაძლოა ისტორიულ გარემოებათა მიხედვით. დროთა ვითარებას დიდი გავლენა აქვს საზოგადო ცხოვრების ბრუნვაზე“.¹¹ სხვა ადგილს კი იგი წერს: „თვით ცხოვრების მსვლელობა უადვილებდა მეფეს მძიმე ტვირთის, მაგრამ უნდა დიდი გონებრივი და ზნეობრივი ძალა იყო საჭირო ამის საზიდელად“.¹²

ნ. ურბნელის აზრით, სწორედ ის პიროვნება დიდი, მას სცემს ისტორია პატივს, ვინაც ჰყოფნის ნიჭი და უნარი, ხელმოცარული არ დარჩეს იქ, სადაც ადვილი „ძღვევა და გამარჯვება“ თორემ „გონებრივს გამპირიბობას მოკლებული და ხასიათით სუსტი ყოველთვის ქედს იხრის ცხოვრების ბრძოლის

⁴ იქვე, გვ. 1.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1965 წ., თბილისი, გვ. 246.

⁶ ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, 1894 წ., თბილისი, გვ. 1.

⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1965 წ., თბილისი, გვ. 245.

⁸ იქვე, გვ. 2-3.

⁹ იქვე, გვ. 3.

¹⁰ იქვე, გვ. 2.

¹¹ იქვე, გვ. 20.

¹² იქვე, გვ. 21.



მოედანზედ და ხელცარიელი რჩება მაშინაც კი, როცა ადვილია ძღვევა და გამარჯვება.¹³ მეფის უნარს, მის ნიჭსა და უნიჭობას კი აუცილებლად ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ფეოდალური საზოგადოებისათვის, მით უმეტეს, რომ თვითმპყრობელ მეფეს ტახტს არა სამეფო გვირიდან გამოსული თუნდაც გენოსიცი ვერ შეეცილებოდა. დავით აღმაშენებლის ყველა მეისტორიე ერთნაირად აღნიშნავს მის დიდ განათლებას და განსწავლულობას მეცნიერების სხვადასხვა დარგში, რაც ნათლად დასტურდება მეფის მთელი მოღვაწეობით. ხლო დიდი ისტორიკოსი სავანეგებო აღნიშნავს დავითის საარაკო ვატაცებს მწიგნობრობით.¹⁴

ნ. ურბნელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო მოღვაწის ზნეობრივ მხარეს. მას მიიჩნია, რომ მეფე, რომელიც წინ უძღვის ერს, აუცილებლად უნდა გამოიჩინოდეს ზნეობრივი სიწმინდით, მისი აზრით, „ზნეობრივი მოღვაწეობის ქვეყნობით ურთი-ერთი სიყვარული და სათნოებაა“.¹⁵ მაგრამ ურბნელი მიუთითებს, რომ დიპლომატიური ურთიერთობის დროს მეფე ყოველთვის ვერ დაიცავს ზნეობრივ ეთიკას, რომ იგი ზოგჯერ იძულებულია უღალატოს მის. ამიტომ დავით აღმაშენებლის მისამართით წერს: „მეტერთან სპასპეტს გულ-ახდილი და წრფელი დამოკიდებულება არ შეუწევს. იქნებ ესრეთი საქციელი წინააღმდეგი იყოს ზნეობრივი კანონისა, მაგრამ მიუცილებლად საჭიროა სპასპეტისათვის, რომელიც ლაშქრობის დროს, უნებლიედ ემორჩილება სხვა გვიარს ზნეობას.“¹⁶

ერთი სიტყვით, ნ. ურბნელს მშვენიერად ესმის, რომ „დავითიც ისევე დაუნდობლად იბრძოდა, როგორც მისი მოწინააღმდეგენი“. და აღმაშენებელ მეფეს ამისათვის აქვს კიდევაც, რადგან იცის, რომ მეფე, პოლიტიკოსი, სპასპეტი, ვერ იქნება აბსოლუტურად ზნეობრივი, თუ სურს იყოს გამარჯვებულთა შორის.

ნ. ურბნელი ენება რა მახლობელ აღმოსავლეთში თურქთა გაძლიერების საკითხს, აღნიშნავს, ეს მას შემდეგ მოხდა, როცა ბიზანტიამ აღმოსავლეთის ქვეყნების უზარმაზარი ტერიტორია დათმო, როცა „საქართველოს ერთი ზღუდე მოეშალა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მტერს-ო.¹⁷ მას, რა თქმა უნდა, მხედველობაში აქვს 1074 წლის თურქეთ-ბიზანტიის ხელშეკრულება, რომლის შედეგებ-

მა საქართველოს რეალური საფრთხე შეუქმნეს და „მართლაც, 1080 წლიდან ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით გაძლიერდა თურქთა შემოსევა-ჩამოსახლება, დაიწყო „დიდი თურქობა“. ამ დროს საქართველოში გიორგი მეორე მეფობდა.¹⁸ ნ. ურბნელი გიორგი მეორეს „უთოსონ“ და „დაღდეკარ კაცს“ უწოდებს, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ „მარტო გიორგი მეფის სუსტმა ხასიათმა არ დაამცირა მეფობა. აქ თურქთა ბატონობასაც ვაგვენა ჰქონდა“.¹⁹ მას კარგად აქვს შეგნებული, რომ გამარჯვებული მტერი ყოველთვის ხელს უშლიდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას და წყალს მუდამ გამდგარი ერისთავების წისქვილზე ასხამდა. ნ. ურბნელმა იცის, რომ საქართველოს ესაჭიროებოდა თურქთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის ორგანიზატორი. გიორგი მეფე საამისო პირად ღირსებებს მოკლებული იყო.²⁰ იგი წერს: „საქართველო საშინელ სურათს წარმოადგენდა, მაგრამ ქართველობა მაინც სულთ არ იყო დაცემული და საკმაო ზნეობრივი ძალა მოეპოვებოდა. საჭირო იყო მხოლოდ ერის გამხნეება, სასოების და იმედის აღდგენა. გარემოება თხოვლობდა, უბირველეს ყოვლისა, მეფობის უფლება და ღირსება აღდგენილიყო და ჰაბუტმა გვირგვინოსანამაც წინააღმდეგ ამას მიიქცია „ყურადღება“.²¹ ნ. ურბნელის აზრით, ერთადერთი ხსნა საქართველოს სინამდვილისათვის იყო მეფის ხელისუფლების განდიდება-განმტკიცება, „ნამდვილი თვითმპყრობელობის“ დამყარება და „გენიოსი ჰაბუტის“ სწორედ ასეთი პოლიტიკური კურსი მიიჩნია მის დიდ, დამსახურებელად. იგი წერს: „დავით აღმაშენებლის უდიდესი დევიზიც, სხვათა შორის, ის არის, რომ თვით-მპყრობელობაზე დაამყარა საქართველოს დიდება. მართალია, წინააღმდეგ მეფე თვითმპყრობელად იწოდებოდა, მაგრამ ეს მარტო ცარიელს სახელს მხედგენდა“.²² ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ურბნელს მხედველობაში აქვს შეუზღუდველი მონარქია, და სამართლიანად მიიჩნია, რომ სწორედ დავით IV-ის დროს ჩაეყარა საფუძველი საქართველოში „ნამდვილ თვითმპყრო-

18 შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, თბილისი, გვ. 23, 27.

19 ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

20 ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. კაპარავა, გ. მეღლიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 106.

21 ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26-27.

22 ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

გიორგი ნადირაძე

ნ. ურბნელი დავით აღმაშენებლის ეპოქის ზოგიერთი საპირთის შესახებ

13 იქვე, გვ. 20.
 14 ქართლის ცხოვრება, 1955 წ., 1, გვ. 350.
 15 ნ. ურბნელი, დასახ. შრომა, გვ. 56.
 16 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, 1965, გვ. 31.
 17 ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.



ბელობას“, რასაც თავის დროზე ყველა ფეოდალური ქვეყნის ისტორიაში პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა და დავით აღმაშენებლის მეფობის მთელი პერიოდიც ამის ერთი საუკეთესო მაგალითია. საყოველთაოდ ცნობილია თუ საქართველოს სამეფოს მთლიანობასა და სიმტკიცეს როგორ უშლიდა ხელს შინაური აშლილობა — ფეოდალური შუღლი, მტრობა და არც თუ ისე იშვიათად — ერის „თავაკეთა“ ზნეობრივი სიწამხდრე. ამ გაერმობებს ნ. ურბნელი მტრის ზემოქმედებითაც ხსნის და ამბობს, რომ „მტრის ბატონობამ ზნეობრივად დაარღვია საქართველოს სამეფო“.²⁵ ამ განცხადებაში მხოლოდ ქემშობილება შეიძლება დაინახოს კაცმა და უნებლიეთ გახსენდება გამოჩენილი ქართველი მეწერის მიხეილ ჭავჭავაძის მიერ შემარწუნებლად დახატული უბედურება დამარცხებული ერის: „დაერდომილის, დამარცხებულის სხეულში და ტანზეც მუდამ ჩნდება ათასნარი შხამინი ბაცილა, მუწუკი და ჭარი. ჩვენი შინაური რღვევა და არგევა, მზაკვრობა და მუხანათობაც. «ყიყვი» და «ეშმაკი» მუდამ შედევი იყო ჩვენი დამარცხებისა გარეშე მტერთაგან, იმედაკარგული და გამწარებული ორგანიზმი იწყება საკუთარივე თავის ღრღნას და ქამას. ამიტომ მოსდევდა ხოლმე ჩვენს დამარცხებას ანარქია, სიმშლი, ებიდემია; ზნეობრივი გახრწნა, განდგომა, კონსტიტურობა და დაშლა პროვინციებად“.²⁴

ურბნელს სავსებით სწორად ესმის, რომ „სელჩუქების ბატონობამ ხელი შეუწყო საქართველოს დიდაზნაურთა თავგასულობას და ურჩობას... თავის ძალ-ღონე მეფემ აშლილ ქვეყნებში დამეფიდებას შეუღია და ეს მაშინ, როცა სამშობლოს მძინეარე მტერი თავს ეხვია და სიცოცხლეს უსპობდა, მაგრამ გეორგი მეფემ მაინც ვერ დათრგუნა მოღალატე ერისთავობა“.²⁵ მას ესმის, რომ სწორად გიორგი მეფის „უუნარობამ“ და „დაუდევრობამ“ დაბადა საქართველოს სამეფო კარზე პოლიტიკური ვადარიალების იდეა, რის შედეგადაც საქართველოს სამეფო ტახტზე მჯდომ დავით მეოთხე „გენიოს ჰაბუტს ცხადად წარმოდგენილი ჰქონდა სამეფოს მდგომარეობა. იცოდა, რა იყო საჭირო და რომელი გზას უნდა დასდგომოდო“.²⁶ — ამბობს ურბნელი და ქემშობილება დავით მეოთხის შესახებ დღესაც ძალაშია.

ნ. ურბნელი დავით აღმაშენებლის მოღვაწეობას ორ პერიოდად ჰყოფს, მაგრამ არა ისე,

23 იქვე, გვ. 29.
 24 მიხ. ჭავჭავაძის, თხზ., ტ. VI, 1964 წ., გვ. 305—306.
 25 ნ. ურბნელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 31.
 26 იქვე, გვ. 26.

როგორც ეს თანამედროვე ისტორიკოსებში მიღებული (კერძოდ, მისი მეფობის პერიოდი ვრცელდება 1097 წლამდე).²⁷ მისი აზრით, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პირველი პერიოდი უნდა მთავრდებოდეს კახეთ-პერეთის შემოერთებით, ე. ი. 1104 წელს. რადგან სწორედ ამ წელს დიკავა მეფემ კახეთ-პერეთი და „ოგი საქართველოს ერთიან სახელმწიფო ორგანიზაციაში შემოიყვანა“.²⁸ მეორე პერიოდი კი იწყება 1104 წლიდან და ვრცელდება 1125 წლამდე, ე. ი. დავითის გარდაცვალებამდე. ნ. ურბნელის აზრით, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პირველი ნაწილს შეადგენს შინაური მტრის დამორჩილება და კახეთ-პერეთის შემოერთება, ხოლო მეორეს — გარეშე მტერთან ბრძოლა და სამშობლოს განთავისუფლება.²⁹ ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარიც დავით აღმაშენებლის მოღვაწეობას სწორედ ასევე ყოფს ორ პერიოდად — 1104 წლამდე და მის შემდეგ ვიდრე გარდაცვალებამდე. მაგალითად, რ. მეტრეველი წერს: დავით აღმაშენებლის მეფობას თუ ორ ხანად ვავყოფთ, პირველი მოდის, 1089—1104 წწ., ხოლო მეორე პერიოდი იწყება 1104 წელს და ვრცელდება მის გარდაცვალებამდე.³⁰ რადგან სწორედ 1104 წლისათვის თავგასული საერო (ლოპარტი, რატი, ძავანა და სხვა) თუ სულიერი (1103 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებით რომ განიდევნენ) ფეოდალური დათრგუნვნილი იყვნენ და პერეთ-კახეთი საქართველოს სამეფოს შემოუერთდა,³¹ ამიტომ ჩვენც უფრო მართებულად მიგვაჩნია დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ორ პერიოდს შორის ზღვრად ზემოაღნიშნული 1104 წელი დადგეო.

ნ. ურბნელის აზრით, მტერზე გამარჯვებისათვის აუცილებელი პირობაა, კარგად იცოდნენ მტრის სურვილი, „ზნე“, „ხასიათი“ და ამ ცოდნაზე უნდა იყოს დამყარებული „მემდართმძლანის“ „სტრატეგიისის“ სალაშქრო წესი და ჩვეულება. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც ხომ აღნიშნავს, რომ ქართველების დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ისინი „თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი“³² იყვნენ. ნ. ურბნელს დავით აღმაშენებლის დამსახურებად მიანია, რომ მეფე, უპირველეს ყოვლისა, კარგად ვერცხვია მტრის ავკარგში და „რომ

27 ნ. ბერძენიშვილი, ვ. ღონღუა და სხვა., საქართველოს ისტორია, 1958 წ., გვ. 106.
 28 იქვე, გვ. 108.
 29 ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.
 30 რ. მეტრეველი, საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის დათარიღებისათვის, ეურნ., „მნათობა“, 1970 წ., № 6, გვ. 172.
 31 იქვე, გვ. 172.
 32 ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 358.

მტრის სისუსტის შეგნება ძლიერი საშუალებათაში გასამარჯვებლად. სხვათა შორის, სწორედ ამ საშუალებით ხელმძღვანელობდა დიდებული სპასეტი³³.

მიუხედავად იმისა, რომ დავით აღმაშენებელმა ქართველი ლაშქრის მეოხებით არა ერთი დიდი საქმე შეასრულა, კერძოდ, ალგამა ოპოზიციური დიდხანსურები და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-ქალაქები საქართველოს სამეფო კარს დაუთმობია, თუ-რქებთან მოსალოდნელი გენერალური ბრძოლის საკითხი კი არ მოხსნილა, პირაქით, იგი დიდ და ღამე აღლოდებოდა. ეს ამიტომ, რომ თურქები დავით აღმაშენებლის ღონისძიებებს შიშით შეპყრებდნენ და ვარაუდობდნენ, რომ მისთვის ფრთები შეეკვეცათ. საქართველოს მეფე კი თავის გეგმებს უფრო და უფრო აფართოებდა და მტრის საბოლოოდ დამარცხებაზე ზრუნავდა. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, საქართველოს პოლიტიკური წრეების წინაშე დადგებოდა საკითხი ჯარის გამრავლება-გაყვარება. მაგრამ მხოლოდ საქართველოს მცხოვრებთა ხარჯზე ასეთი ჯარის შექმნა დაკავშირებული იყო დიდ სიმძნელებთან, რადგან ქვეყანას მწარმოებელი ძალა მოაკლდებოდა და შეიქმნებოდა ეკონომიური დაქვეითების რეალური საფრთხე. ეს კარგად ესმოდა დავით აღმაშენებელს. ამიტომ, როგორც ნ. ურბნელი წერს, მეფემ „აღიღო მალღად თავი თვისი და მიმოავლი თელი ორნებისა თვისისა ძამთა ვითარებასა და დასაკნა, რომ დიდი საქმისათვის საჭიროა დიდი ღონე“³⁴ ამ დიდი ღონის მომქმნის ძიებისას არჩევანი ყოველგვარზე შეჩერდა. ბუნებრივია, მკვლევრები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, თუ რა იყო ასეთი არჩენის მიზეზი და რა გარემოება ხდოდა სასურველს, რომ მიინდამიანც ყოველგვარი გამოვსახლებინათ საქართველოში. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ეს განაპირობა უპირველეს ყოვლისა, დავით აღმაშენებლის მოყვრობამ ყოველთა „უშთავრესთან“³⁵ ამ ფაქტის როგორც ყოველთა გადმოყვანის ხელშემწყობი მიზეზის უარყოფა არ შეიძლება. მაგრამ მთავარი მიზეზი სხვა იყო და ეს გარემოება კარგად აქვს დანახული დავითის ისტორიკოსი.³⁶ ნ. ურბნელი იზიარებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის აზრს აღნიშნულ საკითხზე და ყოველთა გადმოსახლების ძირითად მიზეზად მიიჩნია, რომ „დავით აღმაშენებელმა უწყყოდა მათი სიმხნე ყვობათა შინა, სისუბუქე მიმოს-

ვლისა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამტრეველობა და ყოველთურთ მოშაველობა ნებისა თვისისა“. ამის გარდა მეფე სიძე იყო ყოველთა მთავრის ათარქასი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა თავის ხალხზე“³⁷.

როგორც ვხედავთ, ურბნელი დავით აღმაშენებლის მოყვრობას ათარქასთან მეორეხარისხოვან როლს აკუთვნებს და სამართლიანად. როგორც სწორად მითითებს რ. მეტრეველი, „ყოველთა მთავართან საქართველოს მეფის ნათესაური კავშირი მხოლოდ ბოლოხარისხოვანი მიზეზი უნდა ყოფილიყო ამ დიდი გეგმის შესასრულებლად“³⁸ ყოველთა გადმოსახლება საქართველოში დიდ პოლიტიკურ გამარჯვებას უქადდა საქართველოს სამეფო კარს, რაც ისტორიამ ნათლად დაადასტურა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძნელად „გასაწერთნენ“³⁹ იყვნენ და როგორც ურბნელი ამბობს, ზოგჯერ „ომის დროსაც კი უფროსა და უწყისობას არა სტოვებდნენ. ყოველგვარ საქართველოს მიიც დიდი სარგებლობა მოუტანეს“³⁹.

როცა ყოველგვარ საქართველოში გადმოსახლების სარგებლიანობაზე ელაპარაკობთ, ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამიერიდან „როგის სპას“ საქართველოს ჯარის ორგანიზაციაში ეპიზოდური ხასიათი ექნებოდა, რაც, ბუნებრივია, კეთილ გავლენას მოახდენდა საქართველოს სამხედრო ბიუჯეტზე. ნ. ურბნელს კარგად აქვს შეგნებული რომ ყოველთა გადმოსახლების პრობლემა საქართველოში დავით აღმაშენებელი აიძულა გაემაგრებინა ჩრდილოეთის საზღვრები, დაეპყრო დარიალისა და კავკასიონის სხვა კანი, დაეჭირა მთელი ხეობისა და „კავკასიონის“ გზები⁴⁰ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კი რომელიც ამართლებს მეფის პოლიტიკას, მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს დიდ სიკეთედ მიიჩნევს და ამბობს: „ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი და ყო შორის მათსა სიყუარული და მშუდობა ვითარცა ძმათა“⁴¹.

დავით მეფისა და ჭყონდიდელის „ოსეთს“ წასვლა იმთავითვე ითვალისწინებდა, რომ ოსეთი ქართველი მეფის ყმები უნდა გამხდარიყვნენ, რაც საქართველოს სამეფოს ჩრდილოეთის ზურგს გაუმაგრებდა და დავით აღმაშენებელს შესაძლებლობას მისცემდა, „მთელი თავისი ყურადღება და საქართველოს შერთე-

37 ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.
 38 რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, 1965 წ., გვ. 68.
 39 ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.
 40 იქვე, გვ. 54.
 41 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 336.

33 ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47-48.
 34 ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, 1894, ტფ., გვ.
 35 ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1965 წ., გვ. 199; ს. მაკალათია, დავით აღმაშენებელი, 1944 წ., გვ. 25 და სხვ.
 36 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 336, 1955.

პირობი ნაღირაძე
 ნ. ურბნელი დავით აღმაშენებლის ეპოქის ზოგიერთი საკითხის შესახებ



ბული მხედრობა მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ-დასავლეთისაკენ მიემართა.⁴² ამოცანა გადაწყვეტილი იქნა. „მარტო ის რაღა ღირდა, რომ ჩრდილოეთის ყველა კართა ციხენი ამიერთავან საქართველოს ხელშეწყობის ხელში იქმნებოდა.“⁴³

ნ. ურბნელი შეეხო დავით აღმაშენებლის საქმიანობას ლაშქრის ორგანიზაციისათვის და აღნიშნა, რომ ამ მხრივ მეფემ არნახული ღონისძიებები გაატარა, რამაც საქართველოს სამეფო კარს შესაძლებლობა მისცა წარმატებით ებრძოლა მოძალბებულ მტრის წინააღმდეგ. „დავით აღმაშენებელმა უფრო შესანიშნავი ცვლილება სამხედრო გამგეობაში მოახდინა. შემატანა ამბოხს, რომ მეფის მოვალეობას, სხვათა შორის, შეადგინა მხედართა განწესება. სპასთა დაწყება, ღონიერი მიმართება და სხვა, და ყველა ამ საქმეში არც ერთი მეფე — არც ძველი და არც ახალი, არ შეედრებოდა დავით აღმაშენებელსა. მართლაცა, უშთაქმის ყურადღება მეფემ სამხედრო გამგეობას მიუქცია და ისეთი შემოქმედებით ძალა გამოიჩინა, რომ მის მიერ დაარსებული სამხედრო გამგეობა სამაგალითო შეიქმნა. მის სამხედრო სკოლაში აღიზარდნენ და გაიწერთნენ სახელოვანი გმირნი და სპასალარნი, რომელთაც დაამშვენეს ჩვენი სამხედრო ისტორია და დიდება მოუპოვეს აღმშობლოს.“⁴⁴ — წერს ნ. ურბნელი, ძნელია უფრო კარგად შეაფასო ამ შემთხვევაში დავით აღმაშენებელი.

ნ. ურბნელი ეხება მეფის მიერ საომარი ტაქტიკის შეცვლასაც და მიიჩნია, რომ ამ დროს საქართველოს არმიის საომარი ტაქტიკა განსხვავდებოდა ადრინდელი ტაქტიკისაგან. მისი აზრით, „დავით აღმაშენებლის დროს ქართველებს მიღებულ ჰქონდათ ბიზანტიისა ანუ რომის საომარი დაწყება ჯარისა, ე. წ. გაწყვიტებრივი ტაქტიკა. ეს ტაქტიკა თხოულობდა, რამდენიმე რაზმი ორ მწყრივად დაწყობილიყო, ჭადრაკის კაცების მსგავსად. ორსავე მწყრივის რიცხვი თანასწორი უნდა ყოფილიყო. პირველი იერიშით მიდიოდა და თუ სიგრძით მტრის ნოწინავე ჯარს აღემატებოდა, მაშინ ფრთებს შლიდა და ორმხრივ მოგზეოდა მოწინააღმდეგეს. მეორე მწყრივი პირველს შეელოდა. დავით აღმაშენებელმა შესცვალა ეს სატაქტიკო წესი, — ორის მაგიერ სამი მწყრივი შემოიღო, ფეითულს საკუთარი დანიშნულება ჰქონდა. პირველს შეადგენდა წინამძღოლი ჯარი, მეორეს ყოვლი ანუ თავიდათავი ჯარი, რომელსაც თვით მეფე წინ უძღოდა.“⁴⁵

ნ. ურბნელის მთელი ეს მოთხრობა, რო-

გორც პროფესორი ა. კიკვიძე აღნიშნავს „უმეტესად მოსაზრებებს ემყარება ეგვიპტის ბუთხეს“.⁴⁶ დაახ. მაგრამ ურბნელი სხვაწარად ვერც მოიქცეოდა, რადგან „სათანალო წყაროების უქონლობის გამო ძნელია გადაჭრით იმის თქმა, თუ რა სიახლენი იქნა შეტანილი საქართველოს ლაშქრის ტაქტიკაში“.⁴⁷ ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ ნ. ურბნელმა ყურადღება მიუქცია საკითხს ლაშქრის ტაქტიკის შესახებ და აღიარა, რომ არ შეიძლებოდა დავით აღმაშენებელს არ შეეცვალა საომარი ტაქტიკა. თავი რომ დავანებოთ დავითის ისტორიკოსის საკმაოდ გასაგებ განცხადებას: „ხოლო თვით მეფე არა თუ ვითარცა სხვა ვინმე ზურგიით ედგა ოდენ სპათა თჳსთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მოთავართავნი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თუთ წინა უვიდოდა, და ვითა ღომი შეუზახებდა კმათა მადლითა“.⁴⁸ მაინც საგულისხმოა, რომ საომარი ტაქტიკის შეცვლაც უნდა ყოფილიყო მიზეზი დავით აღმაშენებლის ძლევამოსილი გამარჯვებით აღსაყვარ სალაშქრო მოღვაწეობისა.

თუ დავუყვირებთ ისტორიკოსის სიტყვებს, რომ მეფე ზურგში კი არ უღვა თავის „სპას“, როგორც სხვა ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა, თუთ წინა უვიდოდა, როგორც ისტორიის მეცნიერებთა კანდიდატი რ. მეტრეველი ფიქრობს, შეიძლება რაიმე ახალ-ტაქტიკურ ჩანაფიქრზე მიუთითებდეს.⁴⁹

როდესაც საქართველოს ნიჭიერი მეფის და უბადლო სპასპეტის დავით აღმაშენებლის ხელში ზღვრულად გადადიოდა თურქთაგან მიტაცებული ციხეები, ფეოდალური ხანის პოლიტიკური ბატონობის ეს საუკეთესო საშუალება, როცა საქართველოში მოძალბებული თურქების ფეხებზე ქართულმა მიწამ რყევა დაიწყეთ და თურქთა წინაშე მათივე ბატონობის დასასრულის რეალური საფრთხე აღიმართა არა მარტო საქართველოში, არამედ მის მოსაზღვრე ქვეყნებშიც, სწორედ მაშინ გენერალური ბრძოლა გარდაუდებელი გახდა. ეს ბრძოლა თურქულ სამყაროსა და საქართველოს სამეფოს შორის ისტორიკოში შევიდა დიდგორის ბრძოლის სახელწოდებით. დიდგორის ბრძოლამ ქართველ ხალხს მოუპოვა გამარჯვება იმ მრავალწლიან ემუშოში, რომელთაც თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ აწარმოებდა საქართველოს სამეფო კარი გიორგი II-სა და დავით IV-ის დროს. დიდგორის ბრძოლის მნიშვნელობა განუზომელია ქართველი (და არა მარტო ქა-

⁴² ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1965, გვ. 199—200.
⁴³ იქვე, გვ. 199.
⁴⁴ ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.
⁴⁵ იქვე, გვ. 107—110.

⁴⁶ აბ. კიკვიძე, დავით აღმაშენებელი, 1942, გვ. 40.
⁴⁷ რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, 1965, გვ. 61.
⁴⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 329.
⁴⁹ რ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.



რთველი) ხალხის ცხოვრებაში. ამ ბრძოლამ წარაუდგინა შემოსა საქართველოს სახელმწიფოს ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე და დიდხინით დაუტარა ხალხის საქართველოს მტრებს მისი მიწა-წყლის ხელყოფისა. მკლევარი, რომელიც შეხებია ან ოდესმე შეხებია დავით აღმაშენებლის ეპოქას, გვერდს ვერ აუღებს დიდგორის ბრძოლას და, ბუნებრივად, ნ. ურბნელიც, ავტორი წიგნისა, რომელსაც ეწოდება „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო“, შეეხო კიდევ საქართველოს სამხედრო ცხოვრების ისტორიაში ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას და, უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე საფუძვლიანად XIX საუკუნის ისტორიკოსთა შორის.

ნ. ურბნელმა იცის, რომ დიდგორის ბრძოლას ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს საქართველოს სამხედრო ისტორიაში, რომ „თავის დროზე ამ ბრძოლამ აზიის ყურადღება მიიპყრო და მისი ამგვარი თეოთ ევროპაშიც იგაისმა, უცხოელი მეისტორიენი აღტაცებით მოგვითხრობენ დიდგორის საოცარს ლაშქრობაზეო, წერს ნ. ურბნელი.⁵⁰ მაგრამ დიდგორის ომზე მსჯელობისას იგი ძირითადად მაინც დავითის ისტორიკოსს ეყრდნობა. ეს იმიტომ, რომ ქართული წყარო უფრო სანდოდ მიიჩნია. თუმცა სათანადო კრიტიკული ანალიზის შემდეგ უმეტეს შემთხვევაში წარმატებით იყენებს ისეთი ავტორების ცნობებსაც, როგორცაა მათე ურპაელი, გოტიე და, რა თქმა უნდა, მაჰმადიანი მწერლებიც. ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდგორის ბრძოლის თარიღად მიიჩნეულია 1121 წელი, რადგან, როგორც აჟადემიკოსი ივანე ჭავჭავიძელი წერს, ქართველი ისტორიკოსიც (1121 წ.), ბინ. ალასირიც (1120-1121 წ.), მათე ურპაელიც (1121 წ.) ერთმხრივ 1121 წელს სდებენ თარიღად.⁵¹ ნ. ურბნელი კი ამბობს, რომ „უცილობლად არ შეიძლება ითქვას, თუ რა დროს მოხდა ეს შესანიშნავი ბრძოლა, თუმცა სინამდვილეზე უფრო ახლო იქნება, უკეთეს ამ დროდ 1122 წ. მივიღებთ“.⁵² ნ. ურბნელს განმარტებული არ აქვს თავისი მოსაზრება. ამიტომ ძნელია გაეარკვიოთ, რას ემყარებოდა ამ შემთხვევაში. ჩვენი აზრით, მას აწარა შეეცდომა მოსდის.

5. ურბნელიც ეხება დიდგორის ბრძოლის მიზეზსა და საბაბს და ერთსაც და მეორესაც სწორ დასაბუთებას აძლევს. აი, რას ამბობს იგი ამ ბრძოლის მიზეზის შესახებ: „რასაკვირრეულია, საზოგადო მიზეზი საქართველოს და სპარსეთის ურთიერთმტრობა და დავით აღმაშენებლის მსხედრო ძლევამოსილება იყო. საქართველოს მეფე მუტა საშიში შეიქმნა მაჰ-

მადიანებისათვის“.⁵³ ურბნელმა კარგად იცის, რომ საქართველოს დამარცხება, მისი გზიდან ჩამოშორება ხელს ვუხსნიდა თურქ მმართველებს. მას ესმის, რომ დიდგორის ბრძოლას ერთ-ერთი მიზეზია სავარეო ვითარებაც იყო, და როცა თურქთა პოლიტიკური ლაშქრის მეთაურის ნემქალ-ად-დინ ილაზის შესახებ ლაპარაკობს, აღნიშნავს, რომ მას სურდა „ანტიოქია და იერუსალიმი ჭვაროსნებისათვის წაერთმია“-ო.⁵⁴ დიდგორის ბრძოლის საბაბად ნ. ურბნელს მიჩნეული აქვს დავითის ისტორიკოსის ნათქვამი, რომ დავითის მიერ „შეიწვრებულნი თურქმანნი და კულად ვაჰარნი განძელ-ტფელულ-დმანლნი წაზიდეს სულტანსა წინაშე, და ყოველსა სპარსეთსა შეიღვენეს შვაგა, რომელთამე პირნი, და რომელთამე ჰელეები, და რომელნიმე სრულიად; და ესრეთ მიუთხარნეს ყოველნი ჰირნი, მოწვეულნი მათ ზედა, რომლითა აღრძნეს წყალობად თუსა“.⁵⁵ თუმცა თურქი მმართველები უამისოდაც მტრულად იყვნენ განწყობილი დავით აღმაშენებლის მიმართ, ამის შემდეგ კიდევ უფრო სასტიკად განრისხდნენ, ამბობს ნ. ურბნელი.⁵⁶ და მართლაც, როგორც პროფ. შ. მესხია განმარტავს, „თურქთა სულთანს სპარსეთის მეფესთან თავისი ანგარიშებიც ჰქონდა და საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრების ასეთ ხელსაყრელ მომენტს, როცა ქვეყნის შიგნით ძლიერი ქალაქები მის მომწვევად და დამხმარებლად გამოდიოდნენ, ცხადია, ხელიდან არ გაუშვებდა“.⁵⁷

ნ. ურბნელი, როგორც აღნიშნეთ, დიდგორის ბრძოლის შესახებ მსჯელობისას სხვადასხვა ავტორებს ეყრდნობა, მაგრამ ყოველთვის როდი იზიარებს მათ აზრს. პროფ. შ. მესხია აღნიშნავს, რომ ალ-ფარაბი და გოტიე თურქთა კოალიციური ლაშქრის მთავარ ინიციატორად ილაზს მიიჩნევენო.⁵⁸ როგორც ჩანს, ურბნელი კარგად იცნობს გოტიეს ამ აზრს, მაგრამ მას დავითის ისტორიკოსის ცნობა — „მაშინ სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს, სადაყას ძესა, და მასცა ძე თუსი მალიქი და ყოველი ძალი მისი; და აჩინა სპასალარად ელდაზი“.⁵⁹ უფრო სანდოდ მიიჩნია და სამართლიანად ფიქრობს, რომ სულთან

⁵³ იქვე,

⁵⁴ იქვე, გვ. 63.

⁵⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 340.

⁵⁶ ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

⁵⁷ შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, 1965 წ., გვ. 46.

⁵⁸ იქვე, გვ. 51.

⁵⁹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 340.

⁵⁰ ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.
⁵¹ ივ. ჭავჭავიძელი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1965, გვ. 203.
⁵² ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

გიორგი ნალირაძე

ნ. ურბნელი დავით აღმაშენებლის ეპოქის ჯომიერთი საკითხის შესახებ

იყო კოალიციური ლაშქრის ორგანიზატორი და სწორედ მან „მხედართმძღვანობა ანუ ლაშქრის უფროსობა უბოძა ელღაზს. „ეაცა მრავალწინიერსა ყოველსა მხედრობად შემძლებელსა.“⁶⁰

როცა მკვლევრები განიხილავენ დიდგორის ბრძოლას, აქვე ეხებინან საკითხს როგორც ქართველთა, ისე თურქთა კოალიციური ლაშქრის რაოდენობისა და ნაციონალური შემადგენლობის შესახებ. აქ მეტად საინტერესოა ერთი გარემოება, როგორც პრფ. შ. მესხია აღნიშნავს, „დიდგორის ბრძოლაში გამოყვანილი ქართული ლაშქრის რაოდენობისა და შედგენილობის შესახებ ცნობა, ვარა და მათე ურპაველისა, არაფის მოვლითადაც. მათე ურპაველის თხზულების როგორც იერუსალიმის 1869 წლის, ისევე ვალარშაპეტის 1898 წლის გამოცემებში კი, რომლებითაც ამ მკვლევრებს უსარგებლნიათ, გარკვევითაა მითითებული დიდგორის ბრძოლაში არა ხუთი ათასი, არამედ მხოლოდ ხუთასი ალანის მონაწილეობის შესახებ. ასევე გამდომურა და თარგმნა ეს ცნობა თავის დროზე მ. ბროსემ, მაგრამ ესეც მხედრობაში არ იქნა მიღებული და დღემდე ჩვენს სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაში დამკვიდრდა მათე ურპაველის ცნობის ასეთი არასწორი ინტერპრეტაცია“⁶¹. იმ ავტორთა აბსოლუტურ უმრავლესობას, ვინც შეხებია დიდგორის ბრძოლაში საქართველოს სამეფო ლაშქრის შემადგენლობას, ალანთა რაოდენობა განსაზღვრული აქვს ხუთი ათასით. ნ. ურბნელს კი მოცემული აქვს აღნიშნულ ომში ხუთასი ალანის მონაწილეობა და მხარს უჭერს მათე ურპაველის მონაცემებს. რომ არაფერი ვთქვათ დ. ბაქრაძეზე.⁶² ნ. ურბნელის შემდგენილი ინტერპრეტაცია არ გავრავიანებიათ მათე ურპაველის, მ. ბროსეს და ნ. ურბნელის აზრი აღნიშნულ საკითხზე. ალანთა მონაწილეობის საკითხი დიდგორის ბრძოლაში კი აუცილებლად დამაფიქრებელი მოგვინა და აი რატომ. ჩვენ ვიცით, რომ 1121 წლისათვის დავით აღმაშენებელს ყოვალთაგან უკვე შეეძლო გამოეყვანა ორმოცი ათასი მეომარი და მიუხედავად ამისა, ალანთა (ოსთა) დაქირავებული რაზმი გამოიყვანა ბრძოლაში. ვასაგებია, რომ „შემთხვევითი არ იყო ხუთასი ოსი მოლაშქრის დაქირავება და საამისოდ თანხის ვალბა, მაშინ როცა მეფეს რეზერვითი ოცდახუთი ათასი მუდმივი მოლაშქრე ყოვალთაგან იყო. ესეც, ცხადია, დავითის სთანადო ტაქტიკური გეგმის მიხედვით იყო გაკეთებული და გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა.“⁶³

60 ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

61 შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 62-63.

62 ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1885 წ., შენიშვნები, გვ. 181.

63 შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

მაინც რა უნდა ყოფილიყო ეს მიზანი ჩვენ ხომ ვიცით, რომ, როგორც ნ. ურბნელი მიუთითებს, „ომის დროსაც კი ყოველთა და უწყესობას არ სტოვებდნენ, ქართველ ჯარის უსამოვნებას აყენებდნენ, შუღლს აუფრებდნენ. ასეთი გაუწვრთნლობა საქმეს აფერხებდა და ხანდახან მტერს შველას აძლევდა.“⁶⁴ ისიც ხომ ცნობილია, რომ „შირვანში დავითის ბოლოდროინდელ გალაშქრებისას ქართველებს და ყოვალთაგან მტერის უთანამოება ჩამოვარდნილა.“⁶⁵ რა უნდა, დავით აღმაშენებელი გაითვალისწინებდა ყოვალთაგან მოსალოდნელ რაიმე უმსავსესობას და აღიქვამდა მის აღსაკვეთად, მაგრამ რა გზით? ვფიქრობთ, შეიძლება დავთვალოთ მოსაზრება, რომ საქართველოს ლაშქარში მყოფი ხუთასი ალანი მეფის სავანებო რეზერვებით ყოფილიყო აღჭურვილი და დავალებული ჰქონდა უწყობის იმთავითვე აღკვეთა, თუკი ასეთი წარმოიშობდა ყოვალთა და ქართველთა შორის. ალანები ამ საქმეს ლაშქარში მით უფრო კარგად შეასრულებდნენ, რომ ისინი გაცილებით მიუდგომელი იქნებოდნენ ქართველთა და ყოვალთა შორის რაიმე დავის ვადამწყვეტის შემთხვევაში. თუ ჩვენი მოსაზრება, რომელიც სავარაუდო ფარგლებს ვერ გაცდებდა, სიმართლესთან ახლოა, მაშინ ხუთასი ალანი სავსებით საკმარისი იქნებოდა აღნიშნული მისიის შესასრულებლად.

როგორც აღნიშნეთ, საქართველთა ლაშქრობის რაოდენობისა და შედგენილობის შესახებ დიდგორის ბრძოლაში ცნობა აქვს მათე ურპაველს. იგი კი ამ ბრძოლის მონაწილედ ას ფრანგს ასახელებს. გოტიეც კი, რომელიც ყოველწინადად აზნაილებდა ფრანგების როლს და ერთი ორად ზრდიდა დიდგორის ბრძოლის მონაწილეთა რიცხვს, მხოლოდ ორას ფრანგს ასახელებდა ამ ომის მონაწილედ.⁶⁶ შეიძლება გოტიე ფრანგების რიცხვს მიენცდამანც ორასით იმიტომ განსაზღვრავდა, რომ მათ დამსახურებად გამოეცხადებინა იმ ორასი მეომარის გმირობა, რომლებიც პირველნი შეიჭრნენ მტერს ლაშქარში. მაგრამ, ასე თუ ისე, საფუძველი არ არსებობს ისტორიულ ლიტერატურაში გვხვდებოდეს ათასი ფრანგის მონაწილეობა დიდგორის ბრძოლაში. ვფიქრობთ, ამ ბრძოლაში ასი ფრანგის მონაწილეობა უფრო მორალური იმპულსი უნდა ყოფილიყო ქართველ ლაშქრისათვის, რადგან თურქებს სულაც ვერ შეეშინებდა ასი ფრანგი. ფრანგი ჯვაროსნები მათთვის ახალი ხილი არ იყო. ერთი სიტყვით, ნ. ურბნელი ქართული ლაშქრის რაოდენობისა და შემადგენლობის განსა-

64 ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

65 რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, 1965, გვ. 73.

66 შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

ზღვრისას სამართლიანად ემყარება მათე ურპაელის ცნობას და წერს: „ჩვენს მეფეს შედარებით ცოტა ჯარი ჰყავდა: საბრძოლველად გამოიყვანა ორმოცი ათასი ქართველი, თხუთმეტი ათასი ყივჩაღი, ხუთასი ოსი და ასი ფრანგი. სულ ორმოცდათხუთმეტი ათასი და ექვსასი მეომარი“. 67 ეს ცნობა ყველაზე უფრო იმსახურებს ნდობას და ასე უნდა იყოს შესული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში.

რაც შეეხება თურქთა კოალიციური ლაშქრის რაოდენობას, ნ. ურბნელი წერს: „გოტიეს გაუზიარებია ლაშქრის სიმრავლეო და მიანიჩა რომ „იმათი“ ლაშქარი ორას ათასზე მეტი იქნებოდაო“. 68

ნ. ურბნელი დიდგორის ბრძოლას რომ აღწერს, შემდეგ დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღებაზე მოგვითხრობს. ცხადია, მას კარგად ესმის, რომ „დიდგორის ველზე არსებითად გადაწყდა თბილისის... ბედიც“. 69 ამიტომ წერს: „დიდგორის ბრძოლის შემდეგ ბენი-ჯაფარიანთ იგრძნეს, რომ იმათი ბატონობის დასასრულიც მოახლოვდა. 70 როცა ურბნელი თბილისის აღებას ეხება, მოაქვს ერთი მნიშვნე-

67 ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

68 იქვე, გვ. 64.

69 შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, 1965, გვ. 77.

70 ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67. ნ. ურბნელი, ისე როგორც მისი წინამორბედი ისტორიკოსები, არაფერს ამბობს „ქართლის მატიაწეში“ მოხსენებულ „ტფილელ ბერთა“ შესახებ. მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ თბილისში, რადგან ამორის უფლება და ღირსება დამცირებული იყო, უწყესობა და აღრევა სუფევდაო.

ლოვანი ცნობა, რომ მეფის ჯარმა „გაუქვლიტა ქართველი მცხოვრებნი, რომელთაც სჯული ჰგმეს და მაჰმადიანობა მიიღეს, დასწვა იმათი მიზგითი და ბევრი დაატყვევა. შიშისა და კრძალვის დასანერგავად, ხუთასი ურწმუნო ჩამოკიდეს სახრზობელზეო“. 71 იგი ამ განცხადების წყაროდ სომეხ ისტორიკოსის ვარდანის შრომას მიუთითებს, მაგრამ სინამდვილეში ვარდანის არაფერს ამბობს ქართველი მოსახლეობის დასჯის შესახებ. ისე კი აღნიშნავს, რომ თბილისის აღების დროს დავითმა ხუთასი ეაცი სახრზობელაზე ჩამოჰკიდაო. დავით აღმაშენებელმა შეიძლება მართლაც დასაჯა ქართველი მოსახლეობა, მაგრამ ამის მიზეზი არ უნდა ყოფილიყო „სჯულის“ დავაობა და „მაჰმადიანობის მიღება“, როგორც ეს ურბნელსა აქვს აღნიშნული. როცა თბილისელი მოსახლეობა საქართველოს მეფის წინააღმდეგ იბრძოდა, როგორც ჩანს, „გადაამწყვეტი როლი ეკუთვნოდა დამოკიდებული თვითმმართველობის შენარჩუნებისა და არა ქალაქის მუსულმანური ან რომელიმე სხვა მოსახლეობის ინტერესებს“. 72 ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ქართველი მოსახლეობის ნაწილიც გამოვიდოდა მეფის წინააღმდეგ და, ბუნებრივია, დავით აღმაშენებელი მათაც დასჯიდა. უნდა ვიფიქროთ, რომ უფრო მკაცრად დასჯიდა, ვიდრე მაჰმადიანებს.

ასეთია დავით აღმაშენებლისდროინდელი საქართველოს სამეფოს საშინაო და სავარეო პოლიტიკის შესახებ ნ. ურბნელის ზოგიერთი შეხედულება.

71 იქვე, გვ. 68.

72 შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, 1962 წ., თბილისი, გვ. 91.

ღეიღა პეპეძე

ქართული თემა უზარბაიჯანულ საბჭოთა კოეზიკში

ხალხთა მეგობრობის იდეებით მდიდარია აზერბაიჯანული საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც შემოქმედებითად აგრძელებს თავის სახელოვან ტრადიციას. ეს ტრადიცია მას ჯერ კიდევ ასეული წლების წინათ მოღვაწე ძველი მწერლების ბრწყინვალე კლასიკოსებმა — ნიზამი განჯელმა და ხაყანიმ უანდერძა. განა ნიზამი არ იყო, საქართველოს „სამოთხის ბადალ მიწას“ რომ უწოდებდა, ხოლო ხაყანისათვის თბილისი ისევე მშობლიური იყო, როგორც შირვანი. ისინი დიდი სიყვარულით აღწერდნენ საქართველოს სილამაზეს, მისი ხალხის ზნეობრივსა თუ სულიერ სიმდიდრეს.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ნიზამის გვიანდელი თანამედროვე შოთა რუსთაველი თავის უკვდავ პოემაში ნიზამის გმირთა სახელებს იხსენებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნიზამის პერსონაჟები ნაცნობი და ახლობელი იყო ქართველი მკითხველისათვის. როგორც აწ განსვენებული აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე გადმოგვცემს, „ჩვენში «გეფისტეაოსისსა» და «როსტომიანის» შემდგე ყველაზე პოპულარულ ნაწარმოებად ნიზამი განჯელის პოემა «ზარამგურაიანი» ითვლებოდა.¹

ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიაში მე-19 საუკუნე და განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისი, ძალიან დიდ როლს თამაშობს. ამ პერიოდში ჩვენს ხალხებს შორის არსებელი კულტურული კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა შინაარსობრივად და ზოგიერთ შემთხვევაში რევოლუციური ხასიათიც კი მიიღო. ხოლო საბჭოთა წყობილების პირველი დღეებიდანვე ამ ორი — ტერიტორიულად მა-

ხლობელი, ეკონომიურად და პოლიტიკურად ერთ ბედ ქვეშ მყოფი და ერთნაირ სულიერ კულტურას ზიარებული — აზერბაიჯანელთა და ქართველთა მეგობრობა უფრო გაღრმავდა და განმტკიცდა.

საბჭოთა წყობილების წლებში აზერბაიჯანელმა მწერლებმა „საქართველოს“ თემა წინა პლანზე წამოსწიეს და თავიანთი მხატვრული შემოქმედების ცენტრში დააყენეს.

საინტერესოა ის ამბავი, რომ აზერბაიჯანელ მწერალთა შორის იშვიათად შეგხვდებათ ისეთი სახელი, რომელსაც ამა თუ იმ სახით კავშირი არ ჰქონდეს საქართველოსთან, მის ხალხთან, მის ლიტერატურასა და კულტურასთან.

ამ წერილში საუბარი გვექნება, კერძოდ, სამედ ვურლუნის შემოქმედებაზე. სამედ ვურლუნის შემოქმედებაში ეს თემა განსაკუთრებული სიძლიერით ელერს. როგორც კუმშართი საბჭოთა პოეტი იგი დიდ ადვილს უთმობს მოძმე ერის ყოფა-ცხოვრებას, ისტორიას, მისწრაფებებსა და ოცნებებს და დიდი პოეტური აღმაფრენით უმღერის მას.

1929 წელს სამედ ვურლუნმა დაწერა ლექსი „მდინარე მტკვარი“, სადაც გადმოგვცემს არა მარტო ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების სულიერ სიახლოვეს, არამედ მათი მიწა-წყლის, მათი ბუნების საოცარ მსგავსებასაც. „მდინარე მტკვარი, — ამბობს პოეტი, — ამშვენებს არა მარტო აზერბაიჯანს და რწყავს მის ველ-მინდვრებს, არამედ იგი საქართველოს სილამაზეცაა“.²

ანალოგიური მოტივი გვხვდება პოეტის მეორე ლექსში „ბელადის სამშობლო“. ეს ლექსი მიძღვნილია ქალაქ გორისადმი, სადაც დაიბადა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. და ჭაქა ნახსენებია მდინარე მტკვარი, რომელიც საქა-

¹ კ. კეკელიძე — ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ.1. გვ. 192—193.

² С. Вурлун, «Берлери, I-чи шилд.1960, Б. стр. 57.

რთველის ისტორიული წარსულის უტყუარი მოწმეა.

ლექსში გამოყვანილია მრავალჭირგადანახადი ქართველი ხალხი, რომელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. „მამაკი ქართველები, რომელთაც პირზე ძმობა, სიყვარული და თავისუფლება ეკრათ, ტარეილივით ცხენებზე შემსხდარნი, საუკუნეთა მანძილზე. გმირულად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ. მთებზე კი კანკალებდნენ მათი შოშით. ბოლოს გორს შეუსრულდა დიდი ხნის ოცნება“.³

ლექსი „იოლდაშ, პინჯარი, ამხანაგო“ დაწერილია 1931 წელს. ამ ლექსში პოეტი თავის პოლიტიკურ პოზიციას მხატვრული ენით გადმოგვცემს და ყოველგვარი ეროვნული შეზღუდულობის წინააღმდეგ ილაშქრებს. იგი ხმას იმაღლებს საკუთარი იდეალის — მილიონობით საბჭოთა აღამიანის იდეალის დასაცავად. პოეტი სამი ერის ძმობასა და მეგობრობაში სწორედ ამ იდეალის განხორციელებას ხედავს.

სამედ ვერლუნის შემდეგდროინდელი ნაწარმოებებიდან ნათლად ჩანს, რომ პოეტის შემოქმედებაში ეს მოტივები შემთხვევითი ხასიათის არ ატარებდა, არამედ ორგანულად იყო შეაწყმული მთელ მის ლიტერატურულ მოღვაწეობასთან.

ბიესა „ვაგიფი“ სამედ ვერლუნის პოეტურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ვისადმი მიძღვნილი ეს პიესა?

ვაგიფი იყო მე-18 საუკუნის აზერბაიჯანის ერთ-ერთი გამოჩენილი პოეტი. უარყისად განათლებული, თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე და სწავლული. ამის გამო ხალხში ასე ამბობდნენ: ყველა, ვინც სწავლობს, მოლა ფანაი ვერ იქნებაო. პოეტმა ფსევდონიმდაც ვაგიფი („მცოდნე“) აირჩია.

აზერბაიჯანულ ლიტერატურაში ვაგიფის სახელი მოიხსენება ნიხამი განჯელისა და მუჰამედ ფუშულის შემდეგ. ვაგიფი ძირითადად ცხოვრობდა ყარაბაღის ქალაქ შუშაში. იგი, განათლების ჰოროზონტისა და ცხოვრების დიდი გამოცდილების გამო, იბრაჰიმ ხანმა ყარაბაღში მრჩევლად მიიწვია. სახელმწიფო საქმეებში ვაგიფს დიდი ნიჭი გამოუჩენია. ცნობილი აზერბაიჯანელი მკვლევარი პროფესორი აზიზ შარიფი წერს: „სავარაუდო პოლიტიკის დარგში ვაგიფს ეკუთვნის სამხედრო თავდაცვითი კავშირის ინიციატივა მუშობელ სახანოებთან და საქართველოს მეფესთან, ერეკლე მეორესთან.“⁴

ვაგიფის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესახებ აი, რას ამბობს აზერბაიჯანის სახალხო პოეტი სამედ ვერლუნე:

«Вагиф, крупный политический деятель и дипломат сделал много для народа в его борьбе за счастье, за свободу. Память о нем хранится в сердцах, народ горячо любит своего великого поэта-патриота»⁵.

როცა პირსისხლიანი აღამაჰმად-ხანი აზერბაიჯანის დასაპყრობად წამოვიდა და თორმეტათასიანი ჯარით სწორედ ყარაბაღის ქალაქ შუშას შემოესია და აიღო იგი, იბრაჰიმ ხალილ-ხანს ქალაქი უკვე ყარაგ ხნის დატოვებული ჰქონდა. მტერს ხანის ვეზირი შერჩა ხელთ. იგი შეიპყრეს და სიყვლილი მიუსხვეს. ვაგიფის დასჯის წინა დღეს აღამაჰმად-ხანი მოკლეს. ხალხში ვაგიფელებული თქმულების მიხედვით, ყაჩაღის მკვლელობაში სამი კაცი ერია, ერთი მათგანი ქართველი იყო.

შაჰის სიყვლილით გახარებულმა ვაგიფმა იბრაჰიმ-ხანს გუგუის ხელით საიდუმლო წერილი გაუგზავნა, რომელშიც ამ სასიხარულო ამბავს სწერდა. მაგრამ გუგუი შეიპყრეს და შუშაში ძალაუფლება ხელთ იგდო ხანის ნათესავმა მუჰამედ-ბეგ ჯეჰანშირმა. მისი ბრძანებით ყოფილი ხანის ერთგული ვეზირი ვაგიფი შვილთან ერთად კლდეზე გადაჩეხეს. პოეტის სახელიც ცეცხლს მისცეს და მისი ნაწერებიც ნაცრად აქციეს. ვაგიფი ხშირი სტუმარი ყოფილა საქართველოსი. და ვაგიფის მიერ საქართველოზე დაწერილ ლექსებში არ შეიძლება არ დავინახოთ პოეტის გულწრფელი სიყვარული ამ ქვეყნისადმი.⁶ ვაგიფის კეთილსამყოფელი განწყობილება ჩანს საქართველოს სამეფო კარისა და თვით მეფე ერეკლესადმი. ერეკლე უწოდებს „მსოფლიოს თავს“, „მადალსა და დიდებულს“. ვაგიფს ცალკე ლექსი უძღვნია ერეკლე მეფის ვაჟის — ლევან ბატონიშვილისათვის.

ამ ლექსის მიძღვნა ლევან ბატონიშვილისადმი შემთხვევითი არ ყოფილა, — წერს დილარა ალიევა, — ენობილია, რომ ერეკლე მეორეს ვარდუვალ აუცილებლობად მიაჩნია რუსეთთან კავშირი. რის შედეგად ქვეყნის ეკონომიურსა და კულტურულ აყვავებას ელოდა. რუსულ ორიენტაციას მხურვალედ უჭერდა მხარს ლევან ბატონიშვილიც.

ვაგიფი სხვა ლექსებში ღიად ადგილს უთმობს

⁵ აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ფონდი. სამედ ვერლუნის არქივი — 46. ინვ. Nr — 18 (93). გვ. 1.

⁶ კ. ფალავა — აზერბაიჯანული და ქართული კულტურული ურთიერთობისათვის. თბილისი 1966. გვ. 132.

ლილია ერაძე

პარტული თემა აზერბაიჯანულ საბჭოთა კონკრეტში

³ იქვე, გვ. 281.

⁴ ვ ა გ ი ფ ი. 1968. თბილისი, გვ. 6.

სასიყვარულო თემატიკას, რომელიც თავისუფალია რელიგიური დოგმებისაგან. ქართული ქალის სილამაზეს მან არა ერთი და ორი ლექსი უძღვნა. ვაგიფის პოეზია სწორედ იმით არის საყურადღებო, რომ სპარსული პოეზიისაგან თავისუფალ მის ლექსებში რეალიზმის ელემენტები უხვად ივსოება.

აი, ვინ იყო ვაგიფი, რომლისადმი მიძღვნილია სამედ ვურლუნის დრამატული პიესა. ავტორმა პიესაში გამოჰყო შთამბეჭდავი, საინტერესო და მხატვრულად ამაღლებული სცენები, რომლებიც ქართულად, სომეხი და აზერბაიჯანული ხალხის მეგობრობას ეხება. „ვაგიფში“ ამ სამი ერის ბრძოლამ საერთო მტრის — აღამაჰმად-ხანის წინააღმდეგ თავისებური გამოხატულება პოვა.

აი, რას ამბობს თვითონ ავტორი ამის შესახებ:

«В пьесе показана объединенная борьба кавказских народов — азербайджанцев, армян, грузин, курдов против общего врага шаха Каджара. Этим я хочу показать, что братство и дружба наших народов имеют свои многовековые традиции»⁷.

სამედ ვურლუნი ისტორიული ფაქტების მიმართ დიდ ყურადღებას იჩენს. პიესაში ყველა მოქმედება ისტორიულ სინამდვილესთან შესაბამის ვითარებაში მიმდინარეობს. პოეტი ამბობს:

«Мы должны выявить нашу историю, но историю надо выявить с точки зрения сегодняшнего дня. Кто не любит сегодняшний день, тот не сможет выявить прогрессивную роль Вагифа»⁸.

ვაგიფი იყო თავისი ერის დიდი პატრიოტი. იგი, როგორც შორსმკვრეტელი სახელმწიფო მოღვაწე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მათ ძლიერებაზე დიდ იმედებს ამყარებდა. ვაგიფი მთელი თავისი არსებით ხალხთან იყო დაკავშირებული. და თავის ძალასა და აღმაფრენისაც ხალხისაგანღებულადა.

პიესა „ვაგიფში“ განვითარებული ისტორიული ვითარება და გამოყვანილი ხალხი დანახტულია კონკრეტულ-ცხოვრებისეული შტრახებით, თვისებებით, ინდივიდუალური თავისებურებებით. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს პოეტის მიერ გამოყვანილი ქართველი პერსონაჟები.

მწერალმა მეჭოტი ჰუსეინმა ამ პიესას სრულიად სამართლიანად უწოდა პეროიკული ეპო-

7 სამედ ვურლუნის არქივი — 46. ინვ. № 18(93).

8 იქვე.

პეა. ეს აზრი გაიზიარა კრიტიკოსმა ბაჰტიარ ვაზაზადემ. იგი წერს:

«М. Гусейн справедливо называет «Вагиф» героическим дастаном». Справедливо, потому что героиня — та основа, на которой строится драматургия пьесы, потому что героичность составляет суть характеров положительных героев пьесы»⁹.

მერე და ვინ არიან პიესის დადებითი გმირები? — ვაგიფი, ვიღაღი, ელდარი, ქუთუბი მუსა, სომეხი არშაკი, ქართველები — შალიკო და თამარი, — რომლებიც ერთი მიზნით გაერთიანებულან და ერთ უძლიველ ძალას წარმოადგენენ. ხალხი კი, — იცის ავტორმა, — ხმა ღვთისა და ხმა ერისაა, აუღებელი ციხე-სიმაგრეა; ხალხია გაღამწყვეტი და აქტიური, ყოველგვარ ზღუდეთა დამანგრეველი ძალა.

შალიკო ელდარის გაცნობის მერე მიემგზავრება საქართველოში და რამდენიმე დღის შემდეგ დიდი რაზმით ბრუნდება უკან დასახმარებლად. ელდარი დიდი აღფრთოვანებით ხვდება შალიკოს და ასე მიმართავს ქართულ რაზმს:

ძვირფასო ძმებო! ეს მთები ჩვენიცაა და თქვენიც,

ჩვენი ხალხის სახელით მოგესალმებით! თქვენს თავისუფლებსმოყვარე სულს ამ მთებზე უმტკიცესი ძალა აქვს.

დაე, ეს იცოდეს მუჰამედ-შაჰ-ყაჯარმა¹⁰.

თამარი თავის აზერბაიჯანელ მეგობრებს გულისტკივლით უყვება აღამაჰმად-ხანის მიერ თბილისის აწიოკების ამბებს. შალიკოც აღასტურებს მის სიტყვებს:

— ყველაფერი მართალია, ძმო, მეც იმ დროს ვიყავი ტფილისში, მეგონა გაცოფებული მგელი დარბოდა და ყველას შესაჰმელად არ ინდობდა.

მასოსეს: ცეცხლი ეკადა ქუჩებში... ყველგან ცეცხლი, ცეცხლი...

იწვოდნენ ბავშვები, იწვოდნენ ქალები მკერდზემკრული ჩვილი ბავშვებით, ბრღვენივადნენ ცხენები, რადგან თვით ღვამიწა კვენსოდა და კანკალდდა. ო, რომ შემეძლოს ყაჯარის მოკლა. არავის დაუთმობდი, ჩემი ხელით გამოვლადრავდი ყელს!¹¹

— ნუ დარდობ, ძმო, გველს გავსრესთ¹², — ამშვიდებს ელდარი ქართველ მეგობარს.

⁹ Бахтияр Вахабадзе, әсәрләри Б. 1964, стр. 126.

¹⁰ Сәмәд Вургун. Драм әсәрләри. Азәрнәшр. 1955, сәһ. 109.

¹¹ იქვე. გვ. 110.

¹² იქვე.



პიესაში მოცემულია სამხედრო თანამშრომლობა ქართველებს, აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის, მათი განუყოფელი მეგობრობა და ერთიანობა ათასი ჯურის მომხდურთან წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაშაქი მებრძოლები, რომლებიც პიესაში ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესების დამცველად გვევლინებიან, შესვენებების დროს კითხულობენ ვაგიფის ლექსებს, რუსთაველის პოემასა და საიათნოვას გოშუმებს. ამ სხვადასხვა ეროვნების ხალხთა სტუდენტური ნათესაობა აქედანაც ნათლად ჩანს. ისინი შეერთებული ძალით ამარცხებენ აღამაჰმად-ხანს. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ყარაბაღის ხანის ვეზირს — ვაგიფს. ეს ძვირად დაუჯდება პატრიოტ პოეტს, — საშინელ განსაცდელში ვარდება. შალიკო ვაგიფის გაჭირვებას ვაგიფებს და ელდარის არმიასთან ერთად მის დასახმარებლად მიეშურება. ამ სცენას სრული დამაჯერებლობა ახლავს. ქემშარიტად ქართველი კაცი (ამ შემთხვევაში შალიკო) თავს არ დაზოგავდა საქართველოზე შეყვარებული აზერბაიჯანელი პოეტის დასახსნელად, როგორც კრიტიკოსი ვასიმ გასიმზადე წერს:

«Из произведений самого поэта известно, какой глубокой любовью пользовался Вагиф у грузин и как дружески он в свою очередь относился к ним. Он с большим восхищением говорил в своих стихах о передовых людях Грузии, о людях тифлиса, разума, о красавицах Тифлиса, о прекрасной природе соседнего края»¹³.

თეითონ სამედ ვურლუნი ამბობს ვაგიფზე: «Немного опередивший свое время, был решительным противником мусульманского фанатизма... Он воспевал земное счастье и земную красоту»¹⁴.

ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ხომ ვაგიფი ამგვარი გრძნობებით არ უმღერებდა ეკლესიიდან გამოსულ ქართველ მზეთუნახავს:

ვით მზე ნათელი, ახლილი სახით
ეკლესიიდან გამოდის იგი,
სხივებით ჰმოსავს ქვეყანას, ოდეს
ეკლესიიდან გამოდის იგი.¹⁵

ვაგიფი დაიღუპა, მაგრამ მისმა ხალხმა მთელი ამიერკავკასიის ერებთან ერთად იზეიმა აღამაჰმად-ხანზე გამარჯვება.

სამედ ვურლუნი აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხის ერთობასა და მათ პოლიტიკურ ინტერესებზე ბევრს წერდა. მაგალითად, სტატიაში „ჩვენი ფიცი“, რომელიც დიდი სამამულო ომის პერიოდშია დაწერილი, პოეტი მოგვიხსობს ამიერკავკასიის ხალხთა ერთობლივ ბრძოლაზე გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, მათ გამოულ თავფანჯირვას, მათ მხნეობას:

«Мы сегодня стоим лицом к лицу против нашего общего врага германского фашизма. Пусть бессмертные образы наших великих предков Тариела, Сасунского Давида, Бабек и Кероглы снова воскреснут в наши памяти».

სამედ ვურლუნმა აზერბაიჯანული ლიტერატურა ისტორიული თემატიკით გაამდიდრა. მისი მეორე პიესა „ხანლარიც“ ისტორიულ თემაზეა აგებული. აქაც ავტორი ჩვეული ოსტატობით ეკლავ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას უმღერის და ვეიჩვენებს მათ ერთიან ბრძოლას კომუნისტების ხელშეწყობით ძველი სამყაროს წინააღმდეგ. პიესაში ვითარდება ის პერიოდი, როცა ი. ბ. სტალინი ბაქოელ მუშათა რევოლუციურ მოძრაობას უღდა სათავეში. თვით სტალინი დიდად აღესმადა ქალაქ ბაქოში გატარებულ წლებს და ამბობდა:

«Там, в Баку, я получил, таким образом, второе свое боевое революционное крещение»¹⁶.

სამედ ვურლუნმა კვლავ ასე მიმართავს ბაქოელ მუშებს:

«დაეანგრიოთ ძველი სამყარო და მის ადგილას ახალი ავაშენოთ!»¹⁷

ეს ის პერიოდი იყო, როცა ცარიზმი მოწინავე რევოლუციურ იდეებს ახშობდა და ერთა შორის მტრობას აღვივებდა. ბოლშევიკებმა საჭიროდ მიიჩნიეს აემდღებინათ მასებში საზოგადოებრივი შეგნება, გაეღვივებინათ პატრიოტიზმის გრძნობა და შეეიარაღებინათ მოწინავე იდეებით. ამ მიზნით კვლავ ასე ეუბნება ხანლარს:

ბეჭდვითი სიტყვა მუშებისათვის იარაღია,
მისგან თელი ეხილებათ,
ყოველი ნაწარმოები ხმალზე უფრო ჭრის,
ხანლარ, ეცადეთ, მუშებმა იყიონ
გაზეთი „ბაქინსკი რაბოჩი“.¹⁸

¹⁶ И. В. Сталин — Краткая биография. М., 1948, Госполит., 47 გვ.

¹⁷ Самед Вурлун. Драм әсарлары. 1955, Бақы.

¹⁸ იქვე.

¹³ Гасым Гасым-заде — Дружба народов в азербайджанской советской литературе. Баку, 1963, 26 стр.

¹⁴ С. Вургун. Газ. «Бакинский рабочий», 1938, 11/II.

¹⁵ ვაგიფი. ო. ლექსები. თბილისი. 1968. გვ. 37. კ. ჭიქინაძის თარგმანი.

ლილია პრაპო
კართული თემა აზერბაიჯანულ საბჭოთა პოეზიაში



პროლეტარიატის, მუშათა საპირისპიროდ იდგა მეტად საშიში მტერი მენშევიკებისა და კაპიტალისტების სახით. მიუხედავად ამისა, ლენინის იდეებით შეიარაღებული მუშათა კლასის სული არ ეცემოდა, პირიქით, ეზადებოდა გაღამწყვეტი ბრძოლისათვის თავისი კლასობრივი მტრის წინააღმდეგ. ავტორი კობას პირით ასე გამოსთქვამს ამას:

აი, ეს არის ლენინი! (ჯიბიდან წიგნს იღებს)

წაიკითხე და კმაყოფილი დარჩები, ვისაც ლენინი უყვარს, აი, ეს წაიკითხოს!

მისი სული მზეზე უფრო სუფთაა. იგია ბოლშევიკების ბრძენი ბელადი.¹⁹

პეისა „ხანლარი“ ძმობის იდეით არის შთაგონებული. ნაწარმოების დადებითი გმირები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები არიან: ხანლარი, ვანაი, შაუმიანი, ასლანი, მეპრიზანი და სხვები. ისინი ერთი საერთო იდეის განხორციელებისათვის იბრძვიან.

სამედ ვურლენის შემოქმედებაში ქართულ თემას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. პოეტი თავისი ცხოვრების ბოლო დრომდე მშობლივად იყო დაკავშირებული ქართველ პოეტებთან, ლიტერატურებთან.

ჯერ კიდევ 1937 წელს დიდი სიყვარულით თარგმნა უკვდავი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (ერთი ნაწილი). აკადემიკოს კორნელი კეკელიძის აზრით, ნათარგმნი თხზულებები შემთხვევით და უმიზეზოდ როდი ჩნდებიან ამა თუ იმ ლიტერატურაში, ისინი გამოწვეული არიან იმ სოციალური და კულტურული-ისტორიული მოთხოვნებისაგან, რომელთაც აყენებს აზროვნების ავტომატური მიმდინარეობა. ...ერთი სიტყვით, თარგმნება ის, რაზედაც აუცილებელი მოთხოვნილებაა.²⁰

და ეს მართლაც ასეა. აზერბაიჯანის საზოგადოებრიობაში დიდი ინტერესი იყო აღძრული პოემა „ვეფხისტყაოსნისადმი“. იგი ნაწილობრივ მანამდეც იყო თარგმნილი სხვადასხვა პოეტების მიერ, მაგრამ სამედ ვურლენის, სულეიმან რუსთაისა და მამედ რაჰიმის მიერ შესრულებული თარგმანი უფრო სრულყოფილია. თარგმანი ძალიან ახლოს დგას ორიგინალთან; დაუტოვია მარცხელთა რაოდენობა, რიტმი, შინაგანი მუსიკალობა. მთარგმნელები დიდი პატივისცემით მოპყრობიან გენიალური ავტორის ქმნილებას და დიდი სიყვარულით უთარგმნიან იგი.

¹⁹ Сәмәд Вурғун. Драм әсәрләр. Бақы. 1955. сәһ. 180-181.

²⁰ კ. კეკელიძე — ერთდღები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. 1. გვ. 135.

სამედ ვურლენმა ეს საერთო სიყვარული ასე გამოხატა:

«Работа над переводов дала мне не только духовное удовлетворение в что-то более мощное, над чем надо думать, много работать»²¹.

სამედ ვურლენი, სხვა მთარგმნელებთან ერთად, სიყვარულით თარგმანისათვის საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის სიკვლით დაჯილდოვდა.

თბილისში გამართულ შოთა რუსთაველის იუბილევ ჩამოსულ აზერბაიჯანელ მწერართა შორის იყო პოეტი სამედ ვურლენიც. სიუბილევო პლენუმზე აზერბაიჯანელი მწერლების სახელით გამოვიდა ს. ვურლენი და დღევანდელი მთელი ქართველი ხალხს, რომელმაც მსოფლიოს მისცა დიდი რუსთაველი. პოეტის ეს გამოსვლა დაიბეჭდა ვაზეთ „ზარია ვოსტოკში“ სათაურით „რუსთაველის პოემის ძალა მის ხალხურობაშია“.²²

ამ წერილში სამედ ვურლენი იხსენიებს ჩვენი ერების ისტორიულ წარსულს. ჩვენი წინაპრების ბრძოლებს საერთო მტრის წინააღმდეგ, პოეტი ფართოდ აშუქებს მსოფლიო ლიტერატურის არეაზე რუსთაველის როლსა და მნიშვნელობას და ხაზგასმით ამბობს: „პოემის ძალა მის ხალხურობაშია“. იგი, როგორც ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი მთარგმნელთაგანა სიამაყით აცხადებს:

«Я счастлив, что сегодня, с этой трибуны выступаю и говорю словами моего сердца не только как поэт Самед Вурғун, но и как один из переводчиков русского языка на Азербайджанский язык!»²³.

სამედ ვურლენმა საბჭოთა მწერლების მეორე ყროლობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ხაზი გაუსვა რა ლექსი კლასიკური ტრადიციების გამოყენების, რეალისტური მიმართულებაში რომანტიკული თვისებებით გამდიდრების პრობლემებს, ნიზამის ნაწარმოებთა გვერდით მოიხსენია „ვეფხისტყაოსანი“, რომლის პოპულარიზების ერთ-ერთ მიზეზად „მართალი ცხოვრების“ რომანტიკული ფორმით გადმოცემა“ მიიჩნია.

სამედ ვურლენის არქივში, რომელიც აზერბაიჯანის სსრ ზღაწაწერთა რესპუბლიკურ ფონდში ინახება, მრავალი მასალა გვპირდება, რაც საქართველოსთან და, კერძოდ, ქართველ პოეტებთან სამედ ვურლენის კავშირზე მეტყველებს. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო მასალათაგანია სამედ ვურლენის დღემდე გამოუქვეყნებელი ლექსი „რუსთაველი“.²⁴ ეს ლექსი

²¹ Газ. Заря Востока, 1937, 31/XII.

²² Газ. Заря Востока, 1937, 31/XII, 3 стр.

²³ Газ. Заря Востока, 1937, 31/XII.

²⁴ ხელნაწერთა რესპუბლიკური ფონდი, არქივი — 46. ინვ. № — 80 (15—80).



სი, რომელიც არაბული ზღნაწერია, პოეტის არც ერთ გამოცემაში არ შესულა. სამედ ვურლუნს რუსთაველის შიირის შესატყვისი აზერბაიჯანული ლექსის ფორმა მოუტეხნია, სახელდობრ, ჰეჯა. იგი თითხმეტმარცვლიანია და აზერბაიჯანული ლექსის მეტრთან ყველაზე ახლოს დგას რუსთაველის ლექსთან.

სავარაუდოა, რომ ეს ლექსი დაწერილი უნდა იყოს რუსთაველის იუბილეს წინა დღეებში. და ვფიქრობთ, ავტორმა იგი რომელიმე გამოსვლის დროს წაიკითხა. ლექსი ეტყობა, რომ დაუმთავრებელია. პოეტი უთუოდ ლექსზე მუშაობის გავრძელებას აპირებდა. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ავტორმა სი-ოცხელში არ დაბეჭდა იგი. მაგრამ არ სახითაც კი ლექსი სამედ ვურლუნისათვის დამახასიათებელ იდეურ-მხატვრულ დემონსტრირებას ახდენს და ნათელიყოფს ავტორის დამოკიდებულობას უკვდავი შოთა რუსთაველის მიმართ. მოგვაქვს ეს ლექსი მთლიანად:

შენს სადიდებლად მოსულან, ესაა მათი
მიზანი,
მოსულან შვილნი ხაყანის, შვილნი
დიდებულ ნიზამის.
მთა მთას გასძახის ამყად: ბიირამი
გვაქვს შოთისი,
ბულბულიც გიმდერს, მგოსანო, ყური
მიუგდე ცოტაი.
მეც ხმა ჩამძახის: ადექო, ვიდრე არ
არის გვიანი,
აქე უკვდავი პოეტი მორკმული,
განგებიანი.
ო, რუსთაველო, ხელთა გავქვს შენი
კალამი ფრთიანი,
გამმოაფრქვეი გულიდან სიმღერა
იმედიანი.
შენ ერთ დროს კმუნვით გასცქერიდი
მშობლიურ საქართველოსა,
ნისლი ბურავდა, პატრონი ხმლითაც
ველარას შველოდა.
ცრემლად დნებოდა ქვეყანა, იყო
მომხდურთა კაკანი,
ჩვენ წინაპარი არ გვყავდა ბედოვლათი
და ჯაზანი.
იყო შეკედომბა... ნიადგ იყო ხმალ-შუბლის
ტრიალი,
მტერს ზურგზე ბოლი ვადინეთ,
დავფლითეთ ოხერტიალი.
ჩვენთა წინაპართ გმირობა ზღაპრად
შემორჩა თაობას,
მათგან ვისწავლეთ გმირობა, მხნეობა;
გამბედაობა.
რომ მტერი გავანადგურეთ მძლეობამძლე,
განა უმტური, —
დარჩა წიგნებში ხაყანის, ნიზამისა და
ფუჭულის.

ახლა კი ვხედავ შენს მიწას ქვეულს
წალკობად, ედემად,
როგორ ამალდა, იზარდა, დლითიდლე
როგორ მშვენდება.
ძველი დიდება ატყვიათ ციხე-კოშკსა და
გუმბათებს,
და ახლა ფართო გზაშარას შუქი მათგანაც
უნათებს.
ტაძრებს აღმართულს უკვდავად
ბრძოლების კვალი შთენია,
შენი საშობლოს გმირობა ამ ცივ
ლოდებზე წერია.²⁵

ლექსიდან ნათლად ჩანს ავტორის დამოკიდებულება მსოფლიო გენის — რუსთაველის მიმართ; ჩვენი ერების ისტორიული, მარადმდელვარე წარსულის სურათები; პოეტმა მოძებნა მეტად დამაჭერებელი არგუმენტები ჩვენი ხალხის დღევანდელი, ახლო მეგობრული ურთიერთობის გასაანალიზებლად, დავვისაბუთად, რომ ჯერ კიდევ უძველეს, შორეულ წარსულში ერთი ჭირი და ლხინი ჰქონიათ.

ამ პერიოდიდან მოყოლებული სამედ ვურლუნი რუსთაველის მიმართ დიდ ინტერესს გამოხატავდა. იგი ხშირად მიმართავდა პოემის ამა თუ იმ ადგილის ციტირებას თავისი ზოგიერთი მეცნიერული აზრის დასასაბუთებლად.

სამედ ვურლუნი, როგორც სიტყვის გამოჩენილი ოსტატი და თეორეტიკოსი, ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოციალისტურ რეალიზმში რომანტულ მიმართულებას. პოეტი აღნიშნავდა, რომ ნიზამის პოემებმა („ლეილა და მეჯნუნი“, „ხოსროვი და შირინი“) და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანმა“ ასეთი დიდი პოპულარობა იმითამ მოიხვეჭეს, რომ ამ პოემებში „ცხოვრებისეული სინამდვილე ასახულია რომანტიული ფორმით“.

სამედ ვურლუნმა ეს თავისი ცნობილი გამოთქმა გამოიყენა საბჭოთა მწერლობის მეორე ყრილობაზე წარმოთქმულ მოხსენებაში „პოეზიის ირგვლივ“.

საერთოდ, როცა სამედ ვურლუნი ლაპარაკობდა პოეზიაში ეკლასიკური ტრადიციების გამოყენების, რეალისტურ მიმართულებაში რომანტიული შტრიხებით გამდიდრების პრობლემაზე, ყოველთვის მავალითისათვის მოჰქონდა შოთა რუსთაველის შემოქმედება.

მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც სამედ ვურლუნის არქივში ინახება, არის მოზრდილი სტატია, მიძღვნილი დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ცხოვრების და შემოქმედებისადმი. სტატია რუსული შრი-

25 თარგმანი ჩვენია.

ლილა მარაძე

ქართული თემის აკადემიკოსი საბჭოთა კომუნისტი



ფტით ნაბეჭდი ოცდაერთი გვერდიდა. თავდაპირველად ეს წერილი სამედ ვერტლუნის გამოცხადდა მივიჩნით საგურამოში. მაგრამ ნაშრომის დეტალურად გაცნობისას ვერც ერთი ვერტლუნისეული აზრსაც ვერ აღმოვაჩინეთ. იგი გაუხადეთ მსჯელობის საგნად მთელი აზერბაიჯანელი კრიტიკოსების წინაშე, და საბოლოოდ პირველად აზრზე ხელი ავიღეთ. მაგრამ ვისა დაწერილიც არ უნდა იყოს ეს წერილი, ერთი რამ ცხადია: იგი პოეტისათვის მოძმე ერის ლიტერატურის შესწავლის პირდაპირი წყაროა.

სამედ ვერტლუნის ბოლო ყოფნა საქართველოში 1955 წლის ოქტომბრით თარიღდება. იგი ამ დროს ისწრებოდა მე-18 საუკუნის დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის 250 წლისთავის იუბილეს.

სამედ ვერტლუნი სიტყვით გამოვიდა პოეტის საშობლო საგურამოში. გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ იუწყებოდა: ზეიმი საგურამოში შორს გასცდა ქართულ-ნაციონალური დღესასწაულის ფარგლებს და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობის აღსანიშნავ ზეიმიად იქცა.²⁶

საგურამოში სტუმრებმა ვერ იხილეს პოეტის ნასახლარიც კი, რადგან 1723 წელს თურქთა შემოსევის დროს თბილისი და მისი შემოგარენი, მათ შორის გურამიშვილის სახლიც დაანგურულა.

ასეთი შემთხვევები მთელ ამიერკავკასიას ერთნაირად აწუხებდა. პოეტის ნაწარმოებთა კრებული, რომელიც „დავითიანის“ სახელით არის ცნობილი, მთლიანად საქართველოს ავტენტობის პერიოდს ეხება. „დავითიანი“, ამბოხის პოეტის ვიორჯი ლეონიძე, იმდროინდელი ცხოვრების ნამდვილი ენციკლოპედიაა.²⁷

აღბათ სამედ ვერტლუნმაც ასე ახლოს ამიტომ მიიტანა გულთან დავით გურამიშვილი, აღბათ ამიტომ თარგმნა ასეთი დიდი აღფრთოვანებით მისი „დავითიანი“, რომ მე-18 საუკუნის დასაწყისის აზერბაიჯანი გაახსენა.

«Азербайджанский поэт Самед Вургул пишет в газете о Самеде Вургуле, что наша социалистическая поэзия многим обязана таким великим сынам грузинского народа, как Шота Руставели, Давид Гурамишвили, Николоз Бараташвили, на гениальных творениях которых воспитываются новые литературные силы».²⁸

²⁶ გაზ. „ზარია ვოსტოკა“. 1955 წლის 11 ოქტომბერი.

²⁷ გ. ლ. ო. ნ. ი. ძ. — ცხოვრება და შემოქმედება დავით გურამიშვილისა. თბილისი. 1956. გვ. 7.

²⁸ 1955, Заря Востока, 11/II.

სამედ ვერტლუნის გამოსვლამ დაადასტურა, რომ პოეტი საგანგებოდ მომზადებული რამიშვილის იუბილესათვის და ძირფესვიანად გასცნობია მის შემოქმედებას.

სამედ ვერტლუნს, როგორც თვითონ ამბობს, „დიდი შემოქმედებითი ნათესაობა“ აკავშირებდა პოეტ ვიორჯი ლეონიძესთან. ეს სახალხოვეთილევ უფრო გაღრმავდა და გაფართოვდა ორივე პოეტის პირადი ურთიერთობის შედეგად.

მათი კერძო წერილებიდან ჩანს, რომ ორივეს ერთმანეთის შემოქმედება აინტერესებდათ. ერთი ამგვარი წერილთაგანი აზერბაიჯანელმა მეცლევარმა დილარა ალიევამ გამოაქვეყნა 1964 წელს, ჯერ კიდევ ვიორჯი ლეონიძის სიცოცხლეში.

განმარტებში დ. ალიევა წერს:
«Перед нами одно из писем С. Вургуна, адресованное народному поэту Грузии Г. Леонидзе (переданное им мне лично во время научной сессии АН Грузинской ССР посвященной 40 летию Грузии)».²⁹

როგორც წერილიდან ჩანს, სამედ ვერტლუნს 1951 წელს ეტრნალ „დრუება ნაროდოვის“ № 1-ში წაუთხოვავ ვიორჯი ლეონიძის პოემა „ფორთოხლა“ და ჯერ კიდევ გაუწელებში შთაბეჭდილებით პოემის ავტორისათვის წერილი მიუწერია.

ფორთოხლა ძველი ქართული სახელია ქალისა, რომელსაც მხოლოდ მე-11 საუკუნის ძველებში ვხვდებით. ეს სახელი განუზოგადებია პოეტს და დედის — საშობლოს სიმბოლურ სახედ გაღმქცევია. პოემით აღფრთოვანებული სამედ ვერტლუნი მეგობარ პოეტს სწერს:

«Трудно мне передать в одном письме, какое огромное удовольствие... (ეს ბოლო ორი სიტყვა ზხავასმულია წერილში—ლ. ე.) я получил от твоей поэмы «Портохала»... Ты ее назвал лирической поэмой. Оно так и есть. Но эту прекрасную лирическую поэму я считаю целой эпопеей о том могучем Грузинском народе, который жил веками, трудился и страдал, а в конечном счете завоевал себе бессмертие...».³⁰

შავალ შეკრულ შენს სიცოცხლეს დღეს დაუნთო სხივი ზედა; ცრემლდაუყრელს მე ცრემლს გაყრი, უსახელო ქართლის დედა!..

ამ პოემის წაკითხვისას სამედ ვერტლუნს თავისი ახლობელი და განუყრელი თემა გაახსენა

²⁹ Заря Востока, 1955 г., 11/II.
³⁰ Азербайжан әдәбијјаты мәсәләләри — 1964. Баки, сәһ. 343.



და. მანაც ხომ შშობელი დედის — მაპბუბ ხანუმის მწარე ბედს არა ერთი და ორი ლექსი მიუძღვნა და დედის სახე მთელი მისი შემოქმედების განუყრელ მოტივად აქცია.

სამედ ვურლუნის ეს წერილი შემთხვევითი როდია, პოეტი გიორგი ლეონიძის მარტო მეგობარი კი არა, მისი შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელიც იყო. მუდამ ინტერესით ადევნებდა თვალს მის მიღწევებს და მისი წარმატებებით ხარობდა.

«Я всегда любил твою поэзию за ее мудрость и афористичность (может быть в этом есть у нас творческое родство), но после того, как я прочел твою поэму «Портохала», я стал еще сильнее любить твою поэзию»³¹.

ასევე, სამედ ვურლუნის შემოქმედებითაც დიდად იყენენ დაინტერესებულნი მისი ქართველი მეგობრები.

სიცოცხლის ბოლო თვეებში, როცა სამედ ვურლუნი მოსკოვის საავადმყოფოში იწვა, მასთან სანახავად მივიდა მისი „სურნელოვანი და თავისებური პოეზიით“ მოხიბლული გიორგი ლეონიძე. ეს წერილი, რომელიც სამედ ვურლუნის არქივში მოვიპოვეთ, ნათლად მეტყველებს იმას, თუ რაირც იმოქმედა გ. ლეონიძეზე მეგობრის ავადმყოფობამ.

მოგვაქვს წერილი მთლიანად:

«Милый Самед,

Мой лучший друг и брат!

Весьма опечален во первых тем, что ты лежишь в больнице, а не сидишь с нами в тесном кругу друзей в гостинице «Москва», и еще тем, что меня не пропустили к тебе, очень хотел видеть тебя.

Что с тобой? Разве тигр Ленкорана может болеть? Но ничего, в жизни все

³¹ Азербайжан әдәбијјаты мәсәләләри Баки, 1964, сәһ. 344.

бывает, иногда и тигры болеют. Му-жайсай! Все пройдет и все будет благополучно и твоя «песенная грудь» вновь запоет еще с Большой силой!

Итак, друг, надеюсь, скоро одолеешь больничную кровать и развернем ковер веселья.

— Эй, встань, и загорись, и жги!

Целую много, обнимаю крепко, дорогой друг и брат, мой любимый Самед!

Твой старый друг Гогла Леонидзе»³²

სამედ ვურლუნი მთელი თავისი პოეზიით, მთელი თავისი მოქალაქეობრივი პატრიოტიზმითა და უბრალოებით ხიბლავდა და ატყვევებდა ახლობელსა თუ შორეულს. მთელი მისი ცხოვრება იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორი უნდა იყო, როგორც პოეტი და როგორც აღამიანი.

ქართულმა თემამ სამედ ვურლუნის შემოქმედებაში მეტად საპატიო ადგილი დაიჭირა. ხალხთა მეგობრობის იდეა მთელ მის პოეზიას წითელ ზოლად გასდევს. მისი მოღვაწეობა ამ თვალსაზრისით მისაბამი მაგალთია იქნება შემდგომი თაობებისათვის.

სამედ ვურლუნიც ხომ შემოქმედებითად აკრძელებდა ჩვენი კლასიკოსი პოეტების ნაანდერძე ტრადიციას. ამიტომ წერდა გიორგი ლეონიძე ლექსში „საბჭოთა აზერბაიჯანის პოეტებს“:

ვიმღეროთ, ჩვენში ტკბილად მღეროდნენ დიდი რუსთველი, დიდი ნიზამი.³³

გიორგი ლეონიძისა და სამედ ვურლუნის მეგობრობა საბჭოთა პერიოდის ქართველ და აზერბაიჯანელ მწერალთა მეგობრის ერთი ნათელი ფურცელთაგანია.

³² Аз. ССР Елмләр Академијјасы республика әлјазмалары фонду — архив С. Вургунa — 46, № Г-49 (843).

³³ გიორგი ლეონიძე, რჩეული. 1954. თბილისი, გვ. 95.



პაპი ბაქრაძე

„ცაში ასროლილი ქვები“

(ერთი პროზაულის გამო)

ელდშერ ყიფიანის „ცაში ასროლილი ქვები“ („ცისკარი“, 1970 წ., № 8, 9, 10), ჩემი აზრით, უბირველესად სამი ბერსონაიით იქცევის გამსაკეთებულ ყურადღებას. ესენია ზაალ ანაფარაძე, თენგიზ ანუ თაზო მერკვილაძე და იროდიონ მენაბდე. თვითთელი მთავანის ცალკე დახასიათება და მათი ბუნების ამოცნობა ნათელყოფს რომანის აზრობრივ შინაარსს.

ღვიწყოთ იროდიონ მენაბდე. ვინ არის იროდიონ მენაბდე — ბოროტება თუ მსხვერპელი? ერთი შეხედვით, უადვილო კითხვაა. ცხადია, ბოროტება: მაქინატორი, აფერისტი, უსულულო არამზადა. ვინც ასე ხედავს იროდიონ მენაბდეს, მას თითქოს ამისი საბუთიც აქვს. და რაკი საბუთი აქვს, მაშასადამე, მართალიც არის. მაგრამ რომანში კონტრასტუბებიც არის და ქმნის იროდიონის პირიყენების ორგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. გავეცნოთ ორივე მხარის საბუთებს.

1945 წელს იროდიონი თურმე სამშობიარო საავადმყოფოში მუშაობდა. საავადმყოფოდან მიუტნსნაით „სამეურნეო ნაწილის უფროსთან ერთად სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების გამო“ (IX, 16. რომაული ციფრი აღნიშნავს ყურნალის ნომერს, არაბული — გვერდს). მაგრამ ავტორი იქვე ამბობს, რომ „იროდიონ მენაბდე უფრომს ძალდატანებით ჩაუთრევი ამ დანაშაულებრივ საქმეში“. ე. ი. იროდიონი ინიციატორი არ არის. იგი სხვისი ნების აღმსრულებელია. მას შიში ამოძრავებს.

სხვა დანაშაულიც ჩაუდენია იროდიონს. უმუშევია სამშენებლო ტრესტის ტრანსპორტის განყოფილებაში. აქ იროდიონს ასეთი რამ გაუკეთებია: „მოლაპარაკებია ზაქვისის დარაჯებს, არ დარღვებია მოსალოდნელ მსხვერპლს და გვიან ღამით, რამდენიმე საათით ააშუებინა თურმე კაშხალი, წყალსაცვიდან დაძრულ წყალს

დღმის მშენებლობის მიდამოებში ჩამოტრანია უამრავი სილა... მღვრიე მტკვარმა ჩაიარა, სილა დარჩა, ვითომ თვითმცლელი მანქანების მოტანილი, ინჟინერს კი ფული დარჩა“ (IX, 16). ესეც არ მომხდარა იროდიონის ინიციატოვით. აქაც შეამინეს იროდიონი. საქმის მოთავე მშენებლობის მთავარი ინჟინერია, რომელსაც დუღრთბია მენაბდე. „ინჟინერი მიმხვდარა, რა ადვილი მოსაზელი ცოშიც იყო იროდიონი, რა იოლად შეიძლებოდა მისი ხელით ნარის გლეჯვა. გაუთაზობია კაბინეტში. ცუდად მუშაობო, დუღრწმუნებია. და დამუქრებია, — მოგხსნი და პასუხისგებაშიც მიგეცეო“ (IX, 16). ზაალ ანაფარაძემ იროდიონის დანაშაულს შიში ნაყოფად მიიჩნევს: „იროდიონ მენაბდის მაშინდელი „საქმე“, ჩემი აზრით, უნდა შეიტანონ ფსიქოლოგიის სპეციალურ სახელმძღვანელოში იმის სამგალითოდ, თუ რა ფანტაზიას უღვიძებს ადამიანს უფროსისადმი მონური შიში“ (IX, 16). ამ შემთხვევაშიც იროდიონ მენაბდეს შიში ამოძრავებს.

იროდიონ მენაბდემ დანაშაული ჩაიდინა გეროს პაატა ხერგვიანის წინაშეც. 15-16 წლის ყმაწვილი ოთახში დაამწყვდია. არც სკოლაში უშევებს და არც ეზოში ტოლ-ამხანაგებთან. რატომ გამთავლინა იროდიონმა ესოდენ არადა-მახური თვისება? ისეც შიშის გამო. ერთმა ენაჭარტლა დედაკაცმა ვაიფშეველებელი ასტეხა და ჭორი ვაფრეცულა, პაატა ხერგვიანი ზენდაცემული ბავშვიყო. ეს უხნეობა კი ორი მოზარდის ერთმანეთისაკენ უმწიკლო ლტოლვა ყოფილა. პაატას მოსწონდა და ბავშვურად ეტრფოდა ინგას. ინგას ფილოსტერ ღელას ეს ბალღური ურთიერთობა ქვეყნის დაქვევად მოეჩენა და ყველაფერი აამტუტა. შეიძლებოდა აშარი დედაკაცის ჩაჩხანს არაფერი მოყოლოდა, მაგრამ ინგას დედა მინისტრის ცოლი გახლდათ და მის მოთხოვნებს ზომიზე მტკად გაუ-



წიეს ანგარიში. იროდიონმაც შინ გამოეცტა ბი-
პნი, რომ ინგა აღარსადღეს შეგხედდა. აქ
ბუნებრივად ისმის კითხვა: ჩიიდნდა კი ამას
იროდიონი, ინგა მინისტრის შვილი რომ არ ყო-
ფილიყო? შეიძლება დარწმუნებით ითქვას,
რომ არ ჩაიდნდა. აქაც მენაბდის პირტუტვობა
წედგება შინისა: ვაი თუ სამსახურიდან მომხს-
ნდა და რაღა მეშეუღლება.

იროდიონის ავკაცობის დასადასტურებლად
კიდევ ერთი მასი საქციელის ვახსენება შეიძ-
ლებოდა. მაგრამ აქაც მსხვერპლია იროდიონი.
ერლაც თავგასულმა მოქციეებმა ზაალ ანჭაფა-
რიბე სუფრასზე შიბატიყეს. ღვინით გამოეყეყ-
ჩებულ საზოგადოებაში ქეიფი ზაალს არ მოს-
წონდა და წასვლა მოიწავინა. მოიბიზება უც-
ხოელ სტუმრებთან მავგიანდნება, სირცხვილიაო,
ერთ-ერთი მოქციევეც წასვლის ვუნებაზე და-
დგა: ცხრა საათზე ცოლი ჩამოდის, რომ არ და-
ვხვდეს, მაიმულავსო. თამადა ლხინის ვუნებაზე
იცო. არც ზალი გაუშვა და არც თანამესუფრე.
გამოაყვანა, საათებს პატრონი მოუყვდა, ისრები
უქან ვადანწიეთო. ღვინით გამტყვრალი ამითაც
არ დაიმყოფილდა, ხელიდან საათი მოიხსნა და
ბუჩქებში გადაადგო. ამან მონადიშეთა შორის
ღრდი აღტაცება გამოიწვია და დაიწყა საათე-
ბის წარტყვეფა. საათებს ყანაში ისროდნენ და
უაზროდ ხარხარებდნენ. მოქციეფთა შორის
მხოლოდ ერთი კაცი იჯდა ჩუმად და საათის
გადადგება არ უნდოდა. ეს კაცი იროდიონ
მენაბდე იყო. იროდიონს ენანებოდა ოქროს სა-
ათის დაკარგვა, მაგრამ მაინც გადაადგებინეს.
მერე იროდიონი წამოხტა, ყანაში შევარდა, სა-
ათები მოძებნა, სამი თუ ოთხი საათი მოიტანა
და მავიდაზე დაავლო. საუეთონი საათის ხელზე
გაკეთება უნდოდა, მაგრამ ვაყვებული თამადა
ფეხზე წამოვარდა, იროდიონს საათი გამოვლი-
ჯა და ხეს მოახეთქა. ესეც არ იუმარა: ძირს და-
ვარდნილ დამტვრეულ საათს წიხლი ჩასცხო.
გაოგნებულ იროდიონს კი დაცივიეთ უთხარა: —
ესეც შენი ოქრო, ჩაიდე, ვახარე. „იროდიონა
სახეზე სიმწროის ოფლმა დაასხა, — წერს ედ.
ყვიანი, — მაგრამ მაინც გაუღობა უფროსს“
(IX, 27). ე. ი. იროდიონს არ უნდოდა ველუ-
რობის მონაწილე ყოფილიყო, მაგრამ უფრო-
სის შიშით მაინც ქეიდი მოიღვრეცა.

საერთოდ იროდიონ მენაბდე შიშით ავად-
მყოფი კაცია. მწერალი იროდიონის ერთ უც-
ნაურ თვისებას აღწერს: იგი შიშისაგან სიე-
დება.

ერთხელ მთვრალ იროდიონს პოლიტიკური
ანგვლოტი წამოუყარნტალეზია. ამით უსარ-
გებლია ერთ ავკაცს და იროდიონს დამუ-
ქრები: „თუ მე ხელს დამადებ და, რაც გა-
რაქში მოხდა, ყველაფერს შენ არ დაიბრა-
ლებ, ამ შენს ანგვლოტს, სადაც ჯერ არს, იქ
მოვასმენინებო“. იროდიონს შიშისაგან გული
წასვლია. მაგრამ უქანური რომ შემდეგ მო-
ხდარა.

„ასეთი საოცრება ჯერ არ გვიანხა-
ვსო, ჰყვებოდნენ ექიმები, — იატყაზე გაშ-
ხლართული კაცი ჩვენს თვალწინ სივდებო-
დაო. ჩვენი ყურით გავიგონეთ და თვალით
დავინახეთ, როგორ გასკდა ორ ნაწილად ყე-
ლზე შერტული დილი და იატყაზე აწკრიალ-
დაო“ (X, 35).

ამ თვისების გამო ვერ გაიწვიეს იროდიო-
ნი ჯარში. რამდენჯერაც არ მიხმეს იგი სამ-
ხედრო კომისარიატში, იმდენჯერ შიშისაგან
გასივდა. მერე ექიმებმა დაასვენეს, რომ ესო-
დენ უცნაური ვახსენა ნევროლი შოის მო-
ზუზია და იროდიონი სამხედრო სამსახურ-
საგან გაათვისუფლეს (IX, 15-16).

იროდიონი შიშისაგან მამინაც სივდება,
როცა გამოშვიებელს ელაპარაკება:
„მომიჩვენა, თუ რა იყო, თითქოს სახე წა-
მოუსივდა“.

„სახე ახლა ნამდვილად დასიებული ჰქო-
ნდა, არ მეჩვენებოდა“ (VIII, 9).

იროდიონი მოუსვენრად ცხოვრობს. იგი
ოჯახშიც ვერ გათავისუფლდა შიშისაგან. ეშ-
ინია, ლამაზი ცოლი მყავს და არავინ წამარ-
თვასო.

„იროდიონს ხომ იმისაც ეშინია, ასეთი ლა-
მანი ცოლი რომ ყავს. რამდენჯერ წამოს-
ცდენია სიმთვრალეში: მქონდა მე ამის უფ-
ლებოა?“ (VIII, 22).

ტკობის მავიერ ხელოვნებაც შიშს ჰკვრის.
მარსელ მარსოს „საკანის“ ხილვისას, დამ-
ფრთხალი იროდიონი თეატრიდან გაიპარა
(IX, 41). შეიძლება ვინმე ითქვას, „საკანის“
იროდიონს დანაშაული ვახსენა და იმიტომ
უწუმრად ვილალო. ეგ სულერთია. იროდიონს
არსებამში დასადგურებელი შიშს განაგებს მის
ყოველ საქციელს. ამას ნათლად აღასტურებს
იროდიონის დახასიათება ვიორგი ლანდიას მი-
ერ: „იროდიონს ეშინია, რომ არსებობს ამ
ქვეყანაზე. ჰგონია, ვილაცას თუ ვილაცებს
უშლის ხელს და რადგან ზელს უშლის, ამი-
ტომ ემტრებებიან. არის რაღაც, რაც არსებო-
ბის უფლებას აძლევს ადამიანს, მაგრამ ირო-
დიონმა არ იცის, რა არის ეს! ამიტომ ეშინია,
ვაი, თუ არა მაქვს ცხოვრების, ბედნიერების,
სიყვარულის უფლებებო...“ (VIII, 22). აქ ირო-
დიონის ბუნების არსია გამოხატული.

რამ დაბადა იროდიონში ეს ყოვლისმომ-
ცველი შიში? რა თქმა უნდა, უპირველესად
უნებისყოფობამ. იროდიონი უნებისყოფო კა-
ცია. ამას სხვა პირობაც დარტო. იროდიონის
მშობლები 1937 წელს დაუპატიმრებიათ (1956
წელს გადასახლებაში გარდაცვლილი დედ-მა-
მის რეაბილიტაციის ცნობას იღებს“. (IX, 16).

ბაბაი ბაბრაძე

„ნაში ასაროლილი ჰმადები“



უსიხარულო და მძიმე ბავშვობა ჰქონია იროდიონს. უკვე ერთხელ დამფრთხალი კაცი ტრაქტორი ომის შიშვაც დააბანუნა. მარღვებამილი ტუჟილიდ კი არ ეუბნება გამომძიებელს: „თქვენ არ იცით, რა ხდება დღეს. თქვენ იმასაც არ გრძნობთ, რომ შეიძლება ხვალ, დღეს, ამ წუთშიაც ომი დაიწყოს (IX, 22). ეს არ არის მხოლოდ თვალთმაქცობა, მიუხედავად იმისა, რომ ზაალ ანჭაფარიძემ შეამჩნია, რომ, როცა იროდიონი ამას ამბობდა, მენაბდის ვაფლავული ფეხსაცმელები „უღარღვლად, თავიანთი დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობდნენ“, რამაც ახალგაზრდა გამომძიებელს აფიქრებინა: „იროდიონის აღლევება ყალბი იყო“ (IX, 22). შეიძლება ამ კონკრეტული საუბრის დროს იროდიონის მღვლეთბაში მარალაც ერთი თვალთმაქცობის ელემენტი, მაგრამ საერთოდ ხომ კარგად იცის მკითხველმა, რა დავმართა იროდიონ მენაბდეს მეორე მსოფლიო ომის დროს, როგორ სივდებოდა იგი კომისარიატში ყოველი გამომძიებლისა! მასსადამე, ერთი შეხედვით თვალთმაქცური საქციელი, მაინც იროდიონის შიშით შეპყრობილ ბუნებას გვიხატავს.

პათოლოგიური შიშის წყალობით დეკარგა იროდიონმა ადამიანური სახე. «Чего-то всегда остерегаюсь — остаемся ли мы людьми?» — იკითხა ერთხელ ერთმა რუსმა მწერალმა. და იროდიონიც აღარ არის ადამიანი. ყველა დანაშაული, რაც კი იროდიონს ჩაუდენია, შიშით არის გამოწვეული, რამეთუ ყოველი ზორტების საფუძველია შიში.

თუ რაოდენ დაცლილია იროდიონი ადამიანური თვისებებისაგან, კარგად ჩანს ერთი ეპიზოდიდან.

ერთხელ ახალწლის საღამოს იროდიონს სტუმრად გიორგი ლანდია ჰყოლია. იროდიონს გერე პატა ახალთახალ სათამაშო ავტოს დასტრიონებდა ოთახში. გიორგი ბავშვის გამოლაპარაკებია: რა კარგი მანქანა გქონია, თუ ჩამსვამო. აღტაცებულ ბიჭს დაუკვენია — თოვლის ბაბუამ მომიტანა მანქანაცა და კამფეტებითო. ბავშვის გულუბრყვილო აღტაცება იქვე მოუკლავს იროდიონს.

„— მოგტანა კი არა, ის არ ვინდა? — გაიცინა იროდიონმა, — დედაშენმა გიყიდა გუშინ, მაგრამ დაგიმალა, გაიგე? და როცა ჩაგვძინა, მანდ დასდო, კარის უკან, ღვსის? თოვლის ბაბუს რომ მანქანები მოპქონდეს, რა გვიქირს“ (VIII, 20-21).

ამის გამგონე პატა მწარედ ატირებულა და დედასთან გაქცეულა.

ასე მოუკლა იროდიონმა ბავშვს რომანტიკული რწმენა.

სხვათა შორის, ამ ეპიზოდს ერთი ხარვეზი

აქვს, ხასიათის გამოხატვის სიზუსტის საზრისით.

იროდიონის სიტყვები გიორგი ლანდის გაკვირვება და საყვედურით მიუმართავს მას-პინძლისათვის. იროდიონს თავი უმართლებია: „კაცო, ჩაგონებენ ბავშვს რაღაც სისულელებს და... ამ შეიძლება ეს მისტიკური რაღაცეები. ბავშვმა სინამდვილე უნდა იცოდეს. ეს — კაცი მოვა და ტროტრი წაგყვანს, თუ არ დაიძინეო, რაღა დააძინებს... — ეს მილიციული დაგიქერსო და... და ახლა თოვლის ბაბუსი მოუტანია მანქანა“ (VIII, 21).

აქ უკვე სხვადასხვა საგანზეა ლაპარაკი. ერთია რომანტიკა და მეორეა შიში. ბავშვი უთუოდ უნდა ვიზარდოს რომანტიკით. ეს ცხადია. მაგრამ ისიც ნათელია, რომ არავითარ შემთხვევაში ბავშვს არ უნდა გაეხეცოს შიში. როცა იროდიონი პატას ეუბნება, მანქანა თოვლის პაპას არ მოუტანიაო, იგი რომანტიკას კლავს და, რა თქმა უნდა, დანაშავევა. მაგრამ, როცა წინააღმდეგია ბავშვების შეშინების — ტომარაში ჩავსვამენ, მილიციული წაგყვანისა — აქ იროდიონი მართალია. ერთდროულად, ერთიმეორის გვერდით, ორი ურთიერთგამომრიცხველი აზრი აბნებს მკითხველს. ბაბებს ორგვარ გრძნობას: იროდიონის გაიციხვისას და იროდიონის მომხრეობისას. რა თქმა უნდა, იროდიონს, როგორც წინასწორი რამბადაკარგულ პიროვნებას შეუძლია ორივე აზრი გამოთქვას, იროდიონმა იცის, რა მძიმე სენია შიში და ხანდახან, როცა მასში ადამიანი გაიღვიძებს, პატარა პროტესტს გამოთქვამს. მაგრამ ამავე დროს რომანტიკასაც ებრძვის, რადგან რომანტიკა ასესტებს, ადამიანი ხარო. ეს უკვე აღიზიანებს იროდიონს. ძველ ტიპის უღვიძებს. იროდიონის ბუნების ამ წინააღმდეგობის გამოვლენა სხვადასხვა დროს სხვადასხვა სიტუაციაში შეიძლება მოხდეს და არა ერთდროულად ერთ ეპიზოდში, რაკი ეს ეპიზოდი, ავტორის ჩანაფიქრით, იროდიონის ავკაცობის გამოსახატავად არის დაწერილი და არა მისი გიორგიული ბუნების გამოსაჩენად, ამიტომ მიმაჩნია, რომ ავტორის გასროლილი ისარი აქ მიზანში ზუსტად არ ხვდება.

შიშის პრობლემა ედ. ყიფიანის რომანს გამკლო ხაზად გასდევს.

შიშის გრძნობა თენგივ მერკვილაძეშიც საკმაო დოზით არსებობს. პირველი შეხედვით, ეს აზრი მკითხველს შეიძლება პარადოქსად მოეჩვენოს. მხიარული, უღარდელი ყმაწვილი კაცი. სპორტსმენი, თვდათორმეტკილოგრამიან გირებს ცალი ზელით რომ ათამაშებს, და შიშით შეპყრობილი? მაგრამ თუ დავაკვირდებით, აქ არაფერი უცნაური და პარადოქსული არ არის. მინდა მკითხველმა ერთ ეპიზოდს მიაქციოს ყურადღება. ერთხელ ზაალი მეგობარს ესტუმრა. მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:



„— პითაგორის თეორემის დამტკიცებას მივაგვიწიო!

— რა დამტკიცება უნდა იქნება, ჩაგვხედა გეომეტრიის სახელმძღვანელოში!

თაზოს გაეცინა, როგორც ბავშვის გულბრუსვილობაზე ეციინება ხოლმე.

— სად არის გეომეტრიის სახელმძღვანელო?

— არა გაქვს? მაშინ...

— არ მესმის რეპტა ჩმახვე, ჩაგვხედა წიგნში, რატომ იწვალე?

— აღარ არის წიგნები, აღარაფერი აღარ არის. აღარც შენა ხარ! — გაშლილი თითები თვალებზე ამავარა, თითქოს გამაქრო, — მე ორთქლის ქვაბი უნდა გავაყვით, — განავრძობ მან, თითქოს ერბო-კვერცხის გაკეთებაზე ლაპარაკობდა.

— შენ ოფოფები ხომ არ ააფრინე?

— აი, აქა მაქვს ძველი ქვაბი, — იმავე სევიდიან კილოზე განავრძობ და ხელი სამზარეულოსაკენ გაიშვირა, — ელექტრომიმდინობი ხელსაწყოც მაქვს, ბორბალიც ვიშოვნე. კბილანებიც, კიდეც რა უნდა არ ვიცი, აზრზე არა ვარ („აზრზე არა ვარ“, ცუდი ქართულია — ა. ბ.).

— ფიზიკის წიგნია აზრზე.

— არ მინდა წიგნი, წიგნი აღარ იქნება!

— სად აღარ იქნება, რას ბოდავ?

— აღარც წიგნები იქნება, აღარც სახლები... აი, მაშინ, თუ შეძლებდი ორთქლის ქვაბის გაკეთებას, ეს მინდა გავიყო.

— იცი რა, შენ თუ უკვე გძინავს, რაღაცეები გეისმობრება და მე არ მიმხელ, ძალიან მიქარავ!

— მე მისიზმრება დიდი ომი, ყველა დაიღუბა, ყველაფერი განადგურდა. დავრჩი მარტო მე. სერიოზულად გეუბნები. აი, მაშინ თუ შეძლებ იმის შესწავლას ან გაკეთებას, რაც არ ვიცი, ან ცუდად ვიცი, ეს არის ჩემი ექსპერიმენტი“ (VIII, 42-43).

იქნებ ეს დილაოგი ხუმრობაა და თენგიზ მერკვილაძის პიროვნების ამოსაცნობად ნაკლებმნიშვნელოვანია? არა. ასე იოლად არ არის საქმე. ჯერ ერთი, ყოველ ხუმრობაში არის ჰუმორიტა. ყოველი ხუმრობა რეალურ სინამდვილეს გამოხატავს. მეორეც, მწერალი ამ დილაოგს ასეთი კომენტარებით გადმოგვცემს: „თაზოს გაეცინა, როგორც ბავშვის გულბრუსვილობაზე ეციინება ხოლმე...“, „იმამვე სევიდიან კილოზე განავრძობ...“, „სერიოზულად გეუბნები...“ ეს კი იმას ადასტურებს, რომ გარეგნულად თითქოსდა საოხუნჯო ინტონაციით შეფერილი დილაოგი თენგიზის სულიერ ავთორაქტულობას გადმოგვცემს. თენგიზის იღუმალ შიშს გვამცნობს. რა თქმა უნდა, თენგიზის შიშში და იროდიონის შიში რადიკალურად განსხვავებულია, მაგრამ ნათესაური ელემენტების პოვნაც შეიძლება. ვაიხსენებ, რას ეუბნება იროდიონ მენაბდე ზაალს: „გაიგეთ

თქვენ, რომ პარიზის მოლაპარაკება ჩაიშალა? წაიკითხეთ, რომ ამერიკის თავდაცვის მინისტრმა პარიზიდან ბრძანება გადასცა სამხედრო განგავის მდგომარეობის შესახებ“ (IX, 22). ახლა ისიც მოიგონეთ თენგიზმა რაღა უთხრა ზაალს: „ცუდად არის საქმე. ამხელა ქვეყნის მეთაურები შეიკრიბნენ პარიზში, ათასობით კილომეტრები გადალახეს, რომ მოლაპარაკებოდნენ ერთმანეთს, და ჩაიშალა თითქოს ასეთი რამ არასადეს მომხდარა. ომის სურნი დიდის“ (VIII, 42). რა მსგავსი აზრებია, რა ერთნაირი შეფასებაა მდგომარეობისა, რა ერთნაირი რეაქცია!

საინტერესოა თენგიზ მერკვილაძის ქვეშევრდული შიშის საფუძველი. ამ საფუძველის მიხედვით უფრო არსებითად გავცენით თენგიზის პიროვნებას. ყურადღება უნდა მივაქციოთ დეტალს. თენგიზ მერკვილაძე „თითქმის არ აიკონულობდა მხატვრულ ლიტერატურას, მე მხოლოდ 2x2=4-ს მაინტერესებს, რაც სისტემაშია მოცემული“ (VIII, 37). უყვარს მუსიკა, მაგრამ ეს სიყვარული ზუსტად მეცნიერების სამსახურშია ჩაყენებული: „ფიქრობდა, მუსიკა გამოყენებინა კიბერნეტიკული მანქანების პროგრამათა ენად (VIII, 37). თენგიზ მერკვილაძე ბავშვობისას დაცემულა და ყური დაუზიანებია. ხანგრძლივად მუსიკის მოსმენა აღარ შეუძლია. ყური უწყევს ტკივილს. ამან აფიქრებინა „ისეთი ფორმულის გამოგონება, სასურველ განწყობილებას რომ ჩასაქმებდნენ“ (VIII, 38). ე. ი. ნებით თუ უნებლიეთ, თენგიზ მერკვილაძე ცდილობს თავისუფალი ხელოვნება დაუმორჩილოს მკაცრ სისტემას, ჩასვას მეცნიერული ლოგიკის უმოწყალო ჩარჩოში. ეს კი აბსოლუტურად ცდის ხელოვნების ბუნებას. ხოლო თუ ხელოვნებას ბუნება შეეცვლება, იგი მოკვდება. გამოიწვევს თუ გაუმიზნავად, თენგიზის სურვილი კლავს იმას, რაც თითქოს უყვარს. თუკი ასეა (და ვფიქრობ, რომ ასეა), მაშინ თენგიზის მუსიკისადმი სიყვარული ფიქციაა, მოჩვენებაა. ამასთან ერთად, თენგიზის სურვილი და მისწრაფება მისი სულიერი სილატაკის დადასტურებაა. სულიერად ლატაკი კაცი კი მშვიდარაა. ამდენად, სრულიად ბუნებრივია თენგიზის ფიქრი იმ დღეზე, როცა ქვეყნად აღარაფერი დარჩება და თავად აღამივით პირველი კაცი იქნება. ეს ხუმრობა კი არა, შიშით ძღვეული კაცის დარდაა.

თუ შიშის პრობლემას არ მივიჩნევთ „ცაში ასროლილი ქუდების“ აზრობრივი შინაარსის ღერძად, მაშინ როგორღა დავაკვირებთ ბებიასა და ბიჭის ამბავს რომანის მხატვრულ

აბაკი ბაქრაძე
„ცაში ასროლილი ქუდები“



როგორც კი ტრაგიკული შემთხვევის ნამდვილი არსი შეიტყო, ზაალ ანჯაფარიძემ თავისუფლად ამოისუნთქა.

„პაატას ფეხი დაუცდა... პაატას ერთი წუთითაც გულში არ გაუვლია საყუთარი სიცოცხლის ხელყოფა.

ამ ქვეშარტიტებამ, როგორც ნიქარაში ჩასმულმა მარგალიტმა, თითქოს შიგნიდან გამანათა და ამამსუბუქა. ასე მომეჩვენა, რომ ვიხსენი ჩემი თავი და ჩემი ახლობლები, მძიმე ბრალდება: ვადეარჩინე ჩემი ქალაქი“ (X, 30).

მიუხედავად ასაკობრივი განსხვავებისა, პატროსნებისა და შიშის ერთნაირი შეგრძნება აქვთ ზაალ ანჯაფარიძესა და პაატა ხერგიანს. ამას ადასტურებს შემდეგი ამბავი.

მასწავლებელმა სკოლაში ხუთასი მანეთი დაჰკარგა. ეჭვი პაატას თანაკლასელებზე მიიტანეს. ბავშვები უღანაშულონი იყვნენ, მაგრამ თავის მართლება არაფრით შეეძლოთ. კლასის დამრიგებელი, ავადმყოფი ქალი საავადმყოფოში დააწვინეს. ბავშვებმა ოფიქრეს, ალბათ ჩვენს კლასში მომხდარმა ამბავმა კიდევ უფრო დააძაბუნა და მოტეხა ისედაც ავადმყოფი ქალი და მთლად მოიჭუფრნენ, ანერგიულდნენ და შეშინდნენ. მალე გამოიჩინა, რომ მათემატიკოს მასწავლებელს ფული არ დაუტარავენ. ინციდენტი გაუგებრობის შედეგად მომხდარა. ბავშვებმა გაიხარეს.

„უნდა შეგეხედათ ამ დრის პაატასთვის, თანდათან გაუდიდდა თვალები, თანდათან გაიგისო შექით.

ღრმად ჩაისუნთქა ბავშვმა ჰაერი და სუნთქვა შეეკრა. სიხარულმა შეუკრა ალბათ სუნთქვა და ხმა აღარ ამოაღებია. რაღაც წამოიძახა, რაღაც გატურკვეველი ბგერები... ქუდი მოიძრო თავიდან და ორივე ხელით მაღლა აისროლა“ (IX, 10)

მერე ბიჭი საავადმყოფოში გაიქცა და მომავლად მასწავლებელს თანაკლასელების სიმართლე და პატიოსნება შეატყობინა.

აღმაინი მაინ არის თავისუფალი, პატიოსანი, გაბედული და ვაჟკაცი, როცა შიშს მოიცილებს. ამიტომ ცდილობს პაატა და ზაალიც მჩაგვრელი ვივისივან თავის დახსნას. საკმარისია, ეჭვი გაიფანტოს და დაუბრუნდებთ ნებისყოფის თავისუფლება, მოვლენების სიმართლით განჭვრეტის უნარი. დაუბრუნდებთ სიმშვიდე.

ხშირად ვარემომცველი სამყარო აწინებს აღმაინს. ამ გრძნობებისაგან გასათავისუფლებლად იდეალი სჭირდება, რაც გაუნათებს ცხოვრების გზას. ედ. ყიფიანის რომანში ასეთ იდეალად წარმოდგენილია გოჩა ხერგიანი, პაატას ომში დაღუპული მამა. მწერალმა იგი რომანში ჩართული წერილებით გაგვაცოცხლა. ამ წერილებიდან იტკირება პატიოსანი, უშიშარი, ცოლ-შვილისა და, საერთოდ, აღმაინების მოყვარული ვაჟკაცი. მისი პიროვნება ხიბლავს

არა მარტო პაატა პაატას, არამედ ზაალ ანჯაფარიძესაც და ნი რატიანსაც. მამასადამე, გოჩა ხერგიანის პიროვნებაში მწერალი თავს უყრის ყველაფერს საუკეთესოს, რისკენაც მისი გმირები მიისწრაფიან. მაგრამ, სამწუხაროდ, გოჩა ხერგიანის სახის ხატვისას ავტორს ერთი შეცდომა გაუპარა. დაგუგლოთ ყური რას წერს ედ. ყიფიანი:

„მოულოდნელად გოჩამ მტრის ქვეშეხი გამართა და ობერ-ლიეტენანტს რევოლვერი მკერღზე მიაბჯინა.

— ეს როლუ! — უყვირა გოჩამ და ქვეშეხი მითითა.

გერმანელი ჯერ ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდნენ:

— ეს როლუ! — დაუღრიალა გოჩამ და რევოლვერის ჩახმახი გააქვარუნა.

ობერ-ლიეტენანტს თვალები გადმოეკარკლა. გონს მოეგო, იაზრა, რასაც მოითხოვდნენ მისგან. არტილერიისტი იყო და ხედვებოდა, სითიყო დამიზნებულ ქვეშეხი, თავისივე ხელით თავისიანებისათვის უნდა ესროლა.

— ჩქარა-მეთქი, თორემ ვაგათავე!

უეტრად ობერ-ლიეტენანტმა ელვისებური სისწრაფით საიდნელად იძრო მოკლე დანა და გულში ჩაიკა. ერთხანს კვლავ ფეხზე იდგა, მერე მოველოდით ჩაიკეცა. დანას დააკვდა. გოჩას ხმა არ ამოუღია“ (X, 27, 28).

რა თქმა უნდა, ომში ყველაფერი ხდება. მაგრამ ეს მწერალს არ დაუწერია ომის საშინელებათა სურათის დასახატავად. იგი უფრო გოჩა ხერგიანის პიროვნების გამოსახინად სჭირდება ავტორს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ გოჩას გარკვეულად იდეალის ფუნქცია აქისრია. მაგრამ კონკრეტული საქციელის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ უნდა ვიღიაროთ, რომ გერმანელმა ოფიცერმა აჯობა გოჩას. ომსაც აქვს თავისი ეთიკა. ჯარისკაცს არა აქვს უფლება იყოს ჯალათი. რასაც გოჩა მოითხოვს გერმანელისაგან, ეს ჯალათის მოთხოვნაა, თან შეშინებული ჯალათისა. ამას გერმანელმა ჯარისკაცმა ვაჟკაცობით უპასუხა: რითაც დაჩრდილა გოჩას პიროვნება. ქვეშარტი ვაჟკაცი ის არის, ვისაც მტრის მამაცობის დაფასება შეუძლია. ამ ემიზონდს კორექტივი სჭირდება. მწერლის მიზანს და საშუალება ერთმანეთს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. მხატვრული ამოცანა პარმონიულად უნდა გადაწყვეთს.

შეითვლილი იოლად დანიხავს, რომ ყურადღება რომანის მხოლოდ ერთ მოტივზე გავამახვილო. სხვა საკითხებს არ შევხებივარ. ეს იმიტომ, რომ ჩემი ღრმა რწმენით, იგია რომანის ძირითადი აზრობრივი შინაარსი. ამით არის ელიშვარ აფთხიანის „ცაში ასროლილი ქუდი“ ფასეული და საყურადღებო. აქ არის ყიფიანის მწერალური ხედვის სიახლედ და თავისებურება.

პარლ კომბირიძე

მოდერნიზმის ენციკლოპედია

ამ ათილე წლის წინ თბილისის ეკრანებზე ერთი ფრანგული ფილმი გადიოდა — ველარ გამიხსენებია, რა ერქვა. მართალია, კინო-თეატრის სალაროებთან გრძელი რიგი არ იდგა ხოლმე, არც ვინმე შეპყრებდა ხელეზვი დაგვიანებულ მაყურებელს, იქნებ ზედმეტი ბილეთი აღმოაჩნდესო, მაგრამ არც ისე იყო საქმე, სამასი კაცის ნაცვლად ასი კაცი დაგვედროდათ დარბაზში: ხალხი უფრო იმითომ მიიჩქაროდა ამ ფილმის სანახავად, რომ მთავარ როლს ბრწყინვალედ ასრულებდა სახელგანთქმული ევრარ ფილიპი. ბუნებრივია, ახლა დეტალურად ვეძლარ გავიხსენებ მთელ ფილმს: საფრანგეთის მთებში რაღაც დიდი მშენებლობაა; ალყირელი ბიჭი მიდის და სამუშაოს თხოულობს. მის მისვლამდე მშენებლობაზე უბედურება დატრიალდა, ერთი მუშა დაშავდა თუ დაიღუპა და, აი, ადგილი თავისუფალია და ამ ალყირელს სამუშაოზე იღებენ. გახარებულია ალყირელი: ვიმუშავებ, ფულს დაეგროვებ — სახლს ვიყიდი, მერე ცოლს ვითხოვ, ერთი სიტყვით, მეც ადამიანურად ვიცხოვრებო. ღმერთმა გაიცინა — ქვის სამტრევეის ხეივანში ჩაითრია ალყირელი და ისე თავზარდამცემად დაიღუპა, იმ კადრის გახსენება დღესაც მზარავს... იმავე დღეს იმ მშენებლობაზე სხვა ახალგაზრდა მიდის სამუშაოს სათხოვნელად... რეჟისორი ბევრს, ძალიან ბევრს ვეატანს საფიქრალსა და სადარდელს.

მაშინ პრესამ ფილმის ეს იდეური ხაზი წამოსწია წინ. მე კი ახლაც სულ სხვას ვხედავ ძირითადს: მშენებლობის მთავარი ინჟინერი (მსახიობი ევრარ ფილიპი) გულთ ავადმყოფია; ცნობილია, გულზე ცუდად მოქმედებს მთის ჰავა, ამიტომ ექიმი ურჩევს, დაუყოვნებლივ დატოვოს მთა, სადმე, ბარში გადავიდეს სამუშაოდ. ინჟინერს, როგორც იტყვიან, გული ხე-

ლით უჭირავს, მაგრამ ერთი წუთითაც არ ფიქრობს დაჰყვეს ექიმის კეთილ რჩევას. ისევ მშენებლობაზეა ინჟინერი, ისევ ყოველდღიური საქმიანობა — უმნიშვნელო წვრილმანიც არ რჩება უყურადღებოდ. ერთი წუთით ვერ წახავთ მოცილის, მაგრამ გული ღალატობს, ჰაერი არ ჰყოფნის და ჰიბის ოფლში იწურება, თანდათან სუსტდება — ნაბიჯი ერევა. უყურებ და ნაღველი გეპარება — ვაითუ... და საკუთარ თავსაც რომ გამოუტყუდ, იმისიც გეშინია, თუმცა იმედი — ეს ისეთი მალამოა, ყოყმანით რომ არასოდეს დაგტოვებს საეჭვო ფიქრთან.

კარგად იცის ინჟინერმა: ამჟამად ეს მშენებლობაა მისი სამშობლო — ახლა ამით იზომება სამშობლოს სიყვარული. როგორც ოშმი გადაწყვეტი შეტყინების დროს უკანდახვევა დანაშაულია, დაუწერელი, მორალური კანონით მშენებლობიდან გაქცევა შეუწყნარებელი ღალატია. და ყველაფერს ამას გვიჩვენებენ უკამათოდ, აუტრაუტის გარეშე.

გურამ ხარაიძის მოთხრობა „კაცი და მუხარადი“ რომ წავიკითხე (საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობა, 1971 წ.), კაი ხნის დავიწყებული მქონდა ეს ფრანგული ფილმი და მაშინ კი გამახსენდა. ამ შემთხვევაში მხოლოდ უბრალო პარალელთან გვაქვს საქმე; ანბანური ჭეშმარიტებაა: დიდი მშენებლობა დიდი ჯაფა-გარჯის გარდა, სამწუხაროდ, მსხვერპლსაც მოითხოვს. არ მახსოვს, სად და როდის წავიკითხე; ადამიანები მიდიან მშენებლობაზე; დრო ვაიცი — დაამთავრებენ ამ მშენებლობას, მერე სხვანაირად გადაინაცვლებენ და ჩვენ ვამაყოფთ: მათ იქ ჰესები დატოვეს, ხიდები დატოვეს, ქალაქები, მაგრამ საფლავებიც ხომ დატოვეს, ამაზე არაფერს ვამბობთ. მართლაც რომ დამაფიქრებელია!



გურამ ხარაიძის მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირი — მექსიკატორე აჩიკო — მეწყერში მოპყვა, საბედნიეროდ, გადარჩა, მაგრამ ფეხი კი დაკარგა. მეგობრებს უხარიათ, რაკი სულ შერჩა, ფეხს ვინღა წივსო. თუმცა თავითონ აჩიკო ასე არ ფიქრობს. ბოლოს, რომ გგონია ყველაფერზე ხელი ჩაიჭინაო, ეს ცალფეხა კაცი ისევ მშენებლობაზე გამოჩნდება.

აჩიკო უსაქმობამ გააღოთა. შეიღებდა თხალ-გაზრდა კაცს რაღაც გარემოების გამო ზომიერების გრძნობამ წუთიერად უღალატოს, მაგრამ წლობით რომ გრძელდება საკუთარი თავისადმი უდვილად მოქცევა, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში თავოყვარებობასა და ზომიერებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ყველას მოებრდა აჩიკო, შინაურსაც და გარეულსაც, ამ გარემოებამ აქცია ცინიკოსად, თუმცა ეს ცინიკოსობა უფრო თამაშია, ვიდრე მისი ხასიათის ერთი მხარე. დედამისის ისღა დარჩენია, თვითონაც მთატყუოს საკუთარი თავი — სხვათა მოსაყვენლად შეულის ლოთობით გამოწვეული ვარამი დაფაროს, გულში კი რა საკირის ცეცხლი უნთია, ამას მარტო დედები მიხვდებიან. აჩიკოს ამგვარ ცხოვრებას ლოგიკური წერტილიც მოპყვა: „თეთრი ხურევა“ დაემართა. და სწორედ ამ სამარცხვინო ავადმყოფობამ აიძულა გასცლოდა ქალაქს — გამოეყოფა თუ არა, ენგურპისის მშენებლობაზე წავიდა.

წიგნის მოკლე წინასიტყვაობიდან ვიგებთ: „გურამ ხარაიძე ფელეტონის დასაწერად ჩავიდა „ენგურპესზე“. არანახულმა რომანტიკამ, აღმშენებლობის (!) შეუღარებელმა პათოსმა კი ეს კარგი მოთხრობა დააწერინა“. საინტერესოა: კაცი კორესპონდენტად მოველინა მშენებლობას, საგაზეთო ფელეტონი უნდა დაეწერა, მიიხედ-მოიხედა, მიღვა-მოღვა, მერე შესამჩნევი შეამჩნია და ეს კარგი წიგნი კი დაწერა. დარწმუნებული ვართ, მწერალი მშენებლობაზე რომ არ ჩასულიყო და საკუთარი თვლით არ ენახა ყველაფერი ის, რასაც ხშირად მალაფარდოდ ნად გეთვაზობენ საგაზეთო ნარკვევები, მაშინ ასე შეუღამაზებლად არ დაიწერებოდა ეს წიგნიც.

„კაცი და მუზარადი“ ბევრი კუთხით არის დამაფიქრებელი: ამ წიგნში ვერ შეხვდებით შიშველ ენთუზიაზმს, ვერც იმგვარ რომანტიკას, მინცადამაინც ახალგაზრდა მშენებლებს რომ მიაწერენ ხოლმე; გაკირვება ბევრია და დალხინებაც, ძივბაცა და ზუნავც... ერთი სიტყვით, ეტობა ავტორმა დიხანს იტრიალა იმ ხალხში, შემდეგ მოთხრობის გმირებად რომ იქცნენ.

დამამახსოვრებელია ქუჩის სახე: იგი გარჯაში გაქალარავდა, ქვეყანა მოიარა, ძირითძირობამდე შეიცილა მისი ავკარგი, მაგრამ მთავარი გამორჩა მხედველობიდან — დაოჯახება ვერ მოახერხა. ეს ოპტიმიზმით ყულამდე სასვე კაცი

აქედანაც პოულობს გამოსავალს — ახალგაზრდა მუშებს შვილებივით მფარველობს. საოცარად კაცია, რჩევა და დარიგება ერთმანეთში არ ერევა, კარგად იცის, რას ამბობს და ვის ეუბნება. ზოგიერთი თვითდაჯერებული ბერეკაცივით ყველაფრის შემძლე და გამკეთებლად კი არ წარმოუდგენია თვითი. მას კარგად მოეხსენება, რომ მომავალ თაობას იმიტომ ჰქვია მომავალი, რომ მის მხრებზე უნდა გადაიაროს ამგვარად მხოლოდ წაფიქრებული მშენებლობის სიმძიმე. იგი კეთილი კაცის თვლითა და გულით აფასებს ახალგაზრდობას, რომელიც ლხინი დროს ლხინი იცის და ჰირის დროს — ჰირი.

— ასეა, ჩემო ბიძიკებო, სწორედ ასე. ვიყურებ და მიხარია, ჩემზე უკეთესები რომ გამოხვედით. არ დაუვდოთ ყური ხანშიშეულებს, თქმა რომ იციან — თქვენცხელა რომ ვიყავით... ეს რა უკუღმართი ახალგაზრდობა მოდისო... არ მიაქციოთ ყურადღება, ეს მოხუცების საცაცობრო სენია .ერთ ფარაონს ქვაზე ამოუტყრენებია წარწერა: „ღმერთობო, დავიფარეთ ახლანდელი ახალგაზრდობისსავანო“. ზედეთ რა ხნისაა ეს საყვედური?!“.

ავტორის საფუძვლიანად შეუსწავლია ამ დიდებული მშენებლობის ყოველი კუთხე-კუჩქული. ეტყობა დიხანს ზილა საბერიოსა თუ ჯვარზენის ტლაზი, რამაც აკი დადებითი შედეგი გამოიღო: „კაცი და მუზარადი“ ცოდნით დაწერილი მოთხრობა, ხალისიანად იკითხება, რასაც ხელს უწყობს სხარტი იუმორი და მოქმედი გმირების განსხვავებული ხასიათები.

ენგურპისის მშენებლობა კომკავშირული მშენებლობაა. ამიტომაც წიგნში გარკვეული ადგილი ეთმობა კომკავშირის როლს, თანაც ეს, როგორც მთელი სარეცენზიო წიგნი, უბრალო ვალის მოხდა არ არის — იგი მისი ორგანული ნაწილია, რაც მთლიანობაში ნამდვილად კეთილად ეღერს.

როგორც ყველა დიდ მშენებლობაზე, ენგურპესზეც მრავალი ეროვნების მუშებს შეხვდებით. გურამ ხარაიძე ამასაც უსგავს წითელ ხაზს: ახალგაზრდა, რუსი მუშა — იური ჯიუტი ხასიათის ბიჭია — რასაც იტყვის, კანონია. ერთი წამოსცდა, თქვენზე ნაკლები რითი ვარ, მეც რატომ არ უნდა ვლაპარაკობდე ქართულადო და აკი ისწავლა კიდევ. მუშაობაა და — სხვას არ ჩამორჩება, მეგობრობაა და — სამაგლითოა პირდაპირ, ვართობა გინდა, ჩემო ბატონო — არც ამაში დავიდებს ტოლს. აჩიკო მეწყერში რომ მოპყვა, ვინ, ვინ და ყველაზე მწვავედ იურიმ განიცადა.

პარლო კოპარიძე
მოთხრობა ენგურპისაშენებელი

გურამ ხარაიძე მშენებრად ხატავს მშენებ-
ლობის პეიზაჟს, მშენებელთა ვანწყობას,
აზარტს: კინალამ ეკლად ხვდებათ უქმე დღე.

„— დასწყევლის ღმერთი კვირა დღეს... არ
იცი კაცმა, რა აკეთო. ფეხბურთი საღამოსაა,
კინოც საღამოსაა, ბიბლიოთეკის დიდი მუშტა-
რი მე არ ვახლავარ“...

ეს კარგი მოთხრობა დაზღვეული არ არის
ნაკლისაგან: აქა-იქ თავის ადგილზე არ ზის
სიტყვები, ანდა თხრობაში დიალექტია გაპარუ-
ლი. მაგრამ მთავარი მაინც აჩივოს მეწყერში
მოხვედრა და გადარჩენა გვგონია სადავო. რაც
არ უნდა მაგარი „სახურავი“ ჰქონდეს ბუღლო-
ზერს, იმხელა მთის დაცემის შემდეგ მართო
ფეხს არ დაკარგავდა მებუღლოზერე. თუმცა ეს
ნაკლი იმ სიკეთესთან შედარებით უმნიშვნე-
ლოა, რითაც საესეა გურამ ხარაიძის მოთხრობა.

წიგნის წინასიტყვაობა პოეტ გივი ძნელაძეს
ეკუთვნის. აი, რას წერს პირველსავე აბზაცში:
„ქართველმა მწერლებმა არაერთი ნაწარმოები

უძღვნეს ენგურპესელებს“. პირიქით —
ცოტა ნაწარმოებები შექმნეს ენგურპესელებზე,
იმდენად ცოტა, რომ სპეციალურ საძიებელში
ჩახედვაც არ გვპირდება — ისედაც ჩამოთვ-
ლით.

და კიდევ: რამდენი მშენებლობაა ამ მხრივ
უყურადღებოდ დარჩენილი, თუნდაც ჩვენი
დიდებული მეტრო (რომელიც აქვეა და უმივე-
ლინებოდაც შეიძლება მშენებლებისა და მშენე-
ბლობის გაცნობა), და კახეთის არხი... ჩამოთვ-
ლა მართლაც შორს წაგვიყვანს

მოდით, თვალი გადავავლოთ ოცდაათიანი
წლების ქართულ ლიტერატურას: თითქმის
არცერთი ქართველი მწერალი არ დარჩენილა,
კოლხეთის ჭაობის დაშრობა მისი ნაწარმოების
ძირითადი თემა რომ არ ყოფილიყო იქამაღ.

გურამ ხარაიძის დამსახურება, უპირველეს
ყოვლისა, ჩვენ კიდევ ესა გვგონია: „კაცი და
მუზარადი“ ერთ-ერთი პირველი პროზაული
ნაწარმოებია ენგურპესელებზე, პირველი და
საუკეთესო.



საქართველო

მირონ ხაჩიანი

ფერებში ასახული ისტორია

ლენჯერის თარინგზელის (მთავარანგელოზი) ეკლესიის თავანზე ხელმარჯვე ოსტატს ჰაბუკისა და ცალთვალა დევის შერკინების სცენა დაუხატავს. ზუსტად არაეინ უწყის ვინა და როდის ააშენა ლამარის ეკლესია, საყდრის საუკუნეებგამოვიღო უნიკალურ კედლის მხატვრობას კი თავისი ცხოველყოფილობა დღესაც არ დაუკარგავს.

ქერის ღერდილიანი დღეობით მოპირკეთებულ კედელზე იღუმალი, იქნებ ჭერაც ბოლომდე შეუტნობელი შემადგენლობის ფერსაღებავები წვიმა-ქარისაგან ოდნავ შელახულ-გაფერმკრთალებულა, გაცრეცილა...

თმაშეფერცხლილი, ნაბდისქუდიანი ლენჯერელი მოხუცი, რომლის ოჯახიც თარინგზელის მკვეველად, ხატის მსახურად და მომვლელად ითვლება უხსოვარი დროიდან, პირველი შემოგვეგებებათ საყდრის ეზოში და კედლის მოხატულობაზე თუ ჩამოუგდეთ საუბარი, ჩაფიქრებული და ცნობისმოყვარეობით აღესილი, ჩიფჩიფით გამცნობთ:

— წინ რო დგას, ეს ჰაბუკი შეფეთანია, რამაზ დევს შებრძოლებია, ხოლო უკან რომ მოჩანან ესენი, ბადრი, ვისიბი და ამირანი-აო...

აი, რას ვკითხულობთ სეფედავლესა — (შეფეთანის) და რაზიმან — (რამაზ) დევის შებრძოლების თაობაზე კლასიკური ხანის ქართული საერო მწერლობის ცნობილ ნაწარმოებში — „ამირანდარეჯანიანში“:

სეფედავლე ამალითურთ მიემგზავრება თავისი საცოლის, ჰენთა მეფის ასულის მოსატაცებლად. გზად უცნობი ქალი შემოხედებთ, რომელიც გაიგებს რა მათი მოგზაურობის მიზანს, ურჩევს სეფედავლესა და მის

მზღებლებს უკან, თავიანთ ქვეყანაში გაბრუნდნენ, რადგანაც „ვინცა აქა მოსრულაო, მშვიდობით არ წასრულაო“.

მამაცი სეფედავლე ამაზე უპასუხებს: დარდი ნუ გექნება, ჩვენი სიკვდილი კაცობრივისა ძალისაგან მოუვალი არისო“.

ქალს მოეწონება მისი ნათქვამი და მოახსენებს:

— „ამავეი მესმოდა შენი, მაგრამ ამბისაგან შენ უკეთესი გნახეო“. მერე კი თავის გაპირებებაზე ჩამოუგდებს საუბარს — მიშველე, ქმარი ჩემი და ძმა ჩემი რაზიმან დევმა დახოცაო“.

და აი, რაზიმან დევი და ჰაბუკი სეფედავლე შეებრძოლებიან ერთმანეთს:

„შეუტრია ცხენი სეფედავლე და ფიცხლად შეიბნეს. ომი გარდახდა დიდი, და ვერა რომელმან აჯობა. მერმე ცხენი გაიყვანა სეფედავლე და ეგრე შეჰყვილა, ვითა: „ამით ჰაბუკობითა ვლამი ჰენთა ქვეყანასა შინა შესვლასა!“ ხრმალი ჰკრა თავსა ზედა, ორად გაკუთა ეგრე, რომ ნახევარი იქით დაცა, ნახევარი აქით...“

ასე აღწერს მოსე ხონელი ჰაბუკ სეფედავლესა და რაზიმან დევის ბრძოლის ამბავს.

„ამირანდარეჯანიანის“, კლასიკური ხანის ქართული საერო მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოების გმირთა ამბავი ვინმე სვან მხატვარს თარინგზელის კედელზე გაღალატანია. დღეს მხოლოდ სახელები თუა გასვენურებულნი ნაწარმოების პერსონაჟებისა: სეფედავლე — შეფეთანი; ბადრი — ბადი; ვისიბი — უსუბი (ეს უკანასკნელი ქართული ხლახური ზღაპრის „ამირანის“ გმირი უნდა იყოს და მოხუცი მკვეველის მიერ

შედგომით არის მოხსენებული „ამირანდარე-
ჯანიანის“ სხვა პერსონაჟებს შორის).

ყოველივე ამით იმისი თქმა გვსურს, რომ
უხსოვარ დროიდან საცალფეხო ბილიკების,
ათასი კლდეკარისა და გადასასვლელის მიუხე-
დავად ცხენისწყლისა და ენგურის მიუღვამელ
ხეობებში არასოდეს არ წყდებოდა მხატვარ-
თა, ოქრომკედელთა, ხუროთმოძღვართა ეა-
მთა აღმწერელთა, მოლიქსეთა შემოქმედები-
თი მუშაობა, და რაც მთავარია, არასოდეს არ
გათიშულა ერთიანობის, კავშირის ძაფი სა-
ქართველოს ბართან, ანდა როგორც მას უწო-
დებდნენ ძველად სვანები — ქართლის ძვე-
ყანასთან.

მაგრამ სიახლოვე, ერთიანობა თუ მსგავ-
სება იმას როდი ნიშნავდა, რომ სვანეთში მო-
ღვაწე ადგილობრივ თუ მოსულ ხელოვანთა
შემოქმედებაში არაფერი ყოფილიყო ორიგინალ-
ნალოვანი, თავისებური. ამ ქართულ გროვ-
ნულ ნიადაგზე დაფუძნებულმა თავისთავა-
დობამ ყველაზე ნათლად იჩინა თავი ხუროთ-
მოძღვრებასა და სვანურ ხალხურ ზეპირსიტყ-
ვეობებში.

ძველ სვანურ მხატვრობასა და ხალხურ
შემოქმედებასთან კავშირში უნდა განვიხილოთ
თანამედროვე ქართველი წამყვანი მოქანდა-
კისა და გრაფიკოს მხატვრის ვახტანგ ონიანის
შემოქმედება, რადგანაც ერთი შეხედვითაც კი
ნათელია, რომ მისი მხატვრობა სწორედ იმ
ძველისძველი ძირებიდან — სწორედ ოვარ
ოქრომკედელთა, იფრების, ლაფურკის და
წიარმის ეკლესიის ფრესკებიდან, სვანური ხალ-
ხური ზეპირსიტყვეობებიდან, ამ კუთხის წა-
რსულადან, თქმულება-ლექსებიდან მომ-
დინარეობს.

მხატვრის მიერ სერიებულ შექმნილი ნამუ-
შეებები — „ქალღვეულები“, „სვანური მი-
თოლოგიური ეპოსი“, „სვანური ხალხური
ეპოსი“, „ზოგადი საყოფაცხოვრებო სურა-
თები“, „თანამედროვეობა“ და სხვა შემოქმე-
დის ფართო ინტერესებზე, უშრეტ ფანტა-
ზიასა და მხატვრულ შესაძლებლობაზე მეტ-
ყველეს. მას სურს არ გამოჩინოს არც ერთი
ნიუანსი სვანური ყოფიდან, მაინათვის ქართუ-
ლი სინამდვილისათვის დამახასიათებელ ახალ
მოტივებს, გადაიტანოს იგი ქალღღმურ, აალა-
პარკათის ფერების, საღებავების ენაზე და ყვე-
ლასათვის საცნაური, გასაგები გახადოს.

საყოველთაოდ ცნობილია ის ამბავი, რომ
ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვეობებში მხო-
ლოდ სვანურმა სიმღერებმა, თქმულება-ლე-
გენდებმა შემოინახეს ნადირობის ქალღმერ-
თის — დალის სახე. ხოლო თამაძნე შეიძ-
ლება ითქვას, რომ იგი პირველად ვახტანგ
ონიანმა გადაიტანა ტილოზე და თავისებუ-
რად, შთაბეჭედავად აამეტყველა ფერების
ენაზე.

ვახტანგ ონიანის მხატვრულად განზოგა-

დებულმა დალ-ქალღმერთმა უდავოდ
ამრავალფეროვნა თემატურად ქართულ მხატ-
ვრობა და არა მარტო ქართული მხატვრობა

სვანური თქმულება — ლექსების მიხე-
დვით მთის ფერები ბევრი არიან, ცხოვრო-
ბენ ჯგუფებად, გააჩნიათ სიყვარულისა და სი-
ძულვილის გრძნობა. დალებს შორის არიან
მეძავეები, ე. ო. სუტიკი ნებისყოფიანი, მამა,
მონადირეებთან რომ იჭერა საქამეს, რომელ-
თაც თუ გაუტყვ ავნებოდა და მრუშობა ახ-
ლოს არ გაიკარებენ, თემიდან მოკვეთავენ
და სხვა. დალებზე შეიძლება ითქვას, რომ ის-
ინი ნახევრად აღამიანური ბუნების მატარ-
ებელი არიან. სწორედ ამიტომ სვანურ ფო-
ლკლორში კარგად გათვითცნობიერებული
მხატვარი მეტწილად ხელშეისახებად, გად-
ამიანებულად წარმოგვისახავს მათ.

მაგალითისათვის განვიხილოთ მისი ერთ-
ერთი საინტერესო სურათი ღმერთ-ქალების
სერიიდან — „დალი გაურბის მეწყერს“, რომ-
ლის სიუჟეტი ხელოვანს უდავოდ „სამონა-
დირეო ეპოსიდან“ — „გვიგრივლიდან“, ან
როგორც იგი ხალხურ ზეპირსიტყვეობებშია
ცნობილი — „ჩორლადან“, აქვს აღებული. შე-
ფუთვებული და დაბნეული, თმბგაყწილი
დალი თვავაწირული გარბის, უკან მას ყო-
ველისშემძღვრელი მეწყერი ასდევნებდა. რო-
გორმე უნდა დააღწიოს თავი მთიდან მოვა-
რდნილ ღვართვადს...

ეს ამბავი იმითაც არის საინტერესო, რომ
ნადირთა ქალღმერთი დალი, რომლის სასწა-
ულომოქმედება ზოგიერთ შემთხვევაში ღმე-
რთისას უტოლდება, ამ მომენტში საოცრად
უძწეო მდგომარეობაშია ჩავარდნილი — იგი,
როგორც ჩვეულებრივი მოკვება არსება,
გაურბის აღდგენებულ ნიღვარს, ძეხორცილე-
ვით უძწეოა ბუნების მოვლნის წინაშე...

ეს რაც შეეხება ვახტანგ ონიანის მხატვ-
რულ ჩანაფიქრს. ახლა გავეცნოთ როგორ
არის აღწერილი დალები დახარობის ამბავი
სვანურ „ჩორლაში“: ხარბი მონადირე ღმერთ-
ქალღმემა შეიპყრეს, რათა იგი ჯგოფიდან და-
ესაჯათ მათი გამწყვობა — ჩიხთა თაბუნის შე-
უბრალობად ვაწყვეტისა და შეიხველებს-
თვის. ჩორლას მარჯვენა ხელითა და მარცხ-
ენა ფეხით დაჰკიდებენ კლდეზე. დალები ზე-
იმობენ მოსისხლე მტერზე შურისძიებას.

მაგრამ ნადირებია მათი სიხარული. ჩორლას
მშველელად წმინდა გიორგი გამოუჩნდება. წმი-
ნდა გიორგი მამაკაცთა მფარველია. ისევე, რო-
გორც დალები — ნადირთა, იგი ნაბდისქუდიან-
თა სიციხესლეს სდარჯობს. მაგრამ ჩორლასად-
მი მისი დახმარება მხოლოდ და მხოლოდ ამ ტრა-
დიციული მოვალეობით როდი აიხსნება, თურმე
მონადირე ჩორლა ღვთისმოსავი და წმინდა
გიორგის მადიდებელი ყოფილა. მის ჯგურა-
ვის (წმინდა გიორგის) სახელზე თარამეტი
ცხენის საპალნე სანთელ-საკმეველი დაუნთია



და შეუწირავს. აბა თავად განსაჯეთ, ყოველივე ამის შემდეგ შეეძლო წმინდა გიორგის დახმარების ხელი არ გაეწვინა მისთვის? იგი დაღვს და მოციქულობით გამოაშვებინებს ჩორლას, ხოლო უკან დადევნებულ მათს ლაშქარს ნიაღვარში ამოახრჩობს. მთელი ჯაროდან ერთადერთი დალიდა გადარჩება ცოცხალი, რომელსაც მონადირე ჩორლა შეაბრალეს წმინდა გიორგის, როგორც მის სატრფოს, რომელთანაც მრავალი სასიამოვნო დღე გაუტარებია...

ასეთია მხატვრისა და სევანური სამონადირეო სიმღერის ურთიერთ დამოკიდებულების მარტივი სურათი.

ვახტანგ ონიანის სევანურ ტილოზე ლაბარაკისას არ შეიძლება არ აღინიშნოს მათი გამჭვირვალობა, სივრცობრიობა, სიმსუბუქე, სიწინაწილე და სინატიფე, რომელიც სანტიმენტალობასა და იაფფასიან რომანტიულობაში არ გადადის. თვით ყველაზე მეტ ფერებში შესრულებული ნაწარმოებებშიც კი (ასეთი ფერები მრავლად აქვს გამოყენებული ავტორს) მთელის სისრულით, მთელის მოცულობით შეიგრძნობა საგნებს შორის სივრცე, სევანური მაჩუბის თუ მურყვამთა ინტერიერი, შორეულ პლანში ნაჩვენები მთების თუ საბალახობის დამახასიათებელი შტრიხები. ვახტანგ ონიანის ხელოვნებისათვის დამახასიათებელია შორეული საგნების გამოკეტილად, მოახლოებულად ჩვენება.

— ბავშვობაში ჩემს სოფელს რომ არ გავცილებოდი, ახრადაც არ მომივიდოდა, თუ აქ, ცასთან ახლოს მდებარე ქვეყანაში, ზღვიან დონედან ორიათასამდე მეტრის სიმაღლეზე საგნები უფრო მკვეთრად თვალდასანახად გამოიყურებოდნენ, ვიდრე სხვაგან. ალბათ საერთოდ მთისათვის არის დამახასიათებელი მსგავსი „თვალთმაქცობა“ — სანადირეოდ ან დღეცხე თუ გვიგა — ალბათ გქონია ასეთი გრძნობა — იმ ხევამდე მისვლას რა ბევრი უნდა, რამდენიმე საათით მანდ ვიქნებოო. მთები ხელისწევნაზე მოჩანან, მაგრამ სინამდვილეში ასე როდია, გზას ბოლო არ უჩანს, უსასრულოდ გრძელდება.

სევანეთს რომ გავცდი, მაშინდა ვახდა საცნაური მთისა და ბარის განსხვავებულობა ხედვისა და აღქმის სიმორე-სიახლოვის თვალსაზრისით. მერე შევეცადე ეს თავისებურება ტილოზე მუშაობისას გამეთვალისწინებინა და ამით სევანურ სინამდვილეს კიდევ უფრო მეტად დავვახლოვევოდი... მაგრამ იქაურობისათვის დამახასიათებელი გამკვირვალობისა და სივრცობრივობის მიღწევა არც ისე იოლი აღმოჩნდა — ჩვეულებრივი ფერებითა და საშუალებებით ვანზრახვა — წადილის აღსრულება ვერ მოხერხდა. ძიება მიიქცა არ შემეწყვეტია. გულმოდგინედ მუშაობამ სანთლის ფერებამდე მიმიყვანა... ამბობს ვახტანგი.

სანთლის ფერები! მთელი თავისი გრაფიკული ტილოები მხატვარს სწორედ სანთლის ფერში აქვს შესრულებული. ცვილისათვის დამახასიათებელი სიწმინდე, სიფაქიზე და სურნელოვანება იღვრება თითქოს მისი საგმირო, სამონადირეო თუ სარწმუნოებრივი ყოფის ამსახველი ნაწარმოებებიდან.

მხოლოდ ისტორიული წყაროებიდან თუა მკითხველისათვის ცნობილი ხალდეს აჯანყებისა და დაცქევის ამბავი. ვახტანგ ონიანმა ამ თემაზე ნამუშევრების მთელი ციკლი შემოგვთავაზა და ამით სევანი ხალხის გაუგონარი თავდადება და მამაცობა ყველასათვის საცნაური გახდა.

„ქალდეელების“ სერია იწყება „სამი მტრევაშით“. აქუშების წინ მათი აღმშენებელ-პატრონები ეყოფებულან. მათი შეთოფარაობა და რაღაცნაირად აელვარებული თვალები მეტყველებენ მოსალოდნელ სამშრობაზე — შესაძლოა შინაური, შესაძლოა, გარეული მტრისაგან. ხოლო ცვილისფერში შესრულებული მათი დავიქრებული, მზედაკრული სახეები კი მათს სიმართლეს, სიწმინდესა და პატიოსნებაზე დადავებენ. ეს ორი საწინააღმდეგო განწყობილება ებრძვის ერთმანეთს მათს გამომეტყველებაში. მეციხოვნევი გაცილებული არიან — ვის რა დავუშავეთ, რომ ჩვენს დასაცქედვად წამოსულან.

ამ ციკლის სურათები „შოსანი ქალი“ და „ტყვეები“ — ურემზე გამომბეჭდი ზვევები ახარებული, მამაკაცამწყდარი სოფლიდან წვრილფეხა საქონელივით გაულალავთ მომხვედრებს. მხატვარს ქალაღზე გადაღებული აგრეთვე აჯანყებულთა გასამართლების ისტორიული პროცესი, სადაც, როგორც ცნობილია, ნიკო ნიკოლაძე და აკაკი წერეთელი თავგამოდებით იცავდნენ ტყვექმნილებს, მათს სამართლიან ბრძოლას არსეთის დიდ-მპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ...

ვახტანგ ონიანის შემოქმედებაში შთაბეჭდილად არის ასახული სევანეთის ისტორია, გულსმიერი სატყვეობები, ტრაგიკული და სასიხარულო, უმინშველოვანესი ცხოვრებისეული მომენტები. რაც მთავარია, მის მხატვრობაში დაცულია აზრისა და ფორმის, გამომსახველობით საშუალებათა სრული შესატყვისობა, ამიტომაც ვახტანგ ონიანის მიერ მოწოდებული მათა ქვეყანა მართლაც სევანეთია, ისტატურად გადახარშული ხელოვანის შემეცნებაში. მის ნამუშევრებში (ქანდაკება — „ადგილის დედა“, „სევანი“ და სხვა) იგრძნობა ამ კუთხისათვის დამახასიათებელი მთლიანობა, სიყვიფე შტრიხების, რაც ხასიათებისა და განწყობილების შესაქმნელად არის გამოყენებული, სინატიფე და ლაკონიუ-

მირონ ხარბიანი
ფარეზში ასახული ისტორია



რობა, ზმირ შემთხვევაში უარის თქმა თითქმის საჭირო, მაგრამ ამ შემთხვევაში მხატვრის აზრით არა აუცილებელ დეტალებზე. ხელოვანი ცდილობს მისი გმირები უთქმელი, უფრო შინაგნად მოაზროვნე, სიმართლით გაქვნილი ადამიანები იყვნენ, ხოლო მათს გარშემო არსებული საგნები — შუუფერადებულნი, თავისთავადნი. ერთი ნებეღვით თითქოს იოლი, უმარტივესი ამოცანის გადაწყვეტა სინამდვილეში დიდ შრომასა და ნიჭიერებას მოითხოვს შემოქმედისაგან და ვინც მხატვრული გამოხატულების ერთგულ ფორმას ძიებას გვერდს აუქცია ალბათ ვერასოდეს მიადევნებს სასურველ მიზანს — გვიჩვენოს ნამდვილი სვანეთი (თუ იგი ამ თემაზე მუშაობს) და არა რაღაც ეგზოტიკური, ბრჭყვილა, ყალბ სამოსელში გამოხვეული მთებისა და კოშკების ქვეყანა, რაც იმას ჰგავს, რომ სვანური მურყავების მთელი სიდიადე და სენსაციურობა იმათს ჭონგურებზე მიწუნებულ მერცხლის ბუდეებში დაინახო და ნატყვიარი, სათოფურები ვეღარც ე შეამჩნია კაცმა.

ვახტანგ ონიანი თავს არიდებს „მერცხლის ბუდეებს“. მას ბრჭყვილა საგნები როდი იტაცებს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ისინი ხელგეშენისათვის უფრო მავნენი არიან, ვიდრე სასარგებლონი. მათმა გამოდევნებამ შესაძლოა დროებითი აღიარებაც კი მოუტანოს მხატვარს, მაგრამ ვახტანგ ონიანი, როგორც ქეშმარიტი შემოქმედი მსგავს ცთუნებაზე მალდა დავს.

ორი ნაბღისქუდიანი მამაკაცი კოშკის სათოფურთან ჩაუტყულა, კუხვები ვარეთ გაუყუდებიათ, ბათქაბუთქი გაუღიო. მკრთალად მონახს ჩაბნელებული კოშკის ინტერიერი, ხელშესახებადაა აღბეჭდილი მებრძოლთა ჩაცმულობა, მათი აღჭურვილობა. ვინ არიან ისინი, რას გაუხელებიათ ტანბრგე, შუბლნათედი ჩახოსნები? თანატოლთა მსგავსად რად არ ნეტარებენ თავიანთ ცოლ-შვილში, ახლობლებთან, ნათესაებთან? — მსგავსი ფიქრი აღებჭრის ადამიანს როცა მუქ-ყავისფერში შესრულებულ „ვიციბილ-მაციბლის“ მებატონელებთან ბრძოლის სცენას უყურებს. დიახ, ვიციბილ-მაციბლი, აბა სხვა ვინ უნდა იყვნენ ისინი! სხვა ვინაა ლომის ხეობაში მათებრ მამაცი და შეუპოვარი, ერთურთის გამგებ-გამტანნი?

თორმეტჯერ დაქცნა ბალახი მთებზე, თილი გომეჯის გემო დაგვაიწყუდა, შინ მიმავალი წვიარნა დაგვაიწყუდაო...

ათქმეინებს მოლქსე მამაც ძმებს — ვიციბილ-მაციბლს. ისინი ვერ შეურვიდნენ მებატონე დარჩქელანთა თვითნებობას და ტყუს მისცეს თავი, თორმეტი წელი ემზადებიან

ძმები მებატონეებთან საბრძოლველად, ავტონეუხუი ვებენ ტყუა-წამალს. მერე იწყება ბრძოლა უთანასწორო ომი. ვიციბილ-მაციბლი ეწირებთან მართალ საქმეს. მათი საგმირო საქმეები უყვდავია ლომის ხეობაში.

„ვიციბილ-მაციბლი“, სვანური ხალხური სიმღერა მხატვარს გადმოუქართულებია, დაუსურათხატებია და მეორე საისტორიო ლექსთან — „ლებსუყე ჯაჭვლანთან“ ერთად შეუტანია წიგნში საერთო სახელწოდებით — „ლაღლერ“.

რა მოსაზრებით გააერთიანა მხატვარმა ეს ორი სხვადასხვა დროს შექმნილი ხალხური სიმღერა?

— ამ ორი საგმირო ეპოსის შესწავლამ, მათი ვარიანტების საგულდაგულოდ დამუშავებამ დაამარწმუნა, რომ ისინი შინაარსობრივად ახლოს დგანან, უფრო მეტიც, ავსებენ კიდევ ერთმეორეს — ვიციბილ-მაციბლის საქმეს, მათს ბრძოლას მებატონეთა წინააღმდეგ შემდგომი ლეხსუყე ჯაჭვლანი აგრძელებს. ლეხსუყე, მართალია, მარტო მოქმედებს, მისი საქციელი ზოგიერთ შემთხვევაში გაანახლებული, გაბოროტებული ადამიანის მოქმედება უფროა, ვიდრე სოფლის სატიკიერებით შეწუხებული კაცისა, მაგრამ თავი და თავი მისი უცნაურობისა და სოფლიდან განდგომისა მებატონე დარჩქელანები არიან, რომლებიც საქონელივით ეპყრობიან თავიანთ ყმებს. ლეხსუყეც მათი ქვეშევრდომია, მაგრამ სხეულებით ვერ ურიგდება დამცირებას და ყაჩაღად გადის ტყეში, რათა ვიციბილ-მაციბლივით თფ-იარაღით შეებრძოლოს უსართლობას...

ლებსუყე ჯაჭვლანი სვანური ქუდიო, გაფარჩხული უღვაშებით, ანთებული, არიალებული თვლებით გვიჩურს. იგი თითქოს ნატურიდან გადმოუხატავს მის ავტორს, ისეთი ხელშესახები, გამოკვეთილი და დაუამუშეულია მისი სხეული. მოუსვენრობა და სულიერი ფორიაქი გამოქრთის მისი ყოველი ნაკვთიდან, სახეზე თუ ტანზე. მხატვრის მიერ გაგულბულ ყოველ მუნე, დამომულ შტრახში უშველებელი ფეთქებადი ძალაა ჩატანებული. ამ გულადი ადამიანის გრძობა-გონება, მიეული არსება შემართულია საბრძოლველად, სალაშქროდ. მისი ანთებული თვლები რისხვაკრულვას უგზავნიან მებატონე დარჩქელანებს...

სხვა სურათში ლეხსუყე ტყეღმწილია. ითარშერების მდევრებს ბაწრით მიუკრავთ ხეზე. თვითონ კოცონს მიფიცებთან, ზოგსაც სძინავს და შესაძლოა დიდი ბატონის მოღიპარე სახე ელანდება სიზმარში, რომელიც უხომოდ გახარებულია ყმა-ყოფილის, ახლა კი მისი მოსისხლე შტრის დატყვევებითა და შეპყრობით... ცეცხლი ერთადერთი გამაერთიანებელი რგოლია ამ ორი ერთურთის საწინა-



აღმდგომლად განწყობილი ბანაქისა — მდევართა და დევნილისა, შერისძიების კოკონისა ეს ცეცხლი, მეზატონეთა მიერ ძმათა შორის მზაკვრულად დათვებული...

აქ ხდება სწორედ გუგონარი, წარმოუდგენელი რამ. ხეზე მიმაწრული ლეგსუყვი ფენის თიღებით გამოჩნრავს ნაღვერდადს, მერე კლანჭებს მასასავით ჩაუჭერს, მაღლა წამოიღებს და ტუჩებში ვაღიჯანს, ტუჩებში მოგდებელი ნაყვერჩხლით კი მკერდსა და ბეჭებზე შემოსალტულ ბაწარს დაუეღის, ბაწარი დაიწყება... ცეცხლისმფრქვეველს ჰვაფადა ალბათ იმ წუთში ლეგსუყვ კაკულანი, ერთი სურვილით შეპყრობილი ადამიანი — მალე გასცლოდა იქაურობას...

სიმამაცემ, მოხერხებულბამ და გონიერბამ გაიმარჯვა. ლეგსუყვი მათივე იარაღით ამოხოცავს მეზატონეთა დამპყმებს, მერე დღეს კი დარჩქელანს თავად ესტუმრება და აწვევითღმბით მოახსენებს მისი ამაღის ამოწყვეტის ამბავს.

მზატერის ერთ-ერთ ნამუშევარს „შვიი კატა“ ჰქვია. წინა პლანზე გოგო-ბიჭები ჩანან. ისინი ერთიმეორეზე ლამაზები არიან. მათ უყვართ ერთმანეთი. და ეს პირველი გრძნობა მათში ისეთივე წმინდაა, როგორც საუკუნოვანი თოვლი თეთნულდის კალთებზე, ისეთი სათუთი და ფაქიზია, როგორც ჩრდილის ყვავილი. ისინი ერთიმეორისათვის არიან გაენიღლნი. მაგრამ ეს შვიი კატა რაღაა, უყან რომ ატუხულა ავებდით მოჩვენებასათვი? ან ეს პირდაღებული კოშკები და მაჩუბები რაღაზე გამწყურაღან?

შვიი კატაც და მურყვამბიც ცხოვრებისეულ ვარყსამყაროს სინამდვილეს შეგვახსენებენ. მოსისხლე გვარებს, მეზატონეთა და ყმათა პაროლას, შუღლსა და მტრობას მოგვაგონებენ. და რაოდენ სასაცილოდ და უსუსურად გვეჩვენება მათინ ეს ქალ-ყავთა კვლე-მამოსიღება, მათი პირველი სიყვარულის გრძნობა. არა, არ არიან ისინი ერთმანეთისათვის დაბადებულნი, მათ შორის ბოროტი სუსლი დგას. დაბ, შვიი კატა ავებდით სინამდვილეს, ძველი სვანური ყოფის სიმბოლური გამობატულება, პირველი სიყვარულის გრძნობაზე დაღებული ტაბუ.

მკაცრი კანონების ქვეყანაში ახალგაზრდებს მძიმე უღელი ადგათ. მათი სიყვარული ძველად ამ უღელქვეშ კენსოდა, სულს დაფავდა. ცასთან ახლოს, სამზეოზე ამ სიყვარულს ძალა როდღ აკლდა, მაგრამ გასაქანი და სარბიელი არ ჰქონდა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინების მერე გასაგები ხდება ჩვენთვის ონიანისეული მიღგომა სიყვარულის თემისადმი.

მართლაც და რად ჩაუჭერათ ხელში შინაგანი ენებით გათანგულ, მკერდამდგარ გოგოებს ხელთ აპუერბენ? მეოცნებე ქალწულს კი რა-

ლად მისცა მზატერმა ხელში ფილი და ფილტვრითაქვაც? აპუერბიცა და ფილტვრითაქვაც სიმბოლური საგნებია ქალის მოწიფულობის, მისი პირველი გრძნობის გამოსახატავად. აპუერი იგივე უღელია, ცხოვრებისეული უღელი. ქალში მომწიფებულა სიყვარულის გრძნობა, იგი მზადაა დღღი ცხოვრებისათვის, დღღდობისათვის. ქალი საქორწილო აჯიღაზე ფიქრობს...

სხვა სურათში დღღი მოთენილია, ოცნებებში ვართული ყასიდად ნყავს. ალბათ საადღგომოდ ხობაღლს თუ ღერდაეს წანდილი-სათვის. მისი სხეული მოშვებულა, მოთენთი-ლია და არა დამატული, როგორც ეს გულიანი მუშაობის დროსაა ხოლმე. მისი ყველი ნაკვითდან ენება იღვრება. ლამაზია ქალი, მაგრამ მარტოა... ფილსა და ფილტვრებში სიმბოლურად დღღი ცხოვრება, ერთი ოჯახი იფულისმხება.

და რაოდენ მართალია თავის ძუნწ მზატერულ სიმბოლო-იეროგლიფების გამოყენებაში მზატერა? როგორ ფაქიზად, ფრთხილად უღდება იგი ამ წმიდათა-წმიდა პრობლემის გადაწყვეტას? რაოდენ დღღია მისი, როგორც მზატერის პასუხისმგებლობის გრძნობა თავისი ხალხის მკაცრი წარსულის, მისი ისტორიის ასახვისათვის.

ვახტანგ ონიანის შემოქმედება მრავალფეროვანია. პირადად ზერ არ შემძღია ერთი-ორი სიტყვა არ ეთქვა მის „ხარებზე“. მაინც როგორ ხატავს ის ხარებს? როგორ წარმოგვისახავს თვინიერ პირტუცეს? რად არიან ვახტანგ ონიანთან ისინი ასე გაადამიანებულნი, გონიერნი და საყვარელნი, რომ მათი დავიწყება დღღახან არ შეგვიძღია?

— ძველად საქონელსა და მათ პატრონებს ერთი საღგომი ჰქონდათ. საქონელი და ადამიანი ერთად ათევეა ღამეს. სვანური სახლის მარჯებში საქონლისათვის თავისი ადგოლი იყო მიჩნეული, ადამიანებისთვის კი — თავისი. საქონლის მზეეს ფიცულობდა ხალხი. ხოლო ვაქიშვილის დაბადებაზე უსხვებს — ზვარაკებს ასახლებდღენ ნადისქუღიანთა მფარველის, წმინდა გიორგის სახლებზე. იმათი დაჯარგვა კი გვარზე, მთელს სამშოზე ღვთის რისხვად ითვლებოდა. — გვიყვება ვახტანგი.

მასხოვს, უძღების კვირადღეს რა ფაციფუცში იყო მთელი სოფელი. პატარებს უფროსები ხელში კირის ნატეხებს გვარჩიდღენ და გვთხოვდღენ კედელზე, იატაკზე, ჰერზე და სხვან ყოჩები, ცხენები, რქაზე სანთელღანთებულნი. ტაოშლიანი ხარები, შუროხები დაღვეხატა. თვითონ უფროსები კი ლოცულობდღენ — „მარავლ ჩენი ოჯახის ზვავი და ბარაქა, აავსე კიღობებში ჰერითა და პურით, ქვევრები

მირონ ხარბიანი
წმინდაში ასახული ისტორია

რი თივით, ბაგა — ლაფარო — ეზო-მინდვრები — ხარებით, ყოჩებით, შინაური და გარეული ფრინველით“ — ეაჯებოდნენ ისინი ფულდ ლუკლათხეს — მალალ ლმერას.

ჩვენს ნახატებს კი არაიენ არ წაშლიდა, ვიღერ თვისით არ გაიციტიებოდა, გაფერ-მკრთალდებოდა, ეკამლ-მურისაგან არ დაიფარებოდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ იმათი-თვე მიყვარდა ხარების ხატვა. უძღვების კვირა პატარებისათვის თითქოს ხატვის გაკვეთილი იყო, შესაძლოა მხატვრობის სიყვარულიც იქიდან დამყვა სულაც, რა ვიცი... (სკოლაში მაშინ ხატვას არ გვასწავლიდნენ) იმ დღესასწაულის საქმიანობას მერე მთავი, ნახირობისას ვაგრძელებდი. ჩემი თანასოფლელები დღესაც მებხუმრებიან ხოლმე — შენს ამოკაწრულ ფიქალს ლენტეხის რიყეზე წააწყვდიო ალბათ ცხენისწყალმა ჩამოიტანა ეახუნდერი-დანო. (ჩემი სოფლიდან ლენტეხამდე ბარე ოცდაათ კილომეტრზე მეტია) ამხანაგების ხუმრობა კი სიმათლეს როდია მოკლებული — ლმერთმა უწყის, რამდენჯერ გამბნევია ნახირი ქვაზე კაწვრით გათულს რამდენჯერ შემომდამებია უსიერ ტყეში. ფიქალზე, ისევე, როგორც უძღვების კვირებში ქერზე და კედლებზე ხარებს, ცხენებსა და სვანურ კოშკებს ვხატავდი...

— ალბათ ქვაზე მუშაობაც მაშინ შევიყვარდაო?

— ქვაზე ჭრა ანუ მოქანდაკება მაშინ არ ეიცოდი, რა იყო. ვერც წარმომედგინა გრანიტთან „ბრძოლა“ რანაირად შეიძლებოდა. მერე; აკადემიაში სწავლისას ჩემდა გასაკვირველად ძალიან შემოყვარდა იგი (ძირითადად მაგარი ქვაა ჩემი სამუშაო მასალა). ჩვენ როგორც მალე შევეთვისეთ ერთმანეთს. ქვა დამყვა. მართალი ვითხრათ, მეც არ დამიშურებია ძალ-ღონე, რათა მღვმარე მეგობრის ნდობა გამემართლებინა. ჩემის მხრიდან შევეცადე მისთვის სული შთაშებერა, ყველასათვის გასაგებ ენაზე ამემეტყველებინა. ახლა რომ ვფიქრობ მგონია, რომ ჩვენს დამეგობრებაში „მთავარი დამნაშავე“ ბავშვობის-დროინდელი ფიქალზე კაწვრით გატაცება უნდა იყოს. იმან შეუშინა ალბათ ნიადაგი ჩვენს დაახლოვებასა და ერთუთის სიყვარულს...

მუშისათვის უტყვი, ერთ ფიქრად შეკრული „ადგილის დედა“, ფუძის ანგელოზებისათვის ჩემად და გონების ენაზე გვესაუბრება იგი აღამიანისა და მიწის, აღამიანისა და სამშობლოს სიყვარულზე. „ადგილის დედა“! ჯგვიბის დღესასწაულზე ონკერების მიერ საკანგებოდ დაუქმული თოვლის ზუნდასავეთ შეკრულა იგი. ფესვები ღრმად, მიწაში გაუღვამს, აზრით კი ჩვენთან არის. მუდამ ჩვენს სვალწინ რიალებს იგი ვაფრთხილებად, შეგონებად, ანდერძად — შშობელი კერის სიყვარულის გრძნობას აღუზღუხებს, აძლიერებს და ჩვენი მრავალჭირანხული, ერთი ციკნა ქვეყნის უშველებელ სიტკიერებზე დაფიქრებას გვაეჯება...



— ბაბე, ხომ ვერ გვეტყვი, ვინ მოხატა თაირნეზელის ეკლესია?

მოხუცი სისველგამჯდარ თვალებს ქუტავს, რათა წუთით ვარესამყაროს გამოეთიშოს მისი გონება და ჩვენს პასუხზე ჩაფიქრდეს. მერე მშვიდ, მრავლისმეტყველ თვალებს მოგვაყარობს და გვეუბნება:

— რა ვიცი, შვილო, იფარარის, ლაგურკას, და წვირბის ეკლესიები თედოს მოუხატავს და, მე ესეც იმისი მგონია, მაგრამ ჩვენმა ჩენკამ ჩემზე მეტი იცის, უფრო სწორეს გეტყვიო ყოველივეზე... ხომ იცით, ჩემნაირ მოხუცებს ვანა ბეგრი დაეჯერებათ, ა...

ჩენკა შეტყვანი, ჯამბუ ცინდელიანი, ლეო ხოჯელანი და სხვები ვახტანგ ონიანის კოლეგები არიან. ისინი ერთნაირის გატაცებით ეუფლებიან ფერწერის ხელოვნებას. ლომის ხეობას დღეს კიდევ უფრო სჭირდება თანამედროვე თევდორები (მეფის მხატვარი თევდორე) ახალი ცხოვრების მეცისტორიე-მემატაიანეები, რომლებიც ცასთან ახლოს მდებარე ქვეყნის ათასფერადებს ფართო ტილოებზე გადაიტანენ. ნატყვიარ მურყვამებს ჭრილობებს მოუშუშებენ...

ესეც რომ არ იყოს, უძველესი საყდარ-სალოკავეს, ეკლესია-ტაძრები, იმათი ვაცრეცილი ფრესკა-ნახატები ერთი მადლიანი ხელის დადებას, გულიან პატრონისეულ მოფერებასა და მზრუნველობას ითხოვენ...



კალისტრატე სალია 70 წლისაა

ჩვენს წინაშეა მეცნიერული ჟურნალი „ზედი ქართლისა რევოლუციური ქართველოლოგია“-ს უკანასკნელი, 320 გვერდიანი, 28-ე ტომი, სადაც მოთავსებულია ცნობილი ქართველი მეცნიერების აკაკი შანიძის, შალვა ამირანაშვილის, ვახტანგ ბერიძისა და ასევე ცნობილი ქართველოლოგების რ. ლაფონის, დ. ლენვის, ე. გარიტის, ლ. ტარდის, გ. პეტჩის და სხვ. სტატიები.

ჟურნალის, რომელსაც სცემს საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრი, სარედაქციო კოლეგიაში შედიან მსოფლიოს ცნობილი ქართველოლოგები და ორიენტალისტები, მათ შორის: ი. ასფალგი (მიუნხენი), ე. გარიტი (ლუვენი), ფ. გრაფენი (პარიზი), რ. ლაფონი (ბორდო), დ. მ. ლენგი (ლონდონი), ი. მელიქოვი (სტრასბურგი), შ. მერსიე (პარიზი), ე. მონიკორი (ბამბერგი), გ. პეტჩი (ენა), კ. ჰ. შვიდტი (ბოხუმი), ჰ. ფოგტი (ოსლო).

ჟურნალი გამოდის საფრანგეთში 1948 წლიდან. მასში იბეჭდება სტატიები ფრანგული, ინგლისური და გერმანული ენებზე. ჟურნალი თავიზარადად აერთიანებს მსოფლიოში ცნობილ კავკასოლოგებს და ქართველოლოგებს; იგი ბეჭდავს საბჭოთა კავკასოლოგებისა და აღმოსავლეთმცოდნეების სტატიებს. ჟურნალის და-მაარსებელი და რედაქტორია ჩვენი თანამემამულე კალისტრატე სალია.

კ. ზ. სალია დაიბადა 1901 წლის 28 აგვისტოს წალენჯიხის რაიონის სოფ. ჭვალში. ხაშურში გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი სწავლობდა თბილისის, ბერლინის, ჰალესა და პარიზის უნივერსიტეტებში.

ამჟამად კ. სალია ცნობილი მეცნიერ-ქართველოლოგია დასავლეთში. ის არჩეულია ლუვენის, მამბერის, ბორდოს, ოსლოს უნივერსიტეტებისა და პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის საპატიო დოქტორად, ხმელთაშუა ზღვის აკადემიის ნამდვილ წევრად; იგი წევრია მთელი რიგი (პარიზის სააზიო საზოგადოება, პარიზის ლინგვისტიკური საზოგადოება, ბიზანტოლო-

გიის ინსტიტუტი, პარიზის საისტორიო საზოგადოება და სხვ.) სამეცნიერო საზოგადოების. იგი სამჯერ იყო არჩეული მეცნიერული პრეზის საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტად.

1957 წელს პროფ. კ. სალია გამოვიდა აღმოსავლეთმცოდნეთა საერთაშორისო კონგრესზე მიუნხენში მოხსენებით „ცალკე სამეცნიერო საგნად კავკასოლოგიის დამტკიცების აუცილებლობის შესახებ“. მისი მოხსენების საფუძველზე კონგრესმა მიიღო რეზოლუცია კავკასოლოგიის ცალკე სამეცნიერო საგნად გამოყოფის შესახებ.

1960 წელს მამბერში რელიგიური კულტების ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე პროფ. კ. სალიამ გააკეთა მოხსენება თემაზე: „ქრისტიანობის ისტორია საქართველოში“.

1961 წელს ტრიესტში აღმოსავლეთმცოდნეთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე პროფ. კ. სალია გამოვიდა მოხსენებით: „ქართველ და კავკასიელ ხალხთა კულტურის ისტორია“.

1965 წელს დელიში აღმოსავლეთმცოდნეთა საერთაშორისო კონგრესზე კ. სალია გამოვიდა მოხსენებით: „საქართველოს ძველი კულტურული ცენტრები უცხოეთში და მათი გავლენა“. 1967 წელს ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტში ბიზანტოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე მან გააკეთა მოხსენება თემაზე: „ძველი ბიზანტიური ლიტერატურული ძეგლები, რომლებიც შემონახულია მხოლოდ ქართულ ვერსიაში“.

1966 წელს კ. სალიამ და მისმა მეგობრებმა, საზოგადოება „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირთან“ ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღეს შოთა რუსთაველის საღამოს ორგანიზაციის საქმეში. კერძოდ, კ. სალიამ დაიჭირა თავის ხარჯზე დარბაზი და დაგზავნა მოსაწვევი ბარათები.


პროფ. კ. სალიას კალამს ეკუთვნის მთელი რიგი ნაშრომი, რომლებიც გამოქვეყნებულია ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე; დაესახელებთ ზოგიერთ მათგანს: „ჟერარა გა-

რიტი — აღმოსავლეთის ძველი ქრისტიანული კულტურის გამოჩენილი მკვლევარი; „კავკასოლოგიაზე ჟურნალის დაარსება, მისი მნიშვნელობა და ამოცანები“, „აღმოსავლეთმცოდნეთა 25-ე საერთაშორისო კონგრესი“, „ბიზანტოლოგთა მე-4 საერთაშორისო კონგრესი“, „ქართული ძეგლები და ეკლესიები უცხოეთში“, „ძველი საქართველოს კულტურული ძეგლები იერუსალიმში (ჯვრის მონასტერი). პალესტინაში, პეტრიწონში, ივირონში, მანგანის აკადემიაში და სინას მთაზე“, „ძველი საქართველოს სწავლულნი — ევაგრე, პეტრე იბერი ივიველიონისი აეროპაგი (თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის შალვა ნუცუბიძისა და ბელგიელი მეცნიერს ერნესტ ჰონიგმანის ნაშრომთა შედარება)“, „ექვთიმე მთაწმინდელი „ბალავარის სიბრძნის“ ბერძნული რედაქციის ავტორი“, „გიორგი მთაწმინდელი, იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირე, გრიგოლ ბაკურიანი, პ. იყალთოელი“, „ტაო-კლარჯეთი და მისი მონასტრები“, „ტაო-კლარჯეთი, როგორც საქართველოს

უძველესი ტერიტორია“, „ბაგრატიდების დინასტიის ქართული წარმოშობა“, „ქართული ალფაბეტის უძველესი წარმოშობა“, „ქართული სტატია ქართველ მწერლობასა და მწერლებზე“, პროფ. კ. სალიამ გამოაქვეყნა ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემთა ბიბლიოგრაფია“, ასევე, „საქართველოსა და კავკასიის ხალხთა შესახებ უცხოელ კავკასოლოგთა შრომების ბიბლიოგრაფია“.

მიმდინარე წლის 28 აგვისტოს პროფ. ს. სალიას შეუსრულდა დაბადების 70 წელი. ამასთან დაკავშირებით „ბედი ქართლისას“ უკანასკნელ ნომერში (1971 წ. ტ. 28) მოთავსებულია სტატია, რომელსაც ხელს აწერენ ი. ასფალგი, ქ. ვარიტი, ფ. გრაფენი, რ. ლაფონი, დ. მ. ლენგი, ი. მელიქოვი, შ. მერსიე, ქ. მოლიტორი, გ. პეტრი, კ. ჰ. შმიდტი, ჰ. ფოგტი, სადაც მოკლედ გადმოცემულია პროფ. კ. სალიას სამეცნიერო მოღვაწეობა.





არაბთა გაპარტიანებული რესპუბლიკა

განიაკოვსკის პოემა
არაბულ მნაზე

კაიროს გამომცემლობა „დარ ელ-საკაფა ელ ჭედი-დამი“ გამოსცა ვლ. მიაკოვსკის პოემა — „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“, ეს პოემის პირველი სრული გამოცემა არაბულ ენაზე. თარგმანი ცნობილ ეგვიპტელ პოეტს კამალ აბდელ ხალიმს ეკუთვნის. პოემა საბჭოთა ავტორების რჩეულ ნაწარმოებთა ოთხთმეულში შევა, რომელიც ახლა მზადდება გამოსაცემად.

ბ ღ რ

წიგნის კვირეული — 1971

ქალაქ კარლ-მარქსტადტში ჩატარდა წიგნის ტრადიციული კვირეული. საზეიმო გახსნაზე სიტყვით გამოვიდა კულტურის მინისტრი კლაუს გიზი.

„დემოკრატიულ გერმანიაში საჯარო ბიბლიოთეკებს ოთხ მილიონამდე მკითხველი ჰყავს“, — განაცხადა მან და ხაზგასმით აღნიშნა გამომცემლობათა როლი ქვეყნის კულტურულ

ცხოვრებაში. „ჩვენი ლიტერატურის ფორმირებისათვის, — განაგრძო კლაუსმა, — დიდი წვლილი მიუძღვის საბჭოთა ლიტერატურას“.

წიგნის კვირეულის პროგრამა ითვლისწინებდა მკითხველთა შეხვედრებს ცნობილ მწერლებთან. ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებში თუ სასწავლებლებში მკითხველთა წინაშე გამოვიდნენ ერიკ ნეიჩი, მარგარეტ ნეიმანი, ჰელმუტ პრესლერი, ჰანს ვებერი და სხვა მწერლები.

მოეწყო წიგნის გამოფენები, ლიტერატურული კითხვის საღამოები, დისკუსიები. წიგნის კვირეული ერთი დღე საბავშვო ლიტერატურის პრობლემებს მიეძღვნა.

ბ ფ რ

ახალგაზრდობა,
რომელიც ზაქიადს

დასავლეთგერმანულმა გამომცემლობამ „ჰერდერ-ფერლაგმა“ გამოსცა მიუნხენელი იურისტის ფ. ი. ბერტოლდის პიესა — „ახალგაზრდობა, რომელიც გაუიღეს“. „გერმანული წინააღმდეგობის დროინდელ

ლი სცენები და დიალოგები“, — ასეთია პიესის ქვესათაური.

ფ. ი. ბერტოლდი იატაკქვეშელთა ანტიფაშისტური ჭკუფის — „თეთრი ვარდის“, წევრი იყო; ამჟამად იგი წინააღმდეგობის მებრძოლთა და ნაციზმის დროს დევნილ პირთა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარეა.

პიესისათვის ავტორმა დღემდე შემორჩენილი სასამართლო ოქმები და მაგნიტოფონის ჩანაწერები გამოიყენა.

„ბერტოლდი მხოლოდ იურისტად როდი გვევლინება, — აღნიშნავს გაზეთ „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგის“ რეცენზენტი, — პიესის გმირთა პროტოტიპები მისი მეგობრები და თანამებრძოლები იყვნენ“.

ინფორმაცია

რაქასტანის ადმინისტრაციულ ცენტრში, ქალაქ ჭაიპურში, შედგა ადგილობრივი ორგანიზაციის, „მინდის ლიტერატურის ასოციაციის“, კონფერენცია. ასოციაციამ, რომელიც ჯერ კიდევ 1910 წელს ჩამოყა-



ლიბდა, დიდად შეუწყო ხელი ჰინდის ლიტერატურისა და ენის განვითარებას. ასოციაციის ორგანიზატორთა და აქტიურ წევრთა შორის იყვნენ ინდოეთის ერთ-ერთი - განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი მოღვაწეები: — მაჰატმა განდი, მადან მოჰან მალაფა და პარუშოტამდას ტანდანი.

კონფერენციის გადაწყვეტილებით რაჯასტანელ მწერალთა ერთ ჯგუფს საპატრიო წოდებები და ლიტერატურული პრემიები მიენიჭა.

ერთ-ერთი სხდომა ინდოეთის სხვადასხვა რაიონში ჰინდის ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციის პრობლემებს მიეძღვნა.

იუგოსლავია

პიესა ოსვალდზე

ბელგრადის ტელევიზიამ უჩვენა ამერიკელი დრამატურგის, მაიკლ ჰასტინგსის, პიესა „ლი ჰარვი ოსვალდი“, რომლის დადგმას არსი იოვანოვიჩმა განახორციელა. პიესას საფუძვლად დოკუმენტური მასალა დაედო, გამოყენებულია უორენის სასამართლო კომისიის დასკვნები.

თუმცა მაიკლ ჰასტინგსი ოსვალდის რეაბილიტაციას არ ცდილობს, მაგრამ ექვს გამოთქვამს, რომ ახალგაზრდა, რომელიც ჯექარუბიმ მოკლა ერთადერთი დამნაშავე არ იქნებოდა კენედის მკვლელობაში.

პოლონეთი

კლასნიმოსთა ახალი სერია

წელს პოლონეთის გამოცემლობები, სერით — „პოლონური და საზღვარგარეთული ლიტერატურის კლასიკოსები“. გამოსაცემად ამზადებენ ჰომეროსის, ვოლტერის, ფლობერის, ანდერსენის, დეფოს, დოსტოევსკის, გოგოლის, ჩეხოვისა და გორკის ნაწარმოებებს.

1971 წელს ამ სერიით 30 ნაწარმოები გამოქვეყნდება, 1972 წელს კი — 40-ზე მეტი.

სერიის ყოველ ტომს დაერთვება შესავალი წერილი და ბიოგრაფიული ცნობები ავტორზე.

ქურნალი გააფორმა დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჟ. ტიარაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლესანოვის ზრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებები: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-88. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

გადაეცა ასაწყობად 16/VII-1971 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/VIII-1971 წ. ქალაქის ზომა 70x108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ.-საგ. თაბანი 14,5. შეკვეთა 2582. უე 08521. ტირაჟი 26.050.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

თქვენი სიხოცხლის გამწყდარი სიმი

გმირი კოსმონავტების — ვიორგი დობ-
როვოლსკის, ვლადისლავ ვოლკოვის,
ვიქტორ ბაკაევის ხსოვნას

უელის ვარსკვლავთა მაღალ გალაგანს
დაურღვეველი თქვენი საშეხა.
ფრთების შხუილი დაუღალავი,
ერთად ყოფნა და ედთად წამეხა...
ზღვს ბედისწერამ გადუჭრა თოკი,
კლდეთა ყრუ კედლებს მათი ხმა ბზარავს,
მწვერვალის კალთამ ჩაიკრა ზოგი
და დაგვიბრუნდა გლოვად და ზარად.
მაგრამ, ბიჭებო, არ მეგულეხა
მეხი და ტყვია თქვენი მომრევი;
იშლება სული დრუბლის ქულეხად,
მზის და სინათლის ხართ მეომრეხი.
დაელოდეხა დიდეხას ახალს
თქვენი სიციცხლის გამწყდარი სიმი.
არდავიწყეხა თქვენს წმინდა სახელს
და ფოტოებზე დარჩენილ დიმილს.

ემზარ კვიტიაშვილი

61107/153



ფანონ 60 353.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236